


ძიებანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
ჟურნალი



№ 2

1998

Д 0 0 ბ ა ნ ი

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
ჟურნალი**

Д З И Е Б А Н И

**Журнал
Центра археологических исследований
Академии наук Грузии**

D Z I E B A N I

**The Journal
of the Centre for Archaeological Studies
Georgian Academy of Sciences**

№ 2

1998

Tbilisi

თბილისი

Тбилиси

63.4 (2Г)
902/904 (479.22)
д531

მთავარი რედაქტორი: ოთარ ლორთქიფანიძე

Главный редактор: **Отар Лордкипанидзе**

Editor-in-Chief: **Otar Lordkipanidze**

სარედაქციო საბჭო: †თ. მიქელაძე, გ. ლიჩელი,
იო. ჯალაგანია, გ. ჯაფარიძე,
გ. ბგირგველია, გ. ნარიმანიშვილი,
ბ. ჯორბენაძე, გ. მინდიაშვილი,
დ. ბაკრაძე

Редакционный совет: †Т. Микеладзе, В. Личели,
И. Джалагания, В. Джапаридзе,
Г. Квирквелия, Г. Нариманишвили,
В. Джорбенадзе, Г. Миндиашвили,
Д. Бакрадзе

Editorial council: V. Licheli, I. Jalaghania, G. Kvirkvelia,
V. Japaridze, G. Narimanishvili, B.
Jorbenadze,
G. Mindiashvili, D. Bakradze

სარედაქციო პოლეგია: დ. გაჭარავა, გ. ბგირგველია,
გ. ნარიმანიშვილი, ბ. ჯორბენაძე

Редакционная коллегия: Д. Кацарава, Г. Квирквелия, Г.
Нариманишвили, В.
Джорбенадзе

Editors of the Volume: D. Kacharava, G. Kvirkvelia,
G. Narimanishvili, B. Jorbenadze

შინაგანი

Содержание

Contest

სტატიები

Статьи
Articles

1. მ. გაბუნია. ჯავახეთის ამირანისგორა	5
М. К. Габуния. Джавахетская Амиранис-гора (резюме)	7
M. Gabunia. Amiranis-gora in Javakheti (Summary)	8
.....	
2. გ. თორთლაძე. ზედაპალეოლითური ღია საფგომი საბელასური	16
Г.О. Тортладзе. Вернепалеолитическая открытая стоянка Сабеласури (резюме)	20
G. Tortladze. Upper Palaeolithic Open Station at Sabelasuri (Summary)	20
3. გ. ცქვიტინიძე. დარკვეთის ენის ზედა ფენების დათარიღებისათვის	25
З. Р. Цквитинидзе. К датировке верхних слоев Даркветского навеса (резюме)	27
Z. Tskvitinidze. Towards Dating the Top Layers of the Darkveti Canopy (Summary)	27
4. გ. ფხაკაძე. კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურის გვლევის ზოგიერთი ასპექტი	32
Г. Г. Пхакадзе. Некоторые аспекты изучения раннебронзовой культуры Колхидской низменности (резюме)	35
G. Phakadze. Some Aspects of the Study the Early Bronze Age Culture of the Kolkheti Lowland (Summary)	36
5. გ. ქიქოძე, ფ. კოლ, გ. მინდიაშვილი, ა. ორჯონიკიძე. ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა სამხრეთ საქართველოდან	42
З. К. Кикодзе, Ф. Л. Колль, Г. М. Миндиашвили, А. З. Орджоникидзе.	
Раннебронзовые археологические материалы из Южной Грузии (резюме)	44
Z. Kikodze, Ph. Kohl, G. Mindiashvili, A. Ordjonikidze. Archaeological Material of Early Bronze Age from South Georgia (Summary)	45
6. გ. ინანიშვილი, შ. ჩართლანი, ბ. მაისურაძე, გ. გობეჯიშვილი, †თ. მუჯირი. საქართველოს უძველესი სამთა-მადნო წარმოების ძეგლები	52
Г. В. Инанишвили, Ш. Г. Чартолани, В. Г. Maisuradze, Г. Г. Гобеджишвили, †Т. П. Муджири. Памятники древнего горно-рудного производства Грузии (резюме)	58
G. Inanishvili, Sh. Chartolani, B. Maisuradze, G. Gobejishvili, †T. Mudjiri.	
Monuments of Ancient Mining of Georgia (Summary)	58
7. † ბ. ლორთქიფანიძე. სკარაბეიდი ვანიდან	63
† М. Н. Лордкипанидзе. Скарабеоид из Вани (резюме)	66
† M. Lordkipanidze. Scarabaeid from Vani (Summary)	67
8. მ. საგინაშვილი. გვიანერმაული ხანის მინის ფიალი ჭერემიდან	68
М. Н. Сагинашвили. Позднеримская стеклянная фиала из Череми (резюме)	70

M. Saginashvili. Eine spätromische Glasphiale aus Tscheremi (Zusammenfassung)	70
9. გ. ბოლკვაძე. პირველი ქრისტიანული ტაძარი მცხეთაში - ქვემო ეკლესია „წმიდანი წმიდათანი“	72
Г. С. Болквадзе. Первый христианский храм в Мцхете - нижняя церковь "Святая Святых" (резюме)	77
G. Bolkvadze. The First Christian Temple in Mtskheta - Lower Church "Holy of Holies" (Summary)	78
10. დ. მინდორაშვილი. დარიალის ციხის ისტორიის ზოგიერთი საკით- ხი	80
Д. В. Миндорашвили. Некоторые вопросы истории Дарьяльской крепости (резюме)	86
D. Mindorashvili. Some Questions of the History of the Darial Fortress (Summary)	86
11. რ. ხვისტანი. ქრისტიანული ძეგლები ოქუმისჭელის ზემო წელზე .. .	88
R. G. Khvistani. Христианские памятники в ущелье р. Окумисцкали (резюме)	91
R. Khvistani. Christian Monuments in the r. Okumistsqali Gorge (Summary)	91

არქეოლოგიური თეორიის საკითხები

Вопросы теории археологии

Problems of Theoretical Archaeology

გ. ბგირგველია. არქეოლოგიური აზროვნების ისტორიიდან: 1. პროცე- სუალური არქეოლოგია	93
Г. Т. Квирквелия. Из истории археологической мысли: 1. Процессуальная археология (резюме)	106
G. Kvirkvelia. From the History of Archaeological Thought: 1. Processual Archaeology (Summary)	106

საგელა ქოთიძე	111
Полевая хроника	112
Field Chronicle	113

ზოდოცვა	115
---------------------------	-----

ზემოკლებათა სია	116
Список сокращений	116
Abbreviations	116

**მანანა გაბუნია
ჯავახეთის ამირანისზორა**

საქართველოს ტერიტორიაზე ძველი-ქვის ხანის მრავალრიცხოვანი სადგომი არათანაბრადაა განაწილებული. გამოყოფენ ამ ძეგლების გავრცელების ექვს რაიონს [16, გვ. 13], რომელთაგან ორი - მტკვრის მარჯვენა სანაპიროს დაბალ-მთიანი ნაწილი (ქვემო ქართლი) და ჯავახეთის ზეგანი სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის ფარგლებშია მოქცეული. შეიძლება ითქვას, რომ დღემდე, ძველიქვის ხანის ძეგლებით ყველაზე ღარიბად სწორედ ეს ბოლო რაიონი იყო წარმოდგენილი. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ამ რეგიონისადმი ინტერესის გაძლიერება გამოიწვია, ერთი მხრივ, მისმა სუსტმა შესწავლილობამ და, მეორე მხრივ, დღეს უკვე კარგად ცნობილი დანაინის ძველი-ქვის ხანის სადგომის აღმოჩენამ [12, გვ. 36-46; 23, გვ. 93-107], რომელიც იზოტოპური ასაკისა ($1,8 \pm 0,1$ მლნ. წელი) და პალეომაგნეტიზმის მონაცემებით (ე.წ. ოლ-დუვაის ეპიზოდი - $1,9 \pm 0,1$ მლნ. წელი) ქვე-და პლეისტოცენის დასაწყისს შეესაბამება [23, გვ. 93-107; 13, გვ. 36-46; 12, გვ. 36-46]. აქ აღმოჩენილი ნამარხი ადამიანის ნაშთები *Homo erectus*-ის ჯგუფს მიეკუთვნება, და როგორც ირკვევა, ერთ-ერთი უძველესია ევრაზიაში [13, გვ. 3-53; 12, გვ. 36-46]. ახლა ყოველივე ამას ისიც ემატება, რომ თუ ჯავახეთის ზეგანზე დღემდე ცნობილი ძეგლები - ახალქალაქი I-IV, დილისკა (მურჯი), ჭიქანი მხოლოდ ზედაპირულად აკრეფილი მასალით იყო წარმოდგენილი და შესაბამისად სრულიად მოკლებული ლითოლოგიურ-სტრატიგრა-ფიულ დახასიათებას [3, გვ. 5-14; 14, გვ. 5-7; 2, გვ. 3-19], დღეს ამ რეგიონშიც იქნა გამოვლენილი ბიოსტრატიგრაფიული მონაცემებით კარგად დასაბუთებული უძვე-ლესი ქვის ხანის ადგილსაპოვებელი - ახალქალაქის ამირანისგორია, წინათ ცნო-ბილი როგორც ადრეპლეისტოცენურ წერ-ხემლიანთა ნაშთების მდიდარი ადგილსამ-ყოფელი [4, გვ. 5-175].

ვიდრე ძეგლის დახასიათებას შეუდგებოდეთ, მიზანშეწონილად გვესახება აღ-ნიშნული რეგიონის გეომორფოლოგიისა და პალეოგეოგრაფიის მოკლე მიმოხილვა.

ჯავახეთის ზეგანი სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის ყველაზე ვრცელ და რთული აგებულების გეომორ-ფოლოგიურ რაიონს წარმოადგენს. მისი

დასავლეთი და ცენტრალური ნაწილები უკავია ახალქალაქის პლატოს, რომელიც აგებულია პოსტალეოგენური ვულკანური ციკლის ეფუზიური წარმონაქმნებით. ესაა გოდერის მიო-პლიოცენური წყების მუავე და საშუალო შედგენილობის პიროკლას-თოლიტები და ლავები; აგრეთვე შედარებით ახალგაზრდა ბაზალტური ფორმაციის ეფუზივები, რომელთა გეოლოგიური ასაკი განსაზღვრულია როგორც პლიოცენ-ქვე-დაპლეისტოცენი [18, გვ. 358-363; 17, გვ. 135; 19, გვ. 19; 21, გვ. 3-16].

აბსოლუტური სიმაღლეები ჯავახეთის ზეგნის ფარგლებში იცვლება 1130 მ-დან 2500 მ-დე.

ზეგნის მეტ-ნაკლებად ერთფეროვან რელიეფს ქ. ახალქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში აღმართული ამირანისგორის ექს-ტრუზიული გუმბათი არღვევს. ეს მთაც გოდერის მიო-პლიოცენური წყების ანდეზიტ-დაციტებითაა აგებული. მისი აბსოლუტური სიმაღლე 1883 მეტრია მდ. ფარავნის (ახალქალაქის წყლის) დონიდან კი - 150 მ.

60-იანი წლების დასაწყისში პალეონტოლოგმა ა. ვეკუამ ამირანისგორის აღმოსავლეთ ფერდობის ძირში გათხარა და შეისწავლა ნამარხი მუძუმწოვრების მდიდარი კომპლექსი, რომელიც დაათარიღა პლეისტოცენის სულ ქვედა საფეხურით [4, გვ. 174-176], რაც თანამედროვე ევროპული სკალის შუა პლეისტოცენის ფუძეს შეესაბამება.

ახალქალაქის ფაუნის საერთო იერმა და მისი ადგილსამყოფელის ტაფონომიურმა პირობებმა საფუძველი მოგვცეს გვევარაუდა, რომ მასთან შეიძლებოდა დაკავშირებული ყოფილიყო ძველი ადამიანის სადგომი.

საფურადღებოა, რომ პირველმავე სადაზევრო თხრილმა ჩვენი ვარაუდის სისწორე დაადასტურა: 1992 წელს ნიადაგის თანამედროვე საფარველიდან 0,85 მ და „0“-ის დონიდან 1,25 მ-ის სიღრმეზე ხერხემლიანთა ფაუნის ნაშთებთან ერთად ნაპოვნი იქნა ბაზალტის ანატკეციებული საფეხური (ტაბ. I₃) [26, გვ. 237-239]. მოძღვნო წლების მანძილზე 1997 წლის ჩათვლით, ამირანისგორის აღმოსავლეთ კალთის ძირში მცირემსაშტაბის არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა. გათხარა 48 მ² ფართობი (ტაბ. V). გათხრებით გამოვლენილი პროფილები ერთმანეთის იდენტურია. ამიტომ საერთო

წარმოდგენისათვის საკმარისია უკანას-ქნელი ჭრილის დახასიათებაც, რომელიც 49/48 და 50/48 კვადრატებს მოიცავს (ტაბ. V). ფენების თანამიმდევრობა აქ შემ-დეგია (ტაბ. IV): I - ჰუმური, შავმიწა-ნიადაგიანი შრე, რომლის სიმძლავრე 2-დან 8 სმ-მდე მერყეობს, განივ ჭრილში 22 სმ-საც აღწევს; II - ლიამოვეითალო ფერის თიხნარი. მისი ტონალობა ზოგ შემთხვევაში უნიშვნელოდ იცვლება. მას-ში ანდეზიტ-დაციტების სხვადასხვა ზომის დაკუთხული ქვებია ჩართული (ზომები 1 სმ-დან 5 სმ-მდე, გამონაკლისის სახით გვხვდება დიდი ზომის ქვებიც - 30x40 სმ). თიხნარის სიმძლავრე 1,75-2,20 მ-მდეა. ამ დონეზე მთელი გათხრილი ფართობის იატაკი მოფენილია ლოდებით. ჭრილში გვხვდება მუქი შეფერილობის ლაქები, რომლებიც ფხვიერი თიხნარითაა შედგე-ნილი და უთუოდ მეორადი წარმოშობისაა - მღრღნელების სოროებს წარმოადგენს [26, გვ. 23]. დაახლოებით 50 სმ სიღრმიდან თიხნარი ძლიერ მკვრივდება. ამ ფენაში „0“-ის დონიდან 1,10-1,12 მ და მიწის ზედაპირიდან 0,85-0,91 მ სიღრმეზე ერთდროულად გვხვდება ნამარხი ძვლები და ბევრად უფრო იშვიათად არქე-ოლოგიური ნაშთები. კულტურული ნაშ-თების შემცველი თიხნარის მიხერალური და ქიმიური ანალიზები გვიჩვენებს, რომ იგი დელუვიურ-პროლუვიური წარმოშო-ბისაა და ამირანის-გორის ამგები ანდე-ზიტ-დაციტების გამოფიტვის შედეგადაა წარმოქმნილი [6, გვ. 1-5; 7, გვ. 1-3].

წარმოქმნელი გათხრების შედეგად ქვე-და პლეისტოცენისათვის დამახასიათებელი ნამარხ ხერხემლიანთა ისეთი ფორმები იქნა მიკვლეული, როგორიცაა თროგონ-თერიული სპილო (*Mammuthus aff. trogontherii*), სამხრეთის სპილო (*Archidiscodon meridionalis*), პიპარიონიდული ცხენი (*Equus hipparionoides*), ზიუსენ-ბორნული ცხენი (*Equus süssenbornensis*), ეტრუსკული მარტორქა (*Dicerorhinus etruscus*), გარეული კატა (*Felis silvestrus*), გაშლილქიანი ორემი (*Praemegaros verticornis*), გაურკვეველი სახეობის ირემი (*Cervus sp.*), ნამარხი ძროხა (*Bison sp.*) (განსაზღვრა ეპუთნის ა. ვეგუას). ზო-გიერთ ძვალს ემჩნევა კბილების კვალი. ჩამოთვლილ ცხოველთა ყველა ფორმა ადრეც იყო დადგენილი ახალქალაქის ფაუნაში [5, გვ. 1-10]. გარდა ამისა, გამოჩნდა ამ ფაუნისათვის ახალი ელე-მენტები: ხმალქბილა ვეფხვი (*Homotherium sp.*) და მელა (*Vulpes vulpes sp.*). აღნიშნულ კომპლექსში ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია ზიუსენბორნული ცხენი (76,5%) და ბიზონი (13,5%). 10%-ს

შეადგენს ცხოველთა ყველა დანარჩენი სა-ხე. ეს ახალი მონაპოვრები ისევე, რო-გორც ა. ვეგუას მიერ ადრე აღმოჩენილი და შესწავლილი ფაუნისტური კომპლექ-სის ეკოლოგიური შემადგენლობა მოწმობს იმას, რომ ახალქალაქის მიდამოებში და მის მოსაზღვრე უბნებში ქვედაპლეისტო-ცენის დასაწყისში (აღმოსავლეთ ევროპის სკალის მიხედვით) უმთავრესად გაბატო-ნებული უნდა ყოფილიყო ნახევრად-სტე-პური ლანდშაფტი (ძუძუმწოვრების სახე-ობათა უმრავლესობის ეკოლოგიური თავი-სებურებები, შედარებით მშრალი გარემო-სათვის დამახასიათებელი ხმელეთის ლო-კოკინების სიხშირე), ადგილ-ადგილ ბუჩ-ქნარითა და მეჩხერი ტყით დაფარული უნდებით (თროგონთერიული სპილო, მაჩვი და სხვ.). ახალქალაქის ძუძუმწოვრებს შორის წავის არსებობა ა. ვეგუას აფიქ-რებინებს, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე საკმაოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული მდინარეები და უფემერული ტბები. ჰავა, როგორც ჩანს, უნდა ყოფილიყო ზომიერად ცხელი, ისეთი, როგორიც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის დიდი ნაწილის-თვისაა დამახასიათებელი [4, გვ. 174-175; 1, გვ. 56-57; 2, გვ. 3-19].

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ბუნებრივი გარემოს ჩამოყალიბება სამხრეთ საქართველოს კულკანური მთიანეთის რეგიონში უკვე ქვედა პლეისტოცენის სულ დასაწყისში აღინიშნება. ამაზე მეტყველებს დმანისის უმცელესი ქვის ხანის სადგომის პალეონტოლოგიური კომპლექსი, რომელ-თანაც ამირანისგორის ფაუნა გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნება. საკმარისია დავა-სახელოთ ორივე კომპლექსის შემადგე-ლობაში შემაგალი სამხრეთული სპილო და ეტრუსკული მარტორქა, ხმალქბილა ვეფხვი და ზოგიერთი სხვა. მაგრამ ახალქალაქის ფაუნა, როგორც ცნობილია, შეი-ცავს ამავე დროს ზიუსენბორნულ ცხენსა და თროგონთერიულ სპილოს, რაც მას შესამჩნევად აახალგაზრდავებს [2, გვ. 3-19]. ორივე კომპლექსში ძირითადად ტყე-სტეპების ეკოსისტემის მობინადრენი ჭარ-ბობები: სირაქლემა, ოქოტონა, ზაზუნა (დმანისი), ომანა (დმანისი, ახალქალაქი), ცხენები, ანტილოპები (დმანისი, ახალქა-ლაქი) და სხვ. [13, გვ. 36-46]. ახალქალაქისში ბეპემოთის არსებობა, შესაძლოა, მეტყველებს შედარებით უფრო ცხელ ჰავაზე [24, გვ. 54; 25, გვ. 142; 4, გვ. 164].

ბუნებრივი გარემოს მეტ-ნაკლები მსგავსება აისახა აგრეთვე პალეობოტა-ნიკურ მონაცემებშიც. დმანისში არსებული მტკრის მრავალფეროვან სპექტრში ისევე, როგორც ამირანის-გორაზე, გვხვდება აკაკისა და ქვასთესლას ნაშთები,

რომლებიც სავანური ტიპის ლანდშაფტის არსებობაზე მიუთითებენ [13, გვ. 36-46; 1, გვ. 56-57; 10, გვ. 3-5].

დაახლოებით მსგავს სურათს ვხედავთ პლეისტოცენის დასაწყისში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირობის ტერიტორიაზეც, კერძოდ პალესტინაში, ლიბანსა და სირიაში [28, გვ. 93-94; 27, გვ. 351-398].

ამგარად, პლიოცენის მიწურულსა და ადრეპლეისტოცენში ჯავახეთის ზეგნის მსგავსი პალეოლანდშაფტი ფართოდ იყო გავრცელებული მთელი წინა აზიას ტერიტორიაზე [11, გვ. 344-349; 26, გვ. 237-240; 21, გვ. 3-16; 4, გვ. 174-175; 2, გვ. 3-19]. ამიტომ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ დროის აღნიშნულ მონაკვეთში წინა აზია და მთელი ახლო აღმოსავლეთი ამიტყავასის, ყოველ შემთხვევაში, მისი სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიის ჩათვლით, შეადგენდა ერთ ზორეულობაფიულ პროვინციას [4, გვ. 174-175; 2, გვ. 3-19; 13, გვ. 36-46], რომლის ცალკეულ უბნებში ამ დროს დამკვიდრებული იყო უკვე უძველესი ადამიანის დასახლებისათვის ხელსაყრელი პალეოკლიმატური და ლანდშაფტური პირობები. ამაზე მეტყველებს აღნიშნული ტერიტორიების პალეოგეოგრაფიის შესაბამისი მონაცემები და განსაკუთრებით ისეთი პალეონტოლოგიურ-არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური კომპლექსები, როგორიცაა დმანისის, ახალქალაქის, ლენინაკანის, ბეთლემის, უბეიდის და ზოგიერთი სხვა, რომელთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ თუმცა მათ ბევრი აქვთ საერთო (ე.წ. ვილაფრანკული ფაუნის ელემენტები), მაგრამ ადრეპლეისტოცენის სხვადასხვა ეტაპს მიეკუთნებიან (გარდა დმანისისა, რომელიც თავად გვიან ვილაფრანკს მიეკუთვნება [2, გვ. 3-19]).

ამ ფაუნათა და პალეოლანდშაფტური პირობების მოკლე მიმოხილვის შემდეგ დავუძრუნდეთ კვლავ ამირანისგორას, სადაც, როგორც აღნიშნეთ, ნამარხ ხერხემლიანთა ნაშთებთან ერთად, 1992-1997 წლებში ქვის - ანდეზიტ-ბაზალტების რამდენიმე არტეფაქტიც იყო მოპოვებული. ახლა ჩვენს კოლექციას უკვე 19 ნივთი შეადგენს. ესენია: საფხეკი (ტაბ. I₃), საჩებ-საჭრელისებური იარაღები (ტაბ. II₁), წვეტანისებური იარაღი (ტაბ. II₂), ნუკლეუსები (ტაბ. III_{1,2}), სხვადასხვა სახის ანატკეცები (ტაბ. I_{1,2}) და სხვადასხვა ზომის ქვარგვალები. გარდა ჩამოთვლილისა აქ მოპოვებულია წითელი ფერის უანგმიწის-ოხრის ფრაგმენტი და რამდენიმე აშკარა მანუპორტი.

ჩამოთვლილი იარაღ-ანატკეცები ბაზალტის ქვისაგანაა დამზადებული, რეტუში აქვს განიერფაცეტიანი ცალ ან ორ-

მხრივ დატანილი. მასალის მნიშვნელოვან ნაწილს გადაკრული აქვს ღრმა მონაცრისფრო პატინა, ალაგ-ალაგ ემჩნევა კირის ნალექი, წიბოები საკმაოდ მკვეთრი აქვს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მასალა არაა ნაგორები და თავისი განამარხების ადგილას ახლო მანძილიდანაა გადმოტანილი. ამაზეც მეტყველებს არტეფაქტებთან ერთად მოპოვებული ბუნებრივ შესახსრებაში გვხვდება. როგორც არქეოლოგიური, ისე პალეონტოლოგიური მასალის გავრცელება სწორხაზოვანია და, როგორც ჩანს, იყი მოტანილია სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან.

მართალია, მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ჯერჯერობით მცირეა, მაგრამ საკმაოდ მეტყველი, რადგან ემჩნევა აშკარად გამოხატული არქაული ნიშნები პირველადი ატკეცის ტექნიკაში, მეორადი დამუშავების სახეებში, ტიპოლოგიაში.

ამირანისგორას ადგილსაპოვებლის დათარიღებასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ საქართველოს ვულკანური ნალექების სტრატიგრაფია ძირითადად აქ გავრცელებულ ტერიგენულ ნალექებში ნანახ ხერხემლიანთა ფაუნაზეა დაფუძნებული. დღესდღეობით კი, აქ მოპოვებული არქეოლოგიური ნაშთები, რომელთა გეოლოგიური ასაკი ადრე პლეისტოცენის მიწურულია ან შეუალებელი სამხრეთ-დასაწყისი, ადრეულ აშელს უნდა მიეკუთვნოს.

ამირანისგორა, როგორც აშელური ხანის ადრეული საფეხურის ძეგლი, იმითაც არის საყურადღებო, რომ, თუ ფაუნის მიხედვით ვიმსკელებთ, მისმა შესწავლამ შეიძლება თვალი გაგვადევნინოს უძველესი ადამიანის გარემოსა და ყოფის იმ ცვლილებებისათვის, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონიდა დმანისის გვიანვილაფრანკული ეტაპის შემდგომ პერიოდში.

დმანისისა და ახალქალაქის ფაუნებში ისეთი საერთო ფორმების არსებობა, როგორიცაა სამხრეთის სპილო, ეტრუსკული მარტორქა, ხმალებილა ვეფხვი, ზაზუნა და ზოგიერთი სხვა, უნდა მიუთითებდეს გარკვეულ მეტკვიდრეობითობას, თუმცა ბიოსტრატიგრაფიული ხარვეზი მათ შორის სრულიად აშკარაა [13, გვ. 36-46; 2, გვ. 3-19].

ამირანისგორას ადგილსაპოვებლის არქეოლოგიური კომპლექსი, ისევე როგორც მისი კალთებიდან აკრეფილი ზედაპირული მასალა (საჩები იარაღები, ჩოპერები, საფხეკები, ბიფასი და სხვ.) და ჯაგაზეთის ზეგანზე ადრე აღმოჩენილი ღია სადგომებიდან (ახალქალაქი I-IV, დილისკა, ჭიქიანი) მომდინარე ბაზალტის ქვის იარაღები და წარმოების ნაშთები, უფ-

ლებას გვაძლევს ვიმსჯელოთ სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის ტერიტორიაზე ბველი ადამიანის განსახლების ფართო მასშტაბებსა და ინტენსივობაზე.

М. К. Габуния

ДЖАВАХЕТСКАЯ АМИРАНИС-ГОРА (резюме)

На Джавахетском плоскогорье, которое с юго-запада непосредственно граничит с Дманисским регионом, известные до последнего времени памятники древнекаменного века - Ахалкалаки I-IV, Дилицка (Мурджи), Чикиани представлены были лишь подъемным материалом и, соответственно, совершенно лишены стратиграфической характеристики [3, с. 5-14; 14, с. 5-7; 2, с. 3-19]. Сегодня в этом регионе уже выявлено, хорошо обоснованное палеонтологическими данными, местонахождение древнекаменного века - Ахалкалакское (Джавахети) Амиранис-гора, ранее известное, как богатое местонахождение остатков нижнеплейстоценовых позвоночных [4, стр. 5-176].

Амиранис-гора представляет собою экструзивный купол, который возвышается в восточной части г. Ахалкалаки. Эта гора так же, как и значительная часть Джавахетского плоскогорья слагается эфузивными образованиями постпалеогенового вулканического цикла, геологический возраст которых определен как плиоцен-нижний плейстоцен. Абсолютная высота Амиранис-гора 1883 м, а от уровня р. Паравани - 150 метров [18, с. 358-363; 15, с. 135; 19, с. 19; 21, с. 3-16].

С 1992 года по 1997 год на Амиранис-гора эпизодически производились разведки и маломасштабные археологические раскопки. Всего раскопано 48м² площади (табл. V). В разрезах последовательность слоев следующая: I - гумус, черноземный слой (мощность 10-15 см); II слой - светложелтые суглинки с примесью угловатых камней. Суглинок деловиально-пролювиального происхождения, образовался в результате выветривания андезит-дацитов, слагающих Амиранис-гора [6, с. 1-5; 7, с. 1-3]. Мощность этого слоя колеблется в пределах 1,75-2,20 м. С глубины 50 см-ов суглинок становится более плотным, чем в верхнем горизонте (табл. IV).

В этом слое на глубине 0,75-0,90 метров от современного почвенного покрова и 1,10-1,12 м от нулевого уровня появляются одновременно палеонтологические и более редкие археологические находки.

В результате раскопок добыт новый материал, по некоторым из ранее известных

форм ахалкалакской фауны, принадлежащий концу нижнего и началу среднего плейстоцена. Это: трогонтериевый и южный слоны, гиппарионовидная и зюссенборнская лошади, этрусский носорог, лесной кот, олени, бизон и др. Появились и новые для этой фауны элементы – саблезубый тигр (*Homotherium sp.*) и лиса. Эти новые находки, как и прежние, свидетельствуют о том, что в Джавахетском регионе Грузии в то время в основном господствовал полустепной ландшафт, климат был сухой, умеренно теплый, в общем такой, какой характерен для большей части Восточного Средиземноморья [4, с. 174-175; 1, с. 56-57; 2, с. 3-19]. Формирование подобных природных условий в регионе южно-грузинского вулканического нагорья отмечается уже с начала нижнего плеистоцена. Об этом свидетельствует палеонтологический комплекс Дманисской стоянки, с которой фауна Амиранис-гора обнаруживает определенные экологические аналоги.

Встречающиеся в раскопах андезит-базальтовые изделия составляют 19 предметов. Это: скребок, рубяще-режущие орудия, остроеобразное орудие, нуклеусы, необработанные и ретушированные отщепы. Кроме того, здесь найден фрагмент красной охры и явные манупорты (табл. I_{1,2,3}; табл. II_{1,2}; III_{1,2}).

Рабочая часть орудий в основном обработана одно- или двухсторонней ретушью. У заготовок часто сохранена желвачная корка. Почти все изделия имеют глубокую сероватую патину, грани у них острые, не имеют следов обкатанности.

Найденный археологический материал малочисленен, но достаточно выразителен, свидетельствуя об архаизме всего этого раннепалеолитического комплекса. Вообще, в связи с датировкой Амиранис-гора, надо отметить, что стратиграфия вулканических осадков Южной Грузии, главным образом, основывается на фауне позвоночных, найденной в теригенных отложениях, датирующихся концом нижнего - началом среднего плейстоцена. Соответственно, археологический комплекс, обнаруженный вместе с фауной, должно быть, принадлежит раннему ашело.

Археологический комплекс из Амиранис-гора, так же как и многочисленный материал с поверхности склонов горы - нуклеусы, чоперы, бифас, скребки и др. и из ранее обнаруженных открытых стоянок Джавахетского плоскогорья - Ахалкалаки I-IV, Дилицка, Чикиани и др., позволяют судить о широких масштабах и интенсивности расселения древнего человека на территории Юго-восточной Грузии.

М. Gabunia

AMIRANIS-GORA IN JAVAKHETI (Summary)

The existing sites of Old Stone Age – Akhalkalaki I-IV, Diliska (Murdji), Chikiani – on the territory of Javakheti Plateau, bounded on the south-west by Dmanisi region, are represented only by materials found on the surface of the ground and therefore lack stratigraphic characteristics [2, p. 3-19; 3, p.5-14; 14, 5-7].

Today a site of Old Stone Age – the Akhalkalaki (Javakheti) Amiranis-gora has been brought to light and grounded well by palaeontologic data. The place was earlier known as a rich site of remains of Lower Pleistocene vertebrates [4, pp. 5-176].

Amiranis-Gora represents an extrusive dome located in the eastern part of Akhalkalaki. This mountain, as well as a considerable part of Javakheti plateau consists of effusional formations of post-Paleogenetic volcanic cycle, the geological age being Pliocene-Lower Pleistocene. The Absolute height of Amiranis-Gora is 1883 m, and relative height is 150 m [18, p. 358-363; 15, p. 135; 19, p. 19; 21, p. 3-16].

From 1992 to 1997 episodic small-scale archaeological excavations and explorations were conducted on Amiranis-Gora. In all 48 m² was excavated (pl. V).

In profile the sequence of layers is as follows: I – humus, black earth (10-15 cm thick); II – light yellow loamy soil mixed with angular stones. Loamy soil is of deluvial-proluvial origin, forming – as a result of weathering of andesite-dacites – the main construction element of Amiranis-Gora [6, p. 1-5; 7, p. 1-31]. The thickness of this layer varies between 1.75-2.20 m. From the depth of 50 cm the loamy soil becomes denser than in the upper horizons (pl. IV).

In the layer, at 0.75-0.90 m depth from present-day ground level and 1.10-1.12 m from zero level, paleontological and, rarer, archaeological materials appear simultaneously. As a result of excavations new material of already known forms of Akhalkalaki fauna was discovered, belonging to the end of the Lower or beginning of the Middle Pleistocene: *Mammuthus aff. trogontherii*, *Archidiscodon meridionalis*, *Equus hippocionoides*, *Equus süssenbornensis*, *Dicerorhinus etruscus*, *Felis sevestrus*, *Praemegaceros verticornis*, *Cervus sp.*; *Bison sp.*; *Homotherium sp.*, *Vulpes vulpes sp.*. These new discoveries, as previous ones, show that in that period semisteppe landscape largely prevailed in Javakheti region, in Georgia, its climate being dry and moderately warm, which is typical of the largest part of the Eastern Mediterranean [4, p. 174-175; 1, p. 56-57; 2, p. 3-19]. The formation of such natural conditions in the region of the south-Georgian

volcanic upland was evidenced already from the beginning of the Lower Pleistocene. This is attested by the paleontological complex of Dmanisi, with which Amiranis-Gora fauna finds some ecological analogies.

Andesite-basalt hand-made articles, found during archaeological excavations contain 19 objects: scraper, sharp-hack tools, pointed tools, cores, retouched and unretouched flakes. Besides, fragments of red ochre and real manuports were found here (pl. I_{1,2,3}; pl. II_{1,2}; pl. III_{1,2}).

The working parts of tools generally are retouched at one or two sides, often preserving the tumour crust. Nearly all items have deep grey patina, their facets are sharp, and they have no traces of rolling.

The archaeological material found is not numerous, but is expressive enough, attesting to the archaic character of the whole Early Palaeolithic complex. In connection with the dating of Amiranis-Gora, it is important to note that the stratigraphy of volcanic deposits of South Georgia is based on the fauna of vertebrates found in terrigenous sediments, dating from the end of the Lower and beginning of the Middle Pleistocene. Accordingly, the archaeological complex, discovered together with the fauna, belongs to the early Acheulian epoch.

The archaeological complex of Amiranis-Gora, as well as the numerous material found on the surface of slopes of the mountain – cores, choppers, bifacial tools, scrapers, etc., and from earlier found open sites of Javakheti Plateau: Akhalkalaki I-IV, Diliska (Murdji), Chikiani etc. permit us to talk about the wide scale and intensive settlement of ancient man on the territory of south-eastern Georgia.

ლიტერატურა

1. გაბუნია მ., გეგუა ა. პატარა ხრამის პეტროგლიფები, თბ., 1980.
2. გაბუნია მ. სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ძეგლების ხანა, „სადასერტაციო მაცნე“, თბ., 1994.
3. გრიგორიან გ. ჯავახეთის ქვედაპალეოლითური ძეგლები, მსკა, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 5-14.
4. გეგუა ა. ახალქალაქის ქვედაპალეისტოცენურ ძეგლების ფაუნა, თბ., 1962.
5. გეგუა ა. ახალქალაქის ამირანისგორიზე 1992-96 წლებში მოპოვებული ფაუნა (ხელნაწერი), 1996.
6. ოვალჭრელიძე გ. ახალქალაქის ამირანის-გორის გეოლოგიისათვის (ხელნაწერი), 1992.
7. ოვალჭრელიძე გ., ჯავახეთის ამირანის-გორის გეომორფოლოგიური დახასიათება (ხელნაწერი), 1993.
8. ოვალჭრელიძე გ. ამირანისგორის სტრატიგრაფიისათვის (ხელნაწერი), 1995.

- 9.** Авакян Л. А. Четвертичные ископаемые млекопитающие Армении, Ереван, 1959.

10. Аваков Г. С. О находке каркаса и воробейника в нижнечетвертичных озерных отложениях Южной Грузии, ДАЕАН СССР, т. 135, N 2, 1960.

11. Габуния Л. К., Векуа А. К., Бугианишвили Т. В. Среда обитания древнейших ископаемых людей Кавказа, Известия АН ГССР, серия биологическая, т. 14, N 5, 1988, с. 344-349.

12. Габуния Л. К., Векуа А. К. Дманисский ископаемый человек и сопутствующая ему фауна позвоночных, Тб., 1993.

13. Габуния Л. К., Векуа А. К., Лордкипанидзе Д. О. Природная обстановка первичного проникновения древнего человека в умеренные широты, Известия, АНГ, серия географическая, N 6, 1996, с. 36-46.

14. Габуния М. К., Каландадзе К. С., Бугианишвили Т. В. Археологическая экспедиция Южно-Грузинского нагорья, ПАИ, 1980 (1982), с. 5-7.

15. Гамкрелидзе П. Основные черты тектонического строения Грузии, Труды ГИАН ГССР, т. X (XV), Тб., 1957.

16. Каландадзе А. Н. Разыскания по археологии доантской Грузии, Автореферат, Тб., 1969.

17. Маруашвили Л. Н. (ред), Геоморфология Грузии, Тб., 1971.

18. Паффенгольц К. К стратиграфии вулканических толщ Джавахетского (Ахалкалакского) нагорья, Закавказье, Тр. Инст. геологии и минералогии АН ГССР, Тб., 1951.

19. Схиагладзе Н. Постпалеогеновый эфузивный вулканализм Грузии, Тб., 1958.

20. Фюрон Р. Введение в геологию и гидрологию Турции, М.-Л., 1955.

21. Церетели Д. Д. Вулканический рельеф Джавахетского нагорья, Автореферат, Тб., 1969.

22. Bosinski G., Bugianisvili T., Mgelandze N. et al. Steinarte acte, In: Der Altpaläolithische Fundplatz Dmanisi in Georgien (Kaukasus); Jarbuch der Röm.-Germ. Zentralmus, 36, Mainz, 1989.

23. Bosinski G. Der ersten Menschen in Eurasien, Jahrbuch der Röm.-Germ. Zentralmus, 39, Jahrgang, Teil 1, Mainz, 1995.

24. Bosinski G. Les origines de l'homme en Europe et en Asie: Atlas des sites du Paléolithique inférieur, Paris, 1996.

25. Coon C., Cave exploration in Iran, Philadelphia, 1951.

26. Gabunia M., Vekua A., Tvalcrelidze M., Der Altpaläolithische Fundplatz Achalkalaki am Amiranis-Berg im Dzavacheti - Gebiet Süd-Georgien Archäologisches Korrespondenzblatt, 24, Heft.3, Mainz, 1994, S. 237-240.

27. Hooijer O., An Early Pleistocene mammalian fauna from Bethlehem. Bull. of the Britisch Museum Natural History and Geology, v.3, 1958.

28. Tchernov E., Guerin C. et al., Les mammifères du pléistocène inférieur de la Vallée du Jordain à Uobeidiyén. Mémoires et travaux du Centre de recherche de Jérusalem, N 5, Jerusalem, 1986, p. 35-398.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I - 1-2 - ანატეცები; 3 - საფხევი
 ტაბ. II - 1 - საჩეხ-საჭრელისებური იარაღი; 2-წვეტანისებური იარაღი
 ტაბ. III - 1,2 - ნუკლეუსები
 ტაბ. IV - განივი და გრძივი ჭრილები
 ტაბ. V - გათხრების გენეგამა

Описание таблиц

Табл. I - 1,2 отщепы; 3 - скребок
 Табл. II - 1- рубящее-режущее орудие; 2 - остриеобразное орудие
 Табл. III - 1,2 - нуклеусы
 Табл. IV - продольный и поперечный разрезы
 Табл. V - генеральный план раскопок

Description of Plates

Pl. I - 1,2 - flakes; 3 - scraper
 Pl. II - 1- sharp-hack tool; 2 - pointed tool.
 Pl. III - 1,2 - cores
 Pl. IV - transverse and longitudinal sections.
 Pl. V - general plan of the excavation

Описание таблиц

Табл. I - 1.2 отщепы; 3 - скребок

Табл. II - 1-2 отщесны, 3 - скрепок

Табл. III - 1.2 - нуклеусы

Description of Plates


Pl. I - 1,2 - flakes; 3 - scraper

PL. II - 1- sharp-hack tool; 2 - pointed tool.



Pl. II - 1 sharp back tool,
Pl. III - 1.2 - cores

Pl. IV - transverse and longitudinal sections.

Pl. IV - transverse and longitudinal sections Pl. V - general plan of the excavation




❀❀. II



2

გაბ. III




სამხრეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია

ახალქალაქის ამონანისგორია

1997 წლის განათხარი ფართობის ჭრილი


სამხრეთ-დასაფლეთი ძელლების პროფილი
მასშტაბი 1:20

ჭრილების მიმორიგულობის პროცესი



არქეოლოგიური ექსპედიცია

გაბ. V




გიბ თორთლაძე ზედაპალეოლიტური ღია სადგომი საბალას ური

ძეგლი, რომლის შესახებაც გვექნება საუბარი ნაშრომში, მდებარეობს ქ. ტყიბულის რაიონში, ნაქერალას ქედის სამხრეთ ფერდზე, ქალაქიდან ჩრდ.-აღმოს. მიმართულებით 4 კმ-ის მანილზე, მაღარო კდზ-ს ზედა სადგურიდან 300 მეტრით ქვემოთ, პირდაპირ ხაზზე ტყიბულის მიმართულებით. მისი აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან დაახლოებით 900 მეტრია. ძეგლი მდებარეობს ფიოთლივანი ტყის შუაგულში და ორი მშრიდან შემოფარგლულია პატარა მშრალი ხევებით. ტყებში ჭარბობს მუხისა და წაბლის ხეები.

აღნიშნული ტერიტორიის ქვეშ მდებარეობს მიტოვებული მაღაროები. უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში მოხდა ნიადაგის დეფორმაცია, რამაც საგრძნობლად შეცვალა რელიფი.

1985 წელს ნამოსახლარზე შეგროვებული იქნა ზედაპირული მასალა და გაკეთდა ორი საცდელი თხრილი, რომლებმაც ძალზე საინტერესო მასალა გამოავლინა.¹

საბეჭდასურის ძღანიგრაფია



• ნეკლეუსები □ ლამელები △ ანატომიკები ■ იარაღები

ფენა გაშიშვლებული დაგვხვდა და ვფიქრობთ, რომ იმყოფებოდა (in situ) პირველად, დანალექ მდგომარეობაში. 1986-1987 წლებში, ძეგლზე მუშაობისას შევკრიბეთ ზედაპირული მასალა და გავთხარეთ 16 პიკეტი. თითოეული პიკეტის ფართობია 2x2, ე.ი. სულ გაითხარა 32 მ².

ძეგლი ერთფენიანია, ფენის სიმძლავრე დაახლოებით 20-25 სმ-ია და შეიცავს მოყვითალო ცხიმოვან თიხნარს.

¹ ძეგლი აღმოაჩინა და მის გათხაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ტყიბულის მხარეთცოდნეობის მუხურშის თანამშრომელი ბ. გაბრიაძე რის-თვისაც მას უღრმეს მაღლობას მოვახსენებთ.

ვფიქრობთ, აუცილებელია შევეხოთ გათხრის მეთოდიკის ზოგიერთ საკითხს. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გასათხრელი ფართობი დავყავით 2x2 მ პიკეტებად. შემდგომ პიკეტები დავყავით ოთხ 1 x 1 მ პკადრატებად. თითოეული კვადრატისათვის მოვამზადეთ ცალკეული გეგმა, რომელზეც ხდებოდა პლანიგრაფიული აღნიშვნების დატანა. ასეთი მეთოდით გათხრამ საშუალება მოგვცა შეგვეღინა მასალის განლაგების ზუსტი პლანიგრაფიული სურათი. კერძოდ ორ შემთხვევაში დავაფიქსირეთ ნუკლეუსების ორი გროვა, რაც შემთხვევითობას არ უნდა მივაწეროთ - იგი ფენის უძრაობის უტყუარი საბუთია. გათხრების შედეგად მოპოვებულ იქნა 8561 ერთეული კაჟის მასალა, რომელთა შორის მხოლოდ 12 ერთეულია ობსიდიანის.

1986-87 წლებში მოპოვებული მასალა ძირითადად ანალოგიურია 1985 წელს მოპოვებულისა. თუმცა გამოჩნდა აგრეთვე მთელი რიგი სიახლეებიც. ჩვენი აზრით, ზედაპირული და განათხარი მასალა თანადროული უნდა იყოს, მაგრამ სიფრთხილის გამო მათ ჯერჯერობით არ ვართიანებთ. თავდაპირველად მოკლედ განვიხილავთ ზედაპირულ მასალას. იგი შედგება 2926 ერთეული კაჟის ნაწარმისაგან, რომელთაგანც მხოლოდ 184 ერთეულია იარაღი, რაც მასალის 13,5% შეადგენს. წარმოების გადანაყარი შედგება ნუკლეუსებისა (29 ც), ანატომიკებისა და ანატეხებისაგან (1465 ერ.). ნუკლეუსები წარმოდგენილია პრიზმული, კონუსური, ფანჯრისებური და ამორფული ცალებით (ტაბ. I₁₋₅).

ანატეხები (151 ც.), რომელთაც შერჩენილი აქვთ დარტყმის სიბრტყე და შესაბამისი ბურცობი, მასალის 11,0% შეადგენს.

მასალის უმრავლესობას შეადგენს ლამელები (2289 ერ.) - 70,6%-ს, ლამელისებური ანატეხები² (30 ც.) კი - 2,2 %-ს. იარაღებს შორის წამყვანი ადგილი გრავეტის მსგავს წვეტანებს უჭირავს (129 ც.)- 70,1% (ტაბ. I₆₋₂₅); საფხეკები (19 ც.) შეადგენს 10,3% (ტაბ. I₂₆₋₃₅), ხოლო დანარჩენი იარაღების პროცენტული შეფარდება შემდეგნაირია: ლამელები რეტუშირებული (19 ც.) - 4,9% (ტაბ. II₁₋₁₂), ლამელები გვერდამოღარული (7 ც.)- 3,8%, სახოკისებური იარაღები (5 ც.)- 2,7% (ტაბ. II₁₃₋₁₇), დაბლაგული ანატეხები (4 ც.) - 2,1%, ობსიდიანის რეტუშირებული ლამელები (4 ც.) - 2,1%, ლამელა თავრეტუშიანი (1 ც.) - 0,5%, ლამელა წვეტანისებური (1 ც.) - 0,5%, ზურგიანი დანა (1 ც.) - 0,5%, დანისებური იარაღი (1 ც.)- 0,5%

² იგულისხმება ლამელის მსგავსი ანატეხების რომელთა სიგრძე როგორ არ აღემატება სიგანეს.

ცხრილი I
ზედაპირული მასალა

ნივთის დასახელება	რაოდენობა
1. ნუკლეუსები	29
2. ანამტვრევები	1316
3. ანამტვრევები ცეცხლის კვალის შემნე	145
4. ანატკეცები	151
5. ანატკეცები დაბლაგული	4
6. ლამელები	791
7. ლამელისებური ანატკეცები	30
8. მიკროლამელები	221
9. ლამელები ცეცხლის კვალით	56
10. ლამელები რეტუშირებული	9
11. ლამელები ობსიდიანის (რეტუშირებული)	7
12. თავირიბრეტუშირებული ლამელა	1
13. გვერდამოღარული ლამელები	7
14. ლამელა წვეტანისებური	1
15. გრავეტის მსგავსი წვეტინები	129
16. საფხეცები კიდურა	13
17. საფხეცები ორმაგი	2
18. საფხეცები მიკროლითური	2
19. საფხეცები დაზიანებული	2
20. საჭრისები	3
21. სახოკები	5
22. ზურგიანი დანა	1
23. დანისებური იარალი	1

სულ 2926

განათხარი მასალა (5637 ერთ.) როგორც ტიპოლოგიურად, ისე პროცენტული შეფარდებით, ანალოგიურია ზედაპირული მასალისა. აქაც მასალის უმრავლესობას წარმოების ნაჩენები, ანატკეც-ანამტვრევები შეადგენს (2955 ერთ.).

განათხარი ნუკლეუსები (94 ც.) (ტაბ. II, 18-23), მსგავსია ზედაპირულად აღმოჩენილი ნუკლეუსებისა. ყველა მათგანს ემჩნევა ლამელებისა და ანატკეცების ატკეცის კვალი. აქაც ჭარბობს პრიზმული და კონუსური ნუკლეუსები. ისინი თავისი ფორმებით ძალიან წააგვანან სააფაქიო ენწერი III-ისა [5, გვ. 77; 1, გვ. 85-89] და გვარჯილას კლდის [3, გვ.50] ნუკლეუსებს. ძირითადად გვხვდება ერთ და ორფუძიანი ნუკლეუსები, იშვიათად სამფუძიანი.

ანატკეცები (437 ც.) მასალის 13,5%-ია. მათ უმრავლესობას შერჩენილი აქვს დარტყმის სიბრტყე და შესაბამისი ბურცობი.

ცხრილი II
თხრილების მასალა

ნივთის დასახელება	რაოდენობა
1. ნუკლეუსები	94
2. ანამტვრევები	2355
3. ანამტვრევები ცეცხლის კვალით	163
4. ანატკეცები	437
5. ლამელისებური ანატკეცები	205
6. ლამელები	1787
7. მიკროლამელები	502
8. ლამელები	12
9. ლამელები გვერდამოღარული	14
10. ლამელები თავამოღარული	2
11. ობსიდიანის ლამელები (რეტუშირებული)	4
12. ანატკეცი ტანიდიანისა რეტუშირებული	1
13. გრავეტის მსგავსი წვეტანები	
14. საჭხეცები	18
15. საჭრისები	5
16. ლამელისებური რეტუშირებული	29
17. სახოკი	4
18. ზურგიანი დანები	4
19. წვეტანა	1

სულ 5637

უმრავლესობას განათხარ მასალაშიც ლამელები (2289 ც.) შეადგენს (70,6%). აღსანიშნავია, რომ მიკროლამელები საკმაოდ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი (502 ც.) და შეადგენს მთელი ლამელების 21,9%. ხოლო ლამელისებური ანატკეცები (205 ც.) შეადგენს მასალის 6,3%, იარალები (319 ც.) – მთელი მასალის 9,8%. მათ შორის აქაც განსაკუთრებული სიჭარბით გრავეტის ტიპის წვეტანები (ტაბ. III₁₋₂₀) გამოირჩევა (224 ც.) - 70,2%. მათ დიდ ნაწილს (21%) მოუყვება ფაქიზი რეტუში, ხოლო დაახლოებით 94,0% მოტეხილი აქვს წვერი (ალბათ, ამითაც აიხსნება მათი ასეთი სიმრავლე, რადგანაც ხშირად უზიანდებოდათ წვერი). გრავეტის ტიპის წვეტანების ასეთი სიმრავლით საბელა-სური ძალზე წააგავს მეზოლითურ ძეგლს - ქაჭარას [5, გვ. 77; 2, გვ. 299-305].

საფხეცები - 18 ერთული (ტაბ. III₂₁₋₃₂) გამოირჩევა ძრავალფეროვნებით. გვხვდება ოვალურსამუშაოპირიანი საფხეცები, რომელთა სამუშაო პირის სიგანე დაახლოებით 3 სმ-ია. მათგან მხოლოდ ერთია ღუბლირებული იარალი (ტაბ. III₂₄). გვერდზე გასდევს სასაჭრისე ჩამონატეხი. ყველა საფხეცები დამუშავებულია წნევითი რეტუშით. გვხვდება მაღალსამუშაოპირიანი, ამოღარული, დაკბილულბირიანი და საჭრის-საფხეცები. საფხეცები შეადგენს იარალების 5,6%. ისინი მრავლად გვხვდება როგორც ზედაპალეოლითურ, ისე მეზოლითურ ძეგლებზე. ამგარი საფხეცების ქრონოლოგიური ჩარჩოები ძალიან დიდია. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მეზოლითურ ძეგლებზე აშკარად ჩანს მსგავსი და მიკროლითური საფხეცების თითქმის

თანაბარი რაოდენობა. ამ მხრივ საბელასური მკვეთრად განსხვავდება მეზოლიტური ძეგლებისაგან, რადგან ძეგლზე მხოლოდ ორი მიკროლიტური საფხვეკი აღმოჩნდა. ესეც, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი იმ გარემოებათაგანია, რომელიც უკან წევს ძეგლის ასაკს.

გენეგლება იარაღად გამოყენებული ლამელები: 1. თავირიბრეტუშიანი (12 ც.) - 3,8%, 2. გვერდამოლარული (14 ც.) - 4,3%, 3. თავამოლარული ლამელები (2 ც.) - 0,6%, 4. ობსიდიანის ლამელები (4 ც.) - 1,5%, (ყველა რეტრიშირებულია).

საჭრისები აღნიშნულ კოლექციაში ცოტაა, სულ 5 ცალი, რაც იარაღების 1,55 % შეადგენს. აღსანიშნავია 4 ც. სახოკისებური იარაღი - 1,25 %. ოთხივე იარაღი C კვადრატში აღმოჩნდა. აღსანიშნავია აგრეთვე ზურგიანი დანები (4 ც.) - 1,25 % რაც დამახასიათებელია ზედაპალეოლიტური ძეგლებისათვის [3, გვ. 94; 2].

მეტად საინტერესოა შალაშინის მსგავსი იარაღი, 1 ც, რომელიც დამზადებულია ნუკლუსზე (1,3%).

ძეგლზე აღმოჩნდა ერთადერთი ობსიდიანის ანატკეცი, რომელსაც ცალ მხარეს გასდევს რეტრიში (0,3%).

გავირვებას იწვევს კომპლექსში არსებული წვეტანა, რომელიც დამახასიათებელია მუსტიეური ძეგლებისათვის. საგარაუდოა, რომ ის ან შემორჩია შერეული გადმონაშთის სახით ან საიდანმე მოიტანა საბელასურელმა ადამიანმა.

C კვადრატში აღმოჩნდა ორი რიყის ქვის იარაღი - 0,6%, გადაჭრით ლაპარაკი მათი დანიშნულების შესახებ მნელია, მაგრამ თვითონ ფორმის მიხედვით ისინი უნდა წარმოადგენდნენ გრდემლსა და სანაკს.

ძვლოვანი მასალა ძეგლზე არ აღმოჩნდა, რაც საერთოდ დასავლეთ საქართველოს მაღალი ტენიანობით და მუსტები კარბონატული ნიადაგებით უნდა იყოს გამოწვეული.

ამრიგად, დავამთავრეთ საბელასურის კომპლექსის აღწერა და ვფიქრობთ, რომ ჩვენ ხელთ მეტად საინტერესო და თავისებური მასალაა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა - როგორ ძეგლთან გვაქვს საქმე. მუდმივ საცხოვრებელ ადგილთან, დროებით სადგომთან თუ სახელოსნოსთან. ამაზე პასუხის გაცემა საგმაოდ მნელია, მაგრამ მასალის დაწვრილებითი განხილვა საშუალებას გვაძლევს დაახლოებით მაინც განვსაზღვროთ ძეგლის სპეციფიკა. დაზეულების შედეგად დასტურდება, რომ საბელასურის მახლობლად კაუის გამოსავლები არ არის და მნელი დასაჯერებელია, რომ იგი ყოფილიყო საშუალებო პუნქტი საცხოვრებელსა და კაუის საბადოს შორის, სადაც პალეოლითულ ადამიანის შეეძლო დაეტოვებინა ასეთი დიდი რაოდენობით სრულყოფილი და დახვეწილი იარაღები. აგრეთვე მნელი დასაჯერებელია ის ფაქტი, რომ სახელოსნოში ადამიანმა მოიტანა გამოყენების კვალის მქონე იარაღები, რომლებიც რამდენიმე ათეული აღმოჩნდა. რაც შეეხება იმ კითხვას, არის თუ არა საბელასური დროებითი სადგომი, ვფიქრობთ, რომ დროებითი სადგომების არსებობა გამოიწვია კაუის გამოსავლების შორს მდება-

რეობამ და აგრეთვე ნადირობის სპეციფიკამ: 1. კაუის ბუდობების მახლობლად ეწყობოდა სახელოსნოები და 2. აგებდნენ დროებით დამისათევებს ნადირობისათვის. რადგანაც ჩვენ უარვყავით ის მოსაზრება, რომ საბელასური მხოლოდ სახელოსნოა ახლა უნდა გავარკვიოთ იყო თუ არა საბელასური ნადირობისათვის განკუთვნილი დროებითი სადგომი. ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ძეგლზე მრავლად აღმოჩნდილი არა მხოლოდ ნადირობისათვის საჭირო იარაღები, არამედ სამურნეო დანიშნულების იარაღებიც (საფხვები, სახოკები, საჭრისები, სანაყი) და თითქმის წარმოუდგენელია, რომ სანადირო დროებითი სადგომი აღჭურვილი ყოფილიყო ასეთი რაოდენობის სამეურნეო იარაღებით.

იმის დასამტკიცებლად, რომ საბელასური მუდმივი საცხოვრებელი ადგილია, გამოდგება ის გარემოებაც, რომ დღემდე გათხრილი და შესწავლილი ზედაპალეოლიტური ან მეზოლიტური ძეგლები, სადაც დასტურდება ადამიანის ხანგრძლივი ცხოვრების კვალი, რაოდენობრივად ითვლიან დაახლოებით იმდენივე ან უფრო მცირე რაოდენობის მასალას და ამიტომ ძნელი წარმოსადგენია დროებითი სადგომი, სადაც არ ივრმნობოდეს მასალას შორის ქრონოლოგიური განსხვავება ან მოიცავდეს იმდენივე რაოდენობის ნივთებს, რამდენსაც მუდმივი ნამოსახლარები.

ძეგლზე არ დასტურდება კერები, მაგრამ სამაგიეროდ აღმოჩნდილია ასობით კაუის მასალა ცეცხლში ხანგრძლივი ყოფნის კვალით, რაც, თავის დროზე, კერების არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. ვფიქრობთ, ინტერესმოქლებული არ იქნება გავეცნოთ ზუსტი პლანიგრაფიული გეგმით მოცემულ შედეგს. კერძოდ, მოხერხდა პირველადი დამუშავების ზოგიერთი სურათის აღღენა. გვაქვს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც აღვადგინეთ კაუის დასტურებული კონკრეტიული და ზოგიერთი ანატკეცი დავუძრუნეთ თავდაპირველ მდგომარეობას, სანამ მოხდებოდა მათი ატკეცვა.

ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს დამუშავების თავდაპირველ სურათიან და ვთვლით, გამორიცხულია ანატკეცები შემთხვევით იყოს ატკეცილი მოგვიანებით (იგულისხმება გარეშე ძალების მოქმედება), რადგანაც ისინი თანაბრად არიან პატინირებულები და ყველა ანატკეცი შერჩენილი აქვს დარტყმის სიბრტყე და ბურციბი, რაც ადამიანის ნაღვაწის უტყუარი საბუთია.

გვაქვს ერთი მეტად საინტერესო შემთხვევა, როდესაც წუკლეუსიდან ატკეცილია ანატკეცი. ორივე ექსპონატს (წუკლეუსსა და ანატკეცის) აქვს განსაკუთრებული ფორმის ლაქა და ერთი და იგივე ფორმის ნახვრეტი, მაგრამ ისინი ერთმანეთს არ მიესადაგებიან. აშეარა, რომ მათ შორის დაკარგულია ის ნაწილი, რომელიც აუტკეცია და როგორც ჩანს, გამოუყენებია საბელასურელ ადამიანს.

მსგავს შემთხვევას აღნიშნავს არქეოლოგი მ. პანიჩინა. თავის სტატიაში იგი წერს "...Очень показательны наблюдения Келли, которому при изучении техники раскалывания камня на материалах левалуазских местона-

хождений Франции удалось в нескольких случаях подобрать один к другому отщепы и осколки отбитые от одного нуклеуса [6, 33-19].

ჩვენი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ამგვა-
რი სამუშაოები მოითხოვს დიდ დროსა და
ენერგიას, საჭიროდ მიგვაჩინა მათი ჩატარება
უკვე გათხრილ (იულისხმება კარგად დაფიქსი-
რებული ძეგლები) და მომავალში გასათხრელ
ქვის ხანის ძეგლებზე, რათა უფრო სრულყო-
ფილი წარმოდგენა შეგვევნას ქვის პირველადი
და აგრძელებული ძეგლების შესახებ.

რაც შეეხება ძეგლის ასაკს, ჯერჯერობით
მისი განსაზღვრა ჭირს, თუმცა ჩვენ ვფიქრობთ,
რომ ძეგლი განეკუთვნება ზედაპალეოლიტის
ფინალურ სტადიას, სადაც ერთმანეთს ერწყმის
ზედაპალეოლიტისა (ნუკლეუსები, საფხეცები,
ლამელები) და მეზოლიტისათვის (მიკროწვეტა-
ნების სიმრავლე) დამახასიათებელი ტიპები და
თუ, რა თქმა უნდა, ეს თარიღი დადასტურდა,
ჩვენ ხელთ იქნება ძალზე საინტერესო, თავი-
სებური და ჯერჯერობით საქართველოში ერთა-
დერთი შესწავლილი ზედაპალეოლიტური ღია
ნაბინაგარი, რომელიც ახალი კუთხით დაგვა-
ნახებს დასავლეთ საქართველოს ზედაპალეო-
ლიტურ კულტურას.

აღსანიშნავია, რომ 1988 წელს მეტად საინტერესო ინფორმაცია მივიღეთ. კერძოდ, ჩვენ მიერ სანკტ-პეტერბურგში ჩატანილი მასალის ერთი ნაწილი (8 ერთეული) შესწავლილი იყო ტრასოლოგ ქ. შელინსკის მიერ.

სანამ დავიწყებდეთ ტრასოლოგიური ანალიზის შედეგების განხილვას, მინდა აღვნიშნო, რომ კ. შელინსკის აზრით, ძეგლი იმყოფება პირველად დანალექ მდგომარეობაში. იგი შეუძლებლად თვლის გადაადგილების შესაძლებლობას, რადგანაც მასალა ტრასოლოგიური თვალსაზრისით კარგადაა დაცული. ტრასოლოგიური ანალიზის შედეგად აღმოჩნდა შემდეგი:

1. თავბოლოგადამტკრეული ღამელა, რეტუ-
შირებული პარალელური გვერდებით, გამოიყე-
ნებოდა ხის, ძვლის და რქის საფხეკად და სათ-
ლელად. იგი ჩასართისებურად უნდა მჯდარიყო
ტარში.

2. ბოლოკიდურა საფეხები გრძივი სამუშაო პი-
რით, დამზადებული უსწორმასწორო გვერდების
მქონე ლამელაზე, გამოიყენებოდა ტყავების საფ-
ეხებად. საფეხებს გამოიყენების კვალი აქვს პირზე
და მარცხნია გაერთიანებული (მკრთალი რეზიუმე).

3. ბოლოკიდურა საფხევი, ლამელაზე დამზა-
დებული, გამოიყენებოდა ტყავების დასამუშა-
ვიბლად. მაგრავებოდა ხის ან ძვლის ტარში.

4. გვერდობული მირებული, თავირიბზაკვეთილი ლამელა გამოიყენებოდა ხის, ძვლის ან რქის სათლელად, სარანდავად და საჭრელად. ძირითადი სამუშაო თოლა იყო.

5. გეგრდდაბლაგული ლამელა გამოიყენებოდა ხორცის საჭრელად (ტყავის), იჯდა ტარში როგორც ჩასართი.

ტ. ბოლოკიდურა საფხებები ლამელაზე დამზადებული, ნამუშევარია რბილ, ნოტიო მასალაზე (ტყვავი) საფხეებად. იჯდა ძვლისა ან რქის ტარში.

7. ბოლოკიდურა საფხევი, დამზადებული ლა-
მელისაგან, ჩანს რბილ და ნოტიო მასალაზე
(ტყავი) გამოყენების კვალი, ნახმარია საფხევად
და ემზევა შეორენაირი გამოყენების კვალიც
მაგარ, ბოჭკოსებურ მასალაზე (ხე, ძვალი,
რქა).

8. წევტანა სიმეტრიულორეტუშიანი გვერდებით უხმარიათ ტყავზე ნაჩვრეტების გასაკეთებლად.

მართალია, ტრასოლოგიურად ჯერ მცირე-
რიცხვანი მასალაა შესწავლილი, მაგრამ ამის
მიუხედავად უკვე გამოვლინდა მთელი რიგი
იარაღებისა, რომელთა სამეურნეო
დანიშნულება აშკარაა.

სამეცნიერო იარაღების დაგენერის შემდეგ შეგვიძლია ვიფაქროთ, რომ საბელასურელი ადამიანი ადგილზე ეწეოდა თავის საქმიანობას.

ამრიგად, შეკვიდლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საბელასური არ არის მხოლოდ სახელოსნო და არც მონადირეთა დღროებითი სადგომი.

ჩვენ ვარაუდს იმის შესახებ, რომ ოსტეო-ლიგიური მასალა არ შემთრჩა ნიადაგის ტენიანობის გამო, მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ რამდენიმე ექსპონატზე ჩანს აშარა კვალი ძაღლზე

საინტერესოა, რომ იგოროვეტახებს, რომ
ლებსაც მოტეხილი აქვთ წვერი, ძალზე სუს-
ტად ემჩნევათ გამოყენების კვალი, ხოლო მი-
კროწვეტანა, რომელსაც შერჩენილი აქვს წვე-
რი, გამოიყენებოდა სახვრეტად, ბურღად. საინ-
ტერესო იქნება დანარჩენი მიკროწვეტანების,
წვერშერჩენილებისა და წვერწატეხილების, ტრა-
სოლოგიური ანალიზის შედარება. გარდა ამისა,
ჩვენ გადავეცით ბოტანიკის ინსტიტუტის თანამ-
შრომელს სინჯი ჰალინოლოგიური ანალიზი-
სათვის, რომლის პასუხიც, სხვა მონაცემებთან
ერთად დაგვეხმარება იმის გარკვევაში, თუ რო-
გორ ეკოლოგიურ პირობებში უცხოვრია საბე-
ლასურელ ადამიანს. ამჟამად ძეგლი მთლიანად
გათხრილია და იმპოზიტია შესწავლის პროცესში.

Г. О. Тортладзе

ВЕРХНЯЯ ПАЛЕОЛИТИЧЕСКАЯ ОТКРЫТАЯ СТОЯНКА САБЕЛАСУРИ (резюме)

Палеолитический отряд Терджольско-Ткибульской археологической экспедиции закончил раскопки Сабеласурской верхнепалеолитической открытой стоянки. Памятник расположен в Ткибульском р-не на южном склоне хребта Накерала, в местности Сабеласури, в 4 км от города Ткибули и в 300 м от вентиляционной установки (КДХ) - шахты (бывш. им. Ленина). Абсолютная высота над уровнем моря около 900 м. На памятнике раскопана

площадь размером всего 32 м². Культурные остатки содержатся в жирном глинистом слое желтоватого оттенка, мощностью 20-25 см. Всего добыто 8318 ед. каменного материала, в том числе 12 ед. обсидиана, 2 ед. - галечника, остальные из кремня. Подъемный материал состоит из 2856 ед., среди которых нуклеусы (29 ед.), обломки (661 ед.), чешеобразные отщепы (88 ед.), отщепы (852 ед. - 41%), пластины (1012 ед. - 48,7%), пластинчатые отщепы (30 ед. - 1,4%). Найдено 184 ед. (8,85%) - орудий. Скребки - 19 ед. (10,3%), микроострия-129 ед. (70,1%), ножевидное орудие - 1 ед., нож со спинкой-1 ед., пластины с выемкой - 7 ед. (3,8%), пластина остреобразная - 1 ед., пластины обсидиановые - 4 ед. (2%), скребла 5 ед. (2,7%), отщепы с приупленным краем - 4 ед. (2,1%).

Раскопочный материал (5690 ед.) представлен следующими видами: нуклеусы (94 ед.), обломки (1139 ед.), чешеобразные отщепы (370 ед.), отщепы (1274 ед. - 29,6%), пластины (2289 ед. - 57,2%), из них 502 ед. (21,9%) микропластины, пластинообразные отщепы (205 ед. - 5,1%).

Из 319 ед. найденных орудий, что составляет 8,0% всего материала, выделяются следующие виды: скребки (18 ед. - 5,6%): резцы (5 ед. - 1,5%), микроострия (224 ед. - 70,2%), ножи со спинкой (14 ед. - 1,2%), пластины с косоретушированным концом (12 ед. - 3,8%), пластины с боковой выемкой (14 ед.-4,3%), пластины с выемкой на конце (2 ед. - 0,6%), обсидиановые пластины (4 ед. - 1,5%), отщеп обсидиановый с ретушью 1 ед. - 0,3%).

На стоянке в кв. С обнаружены два орудия из галечника, которые по внешнему виду напоминают терочники. Костного материала на Сабеласурской стоянке нет, что обясняется повышенной влажностью почв Западной Грузии.

На памятнике выявлено несколько сотен экспонатов со следами длительного пребывания в огне, что наводит на мысль о существовании очагов. Источник кремня в окрестностях стоянки не обнаружен. Среди найденных орудий несколько десятков со следами использования. Нужно отметить, что описанный нами материал расположен на весьма маленькой площади (32 м²).

Планография памятника показала, что культурный слой находится в *in situ*, так как в кв. А и С зафиксированы два скопления нуклеусов, что исключает случайный характер. Раскопочный материал типологически и в процентном соотношении аналогичен подъемному материалу. Здесь также, как и в подъемном материале, преобладают отходы производства. Нуклеусы идентичны подъемным, преобладают призматические и конусовидные формы.

Среди орудий, найденных на памятнике, ведущими являются микроострия. Большинство из них (210 ед.) ретушированы с обеих сторон,

а у 94% обломаны кончики. Обилием микроострий Сабеласури напоминает мезолитические памятники.

Надо отметить, что скребки отличаются разнообразием форм. Встречаются концевые скребки, с овальным и высоким рабочим краем, с двойным рабочим краем и комбинированный скребок-резец. Все скребки обработаны отжимной ретушью. Хронологические границы таких скребков обширны, встречаются они как в верхнепалеолитических, так и в мезолитических комплексах, лишь с той разницей, что в мезолите их обнаруживают наравне с микрскребками. Сабеласури в этом отношении резко отличается от мезолитических памятников, так как здесь всего два экземпляра микрскребков, что является критерием для отнесения данного памятника к более раннему времени. Учитывая ряд признаков материала, надо предполагать, что Сабеласури является стоянкой постоянного характера для определенного количества людей. Типичные для верхнего палеолита нуклеусы, скребки, ножевидные пластины и другие признаки комплекса, типологическая близость к верхнепалеолитическим комплексам Саапакио Энцери и Гварджилас-клде дают возможность датировать памятник финальной стадией верхнего палеолита. Если дальнейшая работа над памятником подтвердит нашу датировку, то перед нами предстанет интереснейшая, пока единственная изученная в Грузии верхнепалеолитическая открытая стоянка, которая выявит в новом свете верхнепалеолитическую культуру страны.

G. Tortladze

UPPER PALAEOLITHIC OPEN STATION AT SABELASURI (Summary)

The palaeolithic team of the Terjola-Tqibuli Archaeological Expedition has completed the excavation of an Upper Palaeolithic open station at Sabelasuri. The relic is situated in Tqibuli district on the southern slope of the Nakerala mountain-ridge in Sabelasuri, 4 km from Tqibuli.

The area of 32 m² has been excavated. Cultural remains were found in the 20-25 cm thick yellowish greasy clay layer.

In all 9318 items of stone material were recovered, including 12 of obsidian, 2 of pebble-stones, and the rest of flint.

A great number of various tools were found, excepting bone material, which can be explained by the dampness of West-Georgian soil. Several hundreds of items with traces of long exposure to fire have been found in the neighbourhood. Among the discovered tools, dozens bear traces of utilization. It should be noted that the material in question was found in a rather small area (32m²). Judging by the characteristics of the discovered tools it may be hypothesized that Sabelasuri served as a permanent station for a certain number

of people. Nuclei, scrapers, knife-type plaques and other items of the complex, their typological similarity to the Upper Palaeolithic complexes of Saapakio Entseri and Gvarjilas Klde allow to date the site to the final stage of the Upper Palaeolithic period. If further investigations confirm the proposed dating we shall be dealing with the most interesting and the only hitherto studied Upper Palaeolithic open station in Georgia. It will shed new light on the Upper Palaeolithic culture in Georgia.

ლიტერატურა

1. გრიგოლია გ. ქვის ხანის ღია ნამოსახლარები კოლხეთში, მსკა VI, 1974, გვ. 85-95.
 2. გრიგოლია გ., წერეთელი ლ. მეზოლითური ძეგლი სოფ. ენწერში, მაცნე, № 3, 1967, გვ. 299-305.
 3. თუშაბრაძიშვილი დ. გვარჯილას-კლდის პალეოლითური ნაშთები, თბ., 1960.
 4. ნიორაძე მ. სამერცხლე კლდის მღვიმე, თბ., 1975.
 5. წერეთელი ლ. მეზოლითური კულტურა ქავების შავიზღვისპირეთში, თბ., 1973.
- 6. Паничина М. З.** Палеолитические нуклеусы. Археологический сборник, I, 1953, с. 1-77.

ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I - 1-5. ნუკლეუსები (ზედაპირული მასალა); 6-25. გრავეტის ტიპის წვეტანები (ზედაპირული); 26-35. საფხეკები (ზედაპირული).
- ტაბ. II - 1-12. ლამელები რეტუშირებული (ზედაპირული); 13-17. სახოკისებური იარაღები (ზედაპირული); 18-22. ნუკლეუსები (განათხარი მასალა)
- ტაბ. III - 1-20. გრავეტის ტიპის წვეტანები (განათხარი); 21-33. საფხეკები (განათხარი).

Описание таблиц

Таб. I - 1-5.- Нуклеусы (поверхностный материал); 6-25. Острия типа гравет (поверхностный); 26-35. Скребки (поверхностный).

Табл. II - 1-12. Пластины ретушированные (поверхностный); 13-17. Скребловидные орудия (поверхностный); 18-22. Нуклеусы (раскопочный материал).

Табл. III - 1-20. Острия типа гравет (раскопочный); 21-33. Скребки.


Description of Plates


- Pl. I 1-5 - Nuclei (found on the surface);
6-25 - Whorl-like spikes (found on the surface);
26-35 - Scrapers (found on the surface).
Pl. II 1-12 - Retouched lamellae (found on the surface);

- 13-17 - Scraper-type tools (found on the surface);
18-22 - Nuclei (excavated);
1-20 - Whori-like spikes (excavated);
21-33 - Scrapers (excavated).


Pl.III

ঋণ. I





ტაბ. III



ზურაბ ცქეიტინიძე

დარგვითის მხის ზედა ფენების დათარიღებისათვის

ცნობილია, რომ პრეისტორიული საზოგადოების განვითარების ადრეული საფეხურების შესწავლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მრავალფენიან არქეოლოგიურ ძეგლებს. განსაკუთრებით დიდია მათი გამოვლენისა და შესწავლის აუცილებლობა ნეოლით-ენეოლითური კულტურების წარმომავლობის, ქრონოლოგიისა და პერიოდიზაციის საკითხების დაზუსტებისათვის. ამ მხრივ საინტერესოა მღვიმური ძეგლები, სადაც უფრო მოსალოდნელია უძრავი ფენების არსებობა, ვიდრე ღია ტიპის ნამოსახლარებზე. ერთ-ერთ ასეთ ძეგლს წარმოადგენს დარკვეთის ეხი. ძეგლი მონოგრაფიულადაა შესწავლილი [4], ამიტომ ჩვენ მოკლედ დავახასიათებთ მას.

დარკვეთის ეხი მდგებარეობს ჭიათურის რაიონში, მდ. ყვირილას მარცხნა ნაპირზე. ეხის სიგრძე დაახლოებით 15 მ, ხოლო სიგანე – 5 მ აღწევდა. ეხში გამოვლინდა 5 კულტურული ფენა და მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაშვებული სამარხები. ფენებს ვახასიათებთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (ტაბ. I, ტაბ. II).

მეხუთე, ნაცროვანი ფენა დაახლოებით 30-32 სმ აღწევდა. ფენაში კაჟის იარაღის წარმოვანი ფორმებია ასიმეტრიული სამკუთხედები, ფანკრისებური ნუკლეუსები, რიყის ქვისგან დამზადებული იარაღები. მასალის მიხედვით მეხუთე ფენა გვიანმეზოლითის ეპოქით თარიღდება [4, გვ. 19-21, 35].

მეოთხე ფენა, ღორღნარევია, ნაცრიანი. იგი დაახლოებით 1 მ სისქის სტერილური ფენით გამოიყოფდა მეხუთისაგან. ფენის სიმძლავრე 30-35 სმ აღწევდა. ფენის დათარიღებისათვის ერთ-ერთ მთავარ ნიშანს წარმოადგენს გახენილ-გაპრიალებული იარაღების არსებობა, აგრეთვე განვითარებული მიკროლითური ტექნიკა, კერამიკის არარსებობა. ყველა ეს ნიშანი საფუძველს იძლევა, ფენა ადრენეოლითით დათარიღდეს [4, გვ. 35-36].

მესამე ფენა, ნაცროვანი, 30-35 სმ სიმძლავრისა, ყველა ფენისაგან გამოირჩეოდა მასალის სიუხვით. ქვის ინდუსტრიიდან აღსანიშნავია, პირველ რიგში, ნუკლეუსები. ნუკლეუსები ტლანქია, რითაც განსხვავდება ნეოლითის ხანის დახვეწილი ნუკლეუსებისაგან. ლამელების რაოდენობა წინა ფენებთან შედარებით მცირდება, მათი დიდი ნაწილი ვიწრო და თხელია, გვხვდება განიერი და მსხვილი ლამელებიც. საფხექები ამ ფენაში უხეშია და მასიური, რითაც მკვეთრად განსხვავდება ნეოლითური მინიატურული და ფაქტიზად ნაკეთები საფხექებისაგან.

მესამე ფენა ყურადღებას იპყრობს შუბის-პირების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით. გეოგეტრიული მიკროლითების რაოდენობა მინიმუმადება დაყვანილი, აღმოჩენილია მხოლოდ ორი ტრაპეცია. ცოტაა ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები.

მესამე ფენის სიახლეა კერამიკის გამოჩენა. თიხის ჭურჭლები რამდენიმე ჯგუფად იყოფა: შიგნიდან წითლადშედებილი ჭურჭელი; მოვარდისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი კერამიკა თევზისფხური ორნამენტით; წითლად შეღებილი და ნაპრიალები თხელკედლიანი იმპორტული კერამიკა; მარგალიტისებური ორნამენტით შეგული ჭურჭელი და სხვ. [4, გვ. 24-28].

მეორე ფენა, მოყავისფრო ფხვიერი თიხნარი 30-35 სმ სიმძლავრისა იყო, მესამე ფენიდან კარგად მოტკეპნილი იატაკით გამოიყოფოდა. ფენაში მასალა საგრძნობლად კლებულობს, განსაკუთრებით ცოტაა კაჟის იარაღები, მცირე რაოდენობითაა ნუკლეუსები, განიერი და უსწორმასწორო ლამელები, საფხექები, რიყის ქვის იარაღები, თითო ეგზემპლარითაა წარმოდებილი შუბისპირი და ტრაპეცია. სამაგიუროდ, დიდი რაოდენობითაა დადასტურებული ფიქლის სამაჯურები, კვირისტავები.

კერამიკა მეორე ფენაში ძლიერაა დაზიანებული. გამოირჩევა შავად, მონაცრისფროდ გამომწვარი ჭურჭელი, წითლად შეღებილი და ნაპრიალები იმპორტული კერამიკა [4, გვ. 28-31].

პირველი ფენა ეხის ფენებს შორის ყველაზე თხელია (9 სმ), ამის გამო მასალა მეტად მცირერიცხოვანია. კაჟის ლამელები ფენაში 11 ცალია ნაპრენი, აღმოჩენილია 2 შუბისპირი, 1 საფხეცი, 1 სამაჯურის ფრაგმენტი. რიყის ქვის იარაღები ფენაში არ გვხვდება.

თიხის ჭურჭელი ძირითადად მოშავო-მონაცრისფროდა გამომწვარი. აღმოჩნდა მოყავის-ფროდ გამომწვარი თევზისფხური ორნამენტით შეგული რამდენიმე ნატეხი [4, გვ. 31-32].

ჩვენ ინტერესს იწვევს დარკვეთის ეხის ზედა ფენებში ჩაშვებული მტკვარ-არაქსის კულტურის სამარხების ინვენტარი, რომელიც, ჩვენი აზრით, საკმაოდ ზუსტად ათარიღებს ნამოსახლარის ზედა ფენას.

სამარხეული ორმები დადასტურდა ეხის X, XI და XII კვადრატებში. მათ ჩაჭრილი პქონდა პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ფენები [4, გვ. 12-14].

სამარხების ნივთიერი მასალა ძირითადად კერამიკისაგან შედგება. თიხის ჭურჭელმა ჩვენამდე ფრაგმენტების სახით მოაღწია. ამის მიზეზია ადგილობრივი მხარეთმცოდნის ს. ხითა-

რიშვილის მიერ ჩატარებული არაკვალიფიციური გათხრები, რის შედეგადაც მასალის დიდი ნაწილი დაიკარგა. შემორჩენილი მასალის ნახევარი ინახება ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, მეორე ნაწილი კი არქეოლოგიური კალეგის ცენტრის ქვის ხანის განყოფილებაშია დაცული.

თიხის ჭურჭლები სქელგეციანია. ზედაპირი ჩალისფერია, ზოგჯერ მოშავო დაქებით დაფარული, კარგად არის მოგლუვებული, ანგობირებული, გახვდება შავსარჩულიანი ჭურჭლის ფრაგმენტები. თიხა კარგად განლექილია, აქაიქ გვხვდება კარცისა და ქვიშის მინარევები [4, გვ. 32-33].

თიხის ჭურჭლის ნატეხებიდან გამოიყოფა ყელისა და პირის, გვერდის, ბირის, ყურის ფრაგმენტები, დისკოსებური ხუფის ფრაგმენტი.

წარმოლენილი ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტები ცილინდრულია. პირი არ არის პროფილირებული, არ გამოიყოფა ყელისაგან, ონდავ გადაშლილია. ზოგიერთ ნატეხს ყელზე ეტყობა ყურის მიბმის კვალი. ორი მათგანი შეძებულია რქისებრი შვერილით. შემორჩენილია ყელის ფრაგმენტი მუცელზე წიბინიანი გადასვლით (ტაბ. III₂₋₆).

ჭურჭლის ბირები ბრტყელია, ფართო.

დისკოსებური ხუფის კიდეები არაპროფილი-რებულია, ცენტრში ჰქონია რქისებური შვერილი, რომლის ნაშთილა შემორჩენილია (ტაბ. III).

როგორც ცნობილია, მტკვარ-არაქსის კულტურამ გავრცელების უდიდესი არეალი ჰპოვა. ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტი ძეგლი ჩნდება შიდა და ქვემო ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილო კავკასიაში, ანატოლიაში და სხვ. ამ შხრივ არც დასავლეთ საქართველოა გამონაკლისი. ჯერ კიდევ ორმოციან წლებში ბ. კუუტინი საჩხერის, ცარცისგორისა და ქორეთის კერამიკის განხილვისას აღნიშნავდა მათ მსგავსებას თრიალეთის მასალებთან შავპრიალა ზედაპირით, ჭურჭლის ყურების ფორმითა და რელიფური ორნამენტით [10, გვ. 8, 10, 14].

იმერეთის ტერიტორიაზე არის გორა-ნამოსახლარები, რომლებიც აშკარად მტკვარ-არაქსის კულტურას განეკუთვნებიან, თუმცა ვარკველწლილად დასავლური კულტურის ნიშნებს-აც ატარებენ. პირველ რიგში, აღსანიშნავია დაბლაგომი [11], რომლის მასალების მსგავსებას დიდუბე-კიკოისა და თრიალეთის ძეგლებთან ხაზი გაუსვეს ბ. კუუტინმა [9, გვ. 116] და ო. ჯაფარიძემ [8, გვ. 40]. საინტერესოა ის გარემოება, რომ კულტურული ფენების ქვედა პორიზონტებზე ჭარბობს მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი მასალა, ხოლო ზედა პორიზონტებზე დასავლეთ საქართველოს ადრებრინვეარისათვის

დამახასიათებელი კერამიკაა გაბატონებული [6, გვ. 6].

მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში შემავალი ძეგლებიდან აღსანიშნავია არგვეთის გორანამოსახლარზე დადასტურებული კულტურული ფენები. ძეგლზე აღმოჩენილი კერამიკა თავისი ფერით, გამოწვის ტექნოლოგით, ფორმებით, ყურების მოყვანილობით ზედმიწევნით ემსაგვესბა დადუბის, კიკოთის, სამშვილდის, ქულბაქების, ქვაცხელასა და სხვ. კერამიკას [6, გვ. 7-10].

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი ერთი საერთო დამახასიათებელი ნიშნით გამოირჩევა: როგორც წესი, თიხაში მრავლად ურევია ქარსი. ეს არცაა გასაკირი, რადგანაც დასავლეთ საქართველოში, მეტადრე იმერეთში მდებარე თიხის გამოსავლები საკმაო რაოდენობით შეიცავს ქარსს. ეს გარემოება ნათლად მიუთითებს, რომ აღნიშნული თიხის ჭურჭლელი ადგილობრივად არის დამზადებული.

რაც შეეხება დარკვეთის ეხის სამარხეულინვენტარს, თიხას არ აქვს ქარსის მინარევები, რაც აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული კერამიკისთვისაა დამახასიათებელი. უნდა ვივარაულოთ, რომ დარკვეთის ეხში ჩაშვებული სამარხების მასალა ადგილობრივად არ უნდა იყოს დამზადებული, არამედ უშუალოდ აღმოსავლეთ საქართველოდანაა შემოტანილი.

ჩაშვებული სამარხების მცირერიცხოვან მასალაზე დაყრდნობით, აღბათ ვერ ვიმსჯელებთ კულტურის გავრცელების თავისებურებებზე, მაგრამ მიუხედავად მასალის სიმცირისა და ფრაგმენტულობისა, შეიძლება რამდენიმე ვარაუდი გამოითქვას მისი პარალელებისა და აქედან გამომდინარე, ქრონოლოგიური ჩარჩოების შესახებ.

როგორც მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, შეიძლება დაყინახოთ გარკვეული ნიშნები, რომლებიც სამარხების კერამიკული ინვენტარს მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ძეგლების არეალში აქცევენ. ასეთ ნიშნად შეიძლება დავასახელოთ ჭურჭლის პირების არაპროფილურობა, სიმარტივე, რაც ესოდენ დამახასიათებელია ისეთი ადრეული ძეგლებისათვის, როგორიცაა თრელი [1, გვ. 36, სურ. 7-13], ღრმახევისთავი [2, გვ. 8-12], დიდუბე [7, ტაბ. I], კიკეთი [5, გვ. 87-88], თეთრიწყაროს ნასოფლარი [3, სურ. 33-35].

მეორე ნიშნად გვევლინება რქისებური შვერილების არსებობა ჭურჭლის ყელზე. ანალოგიური ჭურჭლები დადასტურებულია ღრმახევისთავის ნამოსახლარის ადრეული ეტაპის ორმოში [2, გვ. 9], სადაც ჩალისფრად გამომწვარ, ანგობირებულ ჭურჭელთან ერთად თანაარსებობს ბზენარევი კერამიკა [2, გვ. 8].

დარკვეთის სამარხში აღმოჩენილ ზუფის ფრაგმენტსაც არქაული ფორმა აქვს. ასეთი სადა სახის ზუფები მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი [2, გვ. 11; 1, გვ. 43].

არ შეიძლება არ აღინიშნოს სამარხეულ მასალაში დადასტურებული ბრტყელი ძირები, რაც აგრეთვე კომპლექსის ადრეულობაზე უნდა მიუთითოდეს [1, გვ. 45].

ამრიგად, როგორც მასალის ანალიზმა გვიჩვენა, დარკვეთის ეხის კულტურულ ფენებში ჩაშვებული სამარხების ინვენტარი მრავალ პარალელს პოულობს მტკვარ-არაქსის კულტურის ისეთ ძეგლებთან, როგორიცაა ღრმახევისთვი, დიდუბე, კიკეთი, თრელი, თეთრიწყაროს ნასოფლარი. მასალის ტექნოლოგიური მახასიათებლები (ქარსის მინარევების არარსებობა, გამოწვის წესი) მის აღმოსავლეთ ამიერკავკასიურ წარმომავლობაზე უნდა მიუთითოდეს.

დარკვეთის ეხში ჩაშვებული სამარხები გარკვეულ გასაღებს იძლევა ამ ძეგლის ზედა ფენების ასაკის განსაზღვრისათვის. როგორც ცნობილია, მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპი არქეოლოგიურ ლიტერატურაში ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება. აქედან გამოდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დარკვეთის ეხში მიცვალებულების დაკრძალვა ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ხანებარზე გვიან არ უნდა მომხდარიყო. თუ ამ საფეხურის ზედა ზღვრად ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ხანევარს მივიჩნევთ, გამოდის, რომ დარკვეთის ეხის ზედა ფენების წარმოქმნა და შემდეგ აქ ცხოვრების შეწყვეტა წინ უსწრებდა განსხვავებული კულტურის სამარხების ჩაშვებას. თუ ჩვენ უკიდურეს დაშვებებს გავაკეთობთ და დარკვეთის პირველ ფენას ჩაშვებული სამარხების თანადროულად მივიჩნევთ, მაშინ მესამე ფენის წარმოქმნის ქვედა ზღვარი ძვ. წ. IV ათასწლეულის პირველ ხანევარს გაუტოლდება.

ამრიგად, ჩვენი მიზანი იყო დარკვეთის მრავალფენანი ეხის ზედა ფენების თარიღის დაზუსტება მათში მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაშვებული სამარხების ინვენტარის შესწავლის გზით. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ზემოთაღწერილი სამარხების მასალა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე დადასტურებული მტკვარ-არაქსის კულტურის კომპლექსებიდან ყველაზე ადრეულად შეიძლება ჩაითვალოს.

3. Р. Цквитинидзе

К ДАТИРОВКЕ ВЕРХНИХ СЛОЕВ ДАРКВЕТСКОГО НАВЕСА (резюме)

Даркветский навес является первым опубликованным многослойным памятником Западного Закавказья, содержащим нетронутые культурные наслоения четырех эпох - начиная с позднего мезолита кончая ранней бронзой. В нескольких квадратах навеса имелись впускные погребения куро-араксской культуры. Материалы этих погребений представляют особенный интерес для датировки верхних слоев навеса.

По многочисленным аналогиям с материалами таких памятников, как Трели, Грмакхевистави, Дикубе, Кикети, Тетрицкаро, погребения из Дарквети можно датировать ранней стадией куро-араксской культуры, т.е. серединой IV тыс. до н.э. Так как погребения впущены в верхние слои навеса, то возникновение этих слоев не должно было переходить за рамки второй половины IV тыс. до н.э.

Z. Tskvitinidze

TOWARDS DATING THE TOP LAYERS OF THE DARKVETI CANOPY (Summary)

The Darkveti canopy is the first published multilayer monument of the Western Caucasus, containing intact cultural layers of four periods – from the Late Mesolithic to the Early Bronze Age. Inlet burials of the Kura-Araxes culture were found at several places of the canopy. The material of these burials is of special interest for dating the top layers of the canopy.

By numerous analogies with materials of such monuments, as Treli, Ghrmakhevistavi, Didube, Kiketi, Tetritsvaro, the burials from Darkveti may be dated to the early stage of the Kura-Araxes culture, i.e. to the middle of the 4th millennium BC. As the Darkveti burials are let in the top layers of the canopy, the origin of these layers should not go beyond the second half of the 4th millennium BC.

ლიტერატურა

1. აბრაშიშვილი რ., გოცირიძე დ. თრელის მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარი, თბილისი, I, თბ., 1978, გვ. 34-47.
2. აბრაშიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., კანიანი კ. ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980.
3. გობეჯიშვილი გ. თეთრიწყაროს ნასოფლარი, თბ., 1978.
4. ნებიერიძე ლ. დარკვეთის მრავალფენიანი ეზი, თბ., 1978.
5. ფხაკაძე გ. ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963.
6. ფხაკაძე გ. მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურების ზოგიერთი შეხვედრა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სას, I, თბ., 1978, გვ. 3-12.
7. ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1955.
8. ჯაფარიძე თ. ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, თბ., 1956.
9. კუფტინ ბ. ა. Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб., 1950.
10. კუფტინ ბ. ა. К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, КСИИМК, VIII, 1940, с. 5-35.
11. ხოშთარია ნ. ვ. Древнее поселение в Дабла-Гоми, Тезисы к дисс. работе на соиск. учен. степени канд. ист. наук., Тб., 1941.

ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I. დარკვეთის ეზის განივი ჭრილი;
- ტაბ. II. დარკვეთის ეზის გეგმა;
- ტაბ. III. დარკვეთის ეზში ჩაშებული სამარხების ინვენტარი:
- 1 – დისკოსებური ხუფის ფრაგმენტი;
 - 2-6 – ჭურჭლის ყელ-გვერდების ფრაგმენტები;
 - 7 – ძირის ფრაგმენტი;
 - 9-10 – ყურის ფრაგმენტები.

Описание таблиц

Табл. I. Поперечный разрез Даркветского навеса;

Табл. II. План Даркветского навеса;

Табл. III. Инвентарь впускных погребений:

1 - Фрагмент дискоидальной крышки;

2-6 - Фрагменты шеек и стенок сосудов;

7 - Фрагмент дна;

9-10 - Фрагменты ушек.

Description of Plates

1. Pl. 1 - Cross-section of the Darkveti canopy;

2. Pl. 2 - Plan of Darkveti canopy;

3. Pl. 3 - Inventory of the inlet burials:


1. Fragments of a disk shaped lid;

2-6. Fragments of the necks and walls of vessels;

7. Fragment of a bottom;


9-10. Fragments of handles.


დარპვეთის ეხი



ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒՍ ՎԵՐՍ ՑԵՎԵՐԵՐ

Գօձ. II





გურანდა ფხაკაძე

პოლსეთის დაბლობის აღრებრინჯარის ხანის გულტურის გვლევის ზოგიერთი ასპექტი

კოლხეთის ვაკე-დაბლობი მოიცავს შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროს, მის ჩრდილო-დასავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებს მიმდებარე ბორცვიანი ზოლით.

ძვ.წ. III ათასწლეულში კოლხეთის შავი-ზღვისპირეთის მთელ სიგრძეზე ფიქსირდება, ძირითადში ერთგვაროვანი, განვითარების ერთი გზის მქონე თვითმყოფადი, საკმაოდ მძლავრი ადრებრინჯაოს ხანის კულტურა მაღალგანვითარებული მეტალურგიით, მიწათმოქმედ-მესაქონლეთა ეკონომიკით და ძალიან თავისებური კერამიკული პროდუქციით. იგი ადგილობრივ ნიადაგზეა წარმოშობილი და არ მიეკუთვნება არც მტკვარ-არაქსისა და არც მაიკოპის კულტურებს.

როგორც ცნობილია, მტკვარ-არაქსის კულტურამ, მოიცავა არა მარტო კავკასია, არამედ წინა აზიაც (ანატოლია, სირია-პალესტინა, ირანი) და გავრცელდა ეგროპაშიც. დას. საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი - რიონ-ყვირილას აუზი ძვ.წ. III ათასწლეულში მთლიანად მტკვარ-არაქსის კულტურის სფეროში მოექცა. ხოლო კოლხეთის სანაპიროზე და მიმდებარე ბორცვიან ზოლში მტკვარ-არაქსის კულტურის დასახლება არსად არ დასტურდება. ამ ფაქტის ერთ-ერთ თუ ერთადერთ მიზეზად არ მიგვაჩნია ბიო-გეოგარემოს ფაქტორი, კერძოდ კი ის ბუნებრივი და გეოკლიმატური პირობები, რაც კოლხეთის დაბლობს ახასიათებდა და სრულიად არ შეესაბამებოდა მტკვარ-არაქსელი ადამიანის საყოფაცხოვრებო ინტერესებსა და უპვე ჩამოყალიბებულ სამეურნეო-კონომიკურ ფორმებს [5, გვ. 119].

გარდა ამისა, მტკვარ-არაქსული ნასახლარების განლაგებისა და ტოპოგრაფიის მიმხილვამ დაგვარწმუნა, რომ არსად ამ კულტურის გავრცელების მთელს ტერიტორიაზე, კავკასიასა და მისი საზღვრების გარეთაც, მტკვარ-არაქსული ნასახლარი ზღვისპირა დაბლობებზე არ გვხვდება [6, გვ. 46].

ძვ.წ. III ათასწლეულის მთელ სიგრძეზე კოლხეთის ადრებრინჯაოს ხანის კულტურა არ განიცდის რამე საგრძნობ ტრანსფორმაციებს და ინოვაციებს და ინარჩუნებს ძირითადად წინამორბედ ეპოქებიდან მომდინარე ტრადიციულ ნიშნებს.

ორი ათეული ძეგლის ანალიზი, მათი თავისებურება და განსხვავებული ხასიათი, როგორც ისტორიული განვითარების ასპექტში, ასევე არქეოლოგიური მასალების თვალსაზრისით, მათი მეცნიერების გამორჩეულობა კავკასიის ორი ცნობილი კულტურისაგან ქმნის მისი ცალკე კულტურად გამოყოფის აუცილებლობას. ძეგლების განლაგებისა და მათი გავრცელების

არეალის გათვალისწინებით ჩვენ ვამჯობინეთ გვეწოდებინა მისთვის „კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურა“.

ტერმინი „ოჩამჩირის კულტურა“, რომელიც იქმარება ხოლმე ლიტერატურაში (ლ. სოლოვიოვი, ი. ვორონოვი, ვ. ბჟანია, ი. წვინარია) [17, გვ. 14] მისი პირველი აღმოჩენის ადგილის მიხედვით, ჩვენი აზრით, სრულიად ვერ ასახავს ამ კულტურის რეალურ სურათს, მის გავრცელებას, საზღვრებს, რაობას და განვითარების ეტაპებს. საქმე ისაა, რომ ოჩამჩირის ნასახლარი ძალზე მცირე ფართობზე იყო შემორჩენილი, ვიწრო ტრანშეაში [20, გვ. 33] და შეიცავდა ძირითად მხოლოდ კერამიკას და არაფერს იძლეოდა დასახლების ტიპის, კულტურის ხასიათის, მეურნეობის და სხვ. შესახებ.

სადღეისოდ კოლხეთის დაბლობზე გვაქვს საკმაო რაოდენობა ამ პერიოდის ძეგლებისა და მათ შორის ისეთი ეტალონური, როგორიცაა ისპანი და ფიჩორის ნასახლარები, სადაც სტრატიგურაფიულ ჭრილშია მოცემული ადრებრინჯაოს ხანის განვითარების ეტაპები და კულტურის ხასიათი, ამიტომაც ამ კულტურის „ოჩამჩირულად“ მოხსენიება არასწორად და გაუძართლებლად მიგვაჩნია.

რაც შეეხება ტერმინს „პროტოკოლხური“, რომელიც შემოტანილი იყო კოლხერი კერამიკის სათავეების მისანიშნებლად [4, გვ. 68], ჩვენ მას არ ვიყენებთ, რადგან იგი უფრო ზოგად და ისტორიულ ტერმინად მიგვაჩნია. „პროტოკოლხურში“ გამოყოფილი I და II ეტაპი ადრე და შუაბრინჯაოს ხანებს უნდა შეფარდებოდა, მაგრამ ამ პერიოდებისა და მაში შემავალი ძეგლების ზუსტი განსაზღვრა თავიდან ვერ მოხსერხდა; ამ გარემოებამ, როგორც ჩანს, ამ ორი ეპოქის ძეგლების გარკვეული აღრევა გამოიწვია, რაშიც დაგვარწმუნა ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების დეტალურმა განხილვამ; ყველა ზემოთქმულის გამო ვარჩიეთ ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების ცალკე გამოყოფა „კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს“ სახელით, რამაც საშუალება მოგვცა დაგვედრინა უფრო დაზუსტებით ამ კულტურის ნიშნები, თავისებურებანი, შინაგანი პერიოდიზაცია და კავშირები.

კოლხეთის ადრებრინჯაოს ხანის კულტურა ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია, მაგრამ უკვე ახლა საკმარისი დამაჯერებლობით გამოიკვეთა ამ კულტურის დამახასიათებელი ელემენტები:

1. განვითარების ერთიანი ხაზი, წინამობრბედი ეპოქების ტრადიციების გაგრძელება, რაიმე ძლიერი ინოვაციების ან ტრანსფორმაციის გარეშე; 2. ქვის ინდუსტრიის კონსერვატიული ხასიათი; 3. დასახლების ხუტორული ტიპი. ხისა და წინულგარკასიანი კონსტრუქციები სპე-

ციალურად მოზვინულ თიხის მოედნებზე; ხი-მინჯები და ბაქნებზე გამართული შენობები ქვის გამოყენების გარეშე. ზღვისპირა ნასახლარებზე ნახევარმიწურები; 4. ურწყავი გუთნური მიწათმოქმედება სადრენაჟო თხრილები ნიადაგის ზედმეტი წყლისაგან განტვირთვის მიზნით; 5. განვითარებული მეტალურგია, ლითონის ნივთებში სამეურნეო იარაღის სიჭარბე; 6. ძალიან თავისებური და დამახასიათებელი კერამიკული პროდუქცია; 7. დოლმენები და მეორადი დამარხვა; 8. კულტმსახურების განსხვავებული წესი საკულტო საგნების: კერძის, სადგრების, პოდიუმების გარეშე [18, გვ. 103-105].

კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურა მთელ ძვ.წ. III ათასწლეულს მოიცავს. ყველაზე ადრეული ძეგლები აღმოჩენილია ჩრდილო-დასავლეთ (კორონცოვის მღვიმები) და სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში (ჩაქვის ნამთსახლარი) და ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლო და ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისით განისაზღვრება.

დანარჩენები კი ადრებრინჯაოს ხანის განვითარებულ და ფინალურ ეტაპებს განეკუთვნება.

განვითარებული ეტაპის ძეგლებია: ოჩამჩირე, ისპანის ქვედა ჰორიზონტი, გუმისთა-აჭანდარა, ფიჩორი (8 ფენა), კელოტაურის სამარხი, მცირე ზომის დოლმენები. ამათგან უფრო არქაულია ოჩამჩირე და ისპანის ქვედა ჰორიზონტი, რომლის თარიღი C^{14} ძვ.წ. 2640 და ძვ.წ. 2540 წწ., ხოლო ფიჩორის მე-8 ფენა იძლევა ძვ.წ. 2290 წ. [13, გვ. 23]. შესაბამისად 26-ე და 23-ე საუკუნეები, რაც სადღეისოდ წარმოადგენს ჩვენს ხელთ არსებული ძეგლების განვითარებული ეტაპის ქრონოლოგიურ ჩარჩოს.

ფინალურ ეტაპს მიეკუთვნება მაჭარა (III ფენა), გუანდრა (B ფენა), ისპანის ზედა ჰორიზონტი, საელიაოს კურზია (III ფენა), დიხა-გუმებია, ფიჩორის VII და VI ფენები, საშუალო ზომის დოლმენები. მათი ასაკი განსაზღვრულია ისპანის ზედა ჰორიზონტის ძვ.წ. 2180 წ. და 2060 წ. ფიჩორის VI ფენის ძვ.წ. 1965 წ. თარიღებით C^{14} მიხედვით ე.ი. ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო და ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისი [3, გვ. 14-15].

ადრებრინჯაოს ორივე ეტაპზე ქვის ინდუსტრია ინარჩუნებს ტრადიციულ ნიშნებს: იარაღი მზადდება რიყის ქვისაგან ატაპითა და მოკოდვით, სიგრძივ გაპობილ ქვებზე, რომელთა ნაპირებიც დამატებითაა დამუშავებული (ცულები, სატეხბი, საჭრეულები, თოხისნაირი და პიკისნაირი იარაღები). ბევრია ბადის საწაფები, კვირისტავები, ხელსაუქვევები.

კაუს ნაწარმში აღსანიშნავია ცალ და ორმხრივდაკილული ნამგლისჩასართები და სხვა-დასხვა ტიპის ისრისა და შუბისპირები.

მიწათმოქმედების მაღალი დონე დოკუმენტირებულია ორი განსხვავებული ტიპის ხის სახვნელით [15, გვ. 5].

მეტალურგიის მაღალ განვითარებაზე მეტყველებს ის ლითონის ნივთები, რომლებიც კოლხეთის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზეა აღმოჩენილი. დოლმენების მასალები (ცულები, სატეგრები, კავები), დიხაგუმებას (I) ვარცლისებური ყალიბი ნამზადისათვის, ისპანის ფუძილიანი ცულის ყალიბი, ცულების ფრაგმენტები და ხის მოდელი ცულისა და განსაკუთრებით ფიჩორის (8-6 ფენების) მონაპოვარი (ცუამილიანი ცულის 60 ც. ორსაგდულიანი ყალიბი, თოხის ყალიბები და თვით თოხი, ორი თოხმხრივი ყალიბი თოხი სხვადასხვა ნივთისათვის, ჯამბი, კოზები, საბერვლები, წილა და სხვ.). ლითონის იარაღ-სამკულების წარმოება ადგილზე, ყალიბებში ჩამოსხმის, დამატებითი ჭედვის და ცვილის მოდელის დაკარგვის წესით, დარიშხანისა და ანთიმონის შენადონებით, მიგვითითებს საკვლევ რეგიონში დამოუკიდებელი მნიშვნელოვანი მეტალურგიული კერის არსებობაზე [1, გვ. 26-27]. ქვისა და ლითონის ინგენტარი ადრებრინჯაოს მთელ მანძილზე იმდენად ერთგაროვანია, რომ მათი მიხედვით განვითარების სხვადასხვა ეტაპების დადგენა არ ხერხდება.

განვითარებული და ფინალური ეტაპების გამოყოფა ხდება კერამიკული პროდუქციის მიხედვით. კერძოდ კი ადგილობრივი მასობრივი თიხის ნაწარმის ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ მყარი სტრატიგრაფიითა შემაგრებული.

კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა ხელითნამერწია, უხეში, მტკიცედ გამომწვარი, მურა-მოვარდისფრო, მონაცრისფრო-შავი ფერისა; ჭარბობს დერგის, ქილის, ქოთნისა და ჯამის ფორმის ჭურჭლები მასიური გვირგვინებით, ლენტისებური ყურებით, რომელიც შევრილით მაგრდება კედელში. არის ჰორიზონტალურად დაძერწილი განიერი ყურები შუაში დარით. ძირები განიერია, ბრტყელი ზოგჯერ სელისა და ჭილობის ანაბეჭდებით. ორნამენტი რელიეფური სარტყელია მხრის გარშემო ირიბი დარებით, ნაჭდევებით, თითის ანაბეჭდებით. ხშირია წიწვოვანი სახეები და მრავალნაირი შევრილ-კოპები (ქიმისებური, ჯიბისებური, ოვალური, უნაგირისებური და სხვ.) [7, გვ. 242-243].

ფინალურ ეტაპზე ჭურჭლის ფორმები, ფერი, გამოწვა და თიხის შემადგენლობა იგივე რჩება. განსხვავება ვლინდება ჭურჭლის შემცულობაში. ჩნდება სავარცხლისკბილისეული ორნამენტი (საელიაო III ფენა, გუანდრა B, მაჭარა III ფენა) [21, გვ.122], [14, გვ.113-126], მარცვლისებურ და წიწვისებურ სახეთა კომბინაციები, პირველი შევრონები, სოლისებური და რომბული შტამპების ანაბეჭდები (გუანდრა B, მაჭარა III, ისპანის ზედა ჰორიზონტი, დიხა-გუმებას III ფენა). საინტერესო სურათია ფიჩორის ცენტრალურ ბორცვზე. ადრებრინჯაოს ფინალური ეტაპის (VII ფენა) კერამიკული ნაწარმი არ განსხვავდება ქვედაVIII ფენის

განვითარებული ეტაპის ჭურჭლებისაგან და არ იძლევა სიახლეებს ორნამენტულიაში. უფრო მეტიც ფიჩორის ნასახლარის VI ფენაც, რომელიც გამთხრელების მიერ შუაბრინჯაოდ იყო მიჩნეული, თითქმის იდენტურია VII ფენისა (საერთოა ჭურჭლის ფორმები, ორნამენტი, ანაბეჭდიანი მასიური ძირები, ლენტისებური შვერილით ჩამაგრებული ყურები) [11, გვ.152-153]. VII და VI ფენათა სტრატიგრაფიის გადახედვამ და ამ ფენათა თიხის ნაწარმის ურთიერთშედარებამ დაგვარწმუნა, რომ ორივე ერთად უნდა განიხილებოდეს, როგორც ადრებრინჯაოს ხანის ფინალური ეტაპი, რომლის ასაკიც განსაზღვრულია ფიჩორის VII ფენის C¹⁴ ძვ.წ. 20 ს-ით. მხოლოდ ფიჩორის ნასახლარის 5 ფენა, რომელიც ასევე ძლიერ ემსგავსება ქვედაუნის მასალებს, მაგრამ შეიცავს გარკვეულ სიახლეებს შემცულობაში (მაგ. კოპები და ღილისებური დანამერწები ფურის ზედანაწილზე, ხშირი ღარული ჰორიზონტალური და ვერტიკალური სახეები კორპუსზე) შეიძლება მიეკუთვნოს შუაბრინჯაოს ხანას.

კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე ზემოთ აღწერილი ადგილობრივი, ტრადიციული და მასობრივი თიხის ნაწარმის გვერდით გვხვდება სრულიად განსხვავებული ჭურჭლის ჯგუფი, როგორც ფორმა-პროფილით, ასევე დამზადების ტექნიკით; წარმოდგენილია პითოსებით, მომცრო ზომის ქოთნებით, კოჭბებით, სასმისებით, ბოკალებითა და ფეხიანი გაზებით. იგი თხელკეციანია, კარგადგამომწვარი, შავი ან მოყავისფრო ზედმიწევნით გაპრიალუბულ ყვისფერ სარჩულზე. ხასიათება მომაღლო ზოგჯერ ცილინდრული ყელით, წიბოიანი მხრით, ღამაზად პროფილირებული თხელი, ლენტური ყურებით, ვიწრო ძირით; შემცულია კოპებითა და ჭრილი გეომეტრიული სახეების კომბინაციებით, რომელიც ყურზედაც გადადის. პრიალა კერამიკის სამი ფრაგმენტი ოჩამჩირის ნასახლარზე აღმოჩნდა, ორი (ნაცრისფერი ცალყურა სურა და ორყურა ქოთანი) - დიხაგუშებას ქვედა (I) ფენაში; შავი, ყავისფერსარჩულიანი პრიალა პითოსებისა და ქოთნისფორმის ჭურჭლების ყელ-გვერდის ფრაგმენტები ბევრია ისპანის სამოსახლოზეც. მაგრამ ყველაზე მეტი რაოდენობითა და მრავალფეროვნებით იგი წარმოდგენილია ფიჩორის ცენტრალური ბორცვის VIII, VII და VI ფენებში და მთელი კერამიკული პროდუქციის 1 % შეადგენს. ეს ნაწარმი ჩვენ თავიდანვე მიგამსგავსეთ თრიალეთის ადრეული ყორდანებისა და ბედენის მასალებს და გავუთანაბრეთ მათ ქრონოლოგიურად, მაგრამ არსად გვიმტკიცებია მათი იგივეობა [19, გვ. 52].

ამ შავი და ყავისფერი პრიალა თიხის ნაწარმის წარმომავლობის საკითხმა მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ზოგმა იგი დაუკავშირა მტკვარ-არაქსული, ზოგმა კი თრიალეთ-ბედენური ტომების მიგრაციას

[12, გვ.5-6]. მტკვარ-არაქსული მოსახლეობის გადმონაცვლების ავტორები საბუთად იშველიებენ დაბლაგომის ნასახლარს, შემოქმედს და ჭელიპას. როგორც ჩანს, საჭიროა გარკვეული სინათლე იქნას შეტანილი ამ საკითხებში.

დაბლაგომის ნასახლარის ქვედა ორი ჰორიზონტი მთლიანად მტკვარ-არაქსულია, ეს იმას ნიშანავს, რომ იგი წარმოიშვა როგორც მტკვარ-არაქსული დასახლება და მხოლოდ ზედა ჰორიზონტში ჩნდება იქ კოლხეთის ადრებრინჯაოსათვის დამახასიათებელი კერამიკა, რაც ამ უკანასკნელის აღმოსავლეთით გავრცელების ნიშანია და ღირსშესანიშანავია როგორც ამ ორი კულტურის სინქრონიზაციის ფაქტი [8, გვ.9-10]. აღიარებულია, რომ დაბლაგომი მტკვარ-არაქსის გავრცელების უკიდურესი პუნქტია დასავლეთით [10, გვ. 109].

ჭოლიაბა და შემოქმედი ახლადმიკვლეული ძეგლებია გურიაში, რომელთა გათხრა და შესწავლა ჯერ არ მომხდარა. დაწვერვით აღმოჩენილი რამდენიმე შავი, წითელსარჩულიანი პატარა და უსახო ფრაგმენტით მტკვარ-არაქსზე ლაპარაკი ცოტა ნააღრევი და საეჭვოა.

მეორე მოსაზრების მიხედვით, კოლხეთის ადრებრინჯაოს ხანის კულტურა თრიალეთ-ბედენის გავლენით ჩამოყალიბდა იმ ძლიერი ექსპანსიის თუ მიგრაციის შედეგად; რომელსაც ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოსკენ [2, გვ. 45-49]. საკითხის ასე დაყენება, ცხადია, საინტერესოა, მაგრამ ჩვენ ხელთარსებული არქეოლოგიური მასალების ობიექტური შესწავლა ამის საფუძველს არ იძლევა. ამ მოსაზრების გაზიარება გამოიწვევა მთელი რიგი მიზეზების გამო, რომელთაგან დავასახელებთ ზოგიერთს:

1) ძალიან გაჭირდება ექსპანსიისა და მით უფრო მიგრაციის მტკიცება კერამიკის ერთი პატარა ჯგუფის მიხედვით; როგორც ზემოთ ითქვა, კოლხეთის შავიზღვისპირეთის ძეგლებში შავი და ყავისფერი პრიალა ჭურჭელი ყველაზე დიდი რაოდენობით ფიჩორში აღმოჩნდა და იქაც იგი მთელი პროდუქციის მხოლოდ 1 % შეადგენდა. ხოლო რაც შეხება დიხაგუშებას დამოწმებულ ქვედა (I) ფენას, იქ ნაცრისფერი ზედაპირმოგლუბეული ჭურჭლის გარდა, შავი და წითელპრიალა ნაკეთობები საერთოდ აღნიშნული არ ყოფილა [16, გვ. 246-248].

2) მიგრაცია არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ თიხის ნაკეთობათა გავრცელებით, მას თან უნდა ახლდეს შემოსული კულტურის სხვა შემადგენელი ელემენტები, ძირითადად ისეთი როგორიცაა დასახლების ტიპი, კულტი და საკულტო საგნები (კერა), დამარხვის წესი (ყორდანი, ქვაყუთი) და სხვ.

3) თრიალეთ-ბედენის ასაკი, როგორც ცნობილია, ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო მეოთხედითაა განსაზღვრული, ხოლო კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს კულტურა უკვე ჩამოყალიბებული ჩანს უფრო ადრე ძვ.წ. XVI ს-ში (ისპანის ქვედა დონის არაქალიბრირებული

თარიღი და ოჩამჩირე), ამიტომ თრიალეთ-ბედენის კულტურის მონაწილეობა კოლხური ადრებრინჯაოს ჩამოყალიბებაში შეუძლებელი ჩანს კიდევ დროის ფაქტორის გამოც.

კულტურულ-ეკონომიკური, სავაჭრო და სხვა მნიშვნელოვანი ურთიერთგავლენები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსა, და საერთოდ, სამხრეთ კავკასიის რეგიონებს შორის ყველა ეპოქაშია ფიქსირებული, მაგრამ ტომთა გადასახლების, მიგრაციების თუ სხვა ამგვარი მნიშვნელოვანი საკითხების კვლევა მოითხოვს უფრო მეტ საბუთიანობას, სიფრთხილეს და არქეოლოგიური მასალებისადმი მიღებულ მიღვმას.

კულტურული ურთიერთქმედება და კონტაქტები განსაკუთრებით ძლიერდება ძვ.წ. III ათასწლეულში არა მარტო კავკასიის მასშტაბით, არამედ შავი ზღვის გარშემო მდებარე რეგიონებს შორის. ეს მჭიდრო ურთიერთკავშირების ზონა გამოყოფილა ცირკუმ-პონტოს კულტურულისტორიული პროვინციის სახელწოდებით.

ეს საკითხი და დასავლეთ ამიერკავკასიის ადგილი და მნიშვნელობა ცირკუმ-პონტოს პროვინციაში არაერთხელ იქნა გაშუქებული ჩვენ მიერ [5, გვ. 140-149; 9, გვ. 190-193]. ამიტომ მასზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ კოლხეთის ადრებრინჯაოს კულტურა ახლო მსგავსებას ამჟღავნებს ანატოლიის, სირიის, ბალკანეთის, დუნაისპირეთისა და სხვ. სინქრონულ კულტურებთან. განსაკუთრებულ ყურადღებას ანატოლიისა და მაკედონიის ძეგლები იმსახურებს, სადაც ისე როგორც ჩვენთან კერამიკა ორი ტიპითაა წარმოდგენილი: მურა-მოვარდისფრო უხეში, დაჭლეული რელიეფური სარტყლით შემკული ლენტისებულ ყურადღებით და შავი და მოვარდისფრო პრიალა ჭურჭლით, რომელიც ჭრილი გეომეტრიული სახეებითაა ორნამენტირებული (იზიკოფე, დუნდართეფე, დემირჩიუიფე, ალაჯა, პორზიტეფე, კიურდერე, ბუიუკგულეჯეკი და სხვ.). ზუსტად ასეთი სიტუაციაა დამოწმებული ეზეროს ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარზე. მხოლოდ ეზეროს შავპრიალა ნაკეთობათა ჭრილი ორნამენტი, თეთრი მასითა შევსებული. ანატოლიაში ძალზე ხშირია ბოკალისებური ჭურჭლები და ხილის ვაზები და არ არის გამორიცხული ვარაუდი მათი გავლენებისა [22].

კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ერთიან კულტურაში უკვე დღესაც შეიძლება შემოიხაზოს სამი ლოკალური რეგიონი: ჩრდილო-დასავლეთი, ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთი. შემდგომი დეტალური კვლევა და მასალების ურთიერთშედარება ნათელს მოჰყენს ამ პრობლემას.

Г. Г. Пхакадзе

НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ИЗУЧЕНИЯ РАННЕБРОНЗОВОЙ КУЛЬТУРЫ КОЛХИДСКОЙ НИЗМЕННОСТИ (резюме)

Колхидская низменность охватывает все восточное побережье Черного моря: северо-западную, центральную и юго-западную ее часть с предгорьями.

В III тысяч. до н.э. на этой территории фиксируется самобытная, весьма своеобразная раннебронзовая культура, не принадлежащая ни к куро-аракской, ни к майкопской культуре.

Анализ двух десятков памятников дали возможность определить ее характерные черты и особенности и выделить ее как отдельную раннебронзовую культуру Колхидской низменности с учетом расположения памятников и ареала их распространения. Так как термин "Очамчирская культура" является слишком узким и несодержательным, а "Протоколхидская" не уточненным и в большей мере общеисторическим.

Наиболее ранние памятники находятся в северо-западной и юго-западной ее части и относятся к концу IV - началу III тысяч. до н.э. Заселение центральной части Колхидской низменности происходит к концу первой половины III тысяч. до н.э. (Испани).

Основные памятники относятся к развитому и финальному этапам данной культуры. Развитой этап - Очамчире, Пичори (8-7), Гумиста, Испани (ниж. гориз.), Диха-Гудзуба (I сл.). Хронологические рамки этого этапа помещаются между XXVI-XXIII вв. до н.э. (C^{14} из Испани и Пичори), финальный этап это - Мачара (III сл.), Испани (верх. слой), Гуандра (Б), Пичори (6), Саелиао, конец III - начало II тысяч. до н.э. Надо отметить, что 8, 7 и 6 слои Пичорского поселения по характеру материала являются в основном однородными.

Наряду с основной массой традиционной керамики на некоторых памятниках (Испани, Пичори) находится сравнительно маленькая группа черно- и коричневолощенных сосудов с резным орнаментом, указывающая на тесные взаимосвязи с культурой ранних курганов Восточной Грузии.

Высказанные же соображения [16, с. 5-6; 19, с. 45-49] о миграции куро-аракских и бедено-триалетских племен на Колхидскую низменность и их участие в формировании Колхидской раннебронзовой культуры, считаются неубедительным по причинам хронологического несоответствия и объективного ана-

лиза фактического археологического материала.

G. Pkhakadze

SOME ASPECTS OF THE STUDY THE EARLY BRONZE AGE CULTURE OF THE KOLKHETI LOWLAND. (Summary)

The Kolkheti Lowland covers the whole eastern coast of the Black Sea: its north-western, central and south-western parts with foothills.

In the 3rd millennium B.C. an original highly specific Early Bronze culture is evidenced on this territory, belonging neither to the Kura-Araxes nor the Maikop cultures.

An analysis of dozens of sites has allowed to determine its characteristic features and peculiarities, identifying it as a separate Early Bronze culture of the Colchis lowland, with account of the situation of the sites and the area of their distribution. For the term "Ochamchire culture" is too narrow and lacks depth, while "proto-Colchian" is not specified and is largely general historical.

The earliest monuments were found in the north-western and south-western regions and are dated to the end of the 4th and beginning of 3rd millennium B.C. The central part of the Colchis lowland was settled at the end of the first half of the 3rd millennium B.C. The main monuments belong to the developed and final stages of this culture.

The developed stage involves: Ochamchire, Gumista-Achandara, Ispani (lower horizon), Pichori (8), Dikha-Gudzuba (I), Kolotauri. The chronological frame of this stage is determined by C¹⁴ dates of Pichori and Ispani 26th-23rd cent. B.C.

The final stage Machara (III), Ispani (upper horizon), Guandra (Á), Saeliao, Pichori (7, 6) belonged to the end of 3rd and beginning of 2nd millennium B.C.

It must be noted that layers 8, 7, 6 of the Pichori settlement are largely homogenous as to the character of material.

Along with the basic traditional pottery on some sites there was found a comparatively smaller group of black and brown polished vessels decorated with geometrical carved patterns, pointing to the close links with the culture of early burial mounds of eastern Georgia.

The views advanced on the migration of Kura-Araxes and Bedeni-Trialeti tribes and their participation in the formation of the Early Bronze culture of the Colchis lowland seem un-

convincing because of chronological discrepancy and the objective analysis of the actual archaeological material.

ლიტერატურა

1. ბარამიძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვის-პირინის ბრინჯაოს მეტალურგიის საკითხები, კრებული „ზღვა და ადამიანი“, თბ., 1995, გვ. 26-30.
2. გოგაძე ე. კოლხეური კულტურის გენეზის ერთი ასპექტის შესახებ, გურია, II, თბ., 1997, გვ. 43-51.
3. ინაიშვილი ა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1973 წლის შედეგები. სდსბ, VI, თბ., 1977, გვ. 13-21.
4. მიქელაძე თ. ძიებანი კოლხეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974.
5. ფხავაძე გ. დასავლეთ ამიერკავკასია ძვ.წ. III ათასწლეულში, თბ., 1993.
6. ფხავაძე გ. არგვეთი - მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარი დასავლეთ საქართველოში, კავკასიის არქეოლოგია: „უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები“, თბ., 1977, გვ. 43-46.
7. ფხავაძე გ. ენეოლითი და ადრებრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია ტ. II, თბ., 1992, გვ. 216-251.
8. ფხავაძე გ. მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურების ზოგიერთი შეხვედრები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სას, 1, თბ., 1978, გვ. 3-12.
9. ფხავაძე გ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ცირკუმბონტოს კულტურულ-ისტორიულ ზონაში (ძვ.წ. III ათასწ.), კრებული „ზღვა და ადამიანი“, თბ., 1995, გვ. 190-193.
10. ჯაფარიძე თ. ქართველ ტომთა ეთნოკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976.
11. ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის სტრატიგრაფია, ქრონოლოგია, პერიოდიზაცია, თბ., 1997.
12. ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის აღრე და შუაბრინჯაოს ხანის კერამიკის ერთი ჯგუფის წარმოებისათვის, თბ., 1998, პრეპრინტი.
13. აპაკიძე ა. მ., ბურდულაძე ა. ა. რადиоуглеродное датирование археологических и палеоботанических образцов Грузии, Тб., 1987.
14. ბჯания ვ. ვ. მაჩარское поселение эпохи энеолита и бронзы Абхазии, СА, 1, 1966, с. 113-126.

15. Барамидзе М. В., Джебладзе Л. В. Древнейшее пахотное орудие из Пичори, ВАНГ, 135, № 3, 1989, с. 657-659.

16. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб., 1950.

17. Мунчава Р. М., и др. Эпоха ранней и средней бронзы Южного Кавказа, Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии, М., 1994, с. 8-144.

18. Пхакадзе Г. Г. Раннебронзовая культура Колхидской низменности. Археологическая конференция Кавказа, Тб., 1998, с. 103-105.

19. Пхакадзе Г. Г. Опыт периодизации памятников эпохи энеолита и бронзы, Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тб., 1991, с. 36-52.

20. Соловьев Л. Н. Археологические раскопки близ г. Очамчири в Абхазии, СА, №4, 1937, с. 323-324.

21. Цвинария И. И. Поселение Гуандра, Тб., 1978.

22. Pchakadze G. Das Osts Schwarzmeergebiet im III Jahrtausend und die Außenbeziehungen, abgeleitet. 6. фюнфты; 7-10. гумиста-ачандара; 11-16. очамчири.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. ადრებრინჯაოს ზანის განვითარებული ეტაპის კერამიკის ტიპიური ნიმუშები: 1-6. ფინორი; 7-10. გუმისთა-აჭანდარა; 11-16. ოჩამჩირე.

ტაბ. II. ადრებრინჯაოს ზანის ფინალური ეტაპის კერამიკის ფრაგმენტები: 1-5. გუმანდრა (Б); 6-9. მაჭარა (III); 10-12. საელიაო (III ფენა); 13-15. ისპანის (ზედა პორიზ.).

ტაბ. III. შავი და ყავისფერი პრიალა კერამიკა კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს

ზანის ნასახლარებიდან: 1, 2, 19, 20, 21. ისპანი; 3-18 ფინორი.

ტაბ. IV. ფინორის ცენტრალური ბორცვის სტრატიგრაფიული ჭრილი, მე-8-5 ფენები.

Описание таблиц

Табл. I. Образцы типичной керамики развитого этапа ранней бронзы: 1-6. Пичори; 7-10. Гумиста-Ачандара; 11-16. Очамчире.

Табл. II. Фрагменты керамики финального этапа ранней бронзы: 1-5. Гуандра (Б); 6-9. Мачара (III); 10-12. Саелиао; 13-15. Испани (верх. гориз.).

Табл. III. Черно- и коричневато-щелочная керамика из раннебронзовых поселений Колхидской низменности: 1, 2, 19, 20, 21. Испани; 3-18. Пичори.

Табл. IV. Стратиграфический разрез центрального холма Пичори, 8-5 слои.

Description of plates


Pl. I. Specific Early Bronze Age pottery of developed stage: 1-6. Pichori; 7-10. Gumista-Achandara; 11-16. Ochamchire.

Pl. II. Shards of Early Bronze Age final stage ceramics: 1-5. Guandra (Б); 6-9. Machara (III); 10-12. Saeliao; 13-15. Ispani.


Pl. III. Black and brown polished pottery from Early Bronze settlements: 1, 2, 19, 20, 21. Ispani; 3-18. Pichori.

Pl. IV. The stratigraphic sequence of Pichori central mound layers 8-5.


ঘোষ. ।




❀δ. II



ტაბ. III





ზაალ ქიქოძე, ფილიპ კოლი, გიორგი მინდიაშვილი, ალექსანდრე ორჯონიძე

ადრესინჯარის ხანის არქეოლოგიური მასალა სამხრეთი საქართველოდან

საქართველო-აშშ-ის ერთობლივმა არქეოლო-გიურმა ექსპედიციამ 1993 წელს განაგრძო მცი-რე მასშტაბის საველე კვლევა-ძიება ჯავახეთის პლატოზე. არქეოლოგიური გათხრები წარმოებდა ახალქალაქის რაიონის სოფ. ბარალეთის ამაღლებისა და ნინოწმინდის რაიონის სოფ. სათხეს გორანამოსახლარებზე. ჩატარებული სამუშაოების ძირითადი შედეგები უკვე გამო-ქვეყნდა სამეცნიერო ლიტერატურაში [11]. მას-ში განხილულია ამ ძეგლების ტოპოგრაფია, აღმოჩენილ ნაგებობათა არქიტექტურა, სამშენებლო საქმე, გამოვლენილი კულტურული ნაშთების ქრონოლოგია და სხვ. საკითხები, ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით. ყურადღებას გავა-მახვილებთ მხოლოდ არქეოლოგიურ მასალაზე, რომელიც ნაკლებად ან სრულიად არაა გაშუ-ქებული. სიმცირისა და ფრაგმენტულობის მიუ-ხედავდ ამ მასალის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა, ვფიქრობთ, დააინტერესებს სამხრეთ საქართველოს მთანეთის ბრინჯაოს ხანის მკვლევართ. მოკლედ დავახასიათებთ მას.³

სოფ. ბარალეთის ამაღლების ადრებრინჯაოს ხანის მასალა თითქმის მთლიანად კერამიკითა წარმოდგენილი.⁴ იგი შეიცავს შავ და მოწაბლისფრო პრიალა პირმოყრილ ჯამებსა და სხვა-დასხვა ქოთნის ფრაგმენტებს, ცალგვერდ-გახსნილ ტაფისებრი ჭურჭლის ნატეხებს და სხვ. პირსა და მხარზე მიძერწილია ოვალურ-განივევეთიანი მრგვალნახვრეტიანი ყური, რო-მელშიც ჭარბობს „მენისკური“ ტიპი. ორნა-მენტი უმთავრესად ჭრილნაზოვნია, დატანილი უფრო ხშირად მოზრდილ ჭურჭლებზე. გვხვდება მხარზე შემოყოლებული ნაკაწრი ხაზებით შედ-გნილ სამკუთხედების მწკრივი (ტაბ. II₁). ყუ-რადღებას იქცევს ფრაგმენტი ჩაღარვა-ამობურ-ცვით გამოყვანილი რთული სპირალური ორ-ნამენტით (ტაბ. II₂). აქვეა გადასატანი ტიპის მრგვალი, შუაგულამოლარული კერისა და თი-ნის მრგვალი სარქველების ფრაგმენტები (ტაბ. II_{10,13}). ცულის (?) ფალიბის ფრაგმენტი ამ ნივთის ადგილზე ჩამოსხმაზე უნდა მიუთი-თებდეს (ტაბ. II₅). ნაპოვნია ბრინჯაოს ოთხწახ-ნაგა ისრისპირიც (ტაბ. II₁₅) და სხვ. ამ ძეგლის კერამიკის უახლოეს პარალელებად მოხრა-ბლურის, ქვაცხელას და ახალციხის ამირანის გორის მასალებია დასახელებული [11, გვ. 26].

სოფ. სათხეს არქეოლოგიური მასალა ნასა-ხლარის რამდენიმე უბნიდან მომდინარეობს. წი-

³ ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა სოფ. სათხეს B1 უბანზე აღმოჩენილი ორმოს მასალის ილუსტრირება.

⁴ აქვეა ნაპოვნი ახალციხის მუზეუმში დაცული ნა-ლისებრი ზესადგრის ფრაგმენტი (ტაბ. II₁₄), რომლის ილუსტრაცია მოგვაწოდა აწ განსვენებულმა არქე-ოლოგმა ო. ლამბაშიძემ.

ნა წლებში გათხრილ A1 უბანზე ისევე, რო-გორც ამ ძეგლის სხვა უბნებზე აღმოჩენილი კერამიკა შავი და მოწაბლისფრო პრიალა მტკარა-არაქსული ნაწარმია. ზოგი ფრაგმენტი შემკულია ჭრილი ორნამენტით, რომელიც ჰო-რომს, შენგავითს, მოხრაბლურსა და ქვაცხელას მასალასთანა შედარებული და ძვ.წ. III ათასწ. პირველი ნახევრით დათარიღებული [11, გვ. 23].

A2 და A3 უბნების თიხის ჭურჭლები განირ-ჩევა ღრმა, პირმოყრილი ჯამები და მომრგვა-ლებულტანიანი კოჭბები, ზოგჯერ პირთან მი-ძერწილი კოპით ან ყურით. ზოგჯერ კოპი მო-ზრდილი ჭურჭლის მუცელზეცაა მიძერწილი. იშვიათად კიდე შემკულია ფოსოებით (ტაბ. III₉). ერთ ფრაგმენტს ამოკაწრული სამკუთხედები შემოუყვება (ტაბ. III₂). ყურები ძირითადად მრგვალ-ბრტყელი განივევეთისაა, არის „მენის-კური“ ტიპისაც. ერთ შემთხვევაში გვაქს ამ-გვარი ტიპის ორმაგი ყურიც (ტაბ. III₇). თიხის მრგვალი სარქველები განსხვავებული ტიპისაა (ტაბ. III_{3,4}).

B1 უბანზე უფრო მრავალიცხოვანი მასა-ლაა აღმოჩენილი. კერამიკული ნაწარმის გარდა აქ გვხვდება ქვის სამეურნეო დანიშნულების იარაღები და ლითონის ოთხწახნაგა ისრისპირი. თიხის ჭურჭლიდან აღსანიშნავია პირმოყრილი, ღრმა ჯამები და ტაფები, მომრგვალებული და ბიკონუსურტანიანი ჭურჭლის ფრაგმენტები უმ-თავრესად მენისკური ყურით. იშვიათად არის სამტოტა ყურიც (ტაბ. IV₈). ზოგიერთი ფრაგ-მენტი შემკულია ჭრილნაზოვნი, ჩაღარულ-ამობურცული, რელიეფური და სხვა სახის ორ-ნამენტით (ტაბ. III_{4,2i}; IV_{9,10}). ამას გარდა გვხვდება გვერდებშედრეკილი ჭურჭლისა და მრგვალი სარქველების ფრაგმენტები, შუაგულ-ამოღარული გადასატანი კერის ნაწილები, თი-ხის ცხვრის ფიგურები და სხვ. (ტაბ. IV₁). ქვის ნაწარმი წარმოდგენილია ნავისებრი ხელსაფ-ქვავებით, სანაყებით, საბეგველებით, კაჟის ნამ-ბლის ჩასართებით (ტაბ. IV_{2,7}). ამ იარაღის შე-დარებითი სიჭარბე რამდენადმე განასხვავებს ამ ძეგლს სამხრეთ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის სხვა ძეგლებისაგან, სადაც ქვის სამეურნეო დანიშნულების იარაღი უფრო მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი.

სოფ. ბარალეთსა და სათხეში მოპოვებული კერამიკის უმეტესობა ტიპიური მტკარა-არაქ-სული ნაწარმია, წარმოდგენილი დაახლოებით თანაბარი რაოდენობის შავ და მოწაბლისფრო პრიალა, დიდ-პატარა ზომის ჭურჭლის ფრაგ-მენტებით. მასში ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის ჯამი - ერთი ძალზე დამახასია-თებელი და გავრცელებული ჭურჭელი ამ კულ-ტურაში. აღნიშნული ნასახლარების ჯამები შე-

იძლება შევუდაროთ ჯავახეთშივე, ადგილ დიგა-შენ I-ზე აღმოჩენილ ცალებს [4, ტაბ. I]. სოფ. სათხეს A2 და B1 უბნების კერამიკის შემკობა - ფელზე შემოყოლებული ტეხილხაზოვანი ორნა-მენტი (ტაბ. III_{2,21}) ახლოა ამ კულტურის მოგვიანო ეტაპის ქვაცხელა B, ამირანისგორის ნასახლარის, არიჭის და სხვ. ძეგლების კერამი-კის შემკობასთან. იგივე სახის ორნამენტი უნდა იყოს ამაღლების მოზრდილ ჭურჭელზეც (ტაბ. II₁₆). ერთეული კოპებით ჭურჭლის მორთვა ამ კულტურას ადრეული ეტაპიდანვე ახასიათებს, მაგრამ უფრო ფართოდ ვრცელდება შემკობის ეს ხერხი მოგვიანო ხანაში. სოფ. სათხეს A3 (ტაბ. III₁₂) და B1 (ტაბ. V₃) უბნების ზოგი ფრაგმენტიც ამგვარადაა შემკული. კოპი აქვს ამაღლების (ცალგვერდგახსნილ ტაფასაც (ტაბ. II₄)). ეს ჭურჭელი ზუსტ ანალოგიებს პოულობს ხიზანაანთგორის C1 ფენასა და ამირანისგორა-ზე [1, ტაბ. 24-8; 8, სურ. 4]. კოპითაა მორთუ-ლი სოფ. სათხეს B1 უბნის გვერდშედრიკილი ჭურჭელიც (ტაბ. IV₁₃), მსგავსი თრიალეთში - ოზნესა და ბეშთაშენში აღმოჩენილი ცალებისა [1, გვ. 74]. კარგადაა ცნობილი ამგვარი ჭურ-ჭელი სომხეთშიც [1, გვ. 75].

ანალოგიური, ოლონდ ყურიანი ჭურჭელი და-მახასიათებელია შიდა ქართლისათვის. მას მრა-ვლად ვწვდებით ხიზანაანთგორაზე, ქვაცხელა-ზე, ცხინვალში და სხვ. [1, გვ. 74]. ზოგჯერ ამგვარ ჭურჭელს ყური სამტოტა აქვს, მსგავ-სად სოფ. სათხეს ცალისა (ტაბ. IV-8). ასეთი ყური ძირითადად შიდა ქართლში გახვდება. იგი თავს იჩენს ქვაცხელას B1 ფენაში [6, ტაბ. III], არსებობას განაგრძობს ციხიაგორის B დონე-ზეც, რის შემდეგაც, შიდაქართლური კულ-ტურის განვითარების შეწყვეტასთან ერთად [2, გვ. 50, 66], ისიც ქრება.

შიდაქართლურისაგან განსხვავებული - სამ-ხრეთული ვარიანტისათვის დამახასიათებელი ჩალარულ-ამობურცული რთული სპირალური ორნამენტია მოცემული ამაღლების ერთ ფრაგ-მენტზე (ტაბ. II₉). აბსოლუტურად ანალოგიურ შემკობას ვხედავთ სომხეთის ძეგლებზე - შრეშ-ბლურზე, მოხრაბლურზე და სხვ. არის ის იგდირის ველზეც - აიაციში მოპოვებულ მასა-ლებზე [7, გვ. 125, 145]. საქართველოს ტერი-ტორიაზე ყველაზე მრავლად ამგვარ შემკობას ქვემო ქართლის ველის ძეგლებზე ვხვდებით. ღაითმაზსა და დანგრეულგორაზე ასეთი ორნა-მენტით შემკული არაერთი ჭურჭელია აღმოჩე-ნილი. ეს ძეგლები გვიანმტკავარ-არაქსულ ხანას მიეკუთვნება, ხოლო ხესნებული ჭურჭელი აქ ამ კულტურის სამხრეთული ვარიანტის არსე-ბობის მანიშნებლადაა მიჩნეული [7, გვ. 114]. ამ ვარიანტის გავლენა საქართველოს შიდა რაიო-ნებშიც შეიმჩნევა. სტრატიგრაფიული ძეგლებით ისე ჩანს, რომ იგი აქ პირველად ქვაცხელას B1

ფენაში იჩენს თავს რამდენიმე მოზრდილ ჭურჭელზე დატანილ რთული სპირალური ორნამენტის სახით [7, გვ. 113]. ციხიაგორის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მან აქ უკვე მტკიცედ მოიკიდა ფეხი. ამგვარი ორნამენტი მასზე ჩანს როგორც B, ისე A დონის ხანაშიც, ე.ი. მაშინაც, როცა აქ შიდაქართლური ვარიან-ტის განვითარება უკვე შეწყვეტილია [2, გვ. 66].

მტკვარ-არაქსის კულტურაში იშვიათია ორ-მაგი ყური. ერთი ამგვარი მენისკური ტიპის ყუ-რი აღმოჩნდა სოფ. სათხეს A3 უბანზე (ტაბ. III₇). ამგვარყურიანი დისკოსებრი სარქველი ცნობილია ხიზანაანთგორის C ფენიდან [1, ტაბ. 24-3]. ორმაგყურიანი ჭურჭელი უფრო ბედენუ-რი კულტურისთვისაა დამახასიათებელი, განსა-კუთრებით - შიდა ქართლში. ბერიკლდებსა და ხაშურის ნაცარგორაზე ამგვარყურიანი არაერ-თი ქოთანია აღმოჩენილი, თუმცა ყურის ფორმა განსხვავებულია [9; 10]. იშვიათია მტკვარ-არა-ქსის კულტურაში ჭურჭლის პირის კიდის და-ჭდევა და ფოსოებით მორთვა, როგორც ეს A3 უბანზე გვაქს (ტაბ. III₉). ამგვარადაა შემკული ნალისებრ ზესადგართა ნაწილი მახლობლად მდებარე დიგაშენ I ნასახლარზე [4, გვ. 17].

აღსანიშნავია სოფ. სათხეს ნასახლარის B1 უბნის D შენობის კომპლექსი, რომელიც შედგე-ბა დიდი ზომის კვერცხისებრი ფორმის დერგის, ტოლჩის, მსხლისებრ ფორმის ორი ჭურჭლის, კოჭისებრი სადგრის და სხვა ინვენტარისაგან (ტაბ. V). ეს უკანასკნელი მსგავსია ამირანის-გორის, ზველის, ოზნის, ხიზანაანთგორის სად-გრების [3, გვ. 67-68]. ტოლჩა ზედხედში ოგა-ლურია და ძალზე წაგავს ამირანისგორასა და სოფ. ოკამის ასეთივე ტოლჩებს [8, სურ. 4; 3, ტაბ. 37]. რაც შეეხება მსხლისებრ ჭურჭელს, იგი ფორმით ახლო დგას ამირანისგორის ორ-მოსამარხებისა და თრიალეთის XI, XIII, XXIV ყორდანთა ჭურჭელთან, რომელიც სოფ. სათხეს ცალებისაგან განსხვავებით ორნა-მენტირებულია [3, ტაბ. 21]. ახლოა ციხიაგორის B₂ ფენის ჭურჭელთანაც [2, ტაბ. 28]. მაგრამ ყველაზე მეტად უახლოვდება მარტყოფის ყორ-დანთა ანალოგიურ ჭურჭელს. მარტყოფის №№ 1, 2, 4 ყორდანებში აღმოჩენილი ამგვარი, ოლონდ მოზრდილი ჭურჭელი ზედმიწევნით იმე-ორებს სოფ. სათხეს ცალების ფორმას [5, ტაბ. CXL, CXLVI] და კიდევ ერთხელ მიუთითებს მტკვარ-არაქსის კულტურის როლზე ადრე-ყორდანული კულტურის ფორმირების საქმეში.

მოტანილი პარალელებით ჩანს, რომ სოფ. სათხესა და სოფ. ბარალეთში აღმოჩენილი ად-რებრინჯაოს ხანის მასალა დაბალოებით ერთ-გვაროვანია. იგი ახლო პარალელებს უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს გვაინ მტკვარ-არაქსულ და ადრეყორდანულ კულტუ-

რათა მასალებში. ამასთან, სიახლოვე ჩანს მტკვარ-არაქსის კულტურის როგორც სამხრე-თულ, ისე, განსაკუთრებით, შიდაქართლური ვა-რიანტის ძეგლებთან - ქვაცხელა-ციხიაგორას ვ დონესთან, რაც გამოიხატება სწორკუთხა ნაგე-ბობის, გვერდშედრეკილი, ზოგჯერ სამტოტაფუ-რიანი და მსხლისებრი ფორმის ჭურჭლის არსე-ბობით. ამ უკანასკნელს უახლოეს პარალელებს უმთავრესად შიდაქართლური ვარიანტის გავრ-ცელების არეალზე ვხვდებით, მათ შორის ადრე-ყორდანული კულტურის მასალებშიც.

ჩაღარულ-ამობურცული რთული სპირალური ორნამენტით, ჭურჭლის ზოგი ფორმით ეს ძეგ-ლები გარევულ კავშირს მტკვარ-არაქსის კულტურის უფრო სამხრეთ რეგიონებთან ავ-ლენს.

სოფ. სათხეს B1 უბნის ვ შენობაში აღ-მოჩნდა ცალი მხრიდან დაბრტყელებული ბრინ-ჯაოს ოთხწახნაგა ისრისპირი წამახული ბო-ლოებით. შუაში იგი წახნაგორნად ფართოვდება (ტაბ. IV₆). ოთხწახნაგა, ოღონდ უფრო მასიური ისრისპირია ამაღლებაზეც (ტაბ. II₁₅). ოთხ-წახნაგა ისრისპირი ცნობილია ოზნიდან, ამი-რანისგორიდან, შენგავითიდან და სხვ. ამგვარი ისრისპირიც გვიანმტკვარ-არაქსული ეტაპისათ-ვისაა დამახასიათებელი [5, გვ. 106] და უჩვე-ნებს, რომ ლითონის იარაღითაც ჯავახეთის ეს ძეგლები ახლო დგას ამ კულტურის გვიანი ეტაპის ძეგლებთან. მოტანილი პარალელებით ამაღლება ძვ.წ. III ათასწ. შუა ხანებით უნდა დათარიღდეს. სამტოტაფურიანი ფრაგმენტის ქვაცხელა - ციხიაგორას ვ ფენასთან ანალო-გიებით ასევე უნდა განისაზღვროს სოფ. სათხეს B1 უბნის თარიღიც, რასაც მხარს უჭერს მსხლისებრი ჭურჭლის მსგავსება მარტყოფულ ნაწარმთან. ამავე დროისაა აღბათ A2 და A3 უბნის მასალაც, თუმცა მისი სიმცირე ამის მტკიცების საშუალებას არ იძლევა.

შედარებითი ანალიზით მიღებული დათარი-ღება მთლიანად შეესაბამება არიზონის უნივერ-სიტეტის რადიოკარბონულ თარიღებს: 4380+/-45; 4500±60; 4445±60; [11, გვ. 28, 29]. არსე-ბული მონაცემებით შეიძლება ითქვას, რომ ძვ.წ. III ათასწ. შუა ხანებისათვის სოფ. სათხეს ტე-რიტორიაზე ფუნქციონირებდა საკმაოდ მას-შტაბური, ტერასულად ნაგები ნამოსახლარი, რომელსაც ეკავა ნალისებრი ფორმის მთის თხემი და კალთები.

* * *

1993 წელს ბარალეთის ამაღლებაზე ჩატა-რებული სადაზვერვო სამუშაოების შემდეგ სა-ჭიროდ ჩაითვალა ამ ძალზე საინტერესო ძეგ-ლის ტოპოგრაფიული გეგმის შედგენა. ძეგლზე გეოდეზიური სამუშაოების ჩატარება მხოლოდ 1995 წლის შემოდგომაზე გახდა შესაძლებელი

ამერიკაში ქართული ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით.⁵

З. К. Кикодзе, Ф. Л. Колъ, Г. М. Миндия-швили, А. З. Орджоникидзе

РАННЕБРОНЗОВЫЕ АРХЕОЛОГИ-ЧЕСКИЕ МАТЕРИАЛЫ ИЗ ЮЖНОЙ ГРУЗИИ (резюме)

В 1993 году совместная грузино-американская археологическая экспедиция продолжила полевые исследования на высокогорном Джавахетском плато, на поселениях сел. Баралети, Ахалкалакского района и сел. Сатхе, Ниноцминдского района. Предварительный отчет раскопок уже опубликован [11]. Однако в нем археологический материал рассмотрен слишком поверхностно и требует дальнейшей доработки. Этот материал состоит из керамики, а также каменных и металлических изделий. Керамика обоих поселений представлена в основном фрагментами разных сосудов куро-аракской культуры. Некоторые из них украшены шишечками, рельефными спиральями, выпукло-вогнутым, желобчатым и др. орнаментом. Остальные глиняные изделия - это фрагменты круглых очагов переносного типа, дисковидных крышек, формы для отливки топора (?). Каменные орудия представлены ладьевидными зернотерками, ступками, кремневыми вкладышами серпов. Металлический инвентарь представлен бронзовыми наконечниками стрел.

Археологические материалы этих поселений находят близкие аналогии в основном на памятниках Восточной Грузии, относящихся к поздней стадии куро-аракской культуры и периоду ранних курганов. Это дает возможность датировать их серединой III тыс. до н.э., что вполне совпадает с радиокарбонной датировкой Аризонского университета [11].

* * *

В 1993 году, после проведения разведывательных работ на поселении Амаглеба сел. Баралети сочли необходимым создать топоплан этого очень интересного памятника. Однако,

⁵ განსაკუთრებული მაღლიერებით გვინდა აღვნიშ-ნოთ ამ ასოციაციის პრეზიდენტის ქალბატონ ელი-ზაბეტ ზალდისტანი-ნაბირის დიდი თაბადგომა

геодезические работы стали возможным только осенью 1995 года при финансовой поддержке грузинской ассоциации Америки.⁶

**Z. Kikodze, Ph. Kohl, G. Mindiashvili,
A. Ordjonikidze**

ARCHAEOLOGICAL MATERIAL OF EARLY BRONZE AGE FROM SOUTH GEORGIA

(Summary)

In 1993 the joint Georgian-US Archaeological Expedition continued field investigations on the alpine Javakheti plateau. Excavations were carried out on the settlement sites of the villages of Baraletis Amaghleba, Akhalkalaki dist. and Satkhe, Ninotsminda dist. A preliminary report on the excavations has been published [11]. However, unfortunately, the archaeological materials are treated in it rather superficially. They consist of pottery as well as stone and metal items. The pottery of both settlements is represented by fragments of various vessels of the Kura-Araxes culture. Some are decorated with bosses, relief spirals, convex-concave, grooved, etc. ornaments. Fragments of moulds of casting axes (?), discoid lids and round portable hearths are also met. Stone tools are represented by boat-shaped querns, mortars, flint insets of sickles, etc., and metal items by bronze arrowheads.

This archaeological material finds analogies largely with that of Eastern Georgia, belonging to the late Kura-Araxes culture and the period of the early barrow burials. This allows us to date these settlements to the middle of the 3rd millennium B.C., fully coinciding with the radiocarbon dating of Arizona University [11].

In 1993, after the exploration of the Baraleti settlement site of v. Amaghleba it was considered necessary to draw a topographical plan of this very interesting site. Only in 1995 did it prove feasible to carry out this geodetic work with the financial support of the Georgian Association of America.⁷

⁶ Хочется особо отметить большую помощь президента Грузинской ассоциации в Америке Госпожи Елизабет Залдастани-Напиер.

⁷ We wish especially to acknowledge the generous assistance of Mrs. Elizabeth Zaldastani Napier, President of the Georgian Association of America.

ლიტერატურა

1. გიგიძე ი. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, თბ., 1972.
2. მახარაძე ზ. ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი, თბ., 1994.
3. ორჯონიგიძე ა. სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში, თბ., 1983.
4. ორჯონიგიძე ა. ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი დიგაშენი I, ძიებანი, № 1, თბ., 1998, გვ. 15-22.
5. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1992.
6. ჯავახიშვილი ალ., ღლონტი ლ. ურბისი, I, თბ., 1962.
7. ჯაფარიძე ო., ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976.
8. ჩუბინიშვილი ტ., ამირანის გორა, თბ., 1963.
9. გლოთი ლ. ი., ჯავახიშვილი ა. ი., Новые данные о многослойном памятнике эпохи энеолита-поздней бронзы в Шида Картли - Бериклдееби, КСИА, 192, 1987, с. 80-87.
10. რამიშვილი ა. თ. Раскопки в Хашурском районе в 1984-86 гг., ПАИ, 1986 (1991), с. 22-25.
11. Isaac B., Kikodze Z., Kohl P., Mindiashvili G., Ordzhonikidze A. and White G. Archaeological investigations in Southern Georgia, 1993, Iran, 32, 1994, p. 22-29.

ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I - საქართველო-აშშ-ს არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილი ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები: სოფ. ბარალეთი, ნამოსახლარი ამაღლება. ტოპოგრეგა.
- ტაბ. II - სოფ. ბარალეთი, ნამოსახლარი ამაღლება, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. 5 - ცულის (?) ყალიბი, 10 - თიხის დისკოსებრი სარქველები, 13 - მრგვალი, შუაგულამოღებული კერის ფრაგმენტი, 14 - ნალისებრი ზესაღგარი (ზედაპირული აღმოჩენა), 15 - ბრინჯაოს ოთხწახნაგა ისრისპირი.
- ტაბ. III - სოფ. სათხე, A2 (1-6, 10, 11), A3 (7-9, 12) და B1 (13-21) უბნებზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის, დისკოსებრი სარქველების (3-4) და მრგვალი, შუაგულამოღებული კერის (22) ფრაგმენტები. ქვის იარაღები (19).

ტაბ. IV - სოფ. სათხე, B1 უბანი, 1 - თიხის ცხვრის ფიგურები, 2 - ქვის იარაღები, 3, 4, 8, 13 - კერამიკა, 5 - კვირისტავები, 6 - ბრინჯაოს ისრისპირი, 7 - კაჟის ნამგლის ჩასართები.

ტაბ. V - სოფ. სათხე, B1 უბანი, D შენობა, 1 - თიხის კათხა, 2-3 - თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, 4 - თიხის კოჭისებრი სადგარი, 5-6 - თიხის მსხლისებრი ფორმის ჭურჭელი.

Описание таблиц

Табл. I - Расположение памятников раннебронзовой культуры, раскопанных грузино-американской археологической экспедицией. Село Баралети. Поселение Амаглеба. Топоплан.

Табл. II - Село Баралети, поселение Амаглеба, фрагменты глиняных сосудов, 5- глиняная форма для отливки топора (?), 10 - фрагменты дисковидных крышек, 13 - фрагменты переносного очага, 14 - подковообразная подставка (случайная находка), 15 - бронзовый наконечник стрелы.

Табл. III - Село Сатхе, фрагменты глиняной посуды и круглого переносного очага (22) с участков A2 (1-6, 10, 11), A3 (7-9, 12) и B1 (13-21), каменные орудия (19).

Табл. IV - Село Сатхе, участок B1, 1- глиняные фигурки овец, 2 - каменное орудие, 3, 4, 8-13 фрагменты

глиняных сосудов, 5 - прядлица, 6 - бронзовый наконечник стрелы, 7 - кремневые вкладышы серпа.

Табл. V - Село Сатхе, участок B1, помещение D, 1- глиняная кружка, 2-3 - фрагменты глиняной посуды, 4 - катушкообразная подставка, 5-6 - грушевидные сосуды.

Description of Plates


Pl. I - The layout of the Early Bronze culture sites excavated by the US-Georgian archaeological expedition. Village of Baraleti, Amagleba settlement site. Topographical plan.

Pl. II - Amagleba settlement site, v. Baraleti. Fragments of clay vessels. 5 - clay mould for casting an axe (?), fragments of disk-like lids, 13 - fragments of a portable hearth, 14 - horseshoe-shaped support (accidental find), 15 - bronze arrowhead.


Pl. III - Village of Satkhe. Fragments of clay vessels and a round portable hearth (22) from trenches A2 (1-6, 10, 11), A3 (7-9, 12) and B1, stone tools (19).


Pl. IV - Village of Satkhe, trench B1, 1 - clay figurines of sheep, 2 - stone tools, 3, 4, 8-13 - fragments of clay vessels, 5 - whorl, 6 - bronze arrowhead, 7 - stone inserts of a sickle.

Pl. V - Village of Satkhe, plot B1, space D, 1 - earthenware mug, 2-3 - fragments of a clay vessel, 4 - reel-shaped support, 5-6 - pyriform vessels.








გაბ. II





გაბ. IV





გიგი ინანიშვილი, შოთა ჩართოლანი, ბესარიონ მაისურაძე, გელა გობეჯიშვილი, ჭოებურაზ მუჯირი

საქართველოს უძგინესი სამთამადნო ტარმობის ქანკი

სამთამადნო საქმის ისტორიისადმი ინტერესი სათავეს იღებს უძველესი დროიდან. ის აქტუალობას არ კარგავს თანამედროვე სამთო-მეტალურგიული წარმოების შესწავლის თვალ-საზრისითაც. აღნიშნულ პრობლემას მიეძღვნა არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომი, სადაც განხილულია უძველესი სამთამადნო საქმისა და მეტალურგიის ისტორიული განვითარების ძირითადი საკითხები.

წინაისტორიული ხანის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში უდიდესი როლი ითამაშა სპილენბ-ბრინჯაოს მეტალურგიის ჩასახვა-განვითარებამ, რომლის მნიშვნელოვანი მიღწევები თავის შხრივ დამოკიდებული იყო სამთამადნო საქმის, მეტალურგიისა და ლითონდამუშავების დაწინაურებაზე და მოითხოვდა დიფერენცირებულ პროცესიულ ხელოსნურ წარმოებას.

ამიერკავკასიის ძველი სამთამადნო და მეტალურგიული ძეგლების შესწავლის ინტერესი ჩნდება ჯერ კიდევ XIX ს. მეორე ნახევარში. ამ პერიოდში ჩატარებული საკვლევაძიებო სამუშაოები სპორადულ ხასიათს ატარებს და მოიცავს მცირე მოცულობის მეცნიერულ ინფორმაციას. XX ს. 20-იანი წლებიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა წარმოაჩინა საინტერესო მასალები სამთამადნო წარმოების ძეგლების შესწავლისათვის. მომდევნო წლებში განსაკუთრებული მეცნიერული შესწავლის ობიექტი ხდება ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ნაწილში განლაგებული სამთამადნო წარმოების ძეგლები [9; 11; 12; 15]. მათი გამოკვლევის პრობლემა დღითიდღე აქტუალური ხდება. ძეგლების ისტორიულ-ტექნოლოგიური ანალიზი კომპლექსურ ხასიათს იღებს, ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა სპეციალისტების მონაწილეობით [4; 5; 6; 10; 13].

სამთო-მეტალურგიული წარმოების ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, ამიერკავკასია ექცევა მსოფლიოს უძველეს სამთამადნო და მეტალურგიულ ცნობილ ცენტრებს შორის, სადაც ძვ.წ. IV ათასწ. არსებობდა ტექნიკური აზრის განვითარების შესაბამისი დონე და ბუნებრივი პირობები.

ამიერკავკასიის ისტორიაში სამთო-მეტალურგიული წარმოების ჩასახვა-განვითარების ისტორიული სქემის წარმოდგენისათვის განვიხილავთ აქ არსებული მეტალოგენური სისტემის გეოგრაფიულ-გეოლოგიურ და გეოქიმიურ მონაცემებს, რომლებიც განაპირობებენ ადგილობრივი წარმოების განვითარების პერსპექტივებს, სადაც სპილენბის, ანთიმონის, დარი-

შხანისა და პოლიმეტალების მაღანგამოსავლები უძველესი დროიდან წარმოადგენენ დამუშავების ობიექტებს. ისინი მოიცავენ სხვადასხვა სიმძლავრის საბადოებს და გამოირჩევან გენეტიკური მრავალფეროვნებით. საბადოთა შემადგენელი მინერალები ხასიათდებიან წარმოებისათვის აუცილებელი ელემენტების მაღალი პროცესებისათვის საჭირო ოპტიმალური მახასიათებლებით [14]. საქართველოს ტერიტორია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ექცევა ამიერკავკასიის მინერალური რესურსების გავრცელების ძირითად ზონაში (ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი ზოლი და მცირე კავკასიონის დიდი ნაწილი).

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ცენტრალური კავკასიონის ქედის სამხრეთ ნაწილს, რომელიც ისტორიულად წარმოადგენს უძველესი სამთო-მეტალურგიული წარმოების კერების გავრცელების ძირითად რეგიონს. აღნიშნული კერები გეოგრაფიულ-გეოლოგიური, ისტორიულ-გეოლოგიური ლოკალიზაციით და ისტორიულ-მეტალურგიული თავისებურებებით თავსდება ამიერკავკასიის სამთამადნო სისტემის სხვადასხვა რეგიონში. მათი ძირითადი ნაწილი წარმოადგენილია სულფიდური სპილენბის მაღანების სახით. ერთიან გეოგრაფიული გავრცელების ზოლში ექცევა სპილენბის გამაღნებათა სისტემის აფხაზეთის, სვანეთის და რაჭის ობიექტები, რომლებიც კავკასიონის ქედის დასავლეთი ნაწილიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ვრცელდება ცალკეული გამაღნებათა ჯვარულების სახით.

აფხაზეთის მთიანეთში, მდ. კოდორის ზემო წელის და მისი შენაკადების სათავეების ზონის გათვალისწინებით, სპილენბის გამაღნებათა სისტემა ვრცელდება 25 კმ-ის მანძილზე, რამდენიმე ასეული მეტრის სიმძლავრის მაღანგამოსავლებით. ძირითად მინერალებს წარმოადგენს პიროტინი, პირიტი, ხალკოპირიტი და გალენიტი. სპილენბის შემცველობა საშუალოდ 0,5-1,2 %-ია. მინარევის სახით გვზედება - ტყვა და კობალტი. მაღანის ძარღვებში სპილენბის შემცველობა 1,0-12,0 %-ია.

ჩხალთის გეოლოგიური პარტიის დაზვერვითი სამუშაოებისას, მდ. ბზიფის ხეობაში დაფიქ-სირებულმა მიწისქვეშა სიცარიელეებმა, რომლებიც დაგავშირებული იყო ძველ სამთამადნო ძეგლებთან, დასაბამი მისცა აქ სპეციალური დანიშნულების არქეოლოგიურ სამუშაოებს. მდ. ბზიფისა და კოდორის ზემო დინებაში დაზვერვებით გამოვლენილ იქნა ოცამდე ძველი მაღარო-გამონამუშევრარი, რომლებიც მდებარეობენ ზღვის დონიდან 1800 - 2000 მ

სიმაღლეზე. ობიექტები კონცენტრირებულია სპილენძის მადნის ძლიერ გამოსასავლებზე [16, გვ. 121]. მაღაროგამონამუშევრები ორი ტიპისაა: დახურული და ღია. მათი ერთი ნაწილი დაფარულია ფუჭი ქანით.

აფხაზეთის სპილენძის გამაღნების ზონაში, ძველი საინჟინრო - ტექნოლოგიური სპეციალიზაციის გადაწყვეტის საინტერესო ინფორმაციის შემცველია ბაშკაცარას სპილენძის მაღანგამოსავლებზე მიკვლეული როული კონსტრუქციის მქონე მაღარო. იგი შედგება ორი იარუსისაგან, რომელიც მისდევს მადნის ძარღვს და განიკვეთში ღებულობს მინერალის გავრცელების მოცულობის ფორმას. აქ ერთ-ერთი ჰორიზონტალური შესასვლელი ბაქანი (ლიობის განივკვეთით $2,0 \times 3,5$ მ, მღვიმის ზომებით $43,0 \times 1,2 \times 1,4$ მ), საბადოს დამუშავების შესაძლო ტექნიკური შესაძლებლობების განხორციელების ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს. მაღაროს კედლებში სხვადასხვა დონეზე, მადნის ძარღვის გავრცელების მიმართულებით, ცვალებადი ზომების ერდო-ხვრელება შეჭრილი. იატაკი დაფარულია ფუჭი ქანით. ფუჭი ქანის გადანაყარი დასტურდება აგრეთვე მაღაროს გარეთ, მის სიახლოვეს და ცენტრალური შესასვლელის ქვედა ნაწილში. აფხაზეთის ზონის სამთამადნო წარმოების სისტემაში ჩართულია ღია კარიერები, რომლებიც რამდენიმე ობიექტზეა მიკვლეული (შხაბზია, ბაშკაცარა, ტვიბრაშერა) [7, გვ. 124-125]. ღიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი მადნის მოპოვება-გადამუშავებასთან დაკავშირებული წარმოების ნაშთები (ქვის უროები, მადნის კონგლომერატი) [2, გვ. 106]. სულ ბზიფისა და კოდორის ხეობაში დადასტურებულია ორ ათეულამდე სპილენძის მაღაროგამონამუშევარი. აღნიშული სამთამადნო წარმოების ძეგლები თარიღდება ძვ.წ. II-I ათასწლეულებით.

აფხაზეთის რეგიონში სამთამადნო წარმოების ძეგლების არქეოლოგიური შესწავლის დროს მოპოვებულია მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე ნივთიერი მასალა: ქვის უროები, ფუჭი ქანის გადანაყარი, წილები, ხის ნახშირი და სხვა. ქვის იარაღები დამზადებულია საგანგებოდ შერჩეული მკვრივი ქანისაგან (გრანიტი, ღიაბაზი, გაბროდიაბაზი). გამოირჩევა სხვადასხვა ზომის და წონის, განსხვავებული მოყვანილობისა და ფორმის იარაღი. მაღაროებში აღმოჩენილი მასალებისაგან ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ხის გობები, ვერტიკალური სამაგრი ძელები და ნახშირი.

სვანეთის რეგიონის სპილენძის გამაღნებათა ჯგუფში ექცევა მდ. ენგურისა და მდ. ცხენის-წყლის სათავეების გეოგრაფიული სივრცე. ძირითადი მაღნეული მნიშვნელებია პიროტინი, ხალკოპირიტი, გალენიტი. სპილენძის საშუალო ქიმიური შედეგებილობა $0,45 - 2,4$ %-ია. მინარევი ელემენტებია კობალტი და ნიკელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯალადის მაღანგამოსავლები (მესტიიდან 10-12 კმ-ის დაშორებით).

ბით). საბადოს გეოქიმიური მონაცემებით ფიქ-სირდება $0,5 - 2,0$ % სპილენძის შემცველობა, კობალტის და ტუფის მინარევებით.

აფხაზეთის სამთამადნო წარმოების ძეგლების გაგრძელებას აღმოსავლეთის მიმართულებით წარმოადგენს სვანეთის რეგიონის სამთო-მეტალურგიული კომპლექსი.

სვანეთის ტერიტორიაზე უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლების არსებობის შესახებ ცნობილი გახდა XX საუკ. 70-იანი წლებიდან. მიკვლეული იქნა ზარგაშის და ლაფურის მაღანგამოსავლებთან არსებული გამონამუშევრები⁸. სამთამადნო წარმოების ძეგლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. ზარგაშიდან 1,5 კმ დაშორებული და დაბა მესტიიდან 5 კმ-ის მანძილზე არსებული დახურული ტიპის მაღაროგამონამუშევრები, რომლებიც გავრცელებულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ძეგლები მდებარეობენ ზღვის დონიდან 2000 მ-ის სიმაღლეზე. მათგან კომპლექსურად შესწავლილია ზარგაშის № 1 და № 2 მაღაროგამონამუშევარი (ტაბ. I).

№ 1 მაღაროს შესასვლელი შვეულ კლდეშია გაჭრილი ($2,2 \times 2,5$ მ) პირველი დარბაზის შემდეგ, 12 მ-ის სიგრძეზე მაღარო ორ ტოტად (A ტოტის სიგანე - 0,8-1 მ; B ტოტის სიგანე - 0,7 მ) იყოფა. მეორე დარბაზს (სიგრძე - 5,7 მ; სიგანე - 6 მ; სიმაღლე - 4,3 მ) ჩრდილოეთის მხარეს აქვს ასევე ორი ტოტი (C ტოტის სიგრძე - 2,5 მ, სიმაღლე - 0,7 მ; D ტოტის სიგრძე - 9 მ; სიმაღლე - 0,8 მ), მესამე დარბაზი მეორესაგან 1,5 მ-ით არის დაშორებული, შემდეგ არის მეოთხე დარბაზი. დარბაზში ჭერის გასამაგრებლად დატოვებულია კლდის მასივის ორი სვეტი. მესამე დარბაზის გვერდების გასამაგრებლად ამოშენებულია ქვის კედლები. № 2 მაღარო მდებარეობს № 1 მაღაროდან 25 მ-ის დაშორებით.

№ 2 მაღარო შედარებით ღრმა და როული კონსტრუქციის ნაგებობას წარმოადგენს - აქვს სამი ტოტი, ერთი შტრეკი, ერთი ერდო, ორი სავეტითადი ხვრელი და ხუთი დარბაზი გააჩნია (№ 2 მაღაროს საერთო სიგრძე 132 მეტრია) [16, გვ. 125-127].

№ 2 მაღაროს პირველ დარბაზში აღმოჩენილია ჭერის გასამაგრებლი ხის საყრდენები და ხის გობის ფრაგმენტები. ზარგაშის სამთამადნო ძეგლებზე დაცულია სამუშაო ციკლოთან დაკავშირებული იარაღები: ღიდი რაოდენობით ქვის უროები, ჩაქუჩები და სხვა. მაღარო გამონამუშევრების კამერის იატაკზე აღმოჩენილია ხის ძელები, ხის გობის ფრაგმენტები და ნახშირი. ქვის იარაღი იმეორებს აფხაზეთის

⁸ მდ. ენგურისა და მდ. ცხენისწყლის ხეობაში, სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მიკვლეულია სპილენძის მადნის მოპოვება-დამუშავებასთან დაკავშირებული რამდენიმე მაღარო.

რეგიონის მაღაროგამონამუშევრებში აღმოჩენილ ამ ტიპის იარაღის ფორმებს.

სკანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძეგლები ამჟღავნებენ სამთამადნო წარმოებაში გამოყენებულ ტექნიკა-ტექნოლოგიური შესაძლებლობების ათვისების სხვადასხვა ეტაპს, ლია კარიერების მარტივი ფორმებიდან მიწისქვეშა რთული სქემის გვირაბების ჩათვლით. ძეგლებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის, რადიოკარბონული მეთოდით დათარიღებული ნიმუშების შედეგებით და მაღაროგამონამუშევრების კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური სქემების მიხედვით, სკანეთის სამთო-მეტალურგიული წარმოების კომპლექსი დათარიღებულია ძვ.წ. II ათასწ. დასაწყისიდან ძვ.წ. I ათასწ. შუახანებით.

მთიანი რაჭის სპილენძის გამადნების ჯგუფი განლაგებულია მდ. რიონის, ჩვეშურის, ზოფხითურის სათავეებში, სპილენძ-პიროტინების ძლიერად განვითარებულ ზოლში. დამახასიათებელი მინერალებია პირიტი, პიროტინი და ხალკოპირიტი. სპილენძის შემცველობა საშუალოდ 0,5-1,9 %-ია. მთიანი რაჭის მეტალურგენურ სისტემაში სპილენძის საბალოებთან ერთად ცნობილია დარიშხანის და ანთიმონის ძლიერი მადანგამოსავლები, რომლებიც მუშავდებოდა ბრინჯაოს ხანაში და მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ ბაზას წარმოადგენდა დარიშხნიანი და ანთიმონიანი ბრინჯაოს წარმოებისათვის.

ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი კალთების სპილენძ-პიროტინის გამადნების ზოლში, განლაგებული სამთო-მეტალურგიული კომპლექსებიდან, თავისი სიმძლავრით ერთ-ერთი უდიდესია მთიანი რაჭის სამთამადნო კერა. ის უშუალოდ უკაშირდება რეგიონის არქეოლოგიურ ძეგლებს. სამთამადნო წარმოების ძეგლები განლაგებულია მდ. რიონის და მისი შენაკადების - ჩვეშოს და ზოფხითურის ზემო წელზე, ხეობათა მაღალმთიან ზოლში, ზღვის დონიდან 1800-2500 მ სიმაღლეზე. გამოვლენილი ობიექტებიდან განსაკუთრებული მეცნიერული ღირებულებისაა სპილენძის, ანთიმონის, დარიშხანის მაღარო-გამონამუშევრების შესწავლის შედეგები. ძეგლებზე მაღნის მოპოვება დასტურდება როგორც მიწისზედა, ისე მიწისქვეშა დამუშავებით. მაღაროთა გაყვანის წესის, დანიშნულების, კონსტრუქციების და ექსპლოატაციის მოცულობის გათვალისწინებით გამოიყო გამონამუშევართა ტიპები, მარტივი ღია ორმოლრმულებიდან დაწყებული, დამთავრებული რთული მრავალსართულიანი გვირაბების სისტემით [1, გვ. 441-442].

სპილენძის მაღნის უძველესი მაღაროები განლაგებულია სოფ. გონასთან, მდ. ჩვეშურის ხეობაში. ისინი ლოკალიზდებიან ჭყორნალიანის, ნაბოსლების, ჩვეშოს, წყაროსფარის ობიექტებზე, რომლებიც ქმნიან სპილენძ-პიროტინის საბალოთა განვითარების ჩვეშურის ჯგუფს. წარმოდგენილია პირიტის, პიროტინის და ხალკოპირიტის ძარღვების სახით, მაღნის ბუდობრივი და ლინზისებური გავრცელებით

(სიმძლავრე - 0,7 - 1,3 მ; ცალკეულ შემთხვევებში 8 მ აღწევს, ვარდნის კუთხე 45-80 %, გამადნების სიღრმე 100-450 მ). სპილენძის შემცველობა მაღნის საშუალოდ 0,7 - 3,3 %-ია, მაღნის ძარღვებში 10-14 % აღწევს. საბალოები გეოქიმიური მონაცემებით ერთტიპიურია, მინარევის სახით განვდება კობალტი (0,02%-0,54%).

მთიანი რაჭის რეგიონის ანთიმონის საბალოებზე მიკვლეულია და შესწავლილია 20 ობიექტი. ბევრ მათგანზე დაფიქსირებულია უძველესი სამთამადნო წარმოების ნიმუშები. ძეგლის უდიდესი ნაწილი განლაგებულია ზოფხითოს, საგების და ხვარბახეთის ანთიმონის გამადნებათა სისტემაში. აღნიშნულ ობიექტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ზოფხითოს საბალო, რომელიც მდებარეობს მდ. ზოფხითურის (მდ. რიონის შესართავი) ზემო წელზე, ზღვის დონიდან 2300-2800 მ სიმაღლეზე. საბალო შედგება ძირითადად კვარც-ანთიმონის ძარღვისაგან (მისი პარამეტრებია: გავრცელების სიგრძე - 150-500 მ; სიმძლავრე - 0,4-3,0 მ; ვარდნის კუთხე 15-50 %). საბალო ძირითადად შეიცავს ანთიმონს, მინარევი ელემენტია დარიშხანი (არსენოპირიტი). დარიშხანის შემცველობა საშუალოდ 0,7-2,0 %-ია.

სიმძლავრით მეორე მნიშვნელობის საგების ანთიმონის საბალო განლაგებულია მდ. ზოფხითურის ხეობაში, მარცხენა ფერდობზე. ის წარმოდგენილია ლინზის ფორმის ანთიმონიტის ძარღვებით (პარამეტრებით: სიმძლავრე - 1,0 მ; ვარდნის კუთხე 30-50 %).

ძეგლ წარმოებასთან დაკავშირებული ნაშთებით საინტერესოა ხვარბახეთის ანთიმონის საბალო, რომელიც მდებარეობს სოფ. გონასთან მდ. ჩვეშურის ხეობაში, ზღვის დონიდან 2200-2500 მ სიმაღლეზე. საბალო შედგება რამდენიმე მდიდარი ძარღვისაგან, ტიპიური ლინზის ფორმის გავრცელებით (პარამეტრებით: გავრცელების სიგრძე - 850 მ; სიმძლავრე - 0,2-1,0 მ; ვარდნის კუთხე 20-45 %). საბალო მდიდარია ანთიმონით, მინარევის სახით შეიცავს დარიშხანს (არსენოპირიტი). ხვარბახეთის ანთიმონის საბალო მინერალური შედგენილობით ზოფხითოს საბალოს ანალოგიურია (ტაბ. II).

მთიანი რაჭის რეგიონში ცნობილია დარიშხანის 14 საბალო. ძარღვები წარმოდგენილია რეალგარული პიგმენტით. საბალოები განლაგებულია სოფ. ღებიდან 10-15 კმ-ის რადიუსში. მათ შორის დიდი სიმძლავრით გამოირჩევა ლუხუნის, კოდისძირის და კირტიშოს საბალოები, რომლებიც განლაგებულია ზღვის დონიდან 2200-2500 მ სიმაღლეზე. მათი გამადნების სიმძლავრე შედგება რამდენიმე ძარღვისაგან, ხასიათდებიან ერთგვაროვანი მონაცემებით (პარამეტრები: გავრცელების სიგრძე - 4-10 კმ; სიმძლავრე - 5-10 მ). წარმოდგენილია რეალგარი, აურიპიგმენტი და არსენოპირიტი. დარიშხანის საშუალო შემცველობა 0,5-30 %-ია, მდიდარი ძარღვების კი 25-47 % აღწევს.

სპილენძის, ანთიმონის და დარიშხანის საბა-
დოთა სისტემაში მიკვლეული უძველესი მაღა-
რობის ტოპოგრაფიული გეგმა-ჭრილებიდან,
მათი კონსტრუქციული მონაცემების გათვალის-
წინებით, ირკვევა, რომ გამოყენებული ყოფილა
როგორც ჰორიზონტალური, ისე დასრიდი და
ვერტიკალური ტიპის გაყვანილობები. ძირითადი
კვეთების რაციონალური ფორმები და ზუსტი
გაბარიტული პროპორციები კარგად შეესაბამება
თანამედროვე სამთო გაყვანილობათა სქემებს და
საექსპლოტაციო მონაცემებს. მიწისქვეშა გა-
ყვანილობის მთელი სისტემა ითვალისწინებს
ხელოვნურ და ბუნებრივ გამაგრებათა
პრინციპებს და უზრუნველყოფს ვენტილაციას.

არქეოლოგიური გათხრებით მთიანი რაჭის
სამთამადნო წარმოების ძეგლებზე მიკვლეულია
დიდი რაოდენობით ქვის იარაღები (უროები,
სახეხები, როდინები), ხის მასალა (გობები,
მაღაროს კედლების გასამაგრებელი ვერტიკა-
ლური ძეგლები), ნახშირი, ფუჭი ქანის გადანა-
ყარი. მაღაროთა კედლებზე შემორჩენილია
მაღნის მონგრევასთან დაკავშირებული ლითო-
ნის სამუშაო იარაღის კვალი. ქვის იარაღი
თავისი ფორმით და დანიშნულებით აფხაზეთის
და სვანეთის რეგიონში აღმოჩენილი ტიპიური
იარაღის ანალოგიურია (ტაბ. III).

კავკასიონის ქედის უკიდურეს აღმოსავლეთ
ნაწილში ვრცელდება სპილენძის გამაღნების
სისტემის კახეთის ჯგუფი. მადანგამოსავლები
ექცევა მდ. ალაზნის და მისი შენაკადების
სტორის, დიდხევის, ჩელთის, ქაბალის
სათავეების გეოგრაფიულ ზონაში. ამ ჯგუფის
სპილენძგამაღნებათა სისტემიდან ყველაზე
ძლიერია ართანის საბადო (მდ. დიდხევის ზემო
დინება). მინერალებიდან გავრცელებულია პირო-
ტინი, პირიტი, ხალკოპირიტი, სფალერიტი,
გალენიტი. სპილენძი გვხვდება ყველა ტიპის
საბადოში საშუალო 0,5-2,0 % შემცველობით.
სპილენძის ძარღვში მისი შემცველობა 10-14 %
აღწევს.

კახეთის მთიან ზოლში ჩატარებულია კომ-
პლექსური დაზვერვითი სამუშაოები [16],
შესწავლილია გეოლოგიურად ცნობილი სპი-
ლენძის გამაღნებათა დიდი ნაწილი. თანა-
მედროვე საძირებო მაღაროთა სისტემაში გამოვ-
ლინდა რამდენიმე ძველი მაღაროგამონამუ-
შევარი, რომლებიც გარეგნული ფორმით, მაღა-
როთა სავარაუდო ზომებით და გაყვანილობის
კონსტრუქციით ცნობილი ძველი სამთო-
მეტალურგიული კომპლექსების ტიპიურია.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი სამ-
თამადნო და მეტალურგიული წარმოების გან-


ვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნედლეულის
ბაზას წარმოადგენს მცირე კავკასიონის მთიანე-
თის ზონაში განლაგებული სპილენძის საბა-
დოები და პოლიმეტალური მაღნები. ამ რე-
გიონის სპილენძის გამაღნებათა სისტემაში უდის
რამდენიმე მაღნეულის ზონა, რომლებიც იყოფა
ცალკეულ მადანგამოსავლებად. ამ მიმართუ-
ლებით საინტერესოა აჭარის მადანგამოსავლე-
ბის ჯგუფი, რომელიც განლაგებულია მდ.
მერისის და მდ. აჭარისწყლის ხეობათა ზემო
ნაწილში. მინერალებიდან აღსანიშნავია პირიტ-
ხალკოპირიტები, სფალერიტი და გალენიტი.
მინარევების სახით შეიცავს ტყვიას და თუთიას,
სპილენძის შემცველობა მაღანში საშუალოდ
2,2 - 2,8 %-ია, მინარევები - ტყვია - 1,1 %,
თუთია - 0,8 %. სპილენძის მაღნის ძარღვების
გავრცელება 1300 მ აღწევს, სიმძლავრე - 0,5-
3,5 მ.

ტიპიური გეოგრაფიულ-გეოქიმიური მონაცე-
მებით ხასიათდება გურიის მაღნეულის ზონა,
რომელიც გავრცელებულია მდ. ნატანების და
მდ. ბაზვისწყლის სათავეების ზონაში, ზღვის
დონიდან 1500-2500 მ სიმაღლეზე. გამოვლენი-
ლია მადანგამოსავლები, ძირითადი მინერა-
ლებით, პირიტით, ხალკოპირიტით, სფალერი-
ტით და გალენიტით. მაღნეული მასა მოცე-
მულია ძირითადად ძარღვების სახით. სპი-
ლენძის შემცველობა მინერალებში 0,3-1,5 %-ია.

ზემოთ აღნიშნული ცენტრალური და მცირე
კავკასიონის სპილენძის გამაღნებათა სისტემაში
მოქცეული მადანგამონამუშევრები უკავშირდე-
ბიან ბრინჯაოს ხანის სამთამადნო-მეტალურ-
გიული წარმოების ძეგლებს.

მთიანი აფხაზეთის, სვანეთისა და რაჭის
უძველეს სამთო საქმესთან დაკავშირებული
ძეგლები შესწავლილია გეოლოგიის, სამთო
საქმის, მეტალურების, საინჟინირო ტექნიკის და
ქიმიის მეცნიერებათა მიღწევების გამოყენებით.
ცენტრალური კავკასიონის ძირითად სპილენძის
გამაღნებათა სისტემაში შესწავლილ მაღარო-
გამონამუშევრართა ტექნოლოგიური დახასიათება
მოცემულია ცხრილის სახით (ცხრილი № 1).

აფხაზეთის (ადანგეის სპილენძ-პოლიმეტა-
ლურ საბადოთა ჯგუფი) და რაჭის (ჩვეშურის სპილენძის საბადოთა ჯგუფი) სპილენძის
გამაღნებათა სისტემისათვის დამახასიათებელი
მაღნის ნიმუშების სპექტრული ანალიზის
შედეგები მოცემულია პისტოგრამების სახით
(ნახ. 1, პისტოგრამა).



ნახ. 1. ჩვეშურის და დანგების სპილენძის საბადოებში მინარევი ელემენტების კონცენტრაციული განაწილების ჰისტოგრამები (0 - არის; 1 - 0,0001 %; 2 - 0,001-0,01 %; 3 - 0,01-0,1 %; 4 - 0,1-1,0 %)

ცხრილი 1 ცენტრალური კავკასიონის სპილენძის საბადოთა გეოლოგიური დანასიათება

სამთამადნო რეგიონი	საბადო	სიმაღლე ზღვის დონიდან მ.	სიმძლავრე	ძირითადი ელემენტების შემცველობა %	მაღნის ძირითადი მინერალი
რაჭის მთაინეთი	ჩვეშურის სპილენძის საბადოს ჯგუფი ანთიმონის საბადოები 1. ზოფხითო 2. საგები 3. ხვარდასხეთი დარიშხანის საბადოები 1. კოდის-ძირი 2. ლუხუნი	1800-2200 2200-2800 2000-2500 2200-2600 2000-2200 2200-2300	0,7 - 1,8 5,0 - 8,0 ლინზით 0,4 - 1,0 2,5 - 3,0 0,5 - 1,0 0,3 - 0,8 5,0 - 10,0 6,0 - 7,0	0,7 - 3,3 2,5 - 5,0 < 35,0 მდიდარი -,- 2,3 - 6,3 6,5 - 7,0	ზალკოპირიტი ანთიმონიტი ანთიმონიტ-ფერბერიტი ანთიმონიტი რეალგარი-აურიბიგმენტი რეალგარი-არსენოპირიტი
სვანეთის ზონა	სპილენძის საბადოები 1. ზესხო 2. გული დარიშხანის საბადო 1. ცენი	2000 1800-2200 3000	1,0 - 2,0 0,6 - 1,7 4,5 - 5,0 ლინზით 0,6 - 1,8	0,5 - 2,8 0,3 - 6,0 1,0 - 8,0	ზალკოპირიტი ზალკოპირიტი არსენოპირიტი
აფხაზეთის მთაინეთი	ადანგების სპილენ-პოლიმეტალების საბადო კოდორის სპილენ-პოლიმეტალების საბადო	1800-2300 1900-2100	0,5 - 1,8 0,6 - 2,0	1,0 - 2,5 0,8 - 3,0	ზალკოპირიტი ზალკოპირიტი სფალერიტი

როგორც სპილენძის საბადოებში მინარევი ელემენტების კონცენტრაციული განაწილების პისტოგრამიდან ჩანს, რაჭის სპილენძის საბადოებში პრაქტიკულად არ შეინიშნება დარიშხანის, ანთიმონისა და კალის შემცველობა. სვანეთის სპილენძ-პოლიმეტალური საბადოებისათვის აღნიშნული ელემენტების შემცველობა შედარებით მეტია და იცვლება 0,01-0,1 %-მდე. აღნიშნული ელემენტების მინიმალური შემცველობა ამ ორი რეგიონის სპილენძის გამადნებათა სისტემაში დაბეჯითებით ადასტურებს მათ, როგორც ძველი ბრინჯაოს წარმოების ძირითადი მალევირებელი ელემენტის, გამოყენებას დამოუკიდებელი დარიშხნისა და ანთიმონის საბადოებიდან.

სამთამადნო წარმოების სისტემაში მადნის გამოლებისა და მისი შემდგომი დამუშავების პროცესების გამოყენების ფაქტიური მონაცემები დაფიქსირებულია შრომის იარაღებში. განსაკუთრებით ქვის უროების, ქვის სანაყების და სხვა ნიმუშების სახით. ქვის უროები, რომლებიც დიდი რაოდენობითა მოპოვებული, გამოირჩევან ფორმის, წონის, ზომების, მასალის და ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით. ქვის იარაღის პეტროგრაფიული გამოკვლევის შედეგებმა დაადასტურა მათში მკვრივი ქანების გამოყენების ფაქტი (დიაბაზი, გაბროდიაბაზი, დიორიტი), რომელთა მინერალური შედგენილობა და სტრუქტურული აღნაგობა ტიპიურია ამიერკავკასიაში გავრცელებული მაგარი ჯიშის ქანებისათვის.

რაჭისა და აფხაზეთის სამთამადნო წარმოების ძეგლებზე მოპოვებული ხის მასალის და ნახშირის ფენების რადიონახშირბადის (C^{14}) მეთოდით დათარიღების შედეგები მოცემულია ცხრილის სახით (ცხრილი 2).

აფხაზეთის, სვანეთისა და რაჭის გამადნებათა ზოლში გეოლოგიურად დადასტურებულია ადგილობრივი სპილენძის სულფიდური მადნების გავრცელების ერთიანი სისტემა, რომელიც ძვ.წ. III ათასწ. მიწურულიდან I ათასწლეულის შეა ხანებამდე გამოიყენებოდა ადგილობრივი სამთო-მეტალურგიული კომპლექსების ძირითად საწარმოო ნედლეულის ბაზად. ამასთან ერთად, ბრინჯაოს მეტალურგიის საწარმოო ციკლში მაქსიმალურად ჩართული იყო ადგილობრივი დარიშხნისა და ანთიმონის ნედლეულის საბადოები.

მაღაროგამონამუშევრების სტრუქტურულ-ფუნქციონალური და კონსტრუქციული ელემენტების გათვალისწინებით დადგენილია გამონამუშევრების ტიპები. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გვანბრინჯაოს ხანის ურთულესი კონსტრუქციისა და დიდი საწარმოო მაჩვენებლების მქონე მაღაროთა სისტემები, სართულიანი კამერებითა და ღია საწარმოო დერეფნებით, რომლებიც ძველი მსოფლიოს სამთო ტექნიკის უნიკალურ ძეგლებს წარმოადგენ.

ცხრილი 2

აფხაზეთისა და რაჭის მაღაროთა რადიოგარბონული (C^{14}) თარიღები

№	სამთამადნო რეგიონი	მოპოვებული ლითონი	მაღაროს №	ნიმუში	აბსოლუტური მნიშვნელობა	თარიღი ჩვ.წ. აღრიცხვამდე
რაჭა						
1.	ჭყორნალი	სპილენძი	ჭყ - 4	ТБ - 90	2880 ± 40	930
2.	„ „	„	„	ТБ - 91	2910 ± 45	960
3.	ზოფხითო	ანთიმონი	ზ - 3	ТБ - 255	2950 ± 40	1000
4.	„ „	„	ზ - 4	ТБ - 302	3200 ± 170	1250
5.	„ „	„	„	ТБ - 335	3120 ± 50	1170
6.	საგები	„	ბ - 1	ТБ - 310	3630 ± 50	1680
7.	„ „	„	„	ТБ - 334	3590 ± 60	1640
აფხაზეთი						
8.	ბაშკაცარა	სპილენძი	ბ - 2	ТБ - 304	3100 ± 70	1150
9.	„ „	„	ბ - 4	ЛЕ - 4196	3275 ± 200	1325
10.	„ „	„	„	ЛЕ - 4197	3050 ± 210	1100
11.	„ „	„	ბ - 3	ЛЕ - 4198	4080 ± 300	2130
12.	„ „	„	„	ЛЕ - 4199	4020 ± 280	2070

**Г. В. Инанишвили, Ш. Г. Чартолани,
В. Г. Маисурадзе, Г. Г. Гобеджишвили,
= Т.П. Муджири**

**ПАМЯТНИКИ ДРЕВНЕГО ГОРНО-
РУДНОГО ПРОИЗВОДСТВА ГРУЗИИ
(Резюме)**

На территории Грузии, высокогорной части южного склона Главного Кавказа (Абхазия, Сванети, Рача, Кахети) и Малого Кавказа (Аджара, Гурия), в системах распространения медных, мышьяковых, сурьмянных и полиметаллических руд, обнаружены и изучены памятники древнего горнорудного производства.

Геолого-геохимические данные рудных минералов, археологические, инженерно-технические и химико-технические исследования памятников, определяют высокий уровень технологических показателей местного горнорудно-металлургического производства в III-I тыс. до н.э.

**G. Inanishvili, Sh. Chartolani, B. Maisuradze,
G. Gobejishvili, † T. Mujiri**

**MONUMENTS OF ANCIENT MINING OF
GEORGIA
(Summary)**

On the territory of Georgia in the alpine part of the southern slope of the Greater Caucasus (Abkhazia, Svaneti, Racha, Kakheti) and the Lesser Caucasus (Achara, Guria) remains of ancient mining have been discovered in the systems of distribution of copper, arsenic, stibium and polymetallic ores and studied. Geological and geochemical data of ore minerals, archaeological, engineering and chemical and technical investigations of the remains point to a high level of the technological indices of local mining and metallurgical production in the 3rd-1st millennia B.C.

ლიტერატურა

1. გობეჯიშვილი გ., მუჯირი თ., ინანიშვილი გ., მაისურაძე ბ. მთაბი რაჭის უძველესი ბრინჯაოს წარმოების ისტორიისათვის, სმამ, 111, № 2, 1983, გვ. 441-442.

2. კალანდაძე ა. სოხუმის მთის არქეოლოგიური გათხრები, სოხუმი, 1964.

3. მაისურაძე ბ., ინანიშვილი გ. ბრინჯაოს წარმოების ძეგლები კახეთის სპილენზე გამაღნების ზოლში, მაცნე. ისტორიის... სერია, № 3, 1984, გვ. 86-89.

4. ჩართოლანი შ., მუჯირი თ., გობეჯიშვილი გ. სამთამადნო წარმოების უძველესი ძეგლები მდ. ენგურის, ცხენისწყლისა და რიონის სათავეებში, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „სვანეთის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა და მისი გადარჩენის პრობლემები“. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1996, გვ. 21-23.

5. ჩართოლანი შ. სპილენზის ძველი სამთამადნო გამონამუშევრები მდ. ბზიფისა და კოდორის სათავეებში, - არქეოლოგიური კვლევა-დიება საქართველოში 1969, თბ., 1971, გვ. 49-60.

6. ჩართოლანი შ., მუჯირი თ., გობეჯიშვილი გ. ტექნიკური პროცესები სამთამადნო წარმოებაში საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. IV-I ათასწლეულებში (ისტორიული კოლხეთის მთიანეთის მასალების შუქზე), II სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), მოხსენებათა თეზისები, თბ., 1994, გვ. 10-11.

7. ჩართოლანი შ. ძველი სვანეთი, თბ., 1996.

8& ბჯания В. Древние рудники у перевала Аденгъ, Тезисы докладов Башкапсарского семинара, Сухуми, 1988, с. 5-6.

9. Гобеджишвили Г. Ф. Памятники древнегрузинского горного дела и металлургии в окрестностях с. Геби, 1952, № 3, 1952, გვ. 183-190.

10. Джапаридзе Л. А., Муджири Т. П., Коридзе Н. В., Квирикадзе М. В., Циклаури Л. Ш., Амашукели П. Ш. Отчет по теме "Выявление памятников горнорудного производства Грузии эпохи поздней бронзы-раннего железа, 1987", ინახება სამთომუქანიკის ინსტიტუტში, ქლანიშვილი.

11. Иессен А. А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, ИГАИМК, вып. 120, 1935, с. 7-237.

12. Иессен А. А. Древнейшая металлургия Кавказа и ее роль в Передней Азии, III междунар. конгресс по иранскому искусству и археологии. Доклады. М.-Л., 1939, с. 91-103.

13. Муджири Т. П., Гобеджишвили Г. Г. Инанишвили Г. В., Маисурадзе В. Г. - Древнейшие сурьмянные рудники Грузии и их радиоактивные датировки; Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Материалы I симпозиума "Кавказ и Юго-Восточная Европа в эпоху раннего металла", Телави-Сигнахи, 1983; 1987, с. 235-236.

14. Природные ресурсы Грузинской ССР, т. I, М., 1958.

15. Стелецкий И. А. По древним рудникам и шахтам Кавказа, Разведка недр, 1932, с. 22-24.

16. Чартолани Ш. Г. К истории нагорья
Западной Грузии докласовой эпохи, Тбилиси,
1989.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. სვანეთი. ზაარგაშის № 2 მაღაროს
გეგმა და ჭრილები
ტაბ. II. რაჭა. გამაღნებათა ჩვეშურის
ჯგუფი.
ტაბ. III. ზის გობი და ქვის უროები რაჭის
მაღაროებიდან.

Описание таблиц

Табл. I. Сванетия. План и разрезы рудника
Зааргаш 2.

Табл. II. Рача. Чвешурская группа рудопро-
явлений и рудников.

Табл. III. Деревянный сосуд и каменные мо-
лоты из рудников Рачи.


Description of Plates


Pl. 1. Svaneti. Plan and sections of the mine
Zaargash 2.

Pl. 2. Racha. Chveshuri group of mines.


Pl. 3. Wooden vessel and stone hammer from
the mines of Racha.

Год. I





Гл. III



† მარგარიტა ლორთქიფანიძე

სპარაბერიძი შანდა

ვანში გამოვლენილ ბეგლებს შორის უპირატესად ადრეანტიკური ხანის დიდმნიშვნელოვანი მასალა ჭარბობს, რომლის ძირითად ნაწილს ლითონის საბეჭდავი-ბეჭდები შეადგენს [2, გვ. 116-166; 7, გვ. 103, 112-113]. ქვებსა და მინაზე ამოჭრილი ინტალიობი თუ კამეები ამჟამად მხოლოდ რამდენიმე ერთეულითაა წარმოდგენილი (როგორც ადრეანტიკური, ასევე გვიახნტიკური ნიმუშებით). მიუხედავად მათი მცირერიცხოვნობისა, თითქმის ყოველი ნივთი საგანგებო ინტერესს იმსახურებს როგორც წარმომავლობით, ასევე ნახელავის თავისებურებით. ამათგან განსაკუთრებით უნდა გამოვარჩიოთ ერთი ჭრილაქვა.

1947 წელს ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციას შეუძნია შემთხვევით მოპოვებული სკარაბეონიდის ფორმის საბეჭდავი⁹, რომელიც ყურადღებას იპყრობს როგორც შინაარსობრივიად, ასევე შესრულების თვალსაზრისით (ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში, ინვ. № 1206).

სკარაბეონიდი სამფენოვანი ფრცხილასაგან არის ამოჭრილი. ზურგი ბაცი ბოლისფერი, ნახევრად გამჭვირვალე ქალცედონისაა. შუა ფენა (ზურგისა და პირის შემაერთობელი წახნაგისა) - თეთრი, ხოლო ქვედა ფენა (პირი სკარაბეონიდისა) გამჭვირვალე-მონაცრისფრო. ქვედა ფენის გამოყოფა შუა ფენისაგან შეუძლებული ხდება და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გამოხატულება თითქოს თეთრ ფენაზეა ამოჭრილი - პირად თეთრი ფენა გამოყენებული.

სკარაბეონიდის პირი უწესობას წარმოადგენს. ზურგი არათანაბრადაა ამობურცული. ზურგისა და პირის შემაერთობელ წახნაგს სხვადასხვა დაქანებულა აქვს: ზოგან იგი თითქმის სწორია, ხოლო ადგილ-ადგილ ცერად არის დაქანებული და თითქოს არცთუ მთლად თანაბარი სიმაღლისაა. ამდენად, ნივთს საკმაოდ უწესო ფორმა აქვს. ქვაში მთელ სიგრძეზე გაპეტებულია ნახვერეტი ზორნისათვის.

ბრტყელ პირზე გამოხატულია წვერიანი ტიტებელი მამაკაცის მიმაგლი ფიგურა, თითქოსდა პროფილში მარცხნივ¹⁰. მამაკაცის ფართო ნაბიჯი აქვს გადადგმული. იგი თავაწეულია; ზეაცყრობილ მარცხენა ხელში კომბლის მსგავსი იარალი აქვს მომარჯვებული; წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში კი - გრძელი და ვიწრო

⁹ საბეჭდავი ახვლედიანების ეზოშია ნაპოვნი. 1947 წლის საველე დავთარში შეტანილია № 3-47/4-ით.

¹⁰ საველე დავთარში გამოხატულების შემდეგი განსაზღვრაა მოცემული: „მამაკაცი მარცხენა ხელში ჯოზით, მარჯვენაში მშვილდით“ (1947 წლის საველე დავთარი, რიგითი № 4).

საგანი, რომლის გამოყოფა მკლავისაგან თითქმის შეუძლებელია (ამის გამო, ერთი შეხედვით, მკლავი და საგანი ერთიანად უჩვეულოდ გრძელი კიდურის შთაბეჭდილებას ახდენს).

მამაკაცს გრძელი, წაწვეტებული წვერი აქვს, ოდნავ შესამჩნევი ხაზით აღნიშნული ცხვირი; თავ-პირი ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული. საკმაოდ ფართო კისერი მკრთალად არის გამოყოფილი თავისაგან. მიუხედავად იმისა, რომ თვალი ზედმიწევნით პირობითად, შეუმჩნეველი შტრიჩითაა აღნიშნული, აშკარაა, რომ მამაკაცის მზერა წინ არის მიპყრობილი.

მამაკაცის მთელი სხეული კუთხოვანი და არაპროპორციულია: მოკლე სწორხაზოვან-კუთხოვანი ხელ-ფეხი უშავლოდ გადადის გრძელ, თანაბარი სიგანის ტორსში. გამოხატულება მოკლე პროპორციებით ხასიათდება.



მთელი გამოხატულება ერთ სიბრტყეშია გამლილი. შინაგანი ნახატი და ცალკეული ფორმები სავსებით დამუშავებულია; ერთი სიბრტყიდან მეორეზე გადასვლა ყოველგვარი გრადაციის გარეშე მოცემული და ამიტომ ნახელავს ესკიზური ნახატის იერი აქვს. ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ ოსტატს ფიგურის გამოხატვა პროფილში განუზრახავს, ამის განხორციელება ვერ მოუხერხებდა. სუფთა პროფილში მხოლოდ თავია გამოხატული. სხეულის ზედა ნაწილი (გულ-ძკერდი, ხელები) პირდაპირ (en face) არის მოცემული; არაბუნებრივადაა შემობრუნებული მარჯვენა ფეხი.

გარეკეული პირობითობის მიუხედავად, მთელს ფიგურაში მაინც იგრძნობა, რომ იგი წინ მიისწავლის და შებრძოლებას ან შეტაკებას აპირებს¹¹.

ტექნიკა: სკარაბეონიდი არათანაბრად არის გათლილი; მიუხედავად ამისა, ზურგისა და პირის შემაერთობელი წახნაგი მკვეთრად არის გამოყოფილი, ზურგთან მკაფიო წიბო დაპყვება.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არაღრმად და უაღრესად ბრტყელი კვეთით, ყოველგვარი მოდელირების გარეშე: იგი მთლიანად ერთ სიბრტყეშია ნაკვეთი. შინაგანი ნახატი თითქმის დაუმუშავებელია, ოსტატი მხოლოდ სილუეტის ჩაღრმავებით კმაყოფილდება. კვეთა სუმარულობითა და სქემატულობით ხასიათდება.

გარდა ალმასის ნემსისა, რომელიც ნახმარია კონტურის დასატანად, გამოყენებული ჩანს

¹¹ დაცულობა: ქვა საქმაოდ კარგად არის შენაზული. ზომები: სიმაღლე - 10 მმ, სიგრძე - 20 მმ, პირის სიგრძე - 19 მმ, განი - 16 მმ, ნახვრ. დიამ. - 3 მმ.

მხოლოდ ერთი სახის საჭრისი, სახელდობრ, საჭრისი სწორგუთხვანი წვერით. ნახვრეტის გასაკეთებლად ნახმარია ღულოვანი საჭრისი ანდა მიღაკი. ღარის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს ქვა ერთი მხრიდან იძურდებოდა. გამოხატულება მქრქალია. საერთოდ, ქვა სუსტად არის გაპრიალებული (ფონი გამოხატულებასთან შედარებით უფრო პრიალაა).

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ შევეცდებით გავარკვიოთ, თუ რა კომპოზიციასთან გვაქვს საქმე ვანის სკარაბეონიდზე.

ერთ-ერთი ატრიბუტი, ის, რომელიც მამაკაცს მარცხნა ხელში უჭირავს, კოპებიანი კომბალი უნდა იყოს, იგი შედარებით გარკეულად არის ამოჭრილი; ხოლო ვიწრო გრძელი საგანი, რომელიც მას მარჯვენა ხელში უპურია – ახსნას ძნელად ექვემდებარება.

როგორც ცნობილია, ხორკლიანი კომბალი ბერძენი მითიური გმირის ჰერაკლეს ტიპურ ატრიბუტს წარმოადგენს, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, მან თვითონვე გამოკვეთა ველური ზეთის ხიდან ნემეის კორომში (II, Héraclès, გვ. 190-191; 8, Γερακλ., გვ. 276).

ამრიგად ინტალიოზე წარმოდგენილი მამაკაცი ჰერაკლეს გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ. ფიგურის მდგომარეობისა და პირზე მიხედვით ქვაზე ერთ-ერთი გმირობის შესრულების შემდეგ დაბრუნება უნდა იყოს გამოსახული.

ანალოგიურ გამოხატულებებს ჯერჯერობით ვერსად მივაკვლიერ, ამიტომ ჩვენი გახსაზღვრა მხოლოდ ვარაუდის სახით შეიძლება იყოს შემოთავაზებული.

ვინაიდან გლიპტიკის ძეგლებს შორის პარალელური მასალა ვერ მოვიძიეთ, ჰერაკლეს შესახებ არსებული მრავალრიცხვოვანი გადმოცემები მოვიშველიეთ (I. თორმეტი გმირობა; 2. სენეტული ციკლისაგან დამოუკიდებლად ჩადენილი სხვა გმირობანი და მის მიერ განხორციელებული ექსპედიციები: 3. მეორეხარისხოვანი თავგადასავლები - Apollod., Bibl., I, 9, 16; II, 4, 8; II, 4, 10; II, 4, 12; II, 5, 1; II, 5, 8; II, 5, 11; II, 6, 2; Paus., Gr. Descr., I, 24, 2; 41, 3; V, 8, 3; IX, 25, 2; 29, 9; II, 31, 10; 37, 4; III, 47, 3; V, 109; VIII, 22, 4; Apoll. Rhod., Argon., I, 127; II, 777; II, 966; Plin., NH, VII, 29; XXVIII, 59; Eurip., Heracl., II [11, Héraclès, გვ. 187-202; 12, Héraclés, გვ. 509-513; 8, გვ. 267-285]), რადგან მოტივის დაგენა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ მასში ჩაქსოვილი შანაარსის, უკეთ, შესატყვისი მითის მიგნებაზე იყო დამოკიდებული.

ძიების შედეგად დასაშვებად მივიჩნევთ, რომ საგანი, რომელიც ჰერაკლეს მარცხნა ხელში უჭირავს, სარტყელად განისაზღვროს¹², ხოლო აქედან გამოდინარე, გმირის შესახებ არსებული მითებისა და თქმულებების გათვალისწინების შედეგად იმ დასკვნამდე მივედით, რომ

¹² თავდაპირველად ჩვენ იგი გველად მივიჩნიეთ.

ვანის სკარაბეონიდზე მისი მეცხრე გმირობაა წარმოდგენილი (Apoll. Rhod., II, 966 ff. [11, გვ. 193]).

ჰერამ სიმულვილის გამო¹³ ჰერაკლეს გონება აუმღვრია და ცოდვა ჩაადენინა. გონებადაკარგულმა გმირმა საკუთარი შეიღები შესაწირზეარაკებად მითინა და ცეცხლში ჩააგდო. ასევე მოექცა იგი თავისი ძმის, იფიკლეს, ორ შვილსაც. როდესაც ჰერაკლე გონის მოვიდა და გაიგო რაც ჩაიდინა, დელფოში წავიდა, რათა აპოლონისაგან რჩევა მიეღო, თუ როგორ მოენანიებინა თავისი დიდი ცოდვა. წინასწარმეტყველმა პითიამ მას უბრძანა, რომ იგი ტირინთოში დასახლებულიყო და მიკენის მეფეს ევრისთევესს მომსახურებოდა თორმეტი წლის განმავლობაში – დავალებული თორმეტი გმირობა უნდა განეხორციელებინა. ჰერაკლემ დაუჯერა წინასწარმეტყველს და ევრისთევესს ეახლა. გმირმა მეფის რვა დავალება შეასრულა. ჯერი მეცხრეზე მიდგა.

მიკენის მეფის მეცხრე დავალება [11, Héraclés, გვ. 193] შემდეგი იყო: ჰერაკლეს ამორძალების დედოფლის იპოლიტეს სარტყელი უნდა ჩაეგდო ხელში და მოეტანა იგი ევრისთევესის ასულ ადმეტესათვის, რომელსაც მისი დასაკუთრება სურდა. ხსნებული სარტყელით ამორძალების დედოფლალი, როგორც საუკეთესო მებრძოლი ამორძალებს შორის, ომის ღმერთმა არესმა დაასაჩუქრა.

ჰერაკლე ამორძალების სამფლობელოში ჩავიდა და შეხვდა რა იპოლიტეს, გამოუტყდა, თუ რა მიზნით იყო მისული. გმირის გარეგნობითა და ქცევით მოხიბლული ამორძალების დედოფლალი დაპირდა მას, რომ ქამარს გაატანდა. მაგრამ ჰერამ, რომელმაც ამორძალის იერი მიიღო, გაავრცელა ხმა, თითქოს ჰერაკლესა და მის მხლებლებს იპოლიტეს მოტაცება და მისი მონად წაყვანა სურთ [8, გვ. 281; 11, Amazones, გვ. 30-31; 12, გვ. 39]. ჰერას ვერაგობამ გაჭრა. ამორძალებმა ომი დაიწყეს. ჰერაკლე იძულებული გახდა ბრძოლაში ჩაბმულიყო, მოკლა ამორძალების დედოფლალი, მისი სარტყელი ხელში ჩაიგდო და მიკენის მეფის ასულთან წამოიღო¹⁴. გმირი ჩქარობდა მიკენში დაბრუნებას, რათა ბრძანებისამებრ იპოლიტეს ქამარი დროზე მიეტანა.

¹³ ჰერას მიზნად ჰქონდა დასახული ჰერაკლეს დაღუბვა, რისთვისაც ყველა ხერხსა და ღონეს ხმარიბდა. იგი ვერ შეეგუა იმას, რომ ჰერაკლე ზევსისა და ალექმენეს (მიკენის მეფის ქალიშვილი - Apollod., Bibl., II, 4, 5, 8; 8, 1 ff. [11, გვ. 26]) შვილი იყო, რომელსაც დაბადებისას ალკიდე დაარქევეს. ჰერაკლე მისი შემდეგლროინდელი სახელია. რომელიც მას პითიამ შეარქა აპოლონის შთაგონებით [11, გვ. 188].

¹⁴ ხსნა ვერსიის მიხედვით, შეტაკება ჰერაკლესა და მისი თანხმლებლების ჩამოსვლისთანავე მოხდა. იპოლიტეს ერთ-ერთი მეგობარი (თუ და) მეღანიძე ტევედ ჩავარდა, რომლის გამოსახსნელადაც ამორძალების დედოფლალმა ჰერაკლეს თავისი სარტყელი მისცა (Apoll. Rhod., Argonaut., II, 966 ff. [11, გვ. 193]).

ჩვენი აზრით, ვანის გემაზე სწორედ ეს მომენტი უნდა იყოს ასახული: გამარჯვებული პერაკლე ხელში ამართული კომბლით, რათა გზა გაიკაფოს, მიისწრაფვის, რომ დროულად ჩააბაროს ევრისთვესსა და მის ქალიშვილს სასურველი სარტყელი.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ჩვენი განსაზღვრის დასასაბუთებლად სათანადო ნივთიერი მასალისათვის ჯერ არ მიგვიკვლევია და ამ შერივ მეცადინეობას კვლავაც ვაგძელებთ.

ერთობ საგულისხმოდ მიგვაჩნია შემდეგი: როგორც ცნობილი მკვლევარი დ. ოსპორნი საგანგებოდ აღნიშნავს, მას გლიპტიკურ ძეგლებს შორის პერაკლეს მეცხრე გმირობა (რომელსაც იგი მეექვსედ მიიჩნევს) ვერ აღმოუჩენია [13, გვ. 255].

რაც შეეხება საბეჭდავის ხნოვანებას და მის წარმომავლობას, ჩვენ შემდეგ დასკვნებამდე მივდივართ:

ბერძნულ არქაულ გლიპტიკაში საკმაოდ ხშირად იყენებენ სკარაბეოიდის ფორმას. არქაულ სკარაბეოიდებს შედარებით შებრტყელებული ზურგი აქვთ, აგრეთვე არცოუ მაღალი წახნაგი მკვეთრად გამოხატული წიბოთი [10, გვ. 91, სურ. 65; 9, გვ. 17, fig. 2, 77]. როგორც წესი, ჭრილა გამოსახულებები არქაულ ქვებზე პოლირებული არ არის.

ძველი არქაული სტილისათვის დამახასიათებელია ფიგურების გამოხატვა ტიტველ მდგომარეობაში [10, გვ. 94]. ჩვეულებრივ მოძრაობა ხელების მდგომარეობით და ფეხების მეტ-ნაკლებად გაშლითაა გადმოცემული; ადამიანის ფეხები ყოველთვის პროფილშია მოცემული, მოკლე ტორსი - პირდაპირ, ხელები მოუქნელია; კისერს სწორი ხაზი გამოხატავს, ხოლო სუმარულად გადმოცემულ თავპირზე მხოლოდ ცხვირი არის ხოლმე გამოყოფილი.

ვანის სკარაბეოიდის სხვადასხვა პერიოდის ანტიკურ ძეგლებთან შედარების შედეგად შესაძლებლად მივიჩნიეთ მისი დაკავშირება არქაულ-ბერძნული წრის ჭრილა ქვებთან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვანის სკარაბეოიდის არ ვთვლით ბერძნულ ნახელავად. ჩვენი აზრით, იგი არქაული ბერძნული ძეგლებისა და სტილის გავლენითაა შექმნილი. ამას, სახელდობრ, რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი ადასტურებს: სკარაბეოიდის გარკვეული ფორმა, გაუპრიალებელი გამოხატულების ხასიათი, და ბოლოს - პერაკლე ბერძნულ არქაულ გლიპტიკაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პერსონაჟთაგანია.

კვეთის მანერა და სტილი (პოზისა და მოძრაობის გაშეშებულობა, ფორმათა სუმარული გადმოცემა და ა. შ.) მჭიდროდ უკავშირდება ინტალიოთა ჯგუფს, რომელთაც ჩვენ ადგილობრივ ნახელავად მივიჩნევთ.

ამრიგად, პერაკლეს¹⁵ გამოხატულებიანი სკარაბეოიდის მჭრელი არქაულბერძნული გლიპტიკის ტრადიციების მიმდევარია; ფორმისა და სტილის მიხედვით ინტალიო ძვ. წ. VI ს-ის ბოლო წლებით, უფრო კი ძვ. წ. V ს-ის დასაწყისით უნდა დათარიდდეს.

* * *

ბევრ საქართველოში ადგილობრივი სახელოსნოების არსებობაზე იბერიელი და კოლხი მჭრელების მიერ ნაკვეთ ინტალიოებად მიჩნეული [4; 5, გვ. 107-109; 6], გემებად მომზადებული ქვების (კ. წ. ნამზადები) მოპოვების ფაქტები ადასტურებს. ჩვენში რამდენიმე მსგავსი აღმოჩენის შემთხვევა ცნობილი: მცხეთიდან, სამთავროდან, ურბნისიდან, ნოსირიდან და ციხიაგორადან [1, გვ. 8].

მსგავსი აღმოჩენა ვანშიც არის დადასტურებული: 1948 წელს არქეოლოგიური ძიებისას № 6 თხრილში საბეჭდავად მომზადებული სამი სკარაბეოიდი იპოვეს (საველე № 3-48/89-91):

1. ნ ა მ ზ ა დ ი - მოწითალო ფერის სარდიონისაგან გაკეთებული, სკარაბეოიდის ფორმისა (ამჟამად ფრაგმენტიდაა შემორჩენილი). ქვასი იგრძებზეა ჩამოტეხილი - ნახვრეტის გასწრივ.

სკარაბეოიდს ღდნავ ამობურცული ზურგი აქვს, ოვალური და ბრტყელი პირი; პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი მაღალი (5 მმ) და დაქანებულია. ქვას წვრილი ნახვრეტი ჰქონია, რასაც ფრაგმენტზე შემორჩენილი ღარი მოწმობს.

სკარაბეოიდი ზედმიწევნით კარგად არის გათლილი და გაპრიალებული, ელვარე პოლირება აქვს. მკაფიოდ გამოყანილი წახნაგები (თუ წიბოები), პირსა და ზურგს რომ გამოჰყოფს ერთმანეთისაგან, ძალიან ფაქიზადაა დამუშავებული და გამოთლილი.

როგორც ჩანს, მჭრელს ნახვრეტის გასაკეთებლად წვრილი ლულოვანი საჭრისი გამოუყენებია, ხოლო მისი გაბურღვა ორი მხრიდან უწარმოება. ამის გამო, რომ ნახვრეტის ღარი ერთ ღონებზე არ არის მოთავსებული, ტენილია და ერთგან კუთხოვანი.

დ ა ც უ ლ თ ბ ა : ნახევარი სკარაბეოიდს ჩამოტეხილი აქვს, ნაკლებლია. სისქეში ქვას ბზარი დაჰყვება.

ზ თ მ ე ბ ი : სიმაღლე - 6 მმ, სიგრძე - 18 მმ, სიგანე 8 მმ (ფრაგმენტისა), პირის სიგრძე - 16 მმ, პირის სიგანე (ფრაგმენტისა) - 8 მმ, ნახვრეტის ღმ - 2 მმ.

2. ნ ა მ ზ ა დ ი - სკარაბეოიდის ფორმისა, კვარცის ჯვაფის ქვესაგან გაკეთებული. იმის გამო, რომ ქვა ცეცხლშია ნამყოფი, ძნელი დასადგენია, თუ სახელდობრ რომელი მასალისაგან არის ამოჭრილი. ვარაუდით, ჩვენ მას აქატად ვსაზღვრავთ. ამჟამად ქვა თეთრი ფერისაა,

¹⁵ საქართველოში მოპოვებულ გემებზე პერაკლეს სახეს ლურჯი მინის იბერიულ მრავალწახნაგებზე ვხვდებით [3, გვ. 148-149, ტაბ. II, 20, 21].

ადგილ-ადგილ ბაცი ნაცრისფერი ზოლები და ლაქები აქვს.

სკარაბეოიდი თითქმის მრგვალია; შეუმჩნევ-ლად ამობურცული ზურგი აქვს, ბრტყელი, ოვა-ლური პირი. პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნაგი, მკვეთრად გამოყვანილი წიბოთი, დაქა-ნებულია იმის გამო, რომ ზურგი პირზე გაცი-ლებით ფართოა.

ქვაში გაკეთებულია პატარა ნახვრეტი ზონ-რისათვის, რომელიც უშუალოდ ზურგს ქვემოთ გადის (ზედა წიბოსთან). იგი პატარა დიამეტ-რის მქონე ლულოვანი საჭრისითაა გახვრე-ტილი.

ქვა ზედმიწევნით კარგად არის გათლილი. ჩანს, პილირებაც ოსტატური ჰქონია - აქა-იქ შემორჩენილია კრიალა „ლაქები“.

დ ა ც უ ლ თ ბ ა : ქვას რამდენიმე ბზარი აქვს, ზოგან ატკეცილია.

ზ თ მ ე ბ ი : სიმაღლე - 6 მმ, სიგრძე - 17 მმ (ზურგი), სიგანე - 15 მმ, პირის სიგრძე - 15 მმ, სიგანე - 14 მმ, წახნაგის სიმაღლე - 4 მმ, ნახვრეტის დღ - 1 მმ.

3. **ნ ა მ ზ ა დ ი** სკარაბეოიდის მოყვანილო-ბისა, მოცისფრო-მწვანე ფირუზისფერი ქვისა. ნამზადს რელიეფური ზურგი აქვს, ცენტრში შემაღლებული წვეროთი. პირი ოვალური და ბრტყელია, ზურგისა და პირის შემაერთებელი წახნაგი - მაღალი და დაქანებული. წახნაგის წიბოები მკვეთრადაა გამოყოფილი და ამასთა-ნავე ფაქიზად დამუშავებული.

ქვაში გაკეთებულია პატარა ნახვრეტი ზონ-რისათვის, რომლისთვისაც პატარა დიამეტრის მქონე წვრილი სახვრეტი იარალია გამოყენებუ-ლი.

დ ა ც უ ლ თ ბ ა : ქვას სისქეში ბზარები აქვს.

ზ თ მ ე ბ ი : სიმაღლე - 8 მმ, სიგრძე - 15 მმ, სიგანე - 14 მმ, პირის სიგრძე - 14 მმ, სიგანე - 13 მმ, ნახვრეტის დღ - 1 მმ.

ვანში ზემოაღწერილი ნამზადების აღმოჩნდა, რომლებიც თავისი ფორმის მიხედვით არაუგვი-ანებს ძვ. წ. V ს-ით თარიღდება, იმას უნდა მოწ-მობდეს, რომ სადღაც ძველი ვანის მიდამოებში ან მის ახლომდებარე ტერიტორიაზე ქვის საჭ-რელი სახელოსნო არსებობდა¹⁶. სხვაგვარ ახს-ნას ნამზადების არსებობის ფაქტებს საქართვე-ლოში ვერ მოვუძებით.

ჩვენ დასაშეგებად მიგვაჩნია, გამოვთქვათ მო-საზრება, რომ ჰერაკლეს გამოხატულებიანი სკარაბეოიდი ზემოსხენებულ სახელოსნოში იჭ-რებოდა, რომ იგი კოლხი ოსტატის მიერაა ნაკვეთი, რომელიც, როგორც ნახელავის მიხედ-ვით ჩანს, ჯერ კიდევ არ ყოფილა სრულყოფი-ლად დაუფლებული ინტალიოთა კვეთის რთულ ტექნიკას.

¹⁶ სპეციალური სახელოსნოს დადასტურების (ჩვენს ნაშრომებში აღრე გამოქვეყნებული, ადგილობრივად მიჩნეული მასალების გარდა) საშუალებას იძლევა კოლხი ოსტატების მიერ შესრულებული იქ აღმოჩენილი საბეჭდავ-ბეჭდებისა და საბეჭდავების მნიშვნელოვანი ჯგუფი.

† М. Н. Лордкипаниძე

СКАРАБЕОИД ИЗ ВАНИ

(резюме)

Среди памятников глиптики скарабеоид из светлого оникса, найденный в Вани, является исключительным резным камнем. На нижней поверхности скарабеоида вырезана вглубь мужская нагая фигура, стремительно идущая вперед. Несмотря на поверхностную передачу форм, удалось установить, что в правой руке он держит палицу; в левой, по всей вероятности, пояс. Указанные атрибуты дают возможность предложить следующее толкование: на резном камне изображен Геракл, завладевший поясом Ипполита, царицы амазонок, тем самым совершивший девятый подвиг.

Скарабеоид относится к архаическому типу и датируется, скорее всего, началом V века до н. э. Ту же дату подтверждает стилистический анализ изображения.

Несмотря на необычный для колхидской глиптики сюжет, наш камень несомненно принадлежит произведениям местной камнерезной мастерской, которая находилась в Вани или за его пределами. Об этом свидетельствуют как техника резьбы, так и характерная манера исполнения.

Особо следует подчеркнуть: аналогий к изображению автору не удалось обнаружить среди материалов глиптики. И, как отмечает Д. Осборн (Engraved Gems, New York, 1912, p. 255), указанный подвиг Геракла на геммах ему не известен.

†M. Lordkipanidze

SCARABAEID FROM VANI

(Summary)

Among the glyptic monuments of Vani a scarabaeid of light onyx, according to the representation on it, presents an exclusive engraved gem. A naked figure of a rushing man is incarved on the lower surface of the scarabaeid. In spite of the superficial rendering of forms it became possible to distinguish that he holds a club in the right hand and most probably a girdle - in the left one. These attributes permit the following interpretation: the engraved gem gives the representation of Hercules seizing the girdle of Hippolites - the queen of the Amazons, performing his ninth labour.

ლიტერატურა

1. ლორთქიფანიძე მარგ. არმაზისხევსა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1958.

2. ლორთქიფანიძე მარგ. არქაული და „არქაიზირებული“ საბეჭდავი-ბეჭდები ვანიდან (1969 წელს მოპოვებული მასალები), ვანი, II, თბ., 1976, გვ. 116-166.

3. ლორთქიფანიძე მარგ. გვიანაქემენიდური ხანის მცირეაზიული საბეჭდავების იბერიული პირები, მოამბე, 6, 1963, გვ. 143-154.

4. ლორთქიფანიძე მარგ. კოლხეთის ძვ. წ. V-III სს. საბეჭდავი-ბეჭდები (ბერძნულ სახელოსნოებთან ურთიერთობის საკითხი), თბ., 1975.

5. ლორთქიფანიძე მარგ. უძველესი საბეჭდავი-ბეჭდები იბერიიდან და კოლხეთიდან, თბ., 1981.

6. ლორთქიფანიძე მარგ. ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I, თბ., 1969.

7. ლორთქიფანიძე მარგ. წარჩინებული კოლხის საბეჭდავები № 6 სამარხიდან, ვანი, II, თბ., 1976, გვ. 103-115.

8. Тренчени-Вальдапфель И. Мифология, Будапешт, 1956.

9. Boardman J., Vollenweider M.-L. Catalogue of the Engraved Gems and Finger Rings, I, Greek and Etruscan. Oxford, 1978.

10. Furtwängler A. Die antiken Gemmen, Leipzig, 1900.

11. Grimal P. Dictionnaire de la mythologie grecque et romaine, Paris, 1951.

12. Lavedan P. Dictionnaire illustré de la mythologie et antiquité grecques et romaines, Paris, 1931.

13. Osborne D. Engraved Gems, New York, 1912.

მარიამ საგინაშვილი

გვიანერომაული ხანის მინის ფიალა ჭარემილა

1979 წელს ჭერემის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრილ გვიანერომაული ხანის სამაროვანზე, № 4 ქვის სამარხში, აღმოჩნდა მეტად საინტერესო ტიპის მინის ფიალა, რომლის შესწავლასაც ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

ფიალა ღია მწვანე ფერის გამჭირვალე მინისაა, ოდნავ გადაშლილი ფართე პირით; ღრმა, ძირის კენ მომრგვალებული ნახევარსფეროსფერი ტანით, რომელიც მომცრო ძირით თავდება.¹⁷

ფიალის ზედაპირი შემკულია მოზრდილი ღრმულებით - ე.წ. „ფაცეტებით“: პირიდან 1,2 სმ-ის, ზოგან კი - 1,5 სმ-ის მანილზე მოცემულია ათი ოვალური ღრმულის ერთი რიგი, სადაც ისინი ვერტიკალურადაა განლაგებული; ღრმულების სიგანე 2,7 - 3,0 სმ-ია, სიგრძე 3,0 - 3,3 სმ-დე; ზოგან 3,5 სმ-დეც აღწევს. მას მოსდევს ხუთი ოვალური ღრმულისაგან შედგენილი მეორე რიგი, სადაც ღრმულები უკვე პორიზონტულადა განლაგებული. მათი სიგანე, საშუალოდ, 2,5 სმ-ია, სიგრძე - 3,0 სმ. ფიალის ქვედა ნაწილზე გამოყვანილია 2,5 სმ ღია-მეტრის მრგვალი ღრმული, რომელიც ფაქტიურად ძირს წარმოადგენს.

ფიალა სქელკედლიანია; კედლები ყველგან თანაბარი სისქისა არ არის; განსაკუთრებით სქელია ძირი. მინა შეიცავს ბუშტებს, რომლებიც არათანაბრადაა განლაგებული მინის სისქეში. მათი ზომებიც არათანაბარია. აქა-იქ შეიძინება მცირე ზომის უსუფთაობები, ირიზებულია მსუბუქად.

ფიალა მთლიანადაა აღდგენილი (თითო-ოროლა ნაწილი აკლია).

ზომები: სიმაღლე - 7,3 სმ; პირის დმ - 12,5 სმ.¹⁸

ჭერემის ფიალა დამზადებული უნდა იყოს ფორმაში გამობერვის მეთოდით. ფორმაში გამობერვის დროსვეა მიღებული ზედაპირზე განლაგებული ღრმულები, რომლებსაც გაცივების შემდეგ მეორადი დამუშავება უნდა განეცადათ; ღრმულების კონტურები საკვეთლით არის გამკვეთრებული.


ვციქრობთ, საკვეთლითვე უნდა იყოს ამოკაწრული პირთა (ორ რიგად) და ტანის ზედა ნაწილზე, მხარზე, ვიწრო კონცენტრული ხაზები, რომლებიც ძალზე მქრქალია, მაგრამ თუ ყურადღებით დავაკვირდებათ, საკმაოდ კარგად შეიძინება შესაძლებელი თვალითაც. როგორც ჩანს, ხელოსანს ჩაფიქრებული უნდა ჰქონდა

¹⁷ ფიალა შესასწავლად და გამოსაქვეყნებლად გადმოგვცა კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ჭერემის ნაქალაქარის შემსწავლელი რაზმის ხელმძღვანელმა ნ. მამაიაშვილმა, რისთვისაც დიდ მაღლილს მოვახსენებთ.

¹⁸ ფიალა ინახება სიღნაღმი, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე, ინვ. № 06-1449-90.

კონცენტრული ღარების ამოტვიფრა, რაც ხშირად გვხვდება ღრმულებით შემკულ ფიალებზე, მაგრამ ეს ჩანაფიქრი ბოლომდე აღარ მიუყვანია.

ფიალის შიდაპირზე, რომელიც გლუვია და პრიალა, მეორადი დამუშავების კვალი არ შეიძინება. უნდა ვითიქროთ, რომ სიგლუვე და სიპრიალე მიღწეულია ფიალის ნამზადის ფორმაშივე გახურებით; ამ ღროს მინის თხელი ფენა ღლვება და გაცივების შემდეგ გლუვი და პრიალა ხდება.¹⁹ გარეპირი ხელით უნდა იყოს გახეზილ-გაპრიალებული.



ფიალის პირი ყველგან თანაბარი სიმაღლისა და სისქის არ არის, ასევე ზუსტად ერთნაირი ზომისა არ არის თვთი ღრმულებიც, რაზედაც ზემოთ უკვე ითქვა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ფიალა ლამაზია და საკმაოდ მოხდენილი ფორმა აქვს.

როგორც ცნობილია, ღრმულებით შემკული ნახევარსფეროსებრი ფიალები ანტიკურ სამყაროში ახ.წ. II-III სს. გაგრცელდა. მათი დამზადებით განსაკუთრებით გაითქვეს სახელი დასავლეთევროპულმა საწარმოებმა, რომელთაგან ყველაზე მსხვილ ცენტრს კელნი წარმოადგნდა [19, გვ. 19-21].

კელნის საწარმოებთან ერთად მსგავს ფიალებს ამზადებდა, აგრეთვე, მინის წარმოების მეორე ცენტრიც, რომელიც აღმოსავლეთში, დურა-ევროპისში მდებარეობდა [15, გვ. 65; ჯგუფები C-D]. ამ საწარმოებში დამზადებული მინის ფიალები იმპერიის გარეთაც გადიოდა და ევროპის ჩრდილო რაიონებშიც აღწევდა [17, ტაბ. 16, №217-238; 18, გვ. 29 და შემდ.].

¹⁹ გაწმენდისა და დამუშავების შემდეგ ფიალის შიდაპირმა სიპრიალე დაკარგა. იგი გაწმინდეს და აღადგინეს ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში. ფიალის ტექნოლოგიის შესაწავლისას კონსულტაცია გაგვიწია აღნიშნული ლაბორატორიისა გამგებ რ. ბახტაძემ.

ღრმულებით შემკული ფიალები საქმაო რაოდნობით გვჩვდება ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზეც, განსაკუთრებით ჩრდილო შავიზღვისპირეთში და მათი გარკვეული ნაწილი, როგორც ტანაისში აღმოჩენილმა საწარმომ დაადასტურა, ადგილობრივ უნდა იყოს დამზადებული.

მოკლედ გვინდა შევხეოთ ტანაისში გათხოილ საწარმოს, რომელმაც ნათელი მოპფინა სწორედ ღრმულებით შემკული ფიალების დამზადების ტექნიკასა და მათ შესწავლასთან დაკავშირებულ სხვა საინტერესო საკითხებსაც.

ქვემო დონის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1964 წელს ტანაისში გათხარა მინის საწარმო, სადაც აღმოჩნდა სხვადასხვა ხარისხის მინის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები, წილის ნამტვრევები და სხვა. რაც მთავარია, მათ შორის იყო მინის ფიალების გამოსაბერი თიხის ფორმა, რომელსაც ფიალის მოყვანილობა აქვს. გარედან ცუდად არის დამუშავებული. შიდა პირზე კარგად შეიმჩნევა ორნამენტის ყველა დეტალი: ზედა ნაწილზე ვერტიკალური ღრმულების ორი რიგი, რომელსაც მოსდევს უკვე ჰირიზონტულად განლაგებული მოზრდილი ღრმულების რიგი. ისინი საკმაოდ რელიეფურია იმისათვის, რომ გარკვეული ანაბეჭდი დატოვონ მინაზე. შიგნით, დაუზიანებელ ნაწილზე, ზედაპირი თანაბარია და სიპრიალეც კი აქვს შერჩენილი. ძირის ცენტრში შეიმჩნევა ოვალის სუსტი ანაბეჭდი [5, გვ. 178].

ტანაისში აღმოჩენილი თიხის ფიორმისა და მინის ფიალების ზომების აბსოლუტური დამთხვევა, ფიორმის შიდაპირზე ორნამენტის ყველა იმ კომპონენტის არსებობა, რაც ტანაისში მინის ფიალებზეა მოცემული, გვაძლევს უფლებას, ვივარაუდოთ, რომ ისინი დამზადებულია ადგილობრივ [9, გვ. 41].

ამგვარად, ღრმულებით შემკულ ფიალებს ამზადებდნენ არა მარტო კელნში და დურაევროპოსში, არამედ ტანაისშიც. რადგანაც ტანაისში საწარმოც ახ.წ. II-III საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება ხსნ გვ. 179-180], უნდა ვივარაუდოთ, რომ მინის წარმოების სამივე ცენტრი ერთდროულად ამზადებდა ერთნაირ პროცესიას.

სპეციალურ ლიტერატურაში, სადაც კი აღწერილია ღრმულებით შემკული მინის ჭურჭლის ორნამენტი, ყველგან ნათქვამია, რომ მათი დამზადებისას გამოყენებულია გახეხვა-გაპრიალების მეთოდი; ფიქრობდნენ, რომ ფიალებს გამობერავდნენ ფიორმაში, რომელშიც საგანგებოდ იყო დანიშნული ადგილები ღრმულებისათვის; შემდეგ კი, ფიორმიდან გამოღებულ ჭურჭლზე, უკვე ცივ მდგომარეობაში, დანიშნულ ადგილებს ხეხავდნენ და აპრიალებდნენ მბრუნავ ჩარხზე; ამუშავებდნენ ე.წ. „ცივი ხერხით“ [20, გვ. 46-47; 6, გვ. 91; 4, გვ. 65]. ტანაისში თიხის ფიორმის აღმოჩენის შემდეგ კი ნათელი გახდა, რომ ღრმულებით შემკული ფიალების ორნამენტის ძირითადი სახე მიიღე-

ბოდა ფორმაში გამობერვის პროცესშივე. ღრმულებზე შერჩენილი ინსტრუმეტის გამოყენების კვალი კი იმაზე მიუთითებს, რომ ისინი დასრულებულ სახეს იღებდნენ სპეციალური ინსტრუმენტებით დამუშავების შემდეგ [9, გვ. 41].²⁰

როგორც უკვე ითქვა, ჭერემის ფიალა აღწერილი ხერხით უნდა იყოს დამზადებული.

საქართველოში ნახევარსფეროსებრი ღრმულებით შემკული ფიალები აღრეც არის აღმოჩენილი, მაგრამ არც ერთი არ არის ჭერემის ფიალის მსგავსი. ერთი მათგანი ზღუდრის ფიალაა, რომელიც ჭერემის ფიალისაგან განსხვავებით, უფერული (მოთეთრო) გამჭვირვალე მინისაა, შედარებით თხელკედლიანი. მისი ტანი და პირი შემკულია ვიწრო კონცენტრული დარებით, მხრები - მოგრძო, პურის შარცვლის ფორმის ღრმულების ორი რიგით, ტანი კი - მოზრდილი ოვალური ღრმულებით, რომლებიც ძირთან ჰირიზონტულად არიან განლაგებული, ტანის ზემო ნაწილში კი - ვერტიკალურად და მოქცეული არიან კონცენტრულ დარებს შორის ხვდ გვ. 58-59]. იგი ახ.წ. III ს. თარიღდება [2, გვ. 47].

კიდევ უფრო განსხვავდება ჭერემის ფიალა სოხტის სამაროვანზე აღმოჩენილი ფიალისაგან, რომელიც შემკულობით ზღუდრის ფიალის მსგავსია, ფიორმით კი უფრო გადაშლილია, ნაკლებად ღრმაა, ბევრად უფრო თხელკედლიანი, ზომითაც უფრო მომცროა; დამზადებულია გამჭვირვალე თეთრი მინისაგან. იგი ახ.წ. II-III სს. თარიღდება [8, გვ. 5-6].

ასევე განსხვავდება ჭერემის ფიალა ზემოთ ხსენებულ საწარმოთა ახ.წ. II-III სს. დათარიღდებული ფიალებისგანაც, რაც თვალნათლივ გამოჩნდა მათი ურთიერთშედარების დროს [10, გვ. 210, სურ. 4-1; სურ. 5, 1-4; 15, გვ. 65, ჯგ. C, ფიგ. 2, გვ. 66, ჯგ. D, ფიგ. 3].

ამგვარად, განსხვავდება რა ახ.წ. II-III სს. დათარიღდებული ფიალებისაგან, ჭერემის ფიალა არ შეიძლება მათი თანადროული იყოს; იგი აშკარად უფრო გვიანდელია. მართალია, ზუსტად მსგავს ცალს ვერც გვიანდელ ფიალებში მივაგნით, მაგრამ მათი შესწავლისას ნათლად დავინახოთ, რომ ჭერემის ფიალა მინის ხარისხითა და ფიორმით, კედლების სისქითა და ფერით, ღრმულების ზომითა და განლაგებით ახლოს დგას ახ.წ. IV ს. დათარიღდებულ ფიალებთან [11, გვ. 104, სურ. 40-2; 12, გვ. 202,

²⁰ ი. შჩაბოვას ტანაისში აღმოჩენილი თიხის ფიორმა არ მიაჩნია ფიორმად, რომელშიც ბერავდნენ ტანაისში აღმოჩენილ ფიალებს და წერს, თუ რისთვის იყო დამზადებული და რაში გამოიყენებოდა იგი, ძნელი სათქმელია [14, გვ. 159]. ჩვენი აზრით, თიხის ფიორმა, რომლის შიდაპირზე არსებული ორნამენტი იმეორებს ტანაისის ფიალებზე მოცემული ორნამენტის ყველა კომპონენტს და ზომითაც ემთხვევა მათ, სხვა არა უნდა იყოს რა, თუ არა ფიორმა, რომელიც გამოიყენებული იყო ტანაისის ფიალების დასამზადებლად.

სურ. 2-2; 7, გვ. 30, № 70, სურ. 79-8, № 1322; 13, გვ. 94-96, სურ. 35; 16, ფიგ. 149, 4, ფიგ. 17]. კვიქრობთ, არ შეცდებით, თუ ჭერემის ფიალასაც ახ.წ. IV ს., უფრო კი - ახ.წ. IV ს. მეორე ნახევრით დავათარიღებთ; მით უმეტეს, რომ ამაში ხელს არ გვიშლის სამარხში აღმოჩენილი სხვა მასალაც [1, გვ. 87-90, ტაბ. XXXVI].

ჭერემის ნაქალაქარის № 4 სამარხი დათარიღებულია ახ.წ. III-IV სს. ხშ გვ. 90]. რადგანაც მინის ფიალას ახ.წ. IV ს. მეორე ნახევრით ვათარიღებთ, აღბათ, თვით სამარხიც შეიძლებოდა უფრო კონკრეტულად ამავე ხანით დათარიღებულიყო.

ახლა, რაც შეეხება ჭერემის ფიალის წარმომავლობას.

როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენთვის ცნობილ მასალებსა და პუბლიკაციებში ჭერემის ფიალას პირდაპირი ანალოგები ვერ მოვუძებნეთ, მაგრამ ახლო ანალოგი კი უნდა იყოს დურა-ევროპოსუში აღმოჩენილი ფიალა, რომელიც კლაირმონტის ნაშრომში E ჯგუფშია გაერთიანებული, როგორც ავტორი აღწერს, E ჯგუფის ფიალები უფრო ღრმაა, უფრო სქელკედლიანი; მათი შემკულობა სადაა, მოზრდილი ღრმულები ტანის ზემო ნაწილში ვერტიკალურადაა განლაგებული; ქვემო ნაწილში კი პორიზონტულად. მათზე ღრმულებს შორის არ არის გამყოფი კონცენტრული დარები. ავტორი მათ ახ.წ. II ს. შეახებით ათარიღებს [15, გვ. 68, ფიგ. 4, ჯგ. E].

ჩვენი აზრით, ყველა იმ ნიშნის გამო, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, არამც თუ ახ.წ. II ს., ახ.წ. III საუკუნითაც კი გამნელდებოდა დურა-ევროპოსის სამაროვნის E ჯგუფის ფიალების დათარიღება. ისინი, აღბათ, ახ.წ. IV ს. უფრო ადრეულები არ უნდა იყოს. სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენი ფიალა ახლოს დგას მათთან მაშინ, როდესაც დურა-ევროპოსის C და D ჯგუფის ფიალებისაგან, როგორც ზემოთ ითქვა, მკვერრად განსხვავდება.

ჭერემის ფიალის სიახლოვე დურა-ევროპოსის E ჯგუფის ფიალებთან, მისი მომწვანო ფერი და შემკულობის სისადავე, რაც სირიული ფიალებისთვის არის დამახასიათებელი, გვაფიქრებინებს, რომ იყი სირიული წარმოშობისა უნდა იყოს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ჭერემის ფიალის აღმოჩენასა და შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ღრმულებით შემკული ფიალების, არამედ საერთოდ, რომაული ხანის ღრმულებით შემკული მინის ჭურჭლის შესწავლის თვალსაზრისით. აქვე თუ დავძენთ იმასაც, რომ ჭერემის ფიალა აღმოჩნდა საქართველოს ისეთ კუთხეში, საიდანაც ჯერჯერობით მინის ჭურჭლის ათიოდე ფრაგმენტი თუ გვაქვს მხოლოდ, მისდამი ინტერესი კიდევ უფრო იზრდება.

М. Н. Сагинашвили ПОЗДНЕРИМСКАЯ СТЕКЛЯННАЯ ФИАЛА ИЗ ЧЕРЕМИ (резюме)

В 1979 г. на территории городища Череми Кахетской археологической экспедицией был раскопан могильник позднеримского периода, где в погребении № 4 была обнаружена стеклянная фиала.

Она бледнозеленого прозрачного стекла, со слабо отогнутым венчиком, глубоким полу-сферическим туловом, заканчивающимся маленьkim донышком.

Тулоvo фиалы украшено двумя рядами крупных овальных фасеток; верхний ряд состоит из десяти фасеток (ширина - 2,7-3,0 см, длина - 3,0-3,3 см), которые расположены вертикально, а нижний ряд - из пяти фасеток (ширина - 2,5 см, длина - 3,0 см), расположенных горизонтально. На дне одна круглая фасетка (диаметр - 2,5 см), являющаяся дном сосуда.

Высота сосуда - 7,3 см, диаметр венчика - 12,5 см.

Фиала выдуга в форме. Фасетки получены в процессе выдувания. Края фасеток обработаны специальными инструментами уже в холодном виде. Изученная нами фиала сирийского происхождения и датируется второй половиной IV в. н.э.

M. Saginaschwili

EINE SPÄTRÖMISCHE CLASPHIALE AUS TSCHEREMI (Zusammenfassung)

Die Kachetische archäologische Expedition entdeckte 1979 auf dem Gebiet der vorgeschichtlichen Siedlung Tscheremi eine spätromische Grabstätte. Das Grab Nr. 4 enthielt eine Glasphiale.

Diese ist aus blaßgrünem durchsichtigem Glas und hat einen leicht gebogenen Rand, einen tiefen halbspärischen Bauch, welcher sich zum Boden hin verengt.

Der Mittelteil der Phiale ist mit zwei Reihen großer ovaler Fazetten verziert: die obere Reihe besteht aus zehn vertikal angeordneten Fazetten (2,7-3,0 cm breit, 3,0 - 3,3 cm lang), die untere hat fünf horizontal angelegte Fazetten (2,5 cm breit, 3,0 cm lang). Den Gefäßboden bildet eine runde Fazette von 2,5 cm Durchmesser.

Die Gesamthöhe des Gefäßes beträgt 7,3 cm, der Durchmesser des Randes - 12,5 cm.

Die Phiale wurde in der Form geblasen. Während dieses Prozesses entstanden gleichzeitig die Fazetten. Die Fazettenträger wurden mit Spezialwerkzeugen schon nach dem Erkalten bearbeitet. Diese Phiale stammt aus Syrien und wird auf die zweite Hälfte des 4. Jahrhunderts datiert.

ლიტერატურა

1. მამაიაშვილი ნ., ჯავახიშვილი ქ. ჭერე-მის გვიანრომაული ხანის სამაროვანი, კაუშ, VI, 1984, გვ. 77-107.
2. ნემსაძე გ. ზღუდრის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1965 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, სსმაე, თბ., 1969, გვ. 45-56.
3. საგინაშვილი გ. მინა გვიანანტიკური ხანის იძერიაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1972. ხელნაწერი, ინახება ს. ჯანაშიას სახ. სახლმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკაში.
4. ჩხატარაშვილი გ. მინას ჭურჭელი შუა საუკუნეთა საქართველოში, თბ., 1978.
5. Алексеева Е. М., Арсеньева Т. М. Стеклоделие Танаиса, СА, 1966, 1 2, с. 176-188.
6. Нуриев А. В. Стеклянная чаша, обнаруженная в Хыныслах, ДАНАЗССР, Баку, 1962, т. 18, 1 4, с. 89-91.
7. Кропоткин В. В. Римские импортные изделия в Восточной Европе (II в. до н.э. - V в. н.э.), Археология СССР, САИ, вып. Д I-27, М., 1970.
8. Сланов А. Х. Стеклянные сосуды из позднеантичных памятников Юго-Осетии, ИЮОго-ОсетНИИ, вып. XXII, 1977, с. 3-8.
9. Сорокина Н. П. Стеклянная посуда как источник по истории экономических связей Причерноморья и локального стеклоделия первых веков н.э. ТГИМ, 1982, 1 54, с. 40-42.
10. Сорокина Н. П. Стеклянные сосуды из Танаиса, МИА, 1965, 1 127, с. 202-248.
11. Сорокина Н. П. Стеклянный сосуд из Нижнего Поднестровья, КСИА, 1962, вып. 89, с. 103-107.
12. Сорокина Н. П. Позднеантичное стекло из Ольвии, Сборник "Художественная культура и Археология античного мира", М., 1976, с. 199-209.
13. Тиханова М. Из материалов Дубоссарского отряда Молдавской экспедиции, КСИИМК, вып. 57, 1955, с. 92-99.
14. Щапова Ю. Л. Очерки истории древнего стеклоделия, М., 1983.
15. Clairmont C. W. The Glass Vessels, The Excavations at Dura-Europos, Final Report IV, part V, New Haven, Conn, 1963.
16. Doppelfeld O. Römische und Fränkische Glas in Köln, 1966.
17. Eggers H. I. Der römische Import im Freien Germanien, Atlas der Urgeschichte, Band I, Hamburg, 1951.
18. Ekholm G. Scandinavian Glassvessels of oriental origin from the first to the sixth century, IGS, v. V, 1963.
19. Fremersdorf F. Figurlich geschiffene Gläser, Ein Kölner Werkstatt des III Jh. Römisches-Germanische, Forschungen, Bd. 19, Berlin, 1951.
20. Vavra I. R. Das Glas und die Jahrtausende, Artia Prag, 1954.

პირველი ქრისტიანული ტაძარი მცხეთაში – მგერი ეპლესია „ომილად ფშილათად“

ქართლის (იბერიის) სამეცნის ქრისტიანიზაციის პროცესში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების კვირაძალს, IV ს. I ნახევარში ერთ-ერთ უძნიშვნელოვანეს მოვლენას მცხეთაში ქვემო ეკლესის - (სვეტიცხოვლის წინამორბედი) პირველი ოფიციალური ქრისტიანული ტაძრის მშენებლობა წარმოადგენდა. თავისი მნიშვნელობის გამო ამ მოვლენამ შესაბამისი ასახვა პპოვა ქართულ და რომაულ-ბიზანტიურ საისტორიო და საეკლესიო ღიტერატურაში [11, გვ. 29-32; 16, გვ. 98-163; 12, გვ. 111-115; 4, გვ. 190-193; 4, გვ. 204-206 და სხვ].

ქართული ხელოვნების ისტორიაში ამ ცნობათა არასწორმა შეფასებამ და ინტერპრეტაციამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია, როგორც საკუთრივ ქვემო ეკლესის ისტორიისა და მნიშვნელობის, ასევე, ზოგადად საქართველოში აღრექრისტიანული საეკლესიო ხუროთმოძღვრების საკითხების კვლევაზე.

იმ მიზეზით, რომ XIX ს. სამეცნიერო (უპირატესად უცხოენოვან) ლიტერატურაში საქართველოს შეუსაკუთრების საეკლესიო ხუროთმოძღვრება ბერძნულ-მართლმადიდებლური ანუ ბიზანტიური ხელოვნების ნაწილად განიხილებოდა [22, გვ. 5], ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც საქართველოში ქრისტიანული ეპოქის ხუროთმოძღვრების ისტორიის კვლევის პრიორიტეტი ქართული ხელოვნების ისტორიაში შემუშავებულმა ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარების კონცეფციამ (ქქხგ) იტვირთა, თავისი კვლევის მთავარ ამოცანად ამ შეხედულებათა საპირისპიროდ, საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრების გენეზისის ეროვნული ინდივიდუალობისა და განვითარების თვითმყოფადობის დადასტურება დაისახა მიზნად [22, გვ. 6].

დასახული ამოცანის გადაწყვეტისას ქქხგ კონცეფციამ არ გაიზიარა ქართულ საისტორიო მწერლობაში შემუშავებული და ჩამოყალიბებული ტრადიციული თვალთახედვა საქართველოში ქრისტიანული საეკლესიო აღმშენებლობის განვითარებისა და მნიშვნელობის, მშენებლობათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის, მასტებებისა და სხვათა შესახებ და თავისი სისტემა ტიპოლოგიურად კლასიფიცირებული ხუროთმოძღვრული ძეგლების მხატვრულ-სტილისტურ ანალიზზე დაფუძნებულ, ეროვნულ ტრადიციებზე დამყარებული, დამოუკიდებელი, თვითმყოფადი, ეკოლუციური და კონვერგენტული განვითარების მოდელზე ააგო.

ამასთან, აღნიშნულ ქქხგ კონცეფციაში, რომლის ძირითადი და ამჟამად ჩვენთვის საინტერესო დებულებები შემუშავებული, ჩამოყალიბებული და სამეცნიერო მიმოქცევაში პრეზენტირებული იყო, უკვე ჩვენი საუკუნის 20-

იან წლებში [14], მასში თავისი ასახვა ვერ პპოვა საქართველოში 30-იანი წლების მიწურულიდან დაწყებულმა შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის (მათ შორის საეკლესიო ნაგებობის) არქოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებმა და ვერც უკანასკნელი ხანების, ისტორიულ-არქეოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი კვლევის შედეგებმა იქონია რაიმე არსებითი გავლენა. ამ ფოზზე, სრულიად ბუნებრივია, რომ მეცნიერული კონცეფცია, რომელიც თავისუფალი აღმოჩნდა საისტორიო ტრადიციის, წერილობით წყაროთა ცნობების, ქრონოლოგიურად ორიენტირებული ფაქტობრივი მასალისა და რეალიებისაგან, თანამედროვე ისტორიული მეცნიერების განვითარების ეტაპებისა და მონაცემების კვალობაზე, მიმდინარე კრიტიკის საგნად იქცა [6; 7; 8; 9; 3].

ამ მიმართებით და ამჯერად, ჩვენთვის საინტერესოა, რომ ისტორიულ წერილობითი წყაროების („მოქცევა ქართლისა-სა“ და რუფინუსის „საეკლესიო ისტორიის“) ჩვენება — მცხეთაში პირველი ქრისტიანული ტაძრის (ქქხმ ეკლესიის) წმინდა ნინოს მითითებითა და ზეპირისტყვიერი აღწერილობის საფუძველზე მშენებლობისა და მირიან მეფის „ანდერძის წიგნის“ მითითება, რომ ქვემო ეკლესიას ერქა „წმიდა და წმიდათა და“ და ამის გამო მასში ვერავინ იკადრებდა შესვლას მღვდლების გარდა, ქქხმ კონცეფციაში ზოგადი მნიშვნელობის მოვლენად იქნა გააზრებული, განზოგადოებული და საქართველოში მთელს აღრექრისტიანულ ხუროთმოძღვრებაზე გავრცელილი. ამ ნიადაგზე სრულის დაწმუნებით გამოითქვა ფუნდამენტური დებულება, რომ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრების ეპოქაში - IV ს. I ნახევრიდან თითქმის VI საუკუნემდე, ქრისტიანული საეკლესიო ნაგებობები წმინდა მიწაზე აგებული (რატომდაც სამავიანი?) ბაზილიკების მაგალითზე, მაგრამ სიტყვიერი, მშენებლებისათვის არცთუ მთლად გასაგები აღწერილობის საფუძველზე შენდებოდა [15, გვ. 53; 20, გვ. 9]. საქართველოს ხუროთმოძღვრებისათვის მანამდე თითქმის სრულიად უცნობ ნაგებობის ამ ტიპს (სამავიან ბაზილიკებს) საეკლესიო ხელისუფლება ძალდატანებით ნერგავდა და ავრცელებდა [21, გვ. 39; 15, გვ. 25-26, 207], ადგილობრივი მშენებლები კი, რომელთაც, თითქმის თვალითაც არ ენახათ ბაზილიკები, სიტყვიერი აღწერილობის ბუნდოვანებისა და ეროვნული სამშენებლო ტრადიციების გავლენით, თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ქმნილნენ ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების დამოუკიდებელი, ეროვნულ-თვითმყოფადი განვითარების გზას, რაც მინიატურული ზომის, კვადრატული ფორმის, კვადრატული ფორმის,

სახევრად ლია სამლოცველოების მშენებლობაში გამოიხატა.²¹ აღნიშნულ ნაგებობათა მცირე ზომები და ის თავისებურება, რომ ის „ანგარიშს არ უწევს ბაზილიკურ ფორმებს“, თუ ერთი მხრივ ადგილობრივ (ბაზილიკის ოვალით უნახავი) მშენებლების უბირობას მიეწერება, მეორე მხრივ, როგორც ირკვევა, თურმე დიდი ეპლესიების მშენებლობების საჭიროება არც არსებობდა, იმ მიზეზით, რომ ახლად გაქრისტიანებული ქართლის მოსახლეობა „მორწმუნის მაგიური ფილელიტისა“ და „ახალი ღმერთისადმი“ შიშის გამო ეკლესიებში არ შედიოდა. ეკლესიებში შედიოდნენ მხოლოდ მღვდლები, მრევლი კი თითქმის ორასი წლის მანძილზე გარედან ადევნებდა თვალს ამგვარი რიტუალისათვის საგანგებოდ აგებულ მინიატურულ და ნახევრად ღია სამლოცველოებში მიმდინარე წირვა ლოცვას [15, გვ. 23-25; 1, გვ. 18]. ეს მოსაზრება დამყარებულია მირიან მეფის „ანდერძის წიგნიდან“ კონტექსტს მოწყვეტილ ამონაწერზე: „და ყოვლადვე ვერ ვიკაღრებდი კართა მისთა განხუმად თვნიერ მღდელთასა, რომელი გალობედ მასა შინა; რამეთუ შიში დიდი დაცემულ იყო ყოველსა ზედა კაცსა სუეტისა მის ცხოველისა“ [15, გვ. 23. სქ. 1]; და ვითომც ეს „ცნობები უცილობლად მოწმობენ, რომ საქართველოში პირველად აშენებული ეკლესიები მცირე ზომისა იყო“ [15, გვ. 23] და „წირვაზე დასწრება, მოსმენა და თვით დანახვა შეიძლებოდა შიგ ტაძარში შეუსვლელადაც, სავსებით გასაგები ხდება ტაძრის მცირე ზომაც“ [15, გვ. 25].

ამგვარი მსჯელობის მიხედვით, თუ ქართლის სამეცნიში, იმ დროისათვის ქრისტიანობის წიაღში შემუშავებული ზოგადქრისტიანული თეოლოგიური საფუძვლებისაგან დამოუკიდებლად, მისი წესისა და დოგმატისაგან იზოლირებულად იქმნებოდა როგორც საეკლესიო ნაგებობის ხუროთმოძღვრული სტილი, ასევე ლვითის-მსახურების აღსრულების წესები, ისე გამოიდის რომ ქართლში IV ს. I ნახევრიდან VI საუკუნემდე ქრისტიანობის ნაცვლად რაღაც უცნობი და გაუგებარი პროვინციულ-ერეტიკული შიმდინარეობა მკვიდრობდა.

წინააღმდეგ ამისა, ისტორიული წერილობით წყაროები, რომელთა ავთენტურობასა და სანდობას ეჭვმიუტანლად ადასტურებენ წყაროთმცოდნეობით და არქეოლოგიური კვლევის შედეგები, სხვაგვარი განსჯის საფუძველს წარ-

21 „ჰირველი ეკლესიები აშენებულია საქართველოს, „განმანათლების ნინოს“. ზეპირი სწავლებითა და დარიგებით. სრულიად ბუნებრივია (?!!—გ.პ.), რომ ამიტომ ჩვენ მივიღეთ სრულიად თავისებური ბაზილიკა...“ [15, გვ. 53] „... ეს სრულებით თავისებური შენობაა, როგორც ზოგადი ფორმებით და ზომებით, ისე დეტალებით... ჩვენ ბაზილიკას ვეძახით მას, რადგან მასში ვხედავთ მაინც სამი ნავის ნასახს, რომელთაგან შეუალა ამაღლებულია, თუმც სხვანაირ ფორმას, ისეთს რომელიც ანგარიშს არ უწევს ბაზილიკურ ფორმებს“ [15, გვ. 25-27].

მოქმნიან. კერძოდ, მირიან მეფის „ანდერძის წიგნში“, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, სრულად ნათქვამია: „... და აღვაშენე ზემოა ეკლესია თავისა ჩემისათვის ქვითა და ერისა სიმარვლისათვის, რამეთუ ქუემოსა ეკლესიასა ერქუა წმინდა წმინდათა და ყოვლადგე ვერ ვიკადრებდი კართა მისთა განხევმა თვინიერ ხოლო დღესა კვირიაკესა, არცა ვინ შესვლად იკადრებდა თვინიერ მღდელთასა, რომელი გალობედ მას შინა, რამეთუ შიში დიდი დაცემულ იყო. ყოველსა კაცსა ზედა სუეტისა მისგან ცხოველისა და მიხედვაცა ვერ ეძლო კაცთა სართულსა მისსა, რომელსა თვით ვწედავთ და ვერ ვიკადრე წინაშე მისსა აღმოგუეთად მიწა სამარედ ჩემდა, რათმცა დავსხენ ხორცნი ჩემნი მის წინაშე, რამეთუ მეშინოდა მისგან ცოდვისა ოდენ მოქმედსა და შევიმზადე ზემო საფლავი ჩემი... [13, გვ. 801-802].

მირიან მეფის სიტყვებიდან სრულიად აქვა-
რად ჩანს, რომ რადგანაც „ქუემო ეკლესიასა
ერქუა წმინდად წმინდათად“ სწორედ ამის გამო
ვერ იკადრებდა ის „კართა მისთა განხუმად“ და
„არცა ვინ შესვლად იკადრებდა თვინიერ
მღვდელთასა“. ქუემო ეკლესია - „წმინდად წმი-
დათად“, რომ არ წარმოადგენდა ყოველდღიური
ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილ სამრევლო
ეკლესიას და რომ ის ხისგან იყო აშენებული
(ამ უკანასკნელსაც საეჭვოდ აყენებდა ქქჩა [15, გვ. 24]). სწორედ ამის მაუწყებელია, რომ
მირიან მეფემ „ქვითა და ერისა სიმრავლისა-
თვის აღაშენა ზემოვ ეკლესიად“ (სამთავროს
ტაძარი). ხოლო „ქუემოსა ეკლესიასა ერქუა
წმიდად წმინდათად“.

„წმიდაი წმიდათაი“ ეს არის ერთი ნაწილი ძველაღთქმის უკული სამგზავრო ტაძრის, სავანის, სადღესასწაულო კარვისა, რომელიც აგებული იყო ღვთის ბრძანებით მოსეს მიერ სინაის მთაზე ნანახი კარვის მაგალითზე [2; გამოსვ. 25:8-9, 40].

ებრაელთათვის, საზოგადოებრივი ღვთისმსახურების ეს ნაგებობა წარმოადგენდა თავის ხალხში ღვთის სულიერი ყოფნის გარეგნულ დასტურს, ღვთის გამოცხადების ადგილისა და უფლისადმი ებრაელთა წმინდა მოვალეობის ნიშანს [18, გვ. 588; 2, გამოსვ. 25:22].

სავანე, სადღესასწაულო კარავი, ბიძლიური აღწერილობით, წარმოადგენდა ვრცელ ეზოში აღმართულ წაგრძელებულ, სიგრძივ აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე დაშხრობილ, ოთხკუთხა შენობას, რომლის ყველა მყარი ნაწილი - ბოძები, ლატანები, გვერდითა ფიცრები და სხვ. დამზადებული იყო არაბული აკაციისა და ურთხმლის ზისაგან [2, გამოს. 26:15, 26; 18, გვ. 588].

ნაგებობის შიდა სივრცე, შინაგანი საკიდი ფარდით ორ, არათანაბარ ნაწილად იყო გაყოფილი: აღმოსავლეთისას ეწოდებოდა წმიდა ან საწმიდარი, ხოლო დასავლეთისას და უფრო მცირე ზომისას - წმიდათაწმინდა [2, გამოსვ.


26:33, 40:3. ებრ. 9:2-3]. აქ იდგა მოწმობის კილობანი და ინახებოდა სჯულის კანონი ზ2, გამოსვ. 26:33-34].

საგანეს ჰქონდა ღია შესასვლელი აღმოსავლეთის მხრიდან, რომელზეც ქსოვილისა და გრეხილი სელის ფარდა ეკიდა [2, გამოს. 26:36].

ძველი აღთქმის თანახმად, საკანები შესვლის უფლება ჰქონდა მხოლოდ მოსეს, მღვდლად კურთხეულ აარონსა და მის შთამომავლობას [2, გამოვ. 29, 30:10, 40:12-15, 31-32].

ქრისტიანობა სავანენს, სადღესწაულო კარავს
გაიაზრებს, როგორც ქრისტიანული ეკლესიის
პირველსახეს [18, გვ. 588-589]; წმიდათაწმიდა,
ახალ აღთქმაში გაიაზრება ქრისტიანული
ეკლესიის საკურთხევლის სახით და წარმო-
ადგენს ზეცის განსახიერებას, რომელშიც იქსო
ქრისტე, როგორც მღვდელმთავარი „საუკუნოდ
შევიდა“ თავისი სისხლით და მოიპოვა მარა-
დიული განწმენდა და ცოდვათა მონანიება კა-
ცობრიობისათვის. საწმიდარში შესვლის უფლე-
ბა ჰქონდათ მხოლოდ მღვდლებს, ხოლო წმიდა-
თაწმიდაში წელიწადში ერთხელ შედის მხო-
ლოდ მღვდელმთავარი [2, ლევ. 16:2. ებრ. 9:2-3,
6-7,12].

აქ პპოვებს ასწავლას მირიან მეფის სიტყვები, რომ ქვემო ეკლესიაში ვერავინ იკადრებდა შესკლას „თვითინიერ მღვდელთასა“, რადგან მას ერქვა „წმინდადა წმინდათად“.



სურ. 1. სვეტიცხოვლის ტაძრის გეგმა და IV ს-ის ზის ნაგებობა - „ქვემო ექლესია“ (ვ. ცინკაძის მიხედვით)


მირიან მეფის „ანდერძის წიგნის“ ამ მთი-
თებას და ჩვენ მიერ მის ამგვარ ინტერპრეტა-
ციას, ფაქტობრივი დადასტურებაც მოეძებნება:

1968-72 წწ. მცხეთის სკეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისას (ხელმძღვ. ვ. ცინცაძე [19, გვ. 15-25]), ინტერიერში, სამხრეთის შესახ-

ვლელთან იატაკის მოხსნის შემდეგ გამოვლინდა ხის ნაგებობის ნაშთი (სურ. 1), საერთო ზომით 6×12 მ, რომელიც სრულიად სამართლიანად მირიან მეფისა და წმიდა ნინოს მიერ IV ს. I ნახევარში აგებული ტაძრის - ქვემო ეკლესიის ნაშთებად არის მიჩნეული [19, გვ. 15].

წაგრძელებული, სიგრძივ ჩრდილოეთ-სამხრეთის დამხრობილი, ოთხკუთხა ნაგებობის გეგმა (სურ. 2) შედგებოდა ორი, არა-თანაბარი ნაწილისაგან: სამხრეთის (პირველი) შედარებით მომცრო ზომის და ჩრდილოეთის (მეორე) უფრო მოზრდილი სათავესაგან. პირველ, სამხრეთის სათავსოს გააჩნდა ორი, ურთიერთ პარალელური შესასვლელი-აღმოსავალე-თისა და დასავლეთის მხრიდან. იატაკი აქ მოგებული იყო თიხის ფილებით, რომელიც აღმოსავლეთის შესასვლელის გარეთა მხარესაც გრძელდებოდა.²² ნაგებობის აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლები - მკვლევარის ცნობით, ყრუ ძელური წყობით უნდა ყოფილიყო ამოევანილი [19, გვ. 20], (სურ. 2).

ნაგებობის პირველი და მეორე სათავსოები ერთმანეთისაგან გამიჯნული უნდა ყოფილიყო, თარჯის მსგავსი დაბალი კედლით, რასაც მოწმობდა ხის კოჭის ანაბეჭდი [19, გვ. 20]. (სურ. 2).




სურ. 2. სვეტიცხოვლის ტაძარში გამოვლენილი
ქვემო ეკლესიის გეგმა, გრაფიკული რეკონსტრუქ-
(კა), აქსონომეტრია, ჭრილი (ვ. ცინცაძის მიხედვით)

თარჯეს მიღმა, პირველ, ე.ი. სამხრეთის სა-
თავსში აღმართული იყო სვეტი (შემორჩენილი
იყო სვეტის ბუდე, შიგ ჩარჩენილი ხის ნაშთე-
ბით), რომელიც კ. ცინცაძის აზრით, აღმართვის
დღიდანვე იწოდებოდა „სვეტიცხოვლად“ [19, გვ.
20] და იგი სახილველი უნდა ყოფილიყო კვე-
ლასათვის, იმ მიზანით, რომ მეორე სათავსოს,
ჩრდილო ნაწილი გახსნილ იყო მთელ სიმაღლე-
ზე (სურ. 2). მოგვიანებით, წერილობითი
წყაროების ცნობით, მირიან „მეფემან შეუქმნა
საბურველი ძელისა სუეტსა მას და დაფარა
ხედვისაგან“, ე.ი. ნაგებობის პირველი, სამხრე-
თის სათავსი ჩრდილოეთის მხრიდან მთლიანად

²² თიხის ფილების არქეომაგნიტური მეთოდით გაზომვამ მათი თარიღი IV ს. I ნახევრით განსაზღვრა [19, გვ. 23. სქ. 20. 17, გვ. 62-69].

ამოშენდა; მეორე სათავსი, კი ჩრდილოეთის მხრიდან ქვლავ და რჩებოდა, რამდენადაც რამე კვალი კედლისა აქ დადასტურებული არ ყოფილა [19, გვ. 20].

აღნიშნული ფაქტი, რომ წმიდა ნინოს მითითებით აგებული ამ ნაგებობის ჩრდილო მხარე მთლიანად იყო გახსნილი, მკვლევარს ავარა-უდებინებს, რომ აქ იყო ადგილი მაცხოვრის კვართის დაკრძალვისა; ამასთან, იმის გათვალისწინებითაც, რომ ვ. ცინცაძის აზრით, გამოვლენილი ნაგებობა ახლო მსგავსებას ამჟღავნებს კოპტურ ქსოვილებზე გამოსახულ და თანხმლები წარწერებით მარტინულმა განსაზღვრულ ნაგებობებთან (სურ. 3.) [19, გვ. 22], მკვლევარი ასკვნის, რომ: „Если это такъ то указанный домъ Христад есть не что иное какъ мартериумъ таеъ это зданіе можно отнести къ катего-рииѣ распространенныхъ въ Риме и въ другихъ странахъ христианскаго мира древнеишихъ ци-митеріальныихъ базиликъ“ [19, გვ. 17, 21-22].



სურ. 3. კოპტური ქსოვილი საეკლესიო ნაგებობებისა და საკრალური ხეების გამოსახულებით (ფრაგმენტი)

ჩვენი აზრით, სვეტიცხოვლის ტაძარში გამოვლენილი ნაგებობის - ქვემო ეკლესიის ნაშთებს არაფერი აქვთ საერთო ბაზილიკური ტიპის ნაგებობებთან. ის თავის გეგმარებით, სტრუქტურით, საშენი მასალით (თვით ვ. ცინცაძის გრაფიკული რეკონსტრუქციითაც სურ. 2) და სხვ. მონაცემებით აშკარა მსგავსებას ამჟღავნებს ბიძლიურ სადღესასწაულო კარავთან, სავანესთან, რასაც მიუთითებს კიდეც მირიან მეფის „ანდერძის წიგნი“, რომ „ქუემოსა ეკლესიასა ერქეული წმიდათაც“.

საკითხის ასე დაყენება საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ქართულ წერილობით წყაროებში დაცულ სხვა მონაცემებსაც, რომლებიც ქვემო ეკლესიას - „წმიდა წმინდათაც“-ს და ბიძლიური სავანის ერთგვაროვან (თუმც ქვემო ეკლესიის შემთხვევაში მის ქრისტიანიზებულ) ხასიათსა და შინაარსზე მიუთითებენ.

„წმიდა ნინოს ცხოვრების“ ქართული რედაქციების, საეკლესიო აღმშენებლობასთან დაკავშირებით ერთგვარი სიტყვამუნწოდის ფონზე, ქვემო ეკლესიის მშენებლობისა და მასთან დაკავშირებული სასწაულების შესახებ შედარებით კრცელი ხასიათის თხრობა განპირობებული უნდა იყოს ერთი მხრივ იმ ისტორიული რეალობითა და მნიშვნელობით, რომ ქვემო ეკლესია ქართლში პირველ ოფიციალურ ქრისტიანულ ტაძარს წარმოადგენდა და მეორე მხრივ: პროვიდენციალური ხედვითა და იმ იდეური

შინაარსით, რომ ქვემო ეკლესია-„წმიდა წმიდათაც“-ს ბიძლიური სავანის მსგავსად და ხატად აგება და მასთან დაკავშირებული ლვთის მომასწავებელი ნიშნების სიმბოლური თუ ალე-გორიული გაცხადება ძველაღთქმისეული წინასწარმეტყველების აღსრულებისა და ქრისტიანული პრინციპებისა და ინსტიტუტების ჭეშმარიტების დადასტურებას წარმოადგენდა. კერძოდ: а) ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მოსეს ბიძლიური კარავი ლვთის გამოცხადების ადგილსა და თავის ხალხში მისი სულიერი ყოფნის ნიშანსა და დასტურს წარმოადგენდა. სწორედ, ამ შინაარსითა და სულისკვეთებითაა აღვსილი, ჩვენი აზრით, მირიან მეფის სიტყვა, თქმული ქვემო ეკლესიის მშენებლობისას, როდესაც დაადასტურა, რომ ტაძარი მაცხოვრის წმიდა კვართის დაკრძალვის საკრალურ ადგილზე შენდება, „მაშინ აღიძყრნა ჭელნი მირიან მეფემან და თქუა: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო ცხოველისაო; რამეთუ პირველთაგანვე გინდა ქსნა ჩვენი ეშმაკისაგან და ადგილისა მისგან ბნელისა. ამისთვის სამოსელი იყი შენი წმიდა წარმოეც წმიდით ქალაქით იერუსალემით ებრაელთა მათ, ღმრთებისა შენისაგან უცხო-ქმნილთა, და მომეც ჩვენ უცხოთა ნათესავთაგან“ [12, გვ. 118]; ბ) თუ ძველი აღთქმის წმიდათაწმინდაში ლვთის გამოცხადება, დღისით ღრუბლის სვეტის დაშვებით აღინშებოდა, ხოლო ღამით ცეცხლის სახით [2; გამოს. 33:9-10, 40:34-35. რიცხ. 9:15], ახალი აღთქმით, კი იესო ქრისტე არის „ნათელი ქვეყნისა“ [2; ოთანე 1:4-9, 3:19, 8:12, 9:5], ამის თანახმად, „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ქართულ რედაქციებში ქვემო ეკლესია - „წმიდა წმიდათაც“-ში ლვთის განვითარების, ქრისტიანობის მაღლისა და ძალის გამოვლენა ლვთივაღმართებულ „ნათლითა ბრწყინვალე სუეტ“-სა [12, გვ. 114] და მის სასწაულმოქმედების უნარშია გაცხადებული, ანუ ძველაღთქმისეულ წმიდათაწმინდის ღრუბლის სვეტს მცხოვრის „წმიდა წმიდათაც“-ში ქრისტიანობის ნათლის სვეტი ენაცვლება; გ) ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებინი, რომ კარავს, სავანეს „ყველა ხალხის სამლოცველო სახლი დაერქმევა“ [2; ესაია 56:7, 2:2, 45:1-3], ბიძლიური კავკის განმარტებაში გააზრებულია, როგორც ქრისტიანული ეკლესიის მსოფლიო-სახალხო ხასიათი და აღნიშნულია: „Двор скинии в который позволено было входить всем, не только мужчинам, но и женщинам, и при том не только евреям, но и язычникам, изображал вселенский характер церкви Христовой (Ис. 54:1-3), в которой нет ни мужского пола, ни женского... во Христе Иисусе“ [18, გვ. 589].

აქ თუ გავიხსენებთ წმიდა ნინოს ევანგელისტური ხასიათისა და მისი სამისიონერო მოღვაწეობის განმსაზღვრულ დეკალოგს, კერძოდ მცნებებს: „არცა მამაკაცება არს, არცა დედა-

კაცება არამედ თქვენ ყოველნი ერთ ხართ²³ და „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს-ცემდით მათ სახელითა მა-მისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა“²⁴

[12, გვ. 86ჯ. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს მცნებები წმინდა ნინოს მოღვაწეობის კრი-ტერიუმთან ერთად მცხეთის „წმიდავ წმიდა-თავ“-ს ფუნქციონალური პროგრამის განმსაზ-ლვრელსაც წარმოადგენდნენ; ხოლო ის გარემო-ება, რომ მცხეთის „წმიდავ წმიდათავ“-ში ღვთივ აღმართებული „ნათლითა ბრწყინვალე სვეტისაგან“ ქმნილ მრავალ სასწაულმოქმედე-ბათაგან, ქართულ წერილობით წყაროებში მხო-ლოდ ორი კონკრეტული შემთხვევაა მოთხრო-ბილი, რომელთაგან პირველი სასწაული ებრაე-ლის, შობითგან ბრმის, ხოლო მეორე – წარმარ-თი სეფეწულის ამაზასპანის განკურნება და ქრისტიანობაზე მოქცევაა [12, გვ. 115], ნათელი ილუსტრაციაა ქვემო ეკლესიის უნივერსალური, ქრისტიანულ-კოსმოპოლიტური ხსიათისა.

ცნობა ქვემო ეკლესიის წმიდა ნინოსეული ზეპირსიტყვიერი აღწერილობის საფუძველზე მშენებლობის შესახებ, რომლის თაობაზე სრუ-ლი თანხმობაა ქართულ და რომაულ-ბიზანტი-ურ წყაროებში, ადვილად აიხსნება, თუ გავი-თვალისწინებთ, რომ ბიბლიური კარვის მოდე-ლის დასახვა, სწორედ, რომ სიტყვიერი აღწე-რილობითა და სწავლებით იქნებოდა შესაძლე-ბელი და ნიშანდობლივია, რომ ამის გამო წერი-ლობით წყაროთა ერთი ნაწილი წმიდა ნინოს ბიბლიური კარვის ერთ-ერთი მშენებლის ბესე-ლეილის სახელით – ახალ ბესელეილად მოიხ-სენიებს [4, გვ. 212; 10, გვ. 179]. ამ სიმბოლური შედარების ემოციური დატვირთვის მნიშვნელო-ბა უფრო ცხადად წარმოჩნდება, თუ გავიხსე-ნებთ ევსები კესარიელის მიერ 315 წ. წარმოთ-ქმულ, ტვირთსელთა ეპისკოპოსის პავლინოსი-სადმი მიმართულ „საზეიმო სიტყვას“, სადაც ნათქვამია: „ახალმა და სიქველით აყვავებულმა საქმეებმა გამოვაჩნეს შენ, რომელსაც თავად მთელი საქმაროს ღმერთმა განსაკუთრებული პატივი გარგუნა, მიწაზე სახლი აუგო და განუ-ახლო მის მხოლოდშობილისა და პირველქმნილ სიტყვას – ქრისტესა და ღვთის საკადრის სბალს ვინ არ მოისურვებდა შენთვის დაერქვა ახალი ბესელეილი, ღვთაებრივი კარვის მშენე-ბელი... არაფერი გამორჩნია ამ ბესელეილს, რომელიც თავად ღმერთმა აღავსო ბრძნეული სულითა და განსჯით... და მანვე მოუწოდა, რომ სიმბოლოების მეშვეობით ზეციურის მსგავსი ტაძარი აეშენებინა და მანაც სწორედ ასე შეაძ-კო თავისი სული მთლიანად ქრისტეთი ანუ

²³ ეს მცნება სიცხადისათვის უნდა გავავრცოთ პავ-ლე მოციქულის სიტყვებით: „აღარ არის იუდევლი, აღარც წარმართი, აღარც მონა და აღარც თავი-სუფალი, აღარც მამრი, და აღარც მდედრი, რადგან ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში“ [2; გლატ. 3:28].

²⁴ შეადრ. [2, მათე 28:19].

სიტყვით, სიბრძნით და ნათლით... და უზენაესი ღმერთის, ბრწყინვალე ტაძარი ააგო, ვითარცა ხილული სახე უხილავი ნიმუშისა“ [5, გვ. 164, 166].

ამგვარად, წმინდა ნინოს „ახალ ბესელეი-ლად“ მოხსენიება იმ ღვაწლის მინიშნება და წარმოჩნდა, რომელიც ღვთის შთაგონებით მცხეთის „წმიდავ წმიდათავ“-ს (კუთხ. ზეციუ-რის მსგავსი ტაძრის) აგებაში გამოიხატა, რო-მელიც ეკლესის სიტყვით რომ ვთქვათ, წარმო-ადგენდა „ხილულ სახეს უხილავი ნიმუშისა“.

რამდენადაც აქ „ეკლესიის ისტორიის მამის“ ეკლესი კესარიელის „საზეიმო სიტყვას“ შევ-ხეთ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკლესი, ქრისტიანულ ტაძარს განიხილავს რა, როგორც „მოციქულთა და წინასწარმეტყველთა საძირ-კველზე“ დაფუძნებულ, ადამიანთაგან შედგენილ „ცოცხალ ქვათაგან შედუღაბებულ“ სახლს, რომლის ქვაკუთხედს იესო ქრისტე წარმოად-გენს, აღნიშნავს: „და ეს თავად თქვენან შემ-დგარი ცოცხალი ტაძარი ცოცხალი ღვთისა, რომელშიც ვგულისხმო უდიდეს და მართლაც ღვთის შესაფერის წმიდა აღვილს, რომლის შუაგულში არსებული საწმიდარი მრავლისა-თვის უხილავია და წმიდაა იგი, წმიდათა წმი-და. განა ვინმე მისი მნახველი გაბედავს მის აღ-წერას? ანდა ვინმე შეძლებს შეიხედოს შემოზ-ღუდულ საწმიდარს შიგნით, გარდა მხოლოდ ქვეყნიერების დიდი მღდელმთავრისა, რომელსაც ერთადერთის აქვს უფლება ყოველი გონიერი არსების საიდუმლოს გამოიძებისა?“ ბ15, გვ. 165]; ხოლო, როდესაც ტვირთსელთა ეპისკოპო-სის მიერ 315 წ. აგებულ ეპლესიაზე საუბრობს, აღნიშნავს: „მას მერე, რაც ყველაფერი შესაბა-მისად მოაწყო, შუაში დადგა წმიდათა წმიდა საკურთხეველი, შემდეგ კი, იმისათვის, რომ მრავლისათვის შეუღწეველი ყოფილიყო, შემო-ღობა უმშვენიერები ხაკეთობით მოპირეობუ-ლი ხის ცხაურებით, რომელიც მნახველს საო-ცარ სანახაობას წარუდგენს“ [5, გვ. 167]. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ ტვირთ-სელი ეპისკოპოსის მსგავსად, მცხეთის ქვემო ეკლესიის მშენებლობისას მირიან „მეფემან შე-უქმნა საბურველი ძელისა გარემოს სუეტსა მას და დაფარა ხედვისაგან“ [12, გვ. 115].

ეკლესი კესარიელის „საზეიმო სიტყვა“, რომ-ლის მთავარ საგანს IV ს. დამდეგს ქრის-ტიანობის ლეგალიზაციასთან დაკავშირებული საეკლესიო აღმშენებლობის ქრისტიანული სა-ფუძვლების განმარტება წარმოადგენს, მნიშვნე-ლოვან სიახლოესა და ანალოგიებს ამჟღავნებს ქართლის გაქრისტიანებისა და მასთან დაკავში-რებულ საეკლესიო აღმშენებლობის შესახებ ქართულ ისტორიულ წყაროებში წყაროებში დაცულ ცნობებთან [5, გვ. 171-172].

ჩვენს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირე-ბით, როგორც ვხედავთ, ეკლესი კესარიელის მი-ერ წმიდათაწმიდის თეოლოგიური არსის აღე-გორიულ პლანში განხილვა თუ მისი პრაქ-ტიკულ, საეკლესიო მშენებლობაში განხორციე-

ლების აღწერა სრულ ანალოგიას პოულობს იმ დამოკიდებულებასთან, რომელსაც ქართლის გაქრისტიანების თანადროული, ადგილობრივი ოფიციალური ვერსია გამცნობს მცხეთის ქვემო ეკლესიის - „წმიდათა წმიდათა“-ს შესახებ; ანუ ევსები კესარიელის „სიტყვის“ სულისკვეთება, ეპისკოპოს პავლინიონის მიერ აგებულ ეკლესიაში წმიდათა წმიდის თეორიული და ფუნქციონალური ხასიათი, მცხეთის „წმიდათა წმიდათა“-ს იდეური შინაარსი, როგორც თანადროული (IV ს. I ნახევრის) მოვლენები, მოცემული ეპოქის დამახასიათებელ ზოგადქრისტიანულ თეოლოგიურ საფუძვლებს ემყარება.

ბიბლიური სავანის მაგალითზე ადრექრისტიანული საეკლესიო ნაგებობის მშენებლობა, რომ მხოლოდ ქართლის სამეფოს ორგიანულურობისა და ინდივიდუალურობას არ წარმოადგენდა, ვფიქრობთ, ამის დასტურია ვ. ცინცაძის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში [19] ქვემო ეკლესიის პარალელურ საილუსტრაციო მასალად მოხმობილი, კოპტურ ქსოვილზე გამოსახული ნაგებობები (სურ. 3), რომელთა ერთი მხარე (მსგავსად ბიბლიური სავანისა და მცხეთის ქვემო ეკლესიისა) მთელ სიმაღლეზეა გახსნილი. ამ ღიობში, ერთ შემთხვევაში თუ ჯვარია აღმართული (შეად. ქვემო ეკლესიაში ღვთივამაღლებულ სკუტს), მეორე შემთხვევაში, ღიობზე, მსგავსად ბიბლიური სავანის შესასვლელისა ქსოვილის ფარდაა ჩამოკიდებული²⁵ (სურ. 3).

ყურადღებას იქცევს ამავე ქსოვილზე, ნაგებობათა (მარტირიუმების) წინ აღმართული ხეები, რომელთა საკრალურ მნიშვნელობაზე, მათ ორად განტოტვილ ვარჯს შორის გამოსახული წრეში ჩაწერილი ჯვარი (სურ. 3) მიგვანიშნებს და მცხეთაში, მაცხოვრის კვართის დაკრძალვის ადგილზე აღმოცენებულ, შემდეგ ქვემო ეკლესიის სამშენებლოდ გამოყენებული ხის (ლიბანის ნაძიის) საკრალიზაციის იდეას მოგვარებს და სხვ.

ამგვარად, წერილობითი წყაროების ცნობები მცხეთაში პირველი ქრისტიანული ტაძრის წმიდა ნინოს ზეპირსიტყვიერი სწავლით აგების შესახებ და მირიან მეფის „ანდერძის წიგნის“ მითითება, რომ მასში მღვდლების გარდა ვერავინ იკადრებდა შესვლას, ეხება მხოლოდ ერთ კონკრეტულ „წმიდათა წმიდათა“-თ სახელდებულ ქვემო ეკლესიის მშენებლობასა და მის ფუნქციონალურ ატრიბუციას. ამ ფაქტის საქართველოში პირველი ქრისტიანული ტაძრის მშენებლობის ზოგად, საყოველთაო სურათად წარმოდგენა და ამ განზოგადოებული მსჯელობით საქართველოს მთელი ადრექრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარების მოდელის არ-

გუმბეტაცია ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებული და უნიადაგოა.

Г. С. Болквадзе

ПЕРВЫЙ ХРИСТИАНСКИЙ ХРАМ В МЦХЕТА - НИЖНЯЯ ЦЕРКОВЬ "СВЯТАЯ СВЯТЫХ" (резюме)

Грузинские и Римско-Византийские исторические письменные источники, связанные с обращением в христианство Картлийского (Иберийского) царства, представляют интереснейшие сведения о строительстве в первой половине IV в. в Мцхета "Нижней церкви" - предшественника Светицховели, первого официального христианского храма.

В упомянутых источниках примечательно, что Нижняя церковь, построенная по словесному описанию просветительницы Грузии святой Ниной, по "предсмертному письму" царя Картли Мириана, называлась "Святою святых" и никто не осмеливался входить в нее, кроме как священников.

"Святая святых" это есть часть ветхозаветной скинии (походного храма, шатра), построенной по образцу, показанному Богом Моисею на горе Синае.

Входить в скинию, по ветхому завету, разрешалось только Моисею, призванным в священники Арону и его наследникам.

Скиния признается прообразом церкви христовой. Христианство также признает скинию доступным одним только священнослужителям. В святилище, в одну из частей скинии, входить могли одни священники, а в другую часть скинии – в Святую святых – в год раз входил только первосвященник.

Здесь находят свое обяснение слова царя Мириана о том, что никто, кроме священников не осмеливался входить в Нижнюю церковь, ибо она называлась Святою святых.

Фактическим подтверждением этих указаний являются остатки деревянного строения, выявленные в результате научно-исследовательских работ во Мцхетском кафедральном соборе Светицховели 1968-72 гг. под руководством В. Цинцадзе. (рис. 1). Выявленное строение (рис. 2) совершенно справедливо идентифицировано с Нижней церковью.

Однако исследователь (В. Цинцадзе) вышеуказанное строение относит к типу древнейшей цимитериальной базилики.

По нашему мнению, это деревянное сооружение (рис. 2) ничего общего не имеет с базиликами, оно выявляет большое сходство и

²⁵ არ არის გამორიცხული, რომ ამგვარი ფარდა მცხეთის „წმიდათა წმიდათა“, -ს ჩრდილოეთის მხრიდან გახსნილ ღიობზეც ყოფილიყო ჩამოფარებული.

почти что повторяет библейское описание скинии. Оба этих сооружения представляют собой: продолговатое, четырехугольное деревянное строение; внутреннее пространство которого разделено на две неровные части, одна из которых меньше по размеру (по Ветхому и Новому завету Святая святых), отделялась от другой (resp. святое или святилище) - по ветхому завету внутренней завесой, а в нижней церкви, первоначально невысоким деревянным барьером, а затем, деревянной, бревенчатой глухой стеной. Главный вход в строение - один из фасадов по удлиненной оси - был полностью открыт (по библейскому описанию, восточный фасад, в нижней церкви - северный фасад).

В обоих случаях для строительства были использованы: по библии - дерево сиитим и ливанский кедр, а по грузинским письменным источникам - ливийская ель.

Сходство Нижней церкви - "Святая святых" с библейской скинией не ограничивается только внешним видом и архитектурным решением; данные ветхого и нового завета, грузинские и римско-византийские письменные источники, дают возможность проследить за их однородным (хотя в случае Мцхетской "Святая святых" с его христианизированным) характером, содержанием и функциональной атрибуцией.

Сходство Нижней церкви с библейской скинией, подтвержденное в реально-историческом и в провиденциальном плане, нужно рассматривать, как подтверждение исполнения ветхозаветных предсказаний и как доказательство правильности христианских принципов и институтов, что, в свою очередь, соответствует как присущим эпохе легализации христианства нормам церковного строительства, так и контексту общехристианских теологических основ.

G. Bolkvadze

THE FIRST CHRISTIAN TEMPLE IN MTSKHETA - LOWER CHURCH "HOLY OF HOLIES" (Summary)

Georgian and Roman-Byzantine historical written sources dealing with the conversion of the Kingdom of Kartli to Christianity contain most interesting information about the building of the "Lower Church" in the first half of the 4th century. It was the forerunner of Svetitskhoveli, the first official Christian church.

Noteworthy in the cited sources is that the Lower Church, built according to the oral description of St. Nino the enlightener of Georgia, according to King Mirian's "Book of Testament" was called "Holy of Holies" and nobody dared to enter it except the priest.

The "Holy of Holies" is one part of the Old Testament travelling temple, which was built by the order of God after the example of the tabernacle seen by Moses on the Mount Sinai.

According to the Old Testament only Moses, Aaron and his descendants, anointed as priests, were allowed to enter the sanctuary.

Christianity conceptualizes the sanctuary as the prototype of the Christian church. According to the New Testament, only priests were allowed to enter the sanctuary and only the chief priest was allowed to enter the other part of the sanctuary - the Holy of Holies - once a year.

Herein lies the explanation of King Mirian's words to the effect that nobody except priests dared to enter the Lower Church, for it was called "Holy of Holies".

Factual confirmation of this indication of the written sources is given by the remains of a wooden structure brought to light during the investigations in the Svetitskhoveli Cathedral in 1968-1972, under the direction of V. Tsintsadze (fig. 1). The structure in question (fig. 2) is quite justifiably identified with the Lower Church, built by St. Nino and Mirian in the first half of the 4th century.

However, V. Tsintsadze defines the type of the cited structure as cimiterial basilica.

In my view, this wooden structure has nothing in common with a basilica. It has a strong resemblance and almost coincides with the biblical description of the tabernacle. Here follows the description of both of these structures: oblong, quadrangular structure the inner space of which is divided into two unequal parts - one is smaller (according to the Old and New Testaments - Holy of Holies) and is separated from the other by an inner curtain, and the Lower Church by a wooden barrier and then by a wooden, log blank wall. The main entrance - one of the façades along the oblong axis - was completely opened (according to the biblical description - eastern façade; in the Lower Church - the northern façade).

In both cases precious varieties of tree were used as building material: according to the Bible, Acacia arabica and cedar of Lebanon and according to Georgian written sources - of Lebanon pine.

The resemblance of the Lower Church - "Holy of Holies" with the biblical tabernacle is not restricted only to the outward appearance and architectural solution. The Old Testament data,

Georgian and Roman-Byzantine sources give us ground to trace their homogeneous character, content and functional attribution.

The resemblance of the Lower Church with the tabernacle, attested in historical and providential plan, should be considered as confirmation of the fulfilment of the Old Testament predictions and as an evidence of the rightness of Christian principles and institutions meeting the church construction norm of the period and being placed in the context of general Christian theological principles.

ლიტერატურა

1. ბერიძე გ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., 1974.

2. ბიბლია. გამოსაცემად მომზადებული საქართველოს საპატრიარქოს მიერ. თბ., 1989.

3. ბოლქვაძე გ. საქართველოში ადრექრისტიანული საეკლესიო აღმშენებლობის საკითხი და უკანასკნელი წლების არქეოლოგიური მონაცემები, კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია - I. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1998, გვ. 12-13.

4. გეორგიგა. ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანებითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ას. გამყრელიძემ და ს. ყაუხებიშვილმა. ტ. I, თბ., 1961.

5. ევსები კესარიელი. საზეიმო სიტყვა ეკლესიების აღმშენებლობის შესახებ, თქმული ტვირთელთა ეპისკოპოსის პავლინიონის მიმართ. თარგმა და კომენტარები დაურთოთ ლ. პატარიძემ, „მნათობი“, № 3-4, თბ., 1997, გვ. 164-172.

6. კიბნაძე ზ., მირზაშვილი თ. რას მოგვითხრობს მირიანის „წიგნი“, „კრიტიკა“, № 6, თბ., 1985, გვ. 59-103.

7. კიბნაძე ზ., მირზაშვილი თ. reknehbc bcnjhbbc rdktdbc vtsjlt,bcfsdbc^ @rhnbnrfr#^ = 2 s,&^ 1987^ uid& 70-105&

8. მჭედლიშვილი ბ. ქალაქ უჯარმისა და ბოლის ლოკალიზაცია, მმ, № 1, 1986, გვ. 51-57.

9. ნარსიძე გ. სამშვილდის სიონის აგების თარიღისათვის, ადრექრისტიანული არქეოლოგიის მეორე კონფერენცია მიძღვნილი აკად. ივ. ჯავახიშვილის 120 წლისთავისადმი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1996, გვ. 22-26.

10. ნინოს ცხოვრება. უცნობი ავტორი, ძველი ქართული მოთხრობა. შეადგინა, წინასიტყვაობა დაურთო და რედაქცია გაუკეთა რ. თვარაძემ. თბ. 1979.

11. ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. თბ. 1892.

12. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955.

13. შატბერდის კრებული. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბ., 1979.

14. ჩუბინაშვილი გ. რამდნიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან, თბ., 1926.

15. ჩუბინაშვილი გ. ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1936.

16. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ და სხვ. ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით I, თბ., 1963.

17. ჭელიძე ზ. არქეომაგნიტოლოგია ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების მეცნიერებული კვლევის სამსახურში - მმ, № 31-32. თბ., 1973, გვ. 62-69.

18. **Христианство.** Энциклопедический словарь в 3-х томах, под редакцией С. С. Аверинцева. т. 2, М., 1995.

19. ცინცაძე ვ. სვეტი-ცხовeli ვო მცხეთა, ქართული ხელოვნება. გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მრომები. 9. სერია A - ძველი ხელოვნება, თბ., 1987, გვ. 15-25.

20& **Чубинашвили Г., Северов Н.** Пути грузинской архитектуры. Тб., 1936.

21. **Чубинашвили Г.** К вопросу о начальных формах христианского храма. Вопросы истории искусства, т. I, Тб., 1970, с. 36-43.

22. **Чубинашвили Г.** О достижениях советской Грузии в области изучения истории искусства, Вопросы истории искусства, т. I, Тб., 1970, с. 3-13.

დაგით მინდორაშვილი

დარიალის ციხის ისტორიის ზოგიერთი საპითხი

დარიალის ხეობა ოდითგანვე წარმოადგენდა ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის დამაკავშირებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაგისტრალს. ხეობამ უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო აღრევე მიიცია ქართლის სამეფოს მესვეურთა ყურადღება. ჯერ კიდევ ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობის გარიურაჟზე ქართლის მესამე მეფე მირვანმა (ძვ.წ. II ს.) ჩრდილოეთ კავკასიაში დურძუქებზე საპასუხო ლაშქრობის შემდეგ ხეობას „შეაბნა კარნი ქეტკირითა“ [7, გვ. 28]. ამით ჩრდილოეთის მომთაბარე ტომებს ქართლის სამეფოზე თავდასხმების საშუალება მოუსპო. ხეობის დამცველ ციხეებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია დარიალის ციხე, რომელიც მდებარეობს მდ. თერგისა და ხდის შესართავთან, თერგის მარცხნა ნაპირის შემაღლებულ კლდეზე. ციხე აგებულია კლდის ზედა ნაწილზე, მის დასავლეთ ფერდობზე და ფერდობის ძირზე. ზედა ციხეზე, რომლის ფართობი 1 ჰა აღწევს, შემორჩენილია სხვადასხვა პერიოდის ზღუდის კედლები, მრგვალი კოშკი და სხვა ნაგებობათა ნაშთები. ციხის დასავლეთ ფერდობს ჩრდილოეთი და სამხრეთი მხრიდან დაუყვება 2,6 მ სისქის სასიმაგრო კედლები. დასავლეთი ფერდობის ძირზე შემორჩენილია ცალკეულ ნაგებობათა ნაშთები. ციხეზე სამი სამშენებლო ფენა შეინიშნება: V ს. მიწურული – VI ს. დასაწყისით დათარილებული იზოდომური წყობით ნაგები მძლავრი სასიმაგრო კედლები, განვითარებული შეუა საუკუნეების ზღუდის კედლები და გვიანდელი შეუა საუკუნეების ზურგიანი კოშკი. 1988-1989 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. რ. რამიშვილი) ქვედა ციხის ჩრდილოეთი კარიბჭის გათხრებისას, იზოდომური წყობით ნაშენი ზღუდის კედლის ქვეშ გამოავლინა 6 მ სისქის მშრალი წყობით ნაგები სასიმაგრო კედლი, რომლის პერანგებად გამოყენებულია დიდონი დაუმუშავებელი ქვები. პერანგებს შორის არსებული სივრცე შეესტულია მცირე ზომის ქვებით. გადაჭრით თქმა ძნელია, მაგრამ არ გამოვრიცხავთ, რომ მისი აგება შესაძლოა სწორედ მეფე მირვანის (ძვ.წ. II ს.) სამშენებლო საქმიანობას უკავშირდებოდეს. ციხის არქეოლოგიურ მასალებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ადრეულია დაზვერვებისას აღმოჩენილი სკვითური ტიპის ბრინჯაოს სამწახნაგა დეზიანი ისრისპირი, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის შეუა ხანებს მიეკუთვნება [10, გვ. 64]. მართალია, ერთი ნივთის მიხედვით ბევრი ვერაფერი ითქმება, მაგრამ ის მაინც ჩანს, რომ

ძვ.წ. I ათასწლეულის შეუა ხანებიდან ეს ტერიტორია უკვე ათვისებული უნდა იყოს.

წერილობითი წყაროების ცნობები დარიალის ციხის შესახებ აღრიდანვე მოგვეპოვება. I ს. ავტორის პლინიუსის მიხედვით „კავკასიის კარები ბუნების გრანდიოზული ქმნილებაა, რომელიც წარმოიშვა ამ ადგილზე მთების უეცარი გარღვევით. თვით გასასვლელი შემოსაზღვრულია რკინით შემოსალტული და დაჭედილი მორებით. კარებს აქეთა მხარეს კლდეზე მდებარეობს სიმაგრე, რომელსაც კუმანია ეწოდება. ციხე აგებულია ურიცხვ მომთაბარეთა შეკავების მიზნით“ [Plin., VI, 30]. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, პლინიუსისეული კუმანია დარიალის ციხის ადგილზე უნდა არსებულიყო [15, გვ. 75; 11, გვ. 93]. პლინიუსის ტექსტის ს. მურავიოვისეული წაკითხვით, ციხე-სიმაგრე კუმანია მდებარეობდა არა „კარებს აქეთა მხარეს“, არამედ „ქედს აქეთ“ [26, გვ. 157]. ტექსტის ამგვარი გააზრების შემთხვევაში პლინიუსისეული კუმანია ლოკალიზდება დღევანდელი ქუმლისციხის მიდამოებში [26, გვ. 160]. მაგრამ, აქ შეიძლება სულაც სახელთა შემთხვევით მსგავსებასთან გვქონდეს საქმერაც მთავარია, თუ კუმანია მართლაც ქუმლისციხეა, მაშინ იგი ვერაფრით შეასრულებდა თავის სტრატეგიულ დანიშნულებას – მომთაბარე ტომების შეკავების საქმეს. ქუმლისციხე მდებარეობს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე, „პავკასიის კარებიდან~ საკაოდ დაშორებით და დარიალის ხეობაში შემოჭრილ მომთაბარეებს ვერ გაუწევდა სერიოზულ წინააღმდეგობას იმის გამო, რომ ქუმლისციხე მდებარეობს არა ხეობის ვიწრო ადგილას, სადაც მოწინააღმდეგის ძალების შეკავება შედარებით ადვილია, არამედ ფართო და გაშლილ ფერდობზე. ამასთან, იბერიაში შემოსასვლელი მთავარი მაგისტრალი ქუმლისციხემდე რამდენიმე ტოტად იყოფა და იბერიის ბარში მოხვედრა თავისუფლად შეიძლებოდა ქუმლისციხის გვერდის ავლითაც. ამდენად, საეჭვოა იმ დროისათვის ქუმლისციხეში რამდენადმე მნიშვნელოვანი ციხე მდგარიყო. ხოლო პლინიუსის მიერ მითითებული „კარებს აქეთა მხარეს კლდეზე“ მართლაც რომ მდებარეობდა სიმაგრე, სხვა წყაროებითაც დასტურდება. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ძვ.წ. II ს. მირვანის მიერ აგებული ხეობის ჩამკეტი კარი უფრო ქვემოთა, ჩრდილოეთით. საკუთრივ ციხე-სიმაგრე კი კარის სამხრეთით მდებარეობს [8, გვ. 358₁₋₁₄]. ლეონტი მროველი ახ.წ. I ს. ამბების გადმოცემისას მიუთითებდა, რომ ქართველთა ლაშქარმა, რომელსაც ჩრდილოეთ

კავკასიის ტომებიც უჭერდნენ მხარს, ჯავახეთთან სძლია სომეხთა უფლისწულ ზარენს. უკანასკნელი ტყველ ჩავარდა. ქართველებმა ზარენი „დასუეს პყრობილად ციხესა დარიალანისსა“ [7, გვ. 49_{7,8}]. ეს არის ქართული წყაროების პირველი ცნობა დარიალის ციხის შესახებ. უფლისწულის შეპყრობასა და მის პატიმრად ყოფნას „დარიალასა შინა“ ვახუშტი ბაგრატიონიც ადასტურებს [8, გვ. 65₁₀]. სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის მიხედვით, ზარენი ქართველთა მეცემ „კავკასიის მთაზე ციხეში ჩასვა“ [12, გვ. 145]. ხორენაცი ციხის სახელს არ ახსენებს, მაგრამ ლეონტი მროველის წყაროზე დაყრდნობით, კავკასიის მთაზე არსებულ ციხეში უთუოდ დარიალის ციხეა საგულისხმებელი. ამრიგად, ქართული და სომხური წყაროების მიხედვითაც ახ.წ. I ს. დარიალის ციხე უკვე ფუნქციონირებდა. ლეონტი მროველი აღწერდა რა ქართველ-სომეხთა ბრძოლას, მიუთითებდა, რომ ქართველების მხარეზე გამოდიოდნენ „ოვნი“, რაც გვიანდელი ინტერპოლაციაა. ალან-ოსები იმ დროისათვის იმიერკავკასიდან საკმაოდ შორს მომთაბარეობდნენ. წყაროში საუბარი უნდა იყოს ქართველების სამხედრო კავშირზე ჩრდილოეთ კავკასიის რომელიმე ავტოქტონურ ტომთან.

ზეობისა და გასასვლელის სახელწოდება დარიალი, დარიალანი, რაც სპარსულად „ალანთა კარს“ ნიშნავს, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელთაგანია. გასასვლელის უფრო ძველი სახელწოდებაა „არაგვის კარი“. სხვადასხვა წყაროებში მისი სინონიმები იყო: კავკასიის კარი, სარმატის კარი, კასპიის კარი, ოვსთა კარი, ივერიის კარი [3, გვ. 145]. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ალანთა კარი უკვე III ს. შაპურის წარწერაშია ნახსენები [3, გვ. 145; 9, გვ. 337; 18, გვ. 88]. აქედან გამომდინარე თითქოს ალანებისა და იბერიის სახელმწიფოს ადრეულ კონტაქტებზეც შეიძლება საუბარი [18, გვ. 88], მაგრამ შაპურის წარწერის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა დიდი სხვადასხვაობა და დამატებითი მასალების გარეშე ამ წყაროს გამოყენება ერთობ საფრთხილოა [1, გვ. 24]. მითუმეტეს სხვა წყაროები III ს. ალანთა განსახლებას იმიერკავკასიის მთისწინეთში არ ადასტურებენ. ასეთივე სურათი ჩანს არქეოლოგიური მასალების მიხედვითაც.

V ს. მეორე ნახევარში ირანელების წინააღმდეგ აჯანყების დაწყებამდე ვახტანგ გორგასალმა კავკასიის გადმოსასვლელებზე საკუთარი კონტროლის დაწესება და ქვეყნისათვის ზურგის გამაგრება დაისახა მიზნად. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგმა „...განვლო კარი დარიალანისა... მაშინ მეფეთა ოვსეთისათა შეკრიბნეს სპანი მათნი და მოირთეს ძალი ხაზარეთით.. ხოლო (ვახტანგმა) დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რო-

მელთა ჩუენ დარიანისად უწოდთ, და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალი და დაადგინა მცენელად მახლობელნი იგი მთეულნი. არა ტელეწიფების გამოსლვად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თუნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“ [7, გვ. 151_{14,16,17}; გვ. 156_{19,22}]. მიუხედავად მკლევართა საფუძვლიანი სკეპტიკური დამოკიდებულებისა ჯუანშერის მთელი რიგი ცნობების მიმართ [4, გვ. 24-48], რეალური ჩანს ცნობა ვახტანგ გორგასალის ჩრდილოეთში ლაშქრობის შესახებ. ჯუანშერი V ს. მეორე ნახევრის ამბების გადმოცემისას ასახელებდა რა ოსებს, ხაზარებსა და ყივჩაყებს, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული გაცილებით გვიანდელი ეთნიკური სურათის მიხედვით შეველობდა. რეალურად ოსებში უდავოდ ჰუნი-სარაგურები, აკატირები და სხვა ჩრდილოეთ კავკასიელი ტომები იგულისხმება [4, გვ. 25]. პროკოფი კესარიელის ცნობით, დარიალის ხეობის გასასვლელზე იმ დროისათვის ჰუნები ბატონბდნენ. იგივე ავტორი ჩრდილოეთ კავკასიის ველების აღწერისას მხოლოდ ჰუნთა ტომებს ასახელებდა. მაშინ, როცა იგი ალანებსაც კარგად იცნობდა და ხშირად ახსენებდა კიდეც [2, გვ. 45-47, 100, 103, 119, 153, 155; 1, გვ. 28]. ჯუანშერთან ოვსთა, ხაზართა და ყივჩაყთა ხსენება გვიანდელი ინტერპოლაციაა. ალანები V ს. მეორე ნახევრისათვის იბერიის მთიანეთს ჯერ კიდევ უშუალოდ არ ემეზობლებოდნენ [1, გვ. 27]. ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგ გორგასალს დარიალის ხეობაში დიდი სამუშაოები ჩაუტარებია [7, გვ. 156₂₀]. ამის დასტურია დარიალის ციხეზე შემორჩენილი კედლები, რომლებიც სამშენებლო ხელოვნების თვალსაზრისით ზუსტად იმეორებენ უჯარმის კედლების წყობას. უჯარმის ამგვარი წყობით ნაშენი ნაგებობები V-VI სს. თარიღდება [24, გვ. 9]. ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს დარიალის ციხის აღნიშნული კედლებიც. ხოლო ციხის ჩრდილოეთ კარიბჭესთან ამგვარი კედლის ქვეშ უფრო ძველი კედლის გამოვლენა იმაზე მეტყველებს, რომ ვახტანგ გორგასალს მშენებლობა შიშველ ადგილზე კი არ დაუწყია, არამედ უკვე არსებული ციხე გაუმაგრებია.

V ს. 20-იან წლებში დარიალის გასასვლელზე ირანელები ამყარებენ კონტროლს. „და ვითარცა მეფობაი დაესრულა ქართლსა შინა, სპარსი განძლიერდეს და ... ქართლი დაიძყრეს. და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოვსეთვე და ორნი დვალეთს და ერთი პარჭუანს დორძოკეთისას, და იგი მთიულნი გომარდად დაადგინეს. და სხუა ვინმე კაცი დაადგინეს მთავრად წანარეთისა ხევსა და მორჩილებაი დასდვეს მისი“. [6, გვ. 95].

ირანელთა ბატონობა ქართლში, შემდგომში არაბთა დაპყრობით შეიცვალა. როგორც ერთი,

ისე მეორე მხარე ხშირად იყენებდა დარიალის გასასვლელს. სპარსულ ანონიმურ გეოგრაფიაში – „ჰადუდ ალ-ალამი“ (X ს.) – დარიალის ციხე მოხსენიებულია ქალაქად. „ალანების ჭიშკართან, მთის მწვერვალზე მდებარეობს ქალაქი, რომელიც ალანთა ქალაქთაგან ყველაზე აყვავებულია“ [28, გვ. 31]. „ჰადუდ ალ-ალამი“ კომპილატორული ნაწარმოებია. მასში გამოყენებულია X ს. არაბი ისტორიკოსის იძნულებულის თხზულება, სადაც ალანთა შესახებ აღნიშნულია, რომ „მდინარეებსა და ტყეებს შორის გაივლი ათი დღის მანძილს და მიადგები სიმაგრეს, რომელსაც ჰქინია ალანთა კარი. ის დგას მთის წვერზე, ხოლო მთის ქვეშ გადის გზა. ციხე-სიმაგრე შემოზღუდულია მაღალი მთებითა და გამუდმებით მის კედლებს იცავს 1000 კაცი მის მცხოვრებთაგან, რომელიც დღედაღამ დგანან სადარაჯოზე“ [25, გვ. 221]. იძნულებულის თავის მხრივ ეყრდნობა ალ-მალიკ გალ მამალიკის (X ს.) ცნობებს. ამ უკანასკნელის ნაშრომს იყენებდა XI ს. ისტორიკოსი გარდიზი. თუმცა, იძნულებულის განსხვავებით გარდიზი აღნიშნავდა, რომ დარიალანი მდებარეობს ალანთა სამეფო საზღვრიდან 10 დღის სავალზე [25, გვ. 221]. იძნულებულის ციხის შესახებ გაუგებრობაზეა დამყარებული. დარიალის ციხე არასდროს ყოფილა ალანთა ქვეყნის ფარგლებში. ავტორები შეცდომაში შეიყვანა ციხის სახელწოდებამ „დარიალან“ და მისი ლოკალიზაციაც ალანთა ქვეყნაში მოახდინეს. მაშინ, როცა ციხე სწორედ ალანთა და სხვა ჩრდილოელთა წინააღმდეგ იყო მიმართული [3, გვ. 148].

დარიალის ციხის ისტორიას არაერთი მკლევარი შეხებია. ამჯერად ჩვენს მიზანს შეადგენს რამდენადმე ვრცლად განვიხილოთ ა. ნოვოსელცევისა და გ. ქუზნეცოვის მიერ დარიალის ციხის შესახებ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება. ა. ნოვოსელცევი იხილავს რა ალანთა ქალაქების ისტორიას, წერს: „ალანებთან დაკავშირებული დასახლებული პუნქტებიდან წერილობით წყაროებში ყველაზე ხშირად მოიხსენიება სახელგანთქმული ციხე დარიალის ხეობაში“ [27, გვ. 132]. ავტორის მიზანი აქედანვე ცხადია – დარიალის ციხე წარმოგვიდგინოს ალანურ ქალაქად. თავის მოსაზრებას კი ამგვარად ასაბუთებს: სახელწოდება „დარიალანი“ ეთნონიმ ალანთანაა დაკავშირებული და ადრეულ სომხურსა თუ შედარებით მოგვიანო არაბულ წყაროებში ხეობა, სადაც ციხე მდებარეობს დარიალის სახელითა ცნობილი. თვით ქართული წყაროებიც კი, რომლებიც არ იცნობდნენ ეთნონიმ ალანს, თურმე უძველესი დროიდან კარგად იცნობდნენ ალანთა ციხესა და ალანთა კარს [27, გვ. 132]. რა შეიძლება ითქვას ა. ნოვოსელცევის ამ

მოსაზრების გამო? ჯერ ერთი, ხეობის სახელწოდება რომ ეთნონიმ ალანთანაა დაკავშირებული არ იძლევა არავითარ საფუძველს იქ არსებული ციხე ალანურად მივიჩნიოთ. ამგვარი ლოგიკით დაბა ყაზბეგიდან მოკიდებული, ჩრდილოეთით ვიდრე ხეობის დასასრულამდე ყველა ციხე, ნასოფლარი თუ სამაროვანი ალანურად შეიძლება გამოვაცხადოთ, რაც აბსურდია. ტერიტორია ჯვრის უდელტესილიდან დარიალის ხეობის დასასრულამდე უძველესი დროიდან ეკავათ წანარებს – ქართული მოდგმის ტომებს, რომლებსაც სანარების სახელით ჯერ კიდევ კლავდიოს პტოლემაიოსი იხსენიებს, შემდგომ VII ს. სომხური ანონიმური გეოგრაფია, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ წანარების ხელში ყოფილა დარიალისა და წილკნის კარები [16, გვ. 10; 14, გვ. 16]. დარიალის ხეობაში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები სავსებით გარკვეული გამონაკლისების გარდა წანარების დანატოვარია. მხოლოდ მოგვიანებით, VI ს. მიწურულისათვის თუ VII ს. ხეობის ჩრდილოეთ ნაწილში (მაგ. ჩმი) თანდათან ჩნდება ალანური კულტურის ელემენტები – კატაკომბები. ცალკეული ალანური ეთნიკური ჯგუფების მიგრაციის პროცესი როგორც ჩანს, მშვიდობიან ხასიათს ატარებდა და ამ პროცესს იძერის პოლიტიკური საზღვრები დიდად არ შეუცვლია არც მაშინ და არც შემდგომ.

მეორე, არც ქართულ და არც უცხოურ წერილობით წყაროებში „დარიალანი“ უძველეს სახელთა რიგს არ მიეკუთვნება. ჯერ კიდევ I ს. დარიალანს პლინიუსი „კავკასიის კარს“ უწოდებდა [Plin., VI, 30] ლეონტი მროველი კი მას „არაგვის კარის“ სახელით იხსენიებდა [7, გვ. 12]. ერთ ადგილას ა. ნოვოსელცევი წერს, რომ ქართული წყაროები დარიალის ხეობას „დარიალის კარის“ სახელით იხსენიებს [27, გვ. 132], მაგრამ აქედან რაიმე დასკნა არ გამოაქვს. „მოქცევად ქართლისად“-ს ავტორი VI ს. 20-იანი წლების მოვლენების აღწერისას ისტორიული ხევის ტერიტორიას „წანარეთის ხევის“ სახელით იცნობდა [6, გვ. 95]. ხეობას სახელწოდება დარიალანი (სპარსულად „ალანთა კარი“) შეიძლება შერქმეოდა მხოლოდ VI ს. მიწურულიდან, როცა ხეობას სპარსელცევი აკონტროლებდნენ, ალანებმა კი თანდათან დაიკავეს იმიერგავასის მთიანეთი. ასე, რომ „დარიალანი“ ხეობის გვიანდელი სახელია. თვით ციხე კი როგორც ზემოთ მივუთითეთ, ალანების კავკასიაში გამოჩენამდე გაცილებით ადრეა აგებული [7, გვ. 49; 12, გვ. 145].

მიიჩნევს რა დარიალს ძველ სახელთა რიგში, ა. ნოვოსელცევი იშველიებს აგათანგელოსის, VII ს. სომხეთის გეოგრაფიისა და მოგსეს ხორენაცის ცნობებს, სადაც „ალანთა კარზეა“ საუბარი [27, გვ. 132]. ივ. ჯავახი-

შვილი იხილავდა რა აგათანგელოსის თხზულებას, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აგათანგელოსის დაწერილად მიჩნეული გრიგოლ განმანათლებელის ცხოვრება VII ს. შუა წლებში, ან ამ საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს შედგენილი [13, გვ. 129]. აქედან გამომდინარე, აგათანგელოსთან „აღანთა კარის“ ხსენება არ იძლევა საფუძველს „დარიალი“ ძველ სახელთა რიგს მივაკუთვნოთ. VII საუკუნისათვის სახელწოდება „დარიალი“ უკვე დამტკიდრებული ჩანს. VII ს. სომხეთის გეოგრაფიაშიც აღანთა კარის მითითება საესტებით გასაგებია. მოვსეს ხორენაცთან „აღანთა კარი“ ქართლის მოქცევის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება [12, გვ. 172]. დღეისათვის ხორენაცის „სომხეთის ისტორიის“ შექმნის ტრადიციული თარიღი V ს. მკვლევართა დიდი უმრავლესობის მიერ უარყოფილია. თხზულების შექმნის ხანად VII-VIII, ზოგჯერ IX ს. ასახელებენ [12, გვ. 8-14. ლიტ. ის. იქვე]. ერთი სიტყვით, მოვსეს ხორენაცთანაც „დარიალი“ ძველი სახელწოდება არაა. ა. ნოვოსელცევი მართალია, როცა აღნიშნავს, რომ ქართული წყაროები კარგად იცნობენ აღანთა კარის სახელწოდებას – დარიალანს. ჩანს მას ლეონტი მროველის წყარო აქვს მხედველობაში. XI ს. როცა ლეონტი მროველი მოღვაწეობდა ხეობას უკვე შერქმეული ჰქონდა ეს სახელწოდება და მემატიანეც ხშირად იყენებდა ამ სახელს, მაგრამ ლეონტი მროველმა კარგად იცოდა ხეობის ძველი სახელწოდებაც „არაგუს-კარი, რომელ არს დარიალა“ [7, გვ. 124]. ამრიგად, ა. ნოვოსელცევის მცდელობა „დარიალანი“ ხეობის უძველეს სახელწოდებად, ხოლო აქედან გამომდინარე აღანგები ხეობის უძველეს მცხოვრებლებად წარმოგვიდგინოს მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. მკვლევარს მკითხველი შეცდომაში შეჰქავს, როცა აღნიშნავს, რომ ქართული წყაროები კარგად იცნობენ აღანთა ციხეს [27, გვ. 132]. ქართული წყაროები მიუთითებენ დარიალის ხეობაში არსებულ ციხეზე, მაგრამ არსად აღნიშნავენ დარიალის ციხის აღანგებისადმი კუთვნილებას. პირიქით, ქართული ისტორიული ტრადიციის თანახმად, ხეობის დამცველი კარის პირველ მშენებლად ქართლის მეფე მირვანი (ძვ.წ. II ს.) გვევლინება [7, გვ. 281; 8, გვ. 358_{13,14}]. ლეონტი მროველი და მოვსეს ხორენაცი უკვე ა. წ. ს. I საუკუნისათვის დარიალის ციხის არსებობაზე მიუთითებენ [7 გვ. 49; 12, გვ. 145]. ეს ის დროა, როცა აღანგები ჩრდილოეთ კავკასიაში საერთოდ არ ჩანდნენ. ამ შეუსაბამობას გრძნობს ა. ნოვოსელცევი და ერთგან იძულებულია სხვათაშორის აღნიშნოს: „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად იგი ააგეს ქართველმა მეფეებმა“ [27, გვ. 132], მაგრამ მკვლევარი არაფერს ამბობს იმის თაობაზე როდის და რა პირობებში გადავიდა ციხე

ალანთა მფლობელობაში. ცოტა ქვემოთ კი სავსებით გარევეულად მიუთითებს როდის წაართვეს ციხე ქართველებმა აღანებს. „მოგვიანებით, სახალიფოს დაშლისა და საქართველოს გაძლიერების შედეგად XI-XII სს. ციხე ქართველ მეფეთა კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა“ – [27, გვ. 133]. მაშასადამე, ანოვოსელცევის მიხედვით, ციხე შესაძლოა ქართველებმა ააგეს. გარევეულ პერიოდში (კონკრეტულად როდის, არაა ნახსენები) იგი აღანებმა დაიკავეს და მხოლოდ XI-XII სს. ციხე ქართველ მეფეთა კონტროლის ქვეშ ექცევა. უკვე მივუთითეთ, რომ წერილობითი წყაროების მიხედვით ა. წ. I ს. ციხე ფუნქციონირებდა. V ს. მეორე ნახევრისათვის ხეობის ჩრდილოეთით მომძლავრებულ ჰუნებრივი ამარცხებს ვახტანგ გორგასალი და ხეობაში გრანდიოზულ სამშენებლო სამუშაოებს ატარებს [7, გვ. 156₂₀]. მთელი ამ ხნის მანძილზე აღანებს დარიალის ხეობასთან უშუალო შეხების წერტილი არ ჰქონიათ. VI ს. 20-იანი წლებიდან დარიალის გასასვლელზე კონტროლს აწესებენ ირანელები [6, გვ. 93]. აღანური ტომები მხოლოდ VI ს. მიწურულისათვის და VII ს. ჩნდებიან ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთში [1, გვ. 27], მაგრამ წერტილობითი წყაროები არ მიუთითებენ მათ მიერ ციხის დაპყრობის შესახებ. რეალური ვითარება სულ სხვაგვარია. VI ს. მეორე ნახევრისათვის ქართლის ერისმთავარი გუარამი აკონტროლებს ჩრდილოეთის გაღმოსასვლელებით დამხმარე სამხედრო ძალების გაღმოყვანის საქმეს. ამ მხრივ აღანები საკუთარი ინციატივით აქტიურობას ვერ ბედავენ [7, გვ. 219₅; გვ. 220; 1, გვ. 30]. VII ს. არ მოგვეპოვება არავითარი ცხობა აღანთა აგრესიის შესახებ დარიალის ციხეზე. VIII-IX სს. აღანეთი ხაზართა ვასალია [23, გვ. 203]. იმ დროისათვის წაანარები კახეთის სამთავროს შემაღებენლობაში ისეთ სამხედრო-პოლიტიკურ ძლიერებას აღწევენ აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთში, რომ ხაზართა მიერ დასუსტებული აღანების დარიალის ხეობაში შემოჭრა და წანარებისათვის ციხის წარმეტვა ძალზე საეჭვოა. მსგავსი ფაქტი არც წყაროებშია ფიქსირებული. როდისდა შეიძლებოდა აღანებს ქართველი მეფეების მიერ აგებული ციხე მიეტაცათ? ა. ნოვოსელცევი ამაზე პასუხს ვერ იძლევა რადგან, წყაროების მიხედვით ამგვარ მოვლენას ადგილი არ ჰქონია. მკვლევარის ერთადერთი დასაყრდენია არაბი ისტორიკოსების მცდარი ცნობები, სადაც დარიალის ციხე აღანთა ქალაქადა მიჩნეული. თუმცა დარიალის სიმაგრე ქალაქი არაა, როგორც ამას ა. ნოვოსელცევი წარმოგვიდგენს (ციხეს ქალაქებისადმი მიძღვნილ ნაშრომში იხილავს). დარიალის სიმაგრე ყველა ნიშნის მიხედვით კლასიკური ციხეა. მართალია, ა. ნოვოსელცევი ამბობს იმის თაობაზე როდის და რა პირობებში გადავიდა ციხე

ვიდრე ქალაქი [27, გვ. 133], მაგრამ მისთვის ეს მეორეხარისხოვანი საკითხია. მთავარი ერთია, როგორმე ქართული ციხე ალანურად გამოაცხადოს.

ალანური კულტურის ცნობილ მკვლევარს ვ. კუზნეცოვს დარიალის სიმბორე საესტიტ მართებულად ციხედ მიაჩნია და არა ქალაქად. თუმცა, იბნ-რუსტეს ცნობაზე დაყრდნობით ეჭვი არ ეპარება, რომ ციხე ალანთა კუთვნილებაა [21, გვ. 156; 23, გვ. 144]. აქედან გამომდინარე, ვ. კუზნეცოვს ალანეთის სამხრეთი საზღვარი დარიალის ხეობის სიღრმეში, ქართული სახელმწიფოს ფარგლებში გადმოაქვს [23, გვ. 144]. ზემოთ მივუთითეთ, რომ არაბი ავტორები შეცდომაში შეიყვანა ხეობის გვიანდელმა სახელწოდებამ და ფაქტოურად ალანების წინააღმდეგ მიმართული ციხე ალანებს მიაკუთვნეს. ციხე რომ მართლაც ალანების წინააღმდეგ იყო მიმართული, გვიდასტურებს მასუდის ცნობა: „ალანთა სამეფოსა და კაბნის (კავკასიის) მთას შორის არის ციხე და ხიდი დიდ ხევზე. ეწოდება ამ ციხეს ალანთა ციხე. ააგო ეს ციხე ძველ დროს ერთმა მეუებ პირველდელ სპარსელთაგან... და დაადგინა ამ ციხეში კაცები, რომლებიც ტკაცებდნენ ალანებს კაბნის მთაში მოსკოვისაგან (ხაზგასმა ჩვენია – დ.მ.) და მათ გზა არა აქვთ თუ არა ამ ხიდზე, ამ ციხის ქვეშ“ [17, გვ. 53; 9, გვ. 333]. წყაროს მიხედვით, სიმაგრეს, მართალია, ალანთა ციხე ეწოდება, მაგრამ მასუდი პირდაპირ მიუთითებს მის ფუნქციას. ციხის მთავარი დანიშნულებაა აღკვეთოს კავკასიის მთაში ალანების შემოჭრა. აქედან გამომდინარე ცხადია, ციხე ალანთა კუთვნილი ვერ იქნებოდა. მასუდის ეს ცნობა ვ. კუზნეცოვის დასკვნას ერთბაშად გააბათილებდა, ამიტომ მკვლევარმა გვერდი აუარა მისთვის არასასურველ წყაროს.

ვ. კუზნეცოვი ცდილობს თავის დასკვნას უფრო მყარი არგუმენტი მოუძებნოს და იშველიებს 30-იან წლებში ა. კრუგლოვის მიერ ციხეზე ჩატარებული დაზერვების შედეგად აღმოჩენილ მასალებს, რომლებიც თითქოს ჩრდილოეთ კავკასიის აღრეული შუა - საუკუნეების ნამოსახლარებიდან მომდინარე მასალებთან ამჟღავნებენ კავშირს [19, გვ. 246, 247; 21, გვ. 156]. ა. კრუგლოვის ნაშრომის ვ. კუზნეცოვისული ინტერპრეტაცია სრულიად მიუღებელია რამდენიმე მოსაზრების გამო. ა. კრუგლოვს დარიალის ციხეზე საფუძვლიანი გათხრები არ უწარმოება. იგი მხოლოდ სადაზერვო თხრილის გავლებით შემოიფარგლა. ზოგად ხასიათის ატარებს 1937 წ. მის მიერ გამოქვეყნებული გათხრების ანგარიშიც, სადაც მკვლევარი მიუთითებდა, რომ ციხეზე აღმოჩენილი მასალები ჩრდილოკავკასიურ მასალებს უახლოვდება [19, გვ. 247], მაგრამ ეს დასკვნა არ გამოდგება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად, როგორიცაა დარიალის ციხის

ალანებისადმი კუთვნილება. ა. კრუგლოვის მიერ აღმოჩენილ მასალებში მართლაც გვხვდება ჩრდილოკავკასიური კერამიკა, მაგრამ განათხარი ნივთების უმრავლესობა ქართულია, რაც ა. კრუგლოვს შეუმჩნეველი დარჩა რიგი მიზეზების გამო. იმ პერიოდში ქართული აღრეულისტიანული არქეოლოგიური მასალები ნაკლებად იყო გამოვლენილი. მკვლევარს დაზერვების ზოგად ანგარიშში არც დაუსახავს მიზნად ქართული მასალების მოძიება, მისი შეჯერება დარიალის ციხის კერამიკასთან და რადგან შედარებით უკეთ იცნობდა შუა საუკუნეების ჩრდილოკავკასიურ მასალებს, რომელთა მსგავს ნივთებს დარიალის ციხეზეც შეხვდა, ზოგადად შემოიფარგლა დარიალის ციხისა და ჩრდილოკავკასიური არქეოლოგიური მასალების სიახლოების აღნიშვნით [19, გვ. 247]. შემდგომი წლების არქეოლოგიურმა გათხრებმა თვალნათლივ გვიჩვენა, რომ ციხეზე აღმოჩენილი მასალების უდიდესი ნაწილი ქართულია [11, გვ. 104-107, სურ. 4, 7-10; 5, გვ. 5]. ჩრდილოკავკასიური კერამიკა კი საგაჭრო-ეკონომიკური კავშირების შედეგადაა მოხვედრილი ციხეზე და არაფრით გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ დარიალის ციხე ალანების კუთვნილება იყო.

ალანური კულტურის დამახასიათებელ ერთერთ ძირითად ნიშნად ვ. კუზნეცოვი კატაკომბებს მიიჩნევს [20, გვ. 14]. დარიალის ციხე ალანების კუთვნილი რომ ყოფილიყო, ბუნებრივია, ციხის სამხრეთით მდებარე ვრცელ სამაროვანზე კატაკომბური სამარხებიც უნდა აღმოჩენილიყო. სამაროვანზე სამარხთა ერთადერთი ტიპს წარმოადგენს ქვისსამარხები [11, გვ. 91; 5, გვ. 5]. ხოლო ამ სამარხებში გამოვლენილი მცირერიცხოვანი ინვენტარიდან ალანური არაფერია. ასე, რომ არც სამაროვნის მასალებით ვლინდება ალანთა კავშირი დარიალის ციხესთან. თავის ერთ-ერთ ნაშრომში ვ. კუზნეცოვი აღიშნავს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მხოლოდ ოთხკუთხა კოშკებია გავრცელებული და იშვიათი გამონაკლისის გარდა იქ საერთოდ არაა ცნობილი წრიული და ნახევარწრიული (ზურგიანი) კოშკები [22, გვ. 165]. დარიალის ციხის ოთხკუთხა კოშკები V ს. ბოლო - VI ს. დასტყისით თარიღდება და ალანების კავკასიის მთისწინეთში გამოჩენამდეა აგებული. ოთხკუთხა კოშკების გარდა ციხეზე გვხვდება მრგვალი და ზურგიანი კოშკებიც, მაგრამ როგორც თვითონ მკვლევარი მიუთითებს, მრგვალი და ზურგიანი კოშკები არაა დამახასიათებელი ჩრდილოეთ კავკასიისათვის. მაშასადამე, ამ მონაცემებითაც გამორიცხულია დარიალის ციხის ალანებისადმი კუთვნილება.

ვ. კუზნეცოვის მოსაზრება რეალობისაგან შორს რომ დგას, ამას ვახუშტი ბაგრატიონის ცნობაც აღასტურებს: „ამას ქვეით (იგულისხმება დარიალის ციხე – დ.მ.) არს დარიელა ...

გ მეფის მირვანის მიერ შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათვის, რათა უმისოდ ვერღარა ვიდოდნენ. ამას ქვეით ნასასახლევი მეფეთა. ოდეს გაიღაშერიან ოვსეთად, მუნ დადგიან" [8, გვ. 358₁₃₋₁₇]. ვახუშტი ბაგრატიონის მახედვით, ციხის ქვემოთ ე.ი. ჩრდილოეთით, არსებობდა კარი. კიდევ უფრო ქვემოთ მეფეთა სასახლე. უეჭველია ციხის ჩრდილოეთით მიმდებარე ტერიტორიები (კარი, მეფეთა ნასასახლევი) ქართული სახელმწიფოს საზღვრებში შემოდიოდა. მითუმეტეს ციხე, რომელიც ხეობის სიღრმეში მდებარეობდა, ალანების კუთვნილი ვერ იქნებოდა. ციხის ჩრდილოეთით, ე.ი. ალანეთის მხარეს, დაახლოებით 800 მ დაშორებით, ხეობის ყველაზე ვიწრო ადგილას, მდ. თერგის მარცხნა ნაპირზე დღემდე შემორჩენილია შუა საუკუნეების მძლავრი სასიმაგრო კედელი. თუ ციხე აღანთა კუთვნილი იყო რისთვის, ვის საწინააღმდეგოდ დასჭირდათ მათ ასეთი მძლავრი კედლის აგება? ხომ უაზრობაა ციხის დამცველი კედლის აშენება არა მოწინააღმდეგის მხარეს, არამედ ციხის ზურგში? სურათი სავსებით ნათელია. აღნიშნული კედელი სწორედ აღანთა და ჩრდილოკავკასიის სხვა ტომების თავდასხმებისაგან იცავდა ხეობასაც და საკუთრივ ციხესაც. ამდენად, ვ. კუზნეცოვი ამაღლ ცდილობს ქართული ციხე აღანურ სიმაგრედ წარმოგვიდგინოს.

სამწუხაროდ, არა მხოლოდ ა. ნოვოსელცევისა და ვ. კუზნეცოვის, არამედ სხვა მკვლევართა (ბ. კალოევი, რ. მატიათი და სხვ.) ნაშრომებშიც უკვე კარგა ხანია აშკარად იგრძნობა ტენდენცია კავკასიის მთიანეთის ქართული ძეგლები უცხო ტომების კუთვნილებად გამოაცხადონ. დააჭინონ შუასაუკუნეების საქართველოს ძლიერი პოლიტიკური თუ კულტურული გავლენა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებზე, პირველ რიგში კი აღანებზე, მაშინ, როცა წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მასალები საქართველოს როლს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში სრულიად განსხვავებულად წარმოგვიდგენებ.

Д. В. Миндорашвили

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИСТОРИИ ДАРЬЯЛЬСКОЙ КРЕПОСТИ (резюме)

В статье рассматриваются соображения, высказанные А. П. Новосельцевым и В. А. Кузнецовым о Дарьядльской крепости. Исходя из названия ущелья и крепости "Дариалан", они считают, что крепость принадлежала

аланам, не учитывая того, что название ущелья и крепости "Дариалан" более позднего происхождения. В грузинских письменных источниках проход называется как "Цанаретис хеви" (Ущелье цанаров) или "Арагвис хеви" (Ворота Арагви).

В 20-ые годы VI века контроль над ущельем осуществляют персы. В конце VI века и в VII веке аланы постепенно занимают Северный Кавказ и входят в ущелье (катаомы Чми). Только с этого периода могло появиться для крепости персидское название "Дариалан", что означает "Ворота Аланов". До этого аланы не видны на территории Северного Кавказа и следовательно не могли быть строителями крепости. В некоторых источниках (Ибн-Руст, "Худуу ал-alem") крепость признается аланская, вышеназванные исследователи же опираются именно на эти сведения. Однако сведения арабских источников исходят из неопределенных данных. Арабский историк Масуди (X в.) прямо указывал, что "защитники крепости задерживали аланов от прихода в горы Кабха (Кавказа)". С учетом этого источника ясен вопрос о функции и принадлежности крепости.

В. А. Кузнецов использует опубликованный в 1937 году отчет А. П. Круглова о раскопках крепости, где отмечается, что одна часть обнаруженных материалов северокавказского происхождения. Но исследователь ничего не говорит о том, что большая часть археологических материалов грузинского происхождения. Северокавказская керамика на Дарьядльской крепости появилась в результате торгово-экономических взаимоотношений и никоим образом не может служить доказательством принадлежности крепости аланам. На территории Дарьядльской крепости не обнаружены катакомбы - характерные элементы аланской культуры. Таким образом, и археологический материал не доказывает, что Дарьядльская крепость принадлежала аланам.

D. Mindorashvili

SOME QUESTIONS OF THE HISTORY OF THE DARIAL FORTRESS (Summary)

The article gives a critical review of the views of A. P. Novoseltsev and V. A. Kuznetsov on the Darial Fortress. Their opinion is based on the name of the gorge and fortress - "Darialan" and they consider the fortress as belonging to the

Alans. Actually, the name "Darialan" was given to the gorge and the fortress later. According to the Georgian historical sources, the ancient name of this passage was Tsanarets Khevi ("The Gate of the Tsanars") or Aragvis Khevi ("The Aragvi Gate"). In the 520s the Persians were in control of the gorge. At the end of the 6th century and in the 7th century the Alans began to occupy the front part of the Northern Caucasus and gradually they settled in the gorge ("Chma Tombs"). Only at that time the gorge and the fortress could be given the Persian name "Darialan" ("The Gate of the Alans"). But before this time the Alans are nowhere to be seen in the Northern Caucasus, hence they cannot be considered to have been the builders of the fortress.

In several sources (Ibn-Rust) the fortress is considered to belong to the Alans. And the view of the above-mentioned investigators is based on these sources, but the facts from these sources are also based on misunderstanding. The authors of these sources were misled by the name "Darialan" that was given to the gorge and the fortress later, and the fortress, the function of which was to defend the gorge from the Alans, was considered as belonging to the Alans (J. Gvasalia). The Arab historian Massudi (10th cent.) remarks that the fortress guards defended the gorge from the Alans and prevented the occupation of the Cabkh (Caucasus) mountains by the Alans. Taking these sources into consideration, the function of this fortress and the question of its belonging is clear. V. A. Kuznetsov uses the accounts of the fortress excavations that were published by A. P. Kruglov in 1937, where it is mentioned that one part of the materials found originally belonged to the Northern Caucasus, but the investigator says nothing about the fact that the largest part of the archaeological finds is of Georgian provenance. The North Caucasian pottery found in the Darial Fortress was the result of trade and economic relations and cannot be used as a proof that the fortress belonged to the Alans. Besides, there are no tombs in the territory of the Darial fortress that were characteristic of Alanian culture.

Thus, there are no archaeological materials to prove that the fortress belonged to the Alans.

ლიტერატურა

- 1. აფხაზები ნ. ალანები და საქართველო (ოსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის), თბ., 1991.**
- 2. გეორგიეგა ॥, ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტფ., 1934.**
- 3. გვასალია ჯ. არაგვის კარი (დარიალა), კრებული, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 144-150.**
- 4. ლომოური ნ. საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989.**
- 5. მინდორაშვილი დ. დარიალის ციხე, პრეპრინტი, თბ., 1991.**
- 6 მოქაევა ქართლისა ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკივეგმა და ც. ჯლაძაძამ ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და საერთო რედაქციით, წ. I (V-X სს.), თბ., 1963.**
- 7. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.**
- 8. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.**
- 9. წერეთელი გ. შაპურის წარწერის "Tm TR", კრებული გიორგი ახვლედიანს, თბ., 1969, გვ. 326-342.**
- 10. წითლანაძე ლ. დარიალის ციხე, მმ, № 27-28, 1971, გვ. 62-67.**
- 11. წითლანაძე ლ. ხევში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგები, მაცნე. ისტორია... სერია, № 1, 1977, გვ. 93-108.**
- 12. ხორენაცი მოფსეს, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., 1984.**
- 13. ჯავახიშვილი ივ. ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, ტფ., 1935.**
- 14. Армянская география VII в. приписываемая Мойсею Хоренскому, текст и перевод К. Патканова, СПБ., 1877.**
- 15. Долидзе В., Шмерлинг Р. Военно-Грузинская дорога, Тб., 1956.**
- 16. Какабадзе С. Н. О племени цанар, 18, III, 1928, გვ. 100-113.**
- 17. Карапулов Н. А. Сведения арабских географов IX и X веков о Кавказе, Армении и Адербайджане. Масуди, "Луга золота и рудники драгоценных камней", СМОМПК, вып. 38, 1908, с. 52-59.**
- 18. Ковалевская В. Б. Кавказ и аланы, М., 1984.**
- 19. Круглов А. П. Археологические работы на р. Терек, СА, т. III, 1937, с. 243-254.**
- 20. Кузнецов В. А. Аланские племена Северного Кавказа, МИА, 106, 1962.**
- 21. Кузнецов В. А. Алания в X-XIII вв., Орджоникидзе, 1971.**
- 22. Кузнецов В. А. Актуальные вопросы истории средневекового зодчества Северного Кавказа, СКДСВ, 1980, с. 162-173.**
- 23. Кузнецов В. А. Очерки истории алан, Орджоникидзе, 1984.**
- 24. Мелитаури К. Н. Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, т. II, Тб., 1972.**
- 25. Минорский В. Ф. История Ширвана и Дербента X-XI веков, М., 1963.**

26. Муравьев С. Н. Заметки по исторической географии Закавказья. Плинний о населении Кавказа, ВДИ, № 1, 1988, с. 155-163.

27. Новосельцев А. П. К истории аланских городов, МАДИСО, т. II, 1969, с. 131-135.

28. Худуд Ал-алем, Рукопись Туманского, Введение и указатель В. В. Бартольда, Л., 1930.

რეგაზე ხვისტანი

ქრისტიანული ქამათ რეალისტური ჭელზე (ღუმერიშვილის ეკლესია)

ოქუმისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლა, რომელიც წლების მანძილზე ინტენსიურად წარმოებდა, კომპლექსური ხასიათისა იყო და ემსახურებოდა ამ რეგიონის ისტორიის ნაკლებად გამოკვლეული საკითხების გაშუქებას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმ. მ. ბარამიძე) საკვლევი კომპლექსური პრობლემის ერთ-ერთი რეოლი შუა საუკუნეთა მატერიალური კულტურა იყო.

საკვლევი ხეობა ადრე და განვითარებულ შუა საუკუნეებში, ეგრისის საერისთავოს (ივ. ჯავახიშვილის მიხედვით საბედიანოს) ნაწილი იყო. გვინდელ შუა საუკუნეებში იგი ჯერ სამეგრელოს სამთავროს ნაწილია, XVII-XVIII საუკუნეების მიჯნიდან რუსეთთან შეერთებამდე კი სათავადო სამურზაფანოსი. თანამედროვე ფიზიკურ-გეოგრაფიული დაყოფის მიხედვით, აღნიშნული ხეობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაღის რაიონში შედის.

ოქუმისწყლის, ვახუშტის მიხედვით დადისწყალის ხეობაში, შემორჩენილია ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთის, შუასაუკუნეების სხვადასხვა ეტაპის ეკლესია-მონასტრები, ციხე-დარბაზები, ნასოფლარები და სხვა ძეგლები, რომლებიც დრო-უამისა თუ მტრის ხელით შემუსწოდია და დღეს ნანგრევებადაა ქცეული. ეს ძეგლები შუა საუკუნეებში ცხოვრების ძლიერ მაჯისცემაზე, ფეოდალურ ურთიერთობაზე, ქრისტიანული იდეოლოგიის ბატონობასა და მხარის მიერ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოში შეტანილ წვლილზე მეტყველებენ. ისინი კურადღებას იმსახურებენ, ერთი მხრივ წმინდა მხატვრული თვალსაზრისით, მეორე მხრივ, როგორც მხარის მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარების დონის უტყუარი საზომი. მათი მნიშვნელობა კიდევ უფრო მატულობს, თუ მათ განვიხილავთ სოციალურ, პოლიტიკურ თუ იდეოლოგიურ მოვლენათა სფეროში, რაც თავის მხრივ, რეგიონის ისტორიული ცხოვრების მეტი სიცხადით წარმოდგნისათვის დამატებით მონაცემებს იძლევა.

შუა საუკუნეებში ოქუმისწყლის ხეობიდან მიემართებოდა მრავალი გზა, რომლითაც იგი ეკონომიკურად და სტრატეგიულად მომიჯნავე რაიონებს უკავშირდებოდა. ხეობა სამთო გზა-გადასასვლელით ჩრდილო კავკასიასაც უკავშირდებოდა. აღნიშნული გზა-გადასასვლელი, რომელიც მთისა და ბარის დამაკავშირებელ არხს წარმოადგენდა, მიჰყებოდა ბუნებრივად დაცულ წყალგამყოფ ქედებს - დადალძის, უებიშხას, აფშარას და ხოჯალს. აქედან მისიმიანეთის (დღევანდელი აფხაზეთის სვანეთი) გავლით გზა მდ. კოდორის სათავეებისაკენ მიუყვებოდა და

ნაპარის უღელტეხილით (კარუბით) ჩრდილოეთ კავკასიაში, უშეულანის ხეობაში, დღევანდელ ყარაჩავი-ჩერქეზეთში ჩადიოდა. ხეობის ზედა წელზე მრავლადა ადრეული ხანის ციხე-სიმაგრეების ნაშთები, რომლებიც მიგვანიშნებენ საციხისთავო ერთეულების შექმნაზე. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ისინი ჩრდილო კავკასიაში მიმავალ გზასაც აკონტროლებდნენ. აღსანიშნავია, რომ სწორედ ისტორიული გზებით გადაჰყავთ დღესაც საქონელი ალბურ საძოვრებზე. ეს გზა, თავის დროზე აღბათ, დაკავშირებული იქნებოდა „დარინის გზასთან“, დიდ სავაჭრო მაგისტრალთან, რომელიც ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებს აკავშირებდა [1, გვ. 236-237].

საკვლევი ძეგლი მდებარეობს სოფ. ღუმურიშის ჩრდილო-დასავლეთით, სოფლიდან სამი კილომეტრის დაშორებით, მდ. ოქუმისწყლის მარჯვნა ნაპირზე, მცირე ხეობის სიღრმეში, დამრეცი ფერდის მცირე დავაკებაზე, ადგილ „საგერგაიოში“. ადგილობრივმა მოსახლეობამ არ იცის თუ ვის სახელზეა ეკლესია აგებული და როდის იმართებოდა იქ დღეობები. ეს გარემოება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ საგერგაიოში ახალი მოსახლეობის გაჩენის დროისათვის (XVIII ს.) ეკლესია შეიძლება უკვე მწყობრიდან იყო გამოსული და აღარ ფუნქციონირებდა.


ეკლესიის ეზო რიყის ქვით ნაგები წრიული კონფიგურაციის გალავნით ყოფილა შემოფარგლული, რომლისგანც ამჟამად მხოლოდ მცირე ნაწილებიღაა დარჩენილი ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით. გალავნის შესავლელი ამჟამად არ ჩანს. ადგილის რელიეფისა და მისასვლელი გზის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, კარი გალავანს სამხრეთიდან ექნებოდა მოწყობილი.

აღნიშნული ძეგლი 1959 წელს ვიზუალურად აღწერა არქეოლოგმა მ. თრაფშმა [4, გვ. 208].

არქეოლოგიურ სამუშაოებს ღუმურიშში საფუძველი ჩაეყარა 1986 წლის გაზაფხულზე, რაც განაპირობა ძეგლიდან მომდინარე XI საუკუნით დათარიღებულმა, სოხუმის მუზეუმში დაცულმა კირქვის ფილამ, რომელზეც ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა: „ღმერთო შეიწყალე ორთავე ცხოვრებასა შინა ამის ჭამრისა მაშენებელი დეოფალთ-დეოფალი საგდუხტი, ნიანიას ასული, ამენ“ [2, გვ. 126]. არქეოლოგიური სამუშაოები ღუმურიშში დამთავრდა 1989 წელს.

უერდი, სადაც მდებარეობს ეკლესია, მოიცავს დაახლოებით 800 კვ მ მიწის მოვაკებულ თუ ხელოვნურად მოსწორებულ ტერიტორიას.

დროთა განმავლობაში ეკლესიის შემორჩენილი კედლებისათვის, როგორც შიგნით, ისე გარეთ, შემოუცლიათ პერანგი, რომელიც მოსახლეობას გამოუყენებია სამშენებლო თუ საბუხრე ქვებად.



ნახ. 1. ღუმურიშის ეკლესიის გენგეგმა და ჭრილები

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოიყო ორი სამშენებლო პერიოდი (ნახ. 1). ზედა სამშენებლო ღონის ეკლესია დაფარული იყო მცენარეული საფარით, რომელთა ჯესვები ჩაღწეული იყო იატაკამძე და ასახავდა მისი გაუკაცურების მთლიან პერიოდს. გაწმენდის შემდგომ გამოვლინდა ნაყარში ჩამჯდარი დარბაზული ეკლესის კედლები ($4,5 \times 7,5$), რომელთა შემორჩენილი სიმაღლე ერთიდან ორ მეტრამდეა. დარბაზის გეგმა წარმოადგენს წესიერ სწორკუთხედს, რომლის მხრებით გამოყოფილი აბსიდა აღმოსავლეთის მხარეზე გარედან, სწორ კედლებშია ჩაწერილი. დარბაზი შეუზეა გაყოფილი საფეხურებით პილასტრებით. აბსიდის მოედანი იატაკის ღონიდან ამაღლებულია თანაბარი, საშუალო ზომის კირქვის კვადრებით, რომელიც ზემოდან კირის სსნარითაა მოსწორებული. აბსიდის ცენტრში კედლებზე მიღდმული საკურთხევლის ფუძის კირქვის კვადრია შემორჩენილი. დარბაზის დასავლეთ და სამხრეთ კედლებში კარებია გაჭრილი. დარბაზის იატაკიც კირის სსნარითაა მოსწორებული. დარბაზის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ერთი მეტრი სიმაღლისა და ნახევარი მეტრი რაღიცების მქონე ქვეგრია ჩაღდმული. კონჭში, ხმის გასაძლიერებლად, თიხის ჭურჭელი ყოფილა მოთავსებული. კედლის კონსტრუქცია ორმხრივი მოპირკეთებისა და მის შუა ამოვსებისაგან შედგება.

ზედა სამშენებლო დონის მწირი კერამიკული
მასალიდან ყურადღებას იპყრობს უცხოური
ფაიანსის ჭურჭლის ფრაგმენტები, ჭურჭელს
მკვეთრად გამოყოფილი მაღალი ქუსლი ჰქონია.
ორნამენტი შედგენილა მცენარეული და გეო-
მეტრიული მოტივებით. მწვანე, ოთორი, ლურჯი
და შავი საღებავებით შესრულებული ხაზები
დახვეწილია. მისი მხატვარი, ჩანს, კარგად
იცნობს თავისი დროის ტრადიციებს. ჭურჭლის
ფრაგმენტი მაღალი ხარისხისაა, ნატიფია, კეცი
მკვრივია, გამოწევარია მოთეთოოდ, ძლიერ
წმინდა სტრუქტურის მასალისაგან. ჭურჭლის
აღდგენა და დათარიღება ხერხდება გაღის
მხარეთმცოდნების მუზეუმში დაცულ, ანალო-
გიურ, XVII საუკუნით დათარიღდებული
ჭურჭლის მიხედვით.

ქვედა სამშენებლო დონის ნაგებობის ნაშთები უყრო ფრაგმენტულია, რომელმაც, ალბათ, დაზიანება განიცადა მოძვევნო სამშენებლო დონეზე წარმოებული საქმიანობის დროს. იგი საგრძნობლად დაუზიანებიათ სამარჩებსაც. მიუხედავად ამისა, ნაგებობის მიწისქვეშ მოქცეული საძირკველი, რომელიც შედგენილია რიყის ქვისა და კირის დუღაბისაგან, თითქმის მთლიანადა შეძორჩენილი, რომლითაც ძეგლის ნაწილობრივი სურათის წარმოდგენა შეიძლება. მისი სუროთმოძღვრული კომპოზიცია ასეთია: დაგრძელებულ შიდა დარბაზულ სივრცეს სამხრეთიდან სიგრძივ ღრებზე განვითარებული, ფუნქციონალურად დაკავშირებული და გარეგან მა-

სათა აგებულებით დაქვემდებარებული სათავსო ემიჯნება, რომელიც დარბაზის გრძივი ღერძის მიმართ მეორე, განივ ღერძს ქმნის. დასავლეთის მხრიდან დარბაზს კიდევ ერთი სათავსო (კარიბჭე?) ჰქონია მიშენებული. დარბაზის გეგმა გარედან სწორკუთხოვანი მოხაზულობისაა, რომლის აღმოსავლეთ ნაწილში საქმაოდ ძლიერი მხრებით გამოყოფილი, ფართო აბსიდია ჩაწერილი. დარბაზს, როგორც აღნიშნეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მინაშენი აქვს, აღმოსავლეთის მხარეზე იგი დარბაზის გარე ხაზს უსწორდება და ამიტომ შენობის საერთო აბრისში საფეხურადაა შეწეული. დარბაზის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში შემორჩენილია კირისა და თიხის ნაზავისაგან შემდგარი იატაკის ფრაგმენტი.

ღუმურიშის ქვედა სამშენებლო დონის ეკლესია მიეკუთვნება ქართული დარბაზული ხუროთმოძღვრების თავისებურ ტიპს, ე.წ. ერთნავიან დარბაზულ ეკლესიას. როგორც ცნობილია, აღნიშნული ტიპის ეკლესიაში აბსიდის ჩრდილოეთით, ძირითად ნავთან კარით დაკავშირებული სათავსო გამოყოფილი, რომელიც ძირითად ნავთან შედარებით მოკლე მოცულობითი ფორმისაა, რის გამოც შესაბამის ფასადზე საფეხუროვანი გადასვლა იქმნება. მსგავს ეკლესიებში ნაგებობის ძირითად ბირთვს სხვადასხვა მხარეს ფუნქციონალურად დაკავშირებული და გარეგან მასათა აგებულებით დაქვემდებარებული მინაშენები ემიჯნება (ხცისი, ტამალა, გარბანი, ჩხორთოლი, ხვილიშა, ბზიანა II, მღვიმე და სხვ.).

ქვედა სამშენებლო დონის ნაგებობაში ფურადღებას იქცევს ეკლესიის გეგმის დამახინჯება, სამხრეთის სათავსოს საერთო გეგმიდან გადახრა სამხრეთ-დასავლეთისაკენ, რომლის მიზეზად არ შეიძლება ჩაითვალოს მშენებლის შეცდომა. ეკლესიის სამხრეთი ნაწილისა და ხელოვნურად მოსწორებული ეზოს დაბლა ჩამოწოლა ნიადაგის ეროზიული ცვლილებისაგან უნდა იყოს გამოწვეული.

კომპოზიციური სქემით, ხუროთმოძღვრული ფორმებითა და სამშენებლო მასალით ღუმურიშის ქვედა სამშენებლო დონის ერთნავიანი დარბაზული ეკლესია მსგავსებას ქართლის, ჯავახეთის, არაგვის ხეობისა და რაჭის ძეგლებთან ავლენს. იგი მთლიანად XI-XV საუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრების ხაზს აგრძელებს.

ქვედა სამშენებლო დონეზე გამოვლენილ არქიტექტურული დეტალების მიხედვით ირკვევა, რომ ეკლესიის მხატვრული შემკობისათვის დამახასიათებელი ყოფილა ცხოველზატულობა, დინამიურობა, დეკორატიული გაფორმების სიმდიდრე. კარისტები, სარკმელთა საპირეები და სათაურები შემკობილი ყოფილა ქვაზე ნაკვეთი სახეებით. ფასადთა კომპოზიციაში ჩართული ყოფილა ჯვრები, როზეტები, კვადრატები, ფიგურული რელიეფები. ეს მორთულობა ეკლესიის, როგორც ხუროთმოძღვრული ნაწარმოების, სრულუფლებიანი კომპონენტი ყოფილა, სადაც ჩრდილ-ნათელის დაპირისპირე-

ბით გაცოცხლებულ, პლასტიკურ ჩუქურთმაში განსაკუთრებულ როლს მცენარეული სახეები თამაშობს.

კერამიკული მასალა ქვედა სამშენებლო დონეზეც მწირია, მათგან ყურადღებას იქცევს ქვევრების ფელ-პირის ნაშთები, საოჯახო, სასუფრე ჭურჭლის ნატეხები და ქოთნების ფრაგმენტები.

მასალის, გამოწვის, დამუშავების ტექნიკისა და ორნამენტაციის მიხედვით კერამიკული მასალა ორ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფის ნატეხები ნორმალურად გამომწვარია, წითელი ფერისაა, თიხა რბილია, სუფთად განლექილია, პრიალა ან დაშტრიხული, კორპუსი პირის გვირგვინის ქვემოთ შემკულია ე.წ. „ნათითურებიანი“ სარტყლით. მეორე ჯგუფის ნატეხების ფერი მორუხო-მოწითალოა. თიხა უხეშია, ცუდად განლექილი და არასაკმარისად გამომწვარი.

სამზარეულო კერამიკაც ნატეხებითაა წარმოდგენილი (პირისა და კედლის ნატეხები, ყურები, ძირები). აღნიშნული ჭურჭლის თიხა მსხვილმარცვლოვანი და მინარევებიანია (ქარსი, ქვიშა, კვარცი), უმეტესწილად ცუდადა განლექილი და კეცი არათანაბრადა გამომწვარი.

ღუმურიშის ქვედა სამშენებლო დონის ანალოგიური კერამიკული მასალა ცხემისა და ანაკოფიის ციხეებზე XI-XV საუკუნეებით დათარიღებულ ფენებში გვხვდება [4, გვ.131, ნახ. 46-47].

ქვედა სამშენებლო დონის ეკლესიას მიეკუთვნება რკინის საკეტები და გრძელი, მრგვალთავიანი ლურსმნები, რომელთაც მრავლად მოეპოვებათ ანალოგიები დასავლეთ საქართველოში.

ეკლესიის სამხრეთ დასავლეთით, გალავნის გარეთ, 20 მ სიგრძის, რიყის ქვით შერალად ნაწყობი კედლის ფრაგმენტი გამოვლინდა, რომელიც უშუალოდ გალავნიდან იწყება.

XVI-XVII საუკუნეებში საგერგაიო რომელიერი სამოსახლო ყოფილა, ეს ნათელჰყოფილი ეკლესიის გალავანშემოვლებულ ეზოში გამართული სამაროვნის შესწავლამ. გათხრებმა ცხადჰყო, რომ აღნიშნულ საუკუნეებში აქურობა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. სამარხების ერთადერთი ტიპი - ორმოსამარხებია. დამარხვის წესები აქაც ისეთივეა, როგორც საერთოდ მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროში. სამარხეული ინვენტარში ძირითადად ერთი და იმავე სახის ჭურჭლი, ხელადებია. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მიცვალებულთა ჩასაყოლებლად მხოლოდ ერთი ტიპის ჭურჭლებს იყენებდნენ, რაც რელიგიური მოტივებით უნდა აიხსნას, ვიდრე ეკონომიკური ფაქტორით.

სამარხეული ინვენტარიდან ყურადღებას იქცევს გრძელყლიანი უცხოური მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელიც სოხუმის მუზეუმში დაცული ანალოგიური ჭურჭლის მიხედვით XVI-XVII საუკუნით თარიღდება.

ამგვარად, არქეოლოგიური გათხრებით და ეპიგრაფიკულ მასალაზე დაყრდნობით ირკვევა,

რომ XI საუკუნეში აუშენებიათ ერთხავიანი დარბაზული ეკლესია სამხრეთის მინაშენითა და კარიბჭით (12×14), რომელიც XV საუკუნეში წყვეტს არსებობას. XVI საუკუნეში მის ადგილზე აუშენებიათ მცირე დარბაზული ეკლესია ($4,5 \times 7,5$), ეკლესის გალავანშემოვლებულ ეზოში კი სასაფლაო გაუძართავთ. XVII საუკუნის დასასრულიდან აღნიშნული ეკლესია და სასაფლაოც აღარ ფუნქციონირებენ.

ზემოთ აღნიშნული წარწერის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია. მგვლევართა მსჯელობის საგანი არც საგდუხტ „დეოფალთადეოფლის“ ვინაობის დადგენა გამხდარა.

ჩვენი აზრით, საგდუხტის ტიტულის (დეოფლის) გვერდით მამის სახელის მოხსენიება იმის მიმანიშნებელია, რომ მისი ჩამომავლობა მამის მხრიდან სოციალურად მეფის რანგისაა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ნიანია მეფის გვარის ჩამომავლია.

როგორც ცნობილია, ნიანია ქვაბულის ბეჭთავი ისახელა რანის სულთან ფადლონის ქართლიდან განდევნაში [3, გვ. 310]. 1073 წელს ნიანია ქვაბულის ბეჭთავი ივანე ლიპარიტის ძისა და სვანთა ერისთავ ვარდანთან ერთად გადაუდგა გიორგი მეორეს, დაიპყრო ქუთაისი და ხელში ჩაიგდო სახელმწიფო ხაზინა. მეფე სხვას ვერაფერს გახდა, გარდა იმისა, რომ მეამბოხეებს წყალობა და მამულები გაუმრავლა ხვდ გვ. 315-316.

XI ს-ის საქართველოს მეფეების თანამეცხედრეების სახელები, გარდა გიორგი მეორის თანამეცხედრის სახელისა, ცნობილია. ღუმურიშის ეკლესის ქტიორის, ნიანიას ასულ საგდუხტის სახით, ვფიქრობთ, საქმე გვაქვს გიორგი მეორის თანამეცხედრესთან, დავთ აღმაშენებლის დედასთან.

საკვლევ პერიოდში ოქუმისწყლის ხეობის ეკონომიკურ მნიშვნელობაზე უნდა მეტყველებდეს ის ფაქტი, რომ იგი ცალკე ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ ერთეულს წარმოადგენდა. აღნიშნული ვთარების ამსახველი უნდა იყოს ღუმურიშის ეკლესის წარწერაში მოხსენიებული, ხეობის განმგებელი, დედოფალთ-დედოფლი საგდუხტი.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ამავე ხეობაში, სოფ. წარჩეში შემორჩენილია დარბაზული ეკლესისა და გალავნის ნაშთები, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „მაფაშოხამე“-ს უწოდებს, რაც დედოფლის სალოცავს ნიშავს. აქვეა წყარო, რომელსაც „მაფაშ წყურგილს“ (დედოფლის წყარო) უწოდებენ. აღნიშნული სახელწოდებები დაკავშირებულია ადგილობრივ მოსახლეობაში სხვადასხვა ვარიანტით შემორჩენილ ლეგენდასთან, რომლის მიხედვითაც ამ მხარეს ოდესლაც დედოფალი განაგებდა [5, გვ. 163].

Р. Г. Хвистани

ХРИСТИАНСКИЕ ПАМЯТНИКИ В УЩЕЛЬЕ р. ОКУМИСЦКАЛИ (ЦЕРКОВЬ ГУМУРИШИ) (резюме)

Церковь Гумуриши расположена на окраине с. Гумуриши, на правом берегу р. Окумисцкали, в одном из регионов исторической провинции Грузии - Шида-Эгри, богатой памятниками христианской эпохи. Церковь Гумуриши археологически исследована в 1986-89 гг. Абхазской археологической экспедицией Центра археологических исследований АН Грузии (руководитель М. Барамидзе).

Археологические раскопки выявили два строительных горизонта. Нижний принадлежит одненефной церкви зального типа (12×14), построенной в XI в. и разрушенной в XV в. В XVI в. на том же месте была построена церковь ($4,5 \times 7,5$ м) зального типа, во дворе которой было устроено кладбище. В конце XVII века церковь и кладбище прекращают существование.

R. Khvistani

CHRISTIAN MONUMENTS IN THE r. OKUMISTSQALI GORGE (GHUMURISHI CHURCH) (Summary)

Ghumurishi church is situated in the outskirts of the Ghumurishi village, on the right bank of the river Okumistsqali, in one of the regions of Inner Egri, a historical province of Georgia rich in relics of the Christian period.

Ghumurishi church was studied archaeologically in 1986-89 by the Abkhazian archaeological expedition of the Centre for Archaeological Studies of the Georgian Academy of Sciences (headed by senior researcher M. Baramidze).

Archaeological excavations revealed two constructional horizons. The lower one belongs to a one-nave hall-type church (12×14) built in the 11th and destroyed in the 15th century. In the 16th century a hall-type church was built at the same place ($4,5 \times 7,5$) with a cemetery in its yard. The church and the cemetery ceased to exist at the end of the 17th century.

ლიტერატურა

1. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 4, ნაშ. II, თბ., 1952.
2. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, II, თბ., 1989.
3. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955.
4. **Трапиш М. М.**, Труды, т.IV, Сухуми, 1975.
5. **Шервашидзе Л. А.**, Монументальная живопись Абхазии, Тб., 1980.

არქეოლოგიური თეორიის საპითხები
ВОПРОСЫ ТЕОРЕТИЧЕСКОЙ АРХЕОЛОГИИ
PROBLEMS OF THEORETICAL ARCHAEOLOGY

გურამ კვირკველია

არქეოლოგიური აზროვნების ისტორიიდან:

1. პროცესუალური არქეოლოგია

XX ს-ის 60-იან წლებში ჩრდილო ამერიკულ არქეოლოგიაში თავი იჩინეს მოვლენებმა, რომლებმაც ძირიფის განვითარების სიტუაცია ამერიკის პრეისტორიის შემსწავლელ დისციპლინაში, მაღლე გასცდნენ რეგიონალურ საზღვრებს და შესამჩნევი გავლენა იქონიეს არქეოლოგიური აზროვნების განვითარებაზე ევროპაშიც.

ამ დროისათვის პრეისტორიულ არქეოლოგიაში მომუშავე წამყვან სპეციალისტებს გაუჩნდათ გარკვეული უკმარისობის გრძნობა არქეოლოგიის მეცნიერების დარგში არსებული სიტუაციის გამო. საქმე ეხებოდა არა იმდენად საველე მეთოდიკას ან არქეოლოგიური ნივთების დამუშავების ხერხებს, არამედ არქეოლოგიური მასალის საფუძველზე დასკვნების მიღების მექანიზმს. უფრო ზოგადად კი – არქეოლოგიური წყაროების საფუძველზე წარსულის მოვლენების შემეცნების შესაძლებლობებს, არქეოლოგიური კვლევის პროცესის ეპისტემოლოგიურ საფუძვლებს.

40-50-იანი წლებისათვის ამერიკულ არქეოლოგიაში წამყვანი პოზიციები ეკავათ არქეოლოგებს, რომლებიც გამოდიოდნენ ეთნოგრაფიის ისტორიული სკოლის თეორიული დებულებებიდან. ამგვარი არქეოლოგიის დამახასიათებელი ნიშნი იყო კვლევის თეორიული ჩარჩოების იგნორირება, გატაცება ფაქტოლოგიური მხარით, კულტურული კომპლექსების ფორმალური აღწერა, ტაქსონომიური ცხრილებისა და ქრონოლოგიური სვეტების დამუშავება. მკვლევარებს შორის სუფევდა გარკვეული თანხმობა არქეოლოგიის დისციპლინის ბუნებაზე და დასახული კვლევა-ძიების მიზნების მისაღწევად ყველაზე უფრო გამოსადეგ საშუალებებზე. ამგვარი შეხედულებანი და მეთოდები რეტროსპექტულად განხილული და განსაზღვრულ იქნა ეწ. „კულტურულ-ისტორიული მიმდინარეობის“ ანუ „ტრადიციული არქეოლოგიის“ ფარგლებში [23, გვ. 50; იხ. აგრეთვე 36, გვ. 130-131; 37; 38; 79]. მთავარ ამოცანას წარმოადგენდა დროისა და სივრცის განხილვა და აღწერა არქეოლოგიურ კონტექსტში. თუმცა იყო ცალკეული ცდები წარსული დროის ხალხებისა და საზოგადოებების ცხოვრების რეკონსტრუქციისა, ამგვარი ძალისხმევა არასრულფასოვან სპეციულიაციებად ითვლებოდა ქრონოლოგიურ-დესკრიპციულ ამოცანებთან შედარებით [მაგ. იხ. 102]. კულტურა

განიხილებოდა როგორც ინდივიდუმთა გონების მუშაობის პროდუქტი, შედეგი მათი მენტალური რეაციისა კულტურული ან ბუნებრივი ისტორიის მოვლენებზე. კულტურის ისტორიაში რაიმე კანონზომიერების აღმოჩენის ძირითად საშუალებად ინდივიდუმის ფსიქოლოგიაში ღრმა ჩაწვდომა იყო ძიჩნეული. „შეუძლებელია ვიწინასწარმეტყველოთ ქცევა გამომდინარე ამათუ იმ ისტორიული მოვლენებიდან – წერდა ამერიკელი ანთროპოლოგი ფრანც ბოასი 1938 წელს – ... პრობლემა ფსიქოლოგიური ხასიათისა და ისეთივე სირთულის, რაც ახასიათებს ინდივიდთა ცხოვრების რთული მენტალური ფენომენის კვლევას“ [ციტირებულია 22, გვ. 12 მიხედვით]. ამდენად, არქეოლოგების კვლევის საგანი მატერიალისტური იყო, ხოლო მისი გამომწვევი მოვლენები თავისი ბუნებით მენტალური, იდეალისტური და, ამდენად, მიუღწეველი წმინდა არქეოლოგიური საშუალებებით. ამგვარ მიდგომას ლუის ბინფორდი იდეალისტურად და არამეცნიერულად თვლის [23, გვ. 50-52].

შექმნილი ვითარებით გარკვეულმა უკმაყოფილებამ თავი იჩინა ჯერ კიდევ 30-იან წლებში. მაგ., უილიამ დევიდ სტრონგი მოუწოდებდა კოლეგებს კულტურის განვითარებისა და ცვლილებათა მიზანების შესწავლისაკენ [132]. ამგვარი კვლევის საფუძვლად მას არქეოლოგებისა და ეთნოლოგების ერთობლივი მუშაობა ესახებოდა. კულტურულ ცვლილებათა მექანიზმის ახსნა დაისახეს მიზნად არქეოლოგებმა ჯ. სტიუარტმა და ფ. ზეტლიცერმა [130]. მათი აზრით, არქეოლოგიას შეეძლო გაცილებით მეტის გაკეთება, ვიდრე უბრალოდ არტეფაქტთა ტიპებზე (ვთქვათ, ისრისპირების ვარიაციებზე) და მათ ქრონოლოგიურ თანამიმდევრობაზე მსჯელობა. შესაძლო საკვლევ ამოცანად მათ მიაჩნდათ საკითხის დასმა სამოსახლოთა საარსებო ბაზის შესახებ, საარსებო პოტენციალისა და სამოსახლოთა ტიპების საფუძველზე მოსახლეობის რაოდენობრივი მაჩვენებლების კვლევა.

ტრადიციულ არქეოლოგიასთან შედარებით კიდევ უფრო კონცეპტუალური ხასიათი მიიღეს კლაიდ კლაკონის იდეებმა. პ. კლაკონი, პროფესიით ანთროპოლოგი, თავის სამეცნიერო მოდვაწეობის გარკვეულ ნაწილს არქეოლოგიასაც უთმობდა.²⁶ 30-40-იან წლების მიჯნაზე გამო

²⁶ აშშ-ში პრეისტორიული არქეოლოგია ხაზს უსვამდა თავის ძირეულ განსხვავებას კლასიკური არ-

ქვეყნებულ ნაშრომებში [73; 74; 75] მან დასვა იმ დროისათვის მეტად აქტუალური საკითხები: რა არის არქეოლოგის საგანი? რა ადგილი უნდა პქონდეს ამ დისციპლინაში თეორიას? ეს კითხვები გაისმა იმ პერიოდში, როდესაც თეორია არქეოლოგიაში სპეციალისტთან იყო გაიგიყვანული, არ არსებობდა კონცეპტუალური ფორმულირებანი, ხოლო ისეთი ცნებები, როგორიცაა კულტურების სტაბილურობა, დიფუზიები, მონოგენეზისი ან პოლიგენეზისი, ეთნისისა და კულტურის ურთიერთმიმართება იხმარებოდა უკრიტიკოდ და ფაქტოლოგიური ბაზისადმი შეუმოწმებლად [150, გვ. 133-135]. კლაკონი არქეოლოგისათვის ხედავდა მხოლოდ ორ შესაძლებელ გზას, ორ კონცეპტუალურ მიმართულებას. ერთი მათგანი იყო „ისტორიული“ - კერძო, კონკრეტული მოვლენების ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაში აღმნესხავი; მეორე – ალტერნატიული, „მეცნიერული“, რომელიც გულისხმობდა ყურადღების გამახვილებას კულტურული განვითარების ანუ პროცესების ზოგადი საერთო ნიშნების დადგენაზე. კლაკონი სწორედ მეორე გზისაკენ მოუწოდებდა კოლეგებს.

„ფუნქციონალისტური“ არქეოლოგის ცნება და განსაზღვრება ჩამოყალიბა ჯონ ბენეტმა 1943 წელს გამოსულ სტატიაში „არქეოლოგიურ მონაცემთა ფუნქციონალური ინტერპრეტაციის თანამედროვე მიმართულებანი“ [2]. მისი მიდგომა ითვალისწინებდა განათხარი არტეფაქტების ფუნქციონალური დანიშნულებისა და მნიშვნელობის წვდომას საერთო კულტურულ კანონზომიერებებზე დაყრდნობით. მის ნაშრომებში სანტერესოდ იდგა აგრეთვე კულტურისა და გარემოს ურთიერთმოქმედების საკითხებიც [3; 4].

1948 წელს გამოქვეყნდა კ. კლაკონის მოწაფის ვ. ტეილორის ნაშრომი „არქეოლოგის კვლევა“ [134]. ნაშრომის დიდი ნაწილი შეიცავს

ქოლოგისაგან და თავის თავს თვლიდა ანთროპოლოგიურ მეცნიერებად (ანთროპოლოგის ამერიკული გაგებით), კერძოდ კულტურული ანთროპოლოგის ნაწილად. „ისტორია“, რომელსაც ტრადიციულისაგან განსხვავდლი მნიშვნელობა პქონდა (ის უფრო ლიტერატურის ჟანრად აღიქმებოდა), საერთოდ გამოყვანილი იყო მეცნიერებათა წრიდან. კლასიკური არქეოლოგია ითვლებოდა ხან ისტორიის, ხან ხელოვნების, უფრო ხშირად კი კლასიკური ფილოლოგის სფეროში შემავალად და ამდენად „სერიოზულ“ არქეოლოგიად არც განიხილებოდა პრეისტორიკოს არქეოლოგთა მიერ. ამგვარ ვითარებაში ამერიკელ არქეოლოგებს მტკიცედ სწავლათ მათი დისციპლინისათვის და კულტურული ანთროპოლოგიისათვის საერთო თეორიული საფუძვლების არსებობის შესაძლებლობა. პრეისტორიული არქეოლოგიის ანთროპოლოგიური კონტექსტიდან გამომდინარე, ამერიკელ მკვლევარებს უკვე სტუდენტიდან ეძლეოდათ მეტად ძლიერი ანთროპოლოგიური ორიენტაცია. სწორედ ამ თავისებურებებმა შეუწყვეს ხელი იმ მოვლენებს, რომლებმაც თავის კულმინაციას მიაღწიეს 60-იანი წლებისათვის.

არსებული სიტუაციის კრიტიკას. ამავე დროს მასში ჩამოყალიბებულია პოზიტიური საპროგრამო ნაწილი, რომელსაც აკტორმა უწოდა „შემაკავშირებელი“ (conjunctive) მიღობა. ტაქ-სონომისტური ყაიდის დესკრიპტივისტი არქეოლოგები ჩვეულებრივ ნივთებს განიხილავნენ ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით (მაგ. თასები, ლანგრები, ისრისპირები და ა.შ.), მათი კლასებად ან ტიპებად განაწილების მიზნით. მათგან განსხვავებით ვ. ტეილორი, ფუნქციონალისტური იდეებიდან გამომდინარე, აერთიანებდა, „აკავშირებდა“ ნივთებს ყველა ფუნქციონალური კატეგორიიდან ერთიან კომპლექსებში მათ ურთიერთმიმართებათა, ფუნქციათა და მთლიანად კომპლექსის მნიშვნელობის დასადგენად [იხ. 72, გვ. 62]. კულტურა კვლევის არეში უნდა შემოვიდეს მთლიანობაში, ყველა მისი პარამეტრით, ფუნქციონალური თუ სისტემური მაჩვენებლებით.

ვალტერ ტეილორის ეს ნაშრომი თითქმის მთლიანად იქნა იგნორირებული თანამედროვეების მიერ და მხოლოდ მერე, რეტროსპექტულად იქნა ცნობილი არქეოლოგიურ აზროვნებაში გადატრიალების წინამორბედად [34, გვ. 13-22; იხ. აგრეთვე 99, გვ. 34; 41, გვ. 196].

50-იანი წლების ბოლო ამერიკის არქეოლოგიაში, კარგა ხნის მივიწყების შემდეგ, კულტურულ-ეკოლოგიური მიდგომის აღორინებით აღინიშნება. ეს მოვლენა პირველ რიგში დაკავშირებულია გორდონ ვილისა და ფილია ფილიას წიგნთან „მეთოდი და თეორია ამერიკულ არქეოლოგიაში“ [149]. ამ ნაშრომში ავტორებმა ყურადღება გაამახვილეს კვლევის სიციალურ ასპექტზე, პროცესუალურ ინტერარეტაციებზე, ანუ იმ ზოგადი პროცესების შესწავლაზე, რომლებიც მიმდინარეობდა კულტურის ისტორიაში.

50-იანი წლებისათვის კულტურული ეკოლოგიური მიმართულება, თითქმის არასებობდა ამერიკულ ანთროპოლოგიაში. მის ლამის ერთადერთ მიმდევრად რჩებოდა ლესლი უაიტი [145; 146]. ჯულიან სტიუარტმა გამოიმუშავა „კულტურულ-ეკოლოგიური“ და „მულტილინეარული ეკოლოგიური“ მიდგომები არქეოლოგიაში. ზოგადი სახით, ჯ. სტიუარტი განვითარების კანონზომიერების დასადგენად არქეოლოგებს მოუწოდებდა გარკვეულ გარემო პირობებში გარკვეული კულტურული თანმიმდევრობების შედარებისაკენ. მისი აზრით, გარემოს გარკვეული ასპექტები ზემოქმედებდნენ კულტურის განმსაზღვრებლ, ტექნოლოგიური ხასიათის ელემენტებზე (კულტურის „გულა“ ელემენტებზე). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარემოს სხვადასხვა პირობებს გავლენა უნდა მოქმდინათ ტექნოლოგიური ადაპტაციების ბუნებაზე, რომლებიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ კულტურის სხვა ასპექტებზე [129].

გ. უილი და ფ. ფილიას ზემოთ ნახსენებ წიგნში ასევე ამახვილებენ ყურადღებას მრავალრიცხოვან კულტურულ ცვალებადობაზე და

ამ ცვალებადობათა კერძო მაგალითების მიღმა ხედავენ ცივილიზაციის წარმოშობის ისტორიას (მეზოამერიკის მაგალითზე). ამავე დროს ისინი გაურბიან კულტურული ცვლილებების ახესნას, და მათი საბოლოო განსაზღვრებანი მხოლოდ კულტურულ ცვლილებათა პროცესის აღწერას ემსახურებიან [149, გვ. 200].

მათთან შედარებით, ეკოლუციური თეორიის გამოყენებაში გაცილებით უფრო შორს მიდიოდა ბეტი მეგერსი. ის ასაბუთებდა გარემო ფაქტორის განმსაზღვრელ როლს კულტურის განვითარებაში [84], ხაზს უსვამდა ეკოლუციონისტური თეორიის მნიშვნელობას: „ეკოლუციური თეორიის მართებულობა და ნამდვილობა გამოიხატება თუნდაც იმაში, რომ მისი გამოყენებით მოვლენები უფრო ადგილად გასაგები ხდება და უფრო მარტივად აიხსნება“ [85, გვ. 121].

50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში კულტურულ-ეკოლუციონისტური მსოფლმხედველობით განმსჭვალული წიგნები და სტატიები თანადათან მნიშვნელოვან ადგილს იმკვიდრებენ ამერიკულ არქეოლოგიურ აზროვნებაში [56; 148].

60-იანი წლების ბოლოსათვის კულტურულ-ეკოლუციონისტური იდეები საყოველთაო აღიარებას პოულობენ, არა მარტო არქეოლოგიაში, არამედ სოციალურ ანთროპოლოგიაშიც (სალინი, სერვისი, ფრიდი). თუმცა აქ ახალ იდეებთან შეგუების პროცესი უფრო მძიმედ წარიმართა. ასე, 1968 წელს მარვინ ჰარისს სოციალურ ანთროპოლოგიაში და ეთნოლოგიაში ანტიეკოლუციონისტური და ანტიმატერიალისტური კონკურენციების წინააღმდეგ ფიცხელი პოლემიკის გამართვა მოუხდა [58].

60-იანი წლების დასაწყისში პროფესიული არქეოლოგიის ამერიკულ სკენაზე ჩნდება ადამიანი, რომელმაც, შესაძლოა, მის ისტორიაში ყველაზე გადამწყვეტი როლი შეასრულა – ლუის რიბერტ ბინფორდი. იგი საფუძველს უქრის იმ ცვლილებებს, რომლებმაც რეტროსპექტულად „არქეოლოგიურ აზროვნებაში რევოლუციის“ სახელწოდება მიიღეს, ხოლო ამ მოვლენების შედეგად წარმოშობილ ახალ მიმდინარეობას დაერქვა „ახალი არქეოლოგია“. მოგვიანებით იგი შეიცვალა უფრო აკადემიური უღრადობის ტერმინით „პროცესუალური არქეოლოგია“.²⁷

²⁷ საერთოდ ტერმინი „ახალი არქეოლოგია“ პირველად იხმარა უოზეფ კოლდუელმა 1959 წელს გამოსული სტატიის სათაურად ხ25ჯვ ამ სტატიაში მიმოხილულია ზემოთ უკვე აღნიშნული სიახლენი ამერიკის არქეოლოგიის განვითარებაში და განცხადებულია ახალი ერის დაწყება ამ დისციპლინაში. ახალი ერა მართლაც დაიწყო, მაგრამ არა მაშინ, არამედ რამდენადმე უფრო გვიან. შემდგომში ეს სახელწოდება, თანაც დაუფარავი სარგაზმით, ახალი მიმდინარეობის მიმართ იხმარეს მისმა ოპონენტებმა, რის შემდეგაც ეს სახელი მოირგეს თვით ლ. ბინფორდმა და მისმა მიმდევრებმა.

1962 წელს ქვეყნდება ლ. ბინფორდის სტატია „არქეოლოგია როგორც ანთროპოლოგია“ [5]. სტატიაში განცხადებული იყო არქეოლოგის ჭეშმარიტ მეცნიერებად გარდაქმნის აუცილებლობა. ამ მიზნის მისაღწევი გზა სათაურშივი იყო მოცემული. ბინფორდი მოუწოდებდა არქეოლოგიური დისციპლინის სრულ რეორიენტაციისაგან, და ისტორიული და ჰუმანიტარული პოზიციებიდან ანთროპოლოგიურობასა და მეცნიერულობისაკენ, რაც მისთვის სინონიმური ცნებები იყო. ამ წერილს მოჰყვა მისი სტატიების სერია არქეოლოგიის თეორიის საკითხებზე [6; 7; 8; 9].²⁸ ამ სტატიებში ლ. ბინფორდი წინამორბედი მკვლევარების კულტურულ-ეკოლუციურ და ენვირომენტალურ მიდგომებს უმატებს საკუთარ სისტემურ ხედვას და ლოგიკურ-დედუქციური დასაბუთების სისტემას. ყველაფერ ამას თან ერთვის ტრადიციული დესკრიპტიულ-ქრონოლოგიური სასიათის მიმართულების მეტად მკაცრი და სარგასტული კრიტიკა. უმთავრესი მაინც იყო პირველი და მეტად ხმამაღლი განცხადება არქეოლოგიისათვის, როგორც მეცნიერებისათვის, საკუთარი თეორიისა და კანონების შემუშავების აუცილებლობა.

ბინფორდამდე ამერიკელი არქეოლოგების წრეში გაბატონებული იყო შეხედულება, რომ არქეოლოგია წარმოადგენს წმინდა ტექნიკურ დისციპლინას, რომელიც ამზადებდა მონაცემებს ისტორიისათვის ან ანთროპოლოგიისათვის. ასეთი სახით მას არ სჭირდებოდა რაიმე საკუთარი თეორია. ითვლებოდა, რომ არქეოლოგიამ შესაძლოა ისესხოს თეორიები სხვა ნათესაური დისციპლინებისაგან [132]. ვ. ტეილორიც კი, რომელიც ებრძოდა წინამორბედთა ემპირისტული და ათეორიული ხსიათის შეხედულებებს, არქეოლოგიას ტოვებდა საკუთარი თეორიის გარეშე [154; 72, გვ. 62].

„არქეოლოგია არც ისტორიაა და არც ანთროპოლოგია“, – წერდა ვ. ტეილორი, – როგორც ავტონომიური დისციპლინა ის შედგება მეთოდისაგან და რიგი სპეციალიზებული ტექნიკური ხასიათის ხერხისაგან კულტურული ინფორმაციის შესაგროვებლად და „საწარმოებლად“ [134, გვ. 44]. გ. უილი და ფ. ფილიპსი ამაზე პასუხისმგებელი: „საველე სამუშაოს ჩატარება, ალბათ, თეორიულ ვაკუუმშიც შესაძლებელია, მაგრამ ინტერპრეტაცია უთეორიოდ წარმოუდგენელია [149, გვ. 1]; ხოლო ასეთი თეორია ანთროპოლოგიიდანაა სასესხებელი.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც გაცხადდა ბინფორდის ადრეულ სტატიებში: არქეოლოგებმა კანონშემოქმედების სფეროში თავისი მუშაობა ჰიპოთეზების ფორმულირებისა და შემდგომ ამ ჰიპოთეზების ტესტირების გზით უნდა წარმართონ.

²⁸ ეს და მისი სხვა ადრეული შრომები 1972 წელს გამოქვეყნდა ცალკე კრებულის სახით [12].

პიპოთეზების ტესტირების იდეას ჯერ კიდევ ვ. ტეილორთან ვხვდებით, მაგრამ ბინფორმაციან ახალი და მთავარი იყო შეხედულება, რომ არტეფაქტული ნარჩენები სისტემატიკური ხასიათის სტრუქტურულ ურთიერთმიმართებაში იმყოფებიან მათ წარმომშობ კულტურულ ქცევებთან, პროცესებთან და სოციალურ ორგანიზაციასთან. მათ მიმართებათა შესახებ შემუშავებული ჰიპოთეზები უნდა შემოწმდეს ჭკვიანურად ორგანიზებული და პრიბლება-ორიენტირებული კვლევით და შესაბამისი სტრატეგიით წარმართული საველე სამუშაოებით. არქეოლოგიური კვლევის უმთავრეს მიზნად გამოკვადდა არქეოლოგიურ მონაცემებში ცვალებადობების ახსნა. აქედან გამომდინარე კი „არქეოლოგიური მონაცემების ცვალებადობების და მსგავსებათა ახსნისაკენ მიმართულ კვლევაში ჩვენი უმთავრესი მიზანია კულტურული დინამიკის კანონების ფორმულირება“ [10, გვ. 27].

60-იანი წლების პირველი ნახევარი აღინიშნება ლ. ბინფორმის აქტიური მონაწილეობით ეროვნული კონფერენციების მუშაობაში. მას, როგორც წესი, თან ახლავს მოწაფების მეტად აქტიური ჯგუფი, რომელმაც მიიქცა ქურადღება და „ახალგაზრდა თურქების“ მეტსახელიც კი დაიმსახურა [50, გვ. 6]. ამ წრიდან, ჯ. დიტცი, უ. ლონგაკრი და ჯ. ჰილი 60-იანი წლების შეახანებში აქვეყნებენ საკუთარ ნაშრომებსაც [32; 63; 81; 82]. ამ ნაშრომებს მოყვა მეტად გავლენიანი ამერიკელი არქეოლოგის კენტ ფლახერის საინტერესო მიმოხილვა ჩრდილო ამერიკულ არქეოლოგიაში დაწყებული თეორიული დებატების შესახებ [44].

1968 წელს ლუის და სალი ბინფორმდების რედაქციით ქვეყნდება კრებული „ახალი პერსპექტივები არქეოლოგიაში“. კრებული ძირითად შედგებოდა 1965 წელს დენვერის ნაციონალური ანთროპოლოგიური ასოციაციის შეკრებისათვის მომზადებული ნაშრომებისაგან [24].

ეს წიგნი იქცა „ახალი არქეოლოგის“ შემარიტ მანიფესტად, რომლის შემოქმედებით მუხტის დღემდე არ ამოუწურია თავისი შესაძლებლობანი თანამედროვე არქეოლოგიურ აზროვნებაში. ამერიკულ არქეოლოგიაში დაიწყო ეწ. „ბინფორმდისეული ერა“.

ამ კრებულში თავიდანვე ხაზგასმულია ავტორების მისწრაფება უკუაგდონ ტრადიციული კვლევის ხერხები, განცხადებულია პრეტენზია მათი ნაშრომების უაღრეს რადიკალიზმზე და თანამედროვეობის შესატყვის სულისკვეთებაზე, მოთხოვნილია არსებული არქეოლოგიური მიდგომების რადიკალური გადასინჯვა. საპროგრამო ხასიათის სტატიაში „არქეოლოგიური პერსპექტივები“ ლ. ბინფორმდი აცხადებს: „ცვლილებანი არქეოლოგიაში, რომლებიც პოსტულირებულია ამ წიგნში, არ წარმოადგენენ უბრალოდ ახალ მეთოდებსა და ახალ თეორიებს; ეს ცვლილებანი მდგომარეობს ისეთი თეორიებისა და მეთოდების მოთხოვნაში, რომლებიც შემუშავდება

ახალი ეპისტემოლოგიური კონცეფციის თანახმად ისეთი ძირითადი საკითხების მიმართ, როგორიცაა წარსულის შესწავლისაკენ მიმართული სწორი არქეოლოგიური პროცედურები“ [10, გვ. 17].

მოკლე შესავალ ნაწილში (იკავებს სულ ორ გვერდს) ბინფორმდი განსაზღვრავს თეორიის ადგილს არქეოლოგიაში. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგია ანთროპოლოგიური მეცნიერებაა, მას უნდა გააჩნდეს საგუთარი თეორია. „მეცნიერული მეთოდები და ხერხები შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი შესაბამებიან გარკვეულ მიზნებს და გამოიყენება მხოლოდ სპეციფიკური ემპირიული მონაცემების თვისებების მიმართ [11, გვ. 1]. ჯერ კიდევ 1960 წელს ა. სპოლდინგი აღნიშნავდა, რომ არქეოლოგია შეიძლება განისაზღვროს, როგორც არტეფაქტებში წარმოდგენილი ფორმების დროსა და სივრცეში ურთიერთობების კვლევა [124, გვ. 439]. ბინფორმდი აზუსტებს ამ განსაზღვრებას და არქეოლოგიის ამოცანად ასახელებს დაკვირვებადი ურთიერთობების ახსნას, უფრო სწორედ, არქეოლოგიურ მონაცემებში დაკვირვებადი წესრიგის ახსნას. არქეოლოგიური თეორია შედგება მსჯელობებისა და ვარაუდებისაგან არქეოლოგიური ნარჩენების შესახებ – მათი წარმოშობის, ცვალებადობის წყაროების, მათი განსხვავება-მსგავსების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ, არტეფაქტების დროითი და სივრცითი მახასიათებლების ფარგლებში [11, გვ. 1-2; იხ. აგრეთვე 21, გვ. 21-22].

მოყვანილ მსჯელობებს ეხმაურება ამავე კრებულში მოთავსებული ა. სპოლდინგის სტატია „არქეოლოგიური ახსნები“ [125].²⁹ ავტორი ამტკიცებს, რომ არქეოლოგიის დახასიათებისას დილემას „ისტორიული“ თუ „ანთროპოლოგიური“ სინამდვილეში არა აქვს აზრი. არსებობს ახსნათა ერთადერთი სახეობა – ის, რომელსაც მიყვართ კანონების აღმოჩენისაკენ, ხოლო მასალის ქრონოლოგიურ მოწესრიგებას, რაც

²⁹ ეს შემთხვევა მეტად ამაღლევებელი მაგალითია მეცნიერთა პიროვნული ურთიერთობების სფეროდან. ალბერტ სპოლდინგი თავად იყო ლ. ბინფორმდის მასწავლებელი. ი რას წერს მოგვიანებით განთქმული მეცნიერი და ახალი სამეცნიერო მიმართულების აღიარებული ლიდერი თავის მასწავლებელზე: „ისტორიულ გადასახედზე, იყო მხოლოდ ერთი მასწავლებელი, რომელიც გამუდმებით სტიმულს მაძლევდა და მამდიდრებდა თავისი ცოცხალი აზრებით, დასაბუთებით, პერსპექტიული ხედვით. ეს ყველაზე მეტად დასაფასებელი მასწავლებელი იყო ალბერტ სპოლდინგი. სხვებიც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყვნენ, მაგრამ... სპოლდინგი ყველასაგან გამოირჩევა როგორც კონსტრუქციული აზროვნების და გამჭრიანი ინტერიციის ინტელექტუალური კლდე-შეუძლებელია ჩემი მადლიერება მეტისმეტი იყოს“ [22, გვ. XV]. მასწავლებელმა გაიზიარა მოწაფეს შეხედულებანი და 60-იანი წლებიდან დაწყებული არ თავილობდა მისი იდეების ფარვატერში მოღვაწეობას. [იხ. მაგ. 126].

ახასიათებს ისტორიას, ადგილი აქვს ანთროპოლოგიაშიც.

კულტურის მოთავსებულ საპროგრამო სტატიაში „არქეოლოგიური პერსპექტივები“ [10, გვ. 5-32] ბინფორმი აზუსტებს და აკონკრეტებს არქეოლოგის, როგორც მეცნიერების ამოცანებს: კულტურის ისტორიის რეკონსტრუქცია (გამოხატული კულტურათა გენეტიკურ კლასიფიკაციაში); წარსულ ეპოქებში ცხოვრების წესის რეკონსტრუქცია (ყოფა, კონკრეტული პირობები და ა.შ.); კულტურული პროცესის რეკონსტრუქცია (სამურნეო სისტემების, სოციალური ორგანიზაციის და სხვათა დინამიკა).

უნდა ითქვას, რომ 60-იანი წლების ბოლო საერთოდ აღინიშნება ახალი იდეებით პრეისტორიის შესწავლის კონცეფციათა ცვლილების აუცილებობის შესახებ. 1968 წელს, უკვე ინგლისში, ქვეყნდება დევიდ კლარკის „ანალიტიკური არქეოლოგია“, რომელიც მნიშვნელოვანწილად ეხმაურებოდა ლ. ბინფორდის იდეებს. ის ერთგვარად, კვლევის მეთოდიკისა და ანალიტიკური ხერხების გამოყენების შესაძლებლობის თვალსაზრისით, ავსებდა კიდეც მათ [26]. ამავე წელს კოლინ რენფრიუ, არქეოლოგიაში ახალი აზოვნების დანერგვის საქმეში კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფიგურა, აქვეყნებს სტატიას „მოდელები პრეისტორიაში“ [96], რომელშიც დასაბუთებულია მოდელთა შექმნის დიდი პოტენციალი ზოგადად მეცნიერებაში თეორიების შესაქმნელად. არქეოლოგიაში ეს უნდა იყოს ლოგიკური წესების წყება, რომელთა ფარგლებში ხდება მოვლენის ანალიზი.

ლ. ბინფორდის ზოგ იდეას გარემონტილ წილად ეხმაურებოდა ე. ჰიგზის მოსაზრებანი [61]. ის ხაზს უსვამდა, რომ ტრადიციულად მოაზროვნე პრეისტორიკოსთა ძირითადი საქმიანობა, შემოფარგლული არტეფაქტების შეგროვებითა და მათი „კულტურებად“ დაჯგუფებით, ქმნის ფსევდო-ისტორიულ სურათს, რომელშიც მთავარ როლს ასრულებს შემოსევები და მიგრაციები. აუცილებლია ყურადღების გადატანა კონკრეტული მოვლენებიდან, მათი გამომწვევი მიზეზების ახსნაზე. აქ დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ინფორმაციის გაცვლას გარემოს შემსწავლელ მეცნიერებებსა და არქეოლოგიას შორის. არქეოლოგია აუცილებლად უნდა ჩაერთოს ფართო, ინტეგრირებულ ეკოსისტემურ კვლევაში (სისტემა ასე გაიაზრება: ადამიანი – ცხოველი – მცენარე) და არა ძველი კონცეფციების განვითარების ახალი გზების ძიებაში.

იმავე 1968 წელს ბეტი მეგერსის რედაქციით ქვეყნდება კრებული „ანთროპოლოგიური არქეოლოგია ამერიკაში“ [86], რომელშიც განვითარებული იყო ენვირომენტალისტური და ეკოლოგიური მიდგომები.

ახალი სულისკვეთებით გამსჭვალულ ყველა ამ ნაშრომს ერთმანეთთან აახლოებს ტრადიციული არქეოლოგიის მიმართ მკვეთრი კრიტი-

კული დამოკიდებულება. რა იყო მაინც ახალი არქეოლოგიის წარმომადგრნლების უკმაყოფილების მთავარი საფუძველი, რომელი ტრადიციულად მიღებული ხერხებისა და ახსნათა მოდელების გადასინჯვას მოითხოვდნენ ისინი? განზოგადოებული სახით კრიტიკა დაიყვანება შემდეგ პუნქტებზე [10; 65; შდრ. 50, გვ. 64-66]: ტრადიციულ არქეოლოგიას არ შეეძლო არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ფართო ანთროპოლოგიური პრობლემების განხილვა და გადაწყვეტა; ის ძირითადად იფარგლებოდა არქეოლოგიური მასალის აღწერითა და სისტემატიზაციით; კვლევის პროცესს წინ არასოდეს უსწრებდა მნიშვნელოვანი პრობლემების დასმა; მას არ გააჩნდა რაიმე ღირებული კონცეპტუალური სქემა; ის მცდარად თვლილა, რომ მონაცემების რაოდენობრივ ზრდას მექანიკურად მოყვება ცოდნის მომატება; უგულებელყოფილი იყო არქეოლოგიური თეორიის არსებობის მნიშვნელობა; ტრადიციული არქეოლოგიის აზრით, ემპირიულად მოცემული ფაქტები წარმოადგენს არქეოლოგიური ცოდნის ერთადერთ ლეგიტიმურ შინაარსს, ამდენად ნებისმიერი ინტერპრეტაცია, თუკი ის სცილდებოდა არქეოლოგიური წყაროს შინაარსის ფარგლებს, ცხადდებოდა სპეციულატიურად და ემპირიულად უკონტროლოდ; მათ ისტორიული პროცესების შესწავლა დაკავდათ არტეფაქტებისა და მატერიალური კომპლექსების დროსა და სივრცეში ცვალებადობის ფიქსირებამდე; მიუხედავად გამოცხადებული „ისტორიული“ მიღობისა, კულტურული პროცესების შესწავლა არ მიმდინარეობდა; სრულებით იგნორირებული იყო ეთნოგრაფიული ანალიზის გამოყენების მნიშვნელობა; ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი – კულტურის წიაღში ყოველნაირი ცვლილებების ასახსნელად გამოიყენებოდა მიგრაციებისა და დიფუზიების კონცეფციები; კულტურა გაიგივებული იყო მის არქეოლოგიურ გამოვლენასთან (არ ხდებოდა ცოცხალი და მკვდარი კულტურების გამიჯნა) და ის განისაზღვრებოდა მისი ფიზიკური ნიშნების ჯამით.

საბოლოო ჯამში ტრადიციული არქეოლოგიის მთავარი ნაკლი გამოიხატება შემდეგნაირად: მან ვერ შეძლო ეფექტურად გადაეჭრა რომელიმე არქეოლოგიურ პრობლემათაგან, ე.ი. გამოეყენებინა არქეოლოგიური მონაცემები ინფორმაციის ეფექტური წყაროს სახით: 1) კულტურის ისტორიის; 2) წარსულის ცხოვრების წესის და 3) ზოგადი კულტურული პროცესების ასახსნელად.

ახალი არქეოლოგიის თვალსაზრისით, ყველა ამ პრობლემის უმთავრესი მიზეზი იყო ტრადიციული არქეოლოგიის ემპირისტული ბუნება და დასკვნების მიღების ინდუქციური ხერხი (ანუ ფაქტებიდან განზოგადოებამდე). ამდაგვარი მიღებობა ზღუდავდა არქეოლოგიური ცოდნის არეს უშუალოდ დაკვირვების ობიექტის ფარგლებამდე ან ყველაზე დიდი, ტექნოლოგიაზე და საარ-

სებო ბაზის თაობაზე ყველაზე მარტივი ხასიათის მსჯელობებამდე [შდრ. 50, გვ. 66].

ტრადიციული არქეოლოგიის ემპირისტული ინდუქციური ბუნება და ქრონოლოგიურ-დესკრიპტული ხასიათის კონსტრუქციები იწვევდა ახალი არქეოლოგების განსაკუთრებულ სარკაზმს. მათი აზრით, ტრადიციული არქეოლოგები ისევე უყურებდნენ არტეფაქტებს, როგორც პალეონტოლოგები განამარხებულ ძვლებს, აღაგებდნენ სტრატიგრაფიულ თანამიმდევრობებს, თვალს ადვენებდნენ კულტურათა ან არტეფაქტთა ერთობლიობების კავშირებს და მათ ცვლილებებს. ძალაუნებურად იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ არტეფაქტებს გააჩნდათ გენეტიკური მასალა და მუტაციების უნარი. ამასთან დაკავშირებით ირვინ დევორი მეტად ირონიულად შენიშვნავდა, რომ მათი (ე.ი. ქვის ხანში მომუშავე ტრადიციული არქეოლოგების – გ.კ.) ნაწერები-დან ისე ჩანს, რომ ქვის ინდუსტრიებს გააჩნიათ უნარი ქორწინების, ჰიბრიდიზაციის, განვითარების, ადაპტირებისა და შთამომავლობის ყოლის [35, გვ. 346], ხოლო ჯეომს საკეტი ამას უმატებს: „არქეოლოგიური ტერმინოლოგია ხშირად მიგანიშებს ქვის იარაღთა შორის სქესიბრივი ურთიერთობების არსებობის შესაძლებლობებზე“ [105, გვ. 67].

რა დაუპირისპირა ყოველივე ამას ახალმა არქეოლოგიამ?

„ახალი არქეოლოგების“ თეორიული შეხედულებების არსი შეიძლება დაყვანილ იქნას რამდენიმე პრინციპულ დებულებამდე.³⁰ ერთ-ერთი უმთავრესი იყო ის, რომ არქეოლოგიის ამოცანად ჩაითვალა არა ისტორიული ხასიათის რეკონსტრუქციები (ისტორიის ამერიკული გაგებით), არამედ ადამიანის ქცევისა და კულტურის განვითარების პროცესის კანონზომიერებების დადგენა. ამდენად არქეოლოგია ნაწილია არა ისტორიისა, არამედ განეკუთვნება ანთროპოლოგიურ მეცნიერებათა წრეს. კულტურა გაგებულ იქნა, როგორც გარემოს მიმართ ადამიანთა ადაპტაციის განვითარებადი დინამიური სისტემა, რომლის მოქმედების კვალი ილექტურა არქეოლოგიურ ნარჩენებში. ერთერთი მთავარი მიზანი „ახალი არქეოლოგიისათვის“ იყო დისციპლინის „ნამდვილ მეცნიერებად“ გადაქცევა და მისი შესაბამისი მეთოდოლოგიით აღჭურვა. მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენდა კომპიუტერული ტექნიკის ფართო გამოყენება კულტურული პროცესების მოდელირებისათვის. ფართოდ უნდა დანერგილიყო მათემატიკური მეთოდებიც.

³⁰ არსებობს „ახალი არქეოლოგიის“ კონცეფციების განზოგადობების მრავალგვარი ვარიანტი, როგორც ამ მიმართულების მომხრეების მიერ ფორმულირებული [100, გვ. 39; 144, გვ. 31-32], ასევე მისი კრიტიკოსების მიერ შემოთავაზებული [50, გვ. 67-73]. ამ უკანასკნელს ეკუთვნის, ალბათ, პროცესუალური არქეოლოგიის თეორიული შეხედულებების ყველაზე საფუძლიანი ანალიზი როგორც არქეოლოგიური, ასევე ფილოსოფიური თვალსაზრისით.

„ახალი არქეოლოგიის“ უმთავრეს ცნებებად ჩამოყალიბდა „სისტემა“, „პიპოთეზების შემოწმება“, „კანონები“, „პროცესები“, „ახსნა“.

„ახალი არქეოლოგები“ საზოგადოებას განიხილავენ როგორც გარკვეული სტრუქტურის მქონე სისტემას. სისტემური მიდგომის თავისებურებანი მოკლედ შეიძლება ასე დავახსახიათოთ: საზოგადოება ან კულტურა გაგებულია როგორც სისტემა თავისი ცვალებადი პარამეტრებით. სისტემის მთავარ პარამეტრებს შეადგენენ მოსახლეობის სიდიდე, სამოსახლეობის ტიპი, მურნეობა, გაცვლა, იდეოლოგია და ა.შ. სისტემის განვითარება დროში შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც ერთმანეთის მიყოლებით მონაცვლე სისტემური მდგომარეობების სერია, რომელთაგანაც ყოველი ხასიათდება დროის გარკვეულ მონაცვეთში სისტემური პარამეტრების გარკვეული სიდიდით. ერთმანეთს მიყოლებული სისტემური მდგომარეობები ქმნიან სისტემის ტრაქტორიას. სავსებით გამართლებულია წარმოვიდგინოთ ყოველი სისტემა როგორც მის სტრუქტურაში შემავალი ელემენტების იერარქიული ერთობლიობა. სისტემის იერარქიულობა გულისხმობს, რომ მისი ყოველი ელემენტი შეიძლება განიხილებოდეს როგორც გარკვეული სუბსისტემა, ასეთ სუბსისტემაში აღმოჩნდება ჩართული ადამიანების გარკვეული მოქმედება, არტეფაქტები და შესაბამისი გარემო. თვით სისტემაც შეიძლება შედიოდეს უფრო მაღალი დონის მაკროსისტემაში მისი სუბსისტემის სახით. სისტემისა და სუბსისტემების ურთიერთობა და ცვალებადობა შეიძლება აღიწეროს კიბერნეტიკიდან ნასესხები კონტროლის თეორიის ტერმინებით, სადაც მთავარ ცნებებს წარმოადგენს პოზიტიური და ნეგატიური უკუკავშირები. სისტემის სტაბილური არსებობა შედეგია ნეგატიური უკუკავშირისა. კულტურა თავისი არსით მეტად კონსერვატიულია, ხოლო სისტემის სტაბილურობა შეიძლება გამოიხატოს გემოსტაზის ტერმინებში. ამავე დროს განვითარება და ცვლილება ადეპვატურად არ შეიძლება გამოიხატოს იმავე ტერმინებში, უბრალოდ როგორც გემოსტატური პასუხი გარეშე მომხდარ ცვლილებებზე. კულტურული ცვლილებანი შეიცავს სტრუქტურის ღრმა და შეუცევად ცვლილებებს. ამდენად მოდერნიზაციის პროცესი არ შეიძლება ავხსნათ მხოლოდ ნეგატიური უკუკავშირით. პირიქით, განვითარების ციკლები გულისხმობენ პოზიტიური უკუკავშირების არსებობას, რაც უზრუნველყოფს კიდეც განვითარებას.

ნებისმიერი სისტემა ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური, გაწონასწორებული მდგომარეობა. ამავე დროს მისი ცალკეული ელემენტები (სუბსისტემები) სხვადასხვა გარემოებათა გამო განიცდინ ცვალებადობას. სისტემა, დინამიკური წონასწორობის შესანარჩუნებლად, ვალდებულია მოახდინოს რეაქცია მისი ცალკეული ელემენტების ცვლილებაზე. ამ რეაქციათა არსზე არის სწორედ დამოკიდებული სისტემის განვითარება ან კონსერვატიულია, ან სულაც

მისი მოსპობა და მის ადგილზე ახლის გაჩენა. ამდენად, განვითარების პირველმიზეზად, სისტემატიკოს მკვლევართა კონცეფციით, შეიძლება გამოღეს სისტემის ერთ-ერთი ელემენტის ან ელემენტთა ერთობლიობის რეაქცია რაიმე გამოიზიანებლზე ხშდრ. 44, გვ. 120; 45კ.

პროცესუალისტებმა ტრადიციული მიდგომებისაგან განსხვავებული კვლევის მეთოდიკაც შეიძლება შეიძლება გამოღეს სისტემის ერთ-ერთი ელემენტის ან ელემენტთა ერთობლიობის რეაქცია რაიმე გამოიზიანებლზე ხშდრ. 44, გვ. 120; 45კ.

პროცესუალისტებმა ტრადიციული მიდგომებისაგან განსხვავებული კვლევის მეთოდიკაც შეიძლება შეიძლება განვითარების ინდუქციურ განზოგადოებებს და თავისი ბუნებით ინტუიციურ დასკვნებს და ბინფორმაციას პირა დედუქციური მეთოდი, რომელიც გულისხმობდა პიპორების აგებას და შემდეგ მათ დამოუკიდებელ ფაქტებთან შეპირისაირებას. ბინფორმაციას განმარტებით, „რაიმე ფაქტთან დაკავშირებით შეხედულებათა გამოთქმა არ შეიძლება იყოს არქეოლოგიური მუშაობის საბოლოო შედეგი... ვარაუდების გენერაციას (მნიშვნელობა არა აქვს რა გზითა და რა საშუალებით მოხდა ეს) შემდეგ საფეხურად უნდა მოჰყეს ტესტირებადი პიპორების გამომუშავება, რომლებიც შემოწმებული იქნებიან რა დამოუკიდებელი ემპირიული მონაცემების მიმართ, შეიძლება გამოყენებულ იქნან ვარაუდის შესამოწმებლად“ [12, გვ. 90].

ეს შეხედულება განმარტებულია შემდეგნაირად: ფაქტები თავის თავად არაფერზე მეტყველებენ. რამდენადაც არ უნდა გავზარდოთ გათხრების დიაპაზონი, რამდენადაც არ უნდა გავაუმჯობესოთ მონაცემთა მიღების ტექნიკა, რა ეთნოგრაფიული პარალელებიც არ უნდა გამოვიყენოთ მათ ასახსნელად – ეს ყველაფერი თავისთავად არ გაამდიდრებს ჩვენ ცოდნას წარსულის შესახებ. ამ გზით ჩვენ მხოლოდ მეთოდოლოგიურ ჩიხში ვერწყვდევით [10, გვ. 13-14]. მხოლოდ პიპორების გამომუშავება და შემდეგ მათი შემოწმება არქეოლოგიურ მონაცემების ბაზაზე გამოგვიყვანს ამ მდგომარეობიდან. საჭიროა პიპორების შემოწმება გადაიზარდოს მეცნიერულ პროცედურაში. კულტურული პროცესის შესწავლა ჩვეულებრივ დაპყავთ სტადიალურ კლასიფიკაციამდე და ტენდენციებისა და კანონზომიერებების გამოვლინებებამდე ემპირიულ განზოგადოებების სახით. მაგრამ არქეოლოგიური მასალის ყველაზე სრული სისტემატიზაციაც კი ვერ მოგვცემს პროცესის არსის გაგებას, ვერ ასნის ფაქტებს.

სწორედ ფაქტების ინდუქციურ განზოგადებას და ეწ. „საღი აზრის“, „გონიერი“ და მისი მსგავსი ვარაუდების გამოთქმას უპირისპირებს ბინფორმაცია პიპორების მეცნიერულ გამომუშავებას, რომლის დროსაც მთავარია არა იდეათა წარმოქმნის საფუძველი, არამედ მათი შემოწმების საშუალებები.

ვარაუდების და განზოგადებების შემოწმებას სჭირდება არა ფაქტოლოგიური ბაზის უზომო გაზრდა, არამედ სულ სხვა რამ – ამგვარი ბაზების სიმრავლე და ერთმანეთის მიმართ დამოუკიდებლობა. სწორედ ეს ქმნის საფუძველს

პიპორების შესამოწმებლად. ამ შემთხვევაში პიპორება დედუქციის საშუალებით წარმოადგენს როგორც იმ ფაქტების განზოგადებას, რომელთა ასახსნელადაც შემუშავდა იგი, ასევე იმ ფაქტებისაც, რომელთა ბაზაზეც ის მოწმდება.

კვლევა წარმოადგენს როულ მრავალსაფეხურებიან პროცესს: დაკვირვება – განზოგადება – ამხსნელი ვარაუდი – შემოწმება დამოუკიდებელ არქეოლოგიურ ფაქტებზე.³¹ ამგვარი კვლევით პროცესის საბოლოო მიზანს წარმოადგენს კულტურის განვითარებისა და „ქცევის“ შესახებ ზოგადი კანონების გამომუშავება. „არქეოლოგიურ მონაცემებში განსხვავებებისა და მსგავსებების ასახსნელად ჩვენი კვლევის საბოლოო მიზანს წარმოადგენს კულტურული ღიანამიერის კანონების ფორმულირება“ [12, გვ. 100]. სწორედ ამგვარი კანონების არსებობა აქცევს არქეოლოგიას ნამდვილ მეცნიერებად.

კანონშემოწმედებითი შემეცნებითი პროცესების საფუძვლების ძიებაში „ახალი არქეოლოგები“ მიუბრუნდნენ პოზიტივისტური ფილოსოფიის გარკვეულ მიმდინარეობას, კერძოდ ლოგიკურ პოზიტივიზმს, მისი ბოლო, განვითარებული ფაზის – ლოგიკური ემპირიზმის ფორმით [50, გვ. 9]. ცალკე მიმართულების სახით, ლოგიკური ემპირიზმი ჩამოყლიბდა 20-იან წლებში ვენაში და შემდგომ დიდი გავლენა მოიპოვა სოციალური ხასიათის მეცნიერებაში. ამ მიმართულების ერთ-ერთი გავლენიანი სკოლა ეყრდნობოდა კარლ პეტელის იდეებს და სწორედ ამ იდეებით შეიარაღდნენ „ახალი არქეოლოგიის“ პირველი ტალღის წარმომადგენლები („და ფრიადაც სამწუხაროდ“ - აღნიშნავენ კ. რენფრიუ და პ. ბანი [99, გვ. 416]).

„პროცესი“ ერთ-ერთი ქვაკუთხედი ცნებაა „ახალი არქეოლოგიის“ შეხედულებებში. თვითონ ბინფორმაცია მას ასე განმარტავს: „პროცესი, როგორც მე ეს მესმის, წარმოადგენს სისტემის კომპონენტს, ან მასტიმატიზებელ კომპონენტებსა და გარემოს შორის მოქმედ დინამიკურ (მიზეზ-შედეგობრივ) ურთიერთობებს. ჩვენ უნდა მოვუძებოთ ახსნა დაკვირვების არეში მოხვედრილ ფენომენს. ჩვენი დაკვირვების ახსნა წარმოადგენს იმ ერთადერთ გზას, რომელიც მიგვიყვანს წარსულის ცოდნამდე. ახსნა (ექსპლანაცია) არქეოლოგიასათვის იწყება მაშინ, როდესაც არქეოლოგიურ მონაცემებზე დაკვირვებანი კულტურული თუ ბიპერივორული ფუნქციონირების კანონების გამოყენებით უკავშირდება წარსულის პირობებსა თუ მოვლენებს [12, გვ. 117].

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცნებაა „კულტურული ეკოლოგია“, რაც გულისხმობს, რომ ცვლილებათა გამომწვევი მთავარი მიზეზები უპირატესად საბიუბელია ისეთ ფაქტორებში, როგორიცაა კლიმატური ცვლილებები,

³¹ ამ მეთოდოლოგიის პრაქტიკული გამოყენების თაობაზე იხ. [64].

აგროკულტურული მოსავლიანობის მერყეობა, ტექნოლოგიური ცვლილებანი, დემოგრაფიული ფაქტორები.

კულტურული პროცესის შესწავლის („ახსნის“) არქეოლოგიური კვლევის მთავარ მიზნად გამოცხადება „ახალი არქეოლოგიის“ ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო განმასხვევებელი ნიშანი აღმოჩნდა და სწორედ აქედან გამომდინარე მიიღო მან კიდევ ერთი, უფრო დეფინიციური ხასიათის სახელწოდება - „პროცესუალური არქეოლოგია“.

ამდენად, შეიძლება მოკლედ ჩამოვაყალიბოთ „ახალი არქეოლოგიის“ მთავარი კონკენციები:

1. **არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების ბუნება** – უნდა იყოს ამხსნელი (ექსპლანაციური) და არა აღწერილობითი (დესკრიპტიული). არქეოლოგიის ამოცანაა არა მარტო აღადგინს ცალკეული სტატიკური სურათები, არამედ ახსნას წარსულში მომხდარი ცვლილებები.

2. **ექსპლანაცია** – მისი საგანი კულტურული პროცესი და არა კულტურის ისტორია. „ახალი არქეოლოგია“ მეცნიერების ფილოსოფიაზე დაყრდნობით უნდა აზროვნებდეს კულტურული პროცესის საზღვრებში, ადგენდეს, რა ცვლილებებს პქნდა ადგილი ეკონომიკურ და სოციალურ სებსისტემებში. ეს კი მოითხოვს განზოგადოებების გამომუშავებას.

3. **დასაბუთება** – უნდა იყოს დედუქციური და არა ინდუქციური. აუცილებელია მაქსიმალურად შესაძლებელი რაოდენობით პიპორეზების ფორმულირება, მოდელების შექმნა და შემდგომ მათი დამოუკიდებელ ფაქტორობიურ ბაზასთან შეპირისპირება.

4. **დასკვნები** უნდა იყოს მკაფიო და გარკვეული; მათი საბუთიანობა უნდა ეფუძნებოდეს არა ვინძეს პიროვნულ ავტორიტეტს, არამედ ლოგიკური არგუმენტების მკაფიო სისტემას. ისინი უნდა ექვემდებარებოდეს შემოწმებას და მოუკიდებელ მონაცემთა მიხედვით.

5. **კვლევის არეს ფორმულირება:** საჭიროა კვლევის მკაფიო პროგრამის თუ პროექტის შექმნა და არა მონაცემთა დაუსრულებელი აკუმულაცია. კვლევის პროგრამა უნდა დაიგეგმოს ისეთნაირად, რომ მისი განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდეს პასუხის გაცემა კვლევამდე დასმულ კონკრეტულ შეკითხვებზე.

6. **მეთოდების არჩევა** – უნდა გამოყენებულ იქნას აღწერის ზუსტი მეთოდები, რაოდენობრივი და სტატისტიკური ხერხების, ფიზიკის, ქიმიის, გეოლოგიის, პალეობოტანიკის, პალეოზოოლოგიის და სხვა მეცნიერებათა მეთოდების ფართო გამოყენებით.

7. **შემცნებითი ოპტიმიზმი** – ტრადიციული არქეოლოგიის წარმომადგენლები (განსაკუთრებით, მისი პიპერსკეპტიკური ფრთის წარმომადგენლები) ხშირად ხაზს უსვამენ, რომ მენტალური ხასიათის მოვლენები შეუცნობადია, ხოლო სოციალური ორგანიზაციის დეტალების აღსადგენად არქეოლოგიური მონაცემები საკმა-

რისი არ არის. „წარსული შემცნებადია“ - აცხადებს ლ. ბინფორდი [10, გვ. 26] და ამით ხაზს უსვამს პროცესუალური არქეოლოგიის რწმენას წარსულის სოციალური თუ იდეოლოგიური პროცესების ახსნის შესაძლებლობაში.

ახალი ანუ პროცესუალური არქეოლოგიის სამცნიერო ასპარეზზე გამოჩენას ტრადიციული არქეოლოგიის წარმომადგენლების დიდი ნაწილი სრული მიუღებლობითა და დაუფარავი სარკაზმით შეხვდა [1; 83; 88; 89; 135; 128].

განსაკუთრებით მკვეთრი ტონით იყო დაწერილი ა. ჰიგარტის სტატია „საღი აზრი არქეოლოგიაში“. წერილი სავსეა სარკაზმებით, მაგ.: „ანალიტიკური არქეოლოგიის მიერ შემოთავაზებული ინგლისური ენის იდეოსინკრაზიული ვერსია“, ან კიდევ: „არ არსებობს ასეთი რამ - ახალი არქეოლოგია. ეს არის უბრალოდ ახალმოლაპარაკე არქეოლოგია, შემოსილი ახალი ლექსიკით. „პიპორეზების გენერაცია და დამტკიცება“, „ლოკაციური ანალიზი“, „დროით-სივრცით ეპიზოდები“ - ეს, რა თქმა უნდა, ახალი სიტყვებია, მაგრამ არა მათ უკან მდგარი იდეები და ცნეებები“ [69, გვ. 301].

ამგვარი კრიტიკული გამოხმაურებების მიუხედავად, პროცესუალური არქეოლოგიის მეთოდებმა და კონცეფციებმა სულ მაღა მოიპოვეს აღიარება არქეოლოგთა საგამოდ ფართო წრეში.

განსაკუთრებით მომხიბლავი აღმოჩნდა მიმდევრებისათვის პროცესუალიზმის მეთოდოლოგიური საფუძვლები - პირველ რიგში ანალიტიკური მეთოდებისა და პროცედურების ფართო სპექტრი ფაქტოლოგიური მასალის დამუშავებისათვის, მოვლენათა მოღელებისა და კომპიუტერებზე მათი „გათამაშება“, სისტემური ანალიზის შესაძლებლობანი. არქეოლოგიური კვლევის დარგში სისტემური აზროვნების დანერგვის ერთ-ერთი თვალსაჩინო ცდა ეკუთვნის ცნობილ ინგლისელ არქეოლოგს კოლინ რენფრიუს, რომელიც 70-აანი წლების დასაწყისიდან ხდება პროცესუალური მიღვომების ერთ-ერთი ბურჯი. მის გახმაურებულ წიგნში „ცივილიზაციის წარმოშობა“ [97] სისტემური ანალიზის საფუძველზე გადმოცემულია სახელმწიფოს წარმოშობის პროცესი.

სწორედ სისტემურმა აზროვნებამ და სისტემათა ოცნრიის გამოყენებამ მისცა საშუალება არქეოლოგებს კომპიუტერული მოდელირებისაკენ გადაედგათ პირველი ნაბიჯები. მსგავს მოდელებს დასავლურ არქეოლოგიაში „სიმულაციებს“ უწოდებენ. ეს ნიშნავს დინამიკური, ანუ დროის ჭრილში ცვალებადი ისეთი მოდელის შექმნას, რომელიც აკმაყოფილებს წესების გარკვეულ წყებას. ასეთ მოდელებში გარკვეული საწყისი მონაცემების, სასტარტო პირობების შეტანით და მისი განმეორებადი აპლიკაციებით მიიღება სისტემური მდგომარეობების სერია, რომელსაც შეიძლება პქნდეს ან არ პქნდეს საერთო რეალურ კითარებასთან [99, გვ. 417-426]. ჯერჯერობით რაიმე გადამწყვეტი შედე-

გები ამ გზით არავის მიუღია, მაგრამ გარკვეული წარმატებები მაინც არსებობს. ასე ა. ჩედვიგმა განახორციელა მესენის ბრინჯაოს ხანის სამოსახლოთა განვითარების მოდელირება, რის შედეგად მიღებულ იქნა დროის ჭრილში სამოსახლოთა მოდელების წყება. აღმოჩნდა მთელი რიგი საყურადღებო დამთხვევები რეალურად არსებულ ვითარებასთან, რამაც აჩვენა გამოყენებული მოდელის საკმაო სიცოცხლისუნარიანობა [28, გვ. 237-255]. მარტინ ვობსტმა მოახდინა დემოგრაფიული მახასიათებლებისა და სოციალური ურთიერთობების კორელაციური მოდელირება გამყინვარების ხანის ეპოქის მიმართ [151, გვ. 147-179]. ასეთივე რთული კომპიუტერული მოდელირება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩაატარეს სუზან გრეგმა და არტურ კენდა მონადირე-შემგროვებელთა საზოგადოების მიმართ [55; 71].

70-იანი წლებისათვის ცხადი გახდა, რომ არქეოლოგია ვერსოდეს ვეღარ იარსებებდა იმ ფორმით, როგორც იყო 60-იან წლებამდე, და ეს მართლაც რევოლუციის მაგვარი მოვლენა აღმოჩნდა არქეოლოგიური საზოგადოებისათვის. როგორც აღნიშნავდა ჩეხი არქეოლოგი ე. ნეუსტუპნი: „თანამედროვე არქეოლოგიური თაობა... ცხოვრობს დისკიპლინაში რევოლუციური გარდაქმნის პერიოდში“ [90, გვ. 39]. სიტუაციას მეტად მოხერხებულად მოერგო დ. კლარკის ერთ-ერთი პოლემიკური წერილის სათაური „გულუბრყვილობის დაკარგვა“ [27]. მთავარი გახდა იმის შეგნება, რომ „კარგი არქეოლოგიის საკეთებლად“ საკმარისი არ იყო მასალების აღწერა, კლასიფიკაცია და ქრონოლოგიურ სვეტებად განაწილება, რამდენადაც ვირტუოზულად ან უნდა შესრულებულიყო ეს. აუცილებელი იყო ნათელი, მკაფიო და, რაც მთავარია, შემოწმებადი ექსპლანაციების (ახსნების) გამომუშავება წარსული დროის კულტურული პროცესების ასახსნელად [100, გვ. 39]. ჯერემი საბლოფის აზრით, აუცილებლად უნდა გაესგას ხაზი ახალი არქეოლოგიის ორ მთავარ მიღწევას: 1. არქეოლოგთა პირდაპირი და ცხადი ყურადღება ანთროპოლოგიური ამოცანების გადასაჭრელად, განსაკუთრებით კულტურულ ცვალებადობათა მიზეზის კვლევის წინა პლანზე წამოწევა. ხაზგასმული იყო, რომ ცხადი თეორიული მიზნების გარეშე ტრადიციულ არქეოლოგიას არ ჰქონდა რაიმე კრიტერიუმი იმის გადასაწყვეტად, რა ხასიათის მასალები უნდა შეგროვილიყო და რა გზით უნდა წარმართულიყო მათი ანალიზი; 2. ახალი არქეოლოგიის თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ცვალებადობაზე და არა ერთგაროვნებაზე. ეს ნიშნავდა კულტურაზეც განსხვავებულ თვალსაზრისს იმასთან შედარებით, რაც მანამდე მეფობდა ამერიკულ არქეოლოგიაში. პრაქტიკაში ყველაფერი ეს ნიშნავდა შორს მიმავალი თეორიული, მეთოდოლოგიური და ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენებას არქეოლოგიურ კვლევაში [103, გვ. 1-2].

70-იანი წლების დასაწყისში სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა „ახალი არქეოლოგების“ მომდევნო ტალღა. მისი გამოჩენის მომასწავებელი პირველი მერცხალი იყო პატი ჯო ვატსონის, სტეფენ ლე ბლანკისა და ჩარლზ რედმენის წიგნი „ექსპლანაცია არქეოლოგიაში. ცხადი მეცნიერული მიღებომა“ [139].³² გამოქვეყნდა სტატიათა სერია, რომლებშიც გაცილებით უფრო დეტალურად იყო განვითარებული ახალი არქეოლოგებისათვის ისეთი ცენტრალური ცნებების არსი, როგორიცაა კულტურა, სისტემა, მოდელი, ექსპლანაცია, არტეფაქტული ტიპი [48; 49; 68; 78; 79; 110; 111; 112]. კიდევ უფრო მკვეთრი ხდება გამიჯვნა ტრადიციულ არქეოლოგიასთან. „ახალი არქეოლოგის“ ნეფვიტები თავის მიმართულებას განიხილავდნენ, როგორც „ცხადად მეცნიერულს“, „პოზიტივისტურს“ და „ანტიმპირისტულს“ [139, გვ. 113; 65, გვ. 95; 67; 49, გვ. 405-412; შდრ. 50, გვ. 83]. გამოცხადდა, რომ ახალი არქეოლოგია არა მხოლოდ კვლევის ახალი პროგრამაა, არამედ ის წარმოადგენს რევოლუციურად ახალ პარადიგმას [87, გვ. 644-657].

პარალელურად ხდებოდა გარკვეული სტრუქტურიზაცია თვითონ მოძრაობის შიგნით. ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბდა ე.წ. „ბიპეივორალური“ არქეოლოგია, რომელიც ისწრაფოდა შეესწავლა არქეოლოგიურ წყაროებში ადამიანთა ქცევის გამოვლინება [110; 111; 112; 113; 114; 115; 116; 117]. ამ მიმართულების ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა ის ფორმატიული პროცესები, რომლებიც განაპირობებდნენ არქეოლოგიური ძეგლის წარმოქმნას [115; 42; 62; 133; 152].³³

არქეოლოგიური ძეგლის ფორმატიული პროცესების მიმართ ინტერესის ნიადაგზე წარმოიშვა კიდევ ერთი, ჩვენთვის ეგზოტიკური მიმართულება – ექსპერიმენტული არქეოლოგია (ამ მიმართულების შესახებ იხ. [144, გვ. 40-44]). 70-იანი წლების დასაწყისში არიზონის უნივერსიტეტის პროფესორი ვილიამ რატიე თავის სტუდენტებთან ერთად ახარისხებდა „არტეფაქტებს“ მუნიციპალურ სანაცვეზე ტუსკონში და გზების გასწვრივ, რათა თვალნათლივ აეხსნა, როგორ იღებებიან ნივთები

³² ამ წიგნის მეორე გამოცემას 1984 წელს უკვე ერქვა „არქეოლოგიური ექსპლანაცია. მეცნიერული მეთოდი არქეოლოგიაში“ [141].

³³ ამ საკითხებში ამერიკელები არ იყვნენ პიონერები. ჯერ კიდევ 50-იან წლებში პან იურგენ ეგერსმა გერმანიაში ჩამოყალიბა არქეოლოგიური წყაროს კრიტიკის საფუძვლები. მის შეხედულებებში ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენდა განსხვავებულობანი „ცოცხალ“ (ოდესლაც არსებულ), „მკვდარ“ (არქეოლოგიურად დალექილი ცოცხალი კულტურის ნაწილი) და „აღმოჩენილ“ (არქეოლოგიურად დაფიქსირებული მკვდარი კულტურის ნაწილი) შორის [იხ. 57, გვ. 190].

„ცოცხალი“ კულტურიდან „მკვდარში“ და საერთოდ, რისი თქმა შეიძლება მათ მიხედვით მთლიანად საზოგადოებაზე [93; 94].

პროცესუალური არქეოლოგები დასაწყისი-დანვე თვლიდნენ, რომ არქეოლოგთა მიერ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები, კანონთა უნივერსალური ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება და უნდა შემოწმდნენ კიდევ ეთნოგრაფიულ კონტექსტზე დაყრდნობით [50, გვ. 84]. ჯეიმს დიტცმა უფრო განავრცო ეს პოსტულატი და გამოაცხადა, რომ „კულტურის მატერიალური ასპექტები მათ ბიპერორისტულ კონტექსტში, მიუხედავად მათი წარმოშობისა, შეიძლება იყოს არქეოლოგიური შესწავლის ობიექტი“ [33, გვ. 122]. ამას უკავშირდებოდა აგრეთვე ზოგად კულტურულ ფენომენში მატერიალური კულტურის საზღვრების პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა.

რიჩარდ გოულდმა მოუწოდა „ანთროპოლოგის ახალი სახეობის – ადამიანთა ნარჩენების“ ანთროპოლოგის შექმნისაკენ [52, გვ. 816]. ამ ახალი მიმართულების³⁴ მიზანი იყო მატერიალურ ნარჩენებსა და ადამიანთა ქცევას შორის არსებული თანმიმდევრული ურთიერთდამოკიდებულებების აღმოჩენა და მათი ფორმულირება კანონისმაგარი დებულებების სახით. ამგვარი „კანონისმაგარი დებულებები“ ("lawlike prepositions"), მ. შიფერის მიხედვით, წარმოადგენენ „დროისა და სივრცის გარეშე არსებულ მტკიცებებს თრისა და მეტი ცვალებადის მიმართ“ [111, გვ. 148].

გრძელდებოდა არქეოლოგიაში პოზიტივისტური ყაიდის უნივერსალური კანონების დამკვიდრების ცდები [49; 95]. ჯ. ფრიტცი და ფ. პლოგი თვლიდნენ, რომ არსებობს მეცნიერული დასაბუთების ორი ურთიერთდაკავშირებული დონე. პირველზე ხდება არქეოლოგიური მონაცემების ნიშნების დაკავშირების ცდები წარსულის მოვლენების ნიშნებთან; მეორეზე – ამ წარსულის ნიშნებისა მათ გამომწვევ წინაპირობებთან. სანამ შემუშავდება მიზეზობრივი კანონები, არქეოლოგები უნდა ეყრდნობენ პროტოკანონებს („იდეათა და წარმოდგენათა კრებულს, რომლებიც კანონისმაგარად ფუნქციონირებენ“ [49, გვ. 408; 48, გვ. 135-137]. საკმაოდ რთული ლოგიკურ-სისტემური კონსტრუქციის მოდელი ააგეს ჰ. ტაგლმა, ა. თაუნსენდმა და თ. რაილიძ [137], რომელთა მიხედვით ექსპლანაცია მიიღწევა ისეთი აბსტრაქტული შედეგის (calculator) შექმნით, რომელიც იდენტიფიცირებს ერთმანეთთან ურთიერთობაში მყოფ ყველა ცვალებადს და განმარტავს ამ ურთიერთობათა მსვლელობას. თუმცა ამ შემთხვევაში ავტორები აცხადებენ, რომ მათ მოდელს არაფერი აქვს საერთო ზოგად კანონებთან, მოდელის ცნება აშკარად ახალი არქეოლოგიის პოზიტივისტური არსენალი-

დანაა ნასესხები. კიდევ უფრო რთული მრავალდონიანი კანონშემოქმედებითი მოდელი წარმოადგინეს დ. რიდმა და ს. ლებლანგმა [95].

70-იანი წლების ბოლოსათვის „ახალი არქეოლოგიის“ განვითარებაში შეინიშნება გარკვეული ცვლილებანი. პუბლიკაციათა ტონი ნაკლებ პოლემიკური ხდება წინა ათწლედთან შედარებით და ძირითადად იფარგლება ამ მიმდინარეობის შიდა პრობლემებით. იმართება ღია დისკუსიები American Antiquity-ს ფურცლებზე, იწყებს გამოსვლას კრებულების სერია "Advances in Archaeological method and Theory" მაიკლ შიფერის რედაქციით,³⁵ ქვეყნდება მიმოხილვითი ხასათის ნაშრომები [114; 38]. ამავე დროს სულ უფრო საგრძნობი ხდება კრიზისული ხასათის მოვლენების გაზენაც [39; 153, გვ. 64-65].

პირველ რიგში ეს შექმნა ზოგადი კანონების სფეროს. არანაირი არატრივიალური ზოგადი კანონი კულტურული პროცესების შესახებ არც შემუშავებულა და არც ტესტირებულა „დამოუკიდებელი მონაცემების ბაზაზე“ [76, გვ. 107]. უკვე 1977 წელს ლ. ბინფორდი აღნიშნავდა: „ტერმინი „ახალი არქეოლოგია“ ძალიან ხშირად გამოიყენება. მაგრამ ვარგისიანი თეორიის შექმნის მიმართულებით რაიმე პროგრესის არქონის პირობებში არ არსებობს „ახალი არქეოლოგია“, უკეთეს შემთხვევაში არსებობს მხოლოდ ანტიტრადიციული არქეოლოგია... ის რაც ამ სახელით [ახალი არქეოლოგია – გ.კ.] არის ამჟამად წარმოდგენილი, ეს არის გაურკვეველობის, ოპტიმიზმის და ერთმანეთისაგან უკიდურესად განსხვავებული პროდუქციის ანარქია“ [13, გვ. 92]. თეორიული ცვლილებების მიზანი კვლავაც მიუღწეველი რჩებოდა. გამოცხადებული რევოლუცია უფრო მეთოდოლოგიური ხასათისა აღმოჩნდა და არ შეხებია მეცნიერების ეპისტემოლოგიურ საწყისებს [38, გვ. 439; 87, გვ. 654].

გამოიკვეთა ის მდგომარეობაც, რომ თურმე არც რაიმე ერთიანი „ახალი არქეოლოგია“ არსებულა, მკაფიო კონცეფციებითა და მეთოდებით. 70-იანი წლებისათვის ეს იყო მეტად არაერთგვაროვანი მკვლევარების ჯგუფი, რომელსაც აერთიანებდა მხოლოდ ერთი რამ – უკმაყოფილება ტრადიციული სკოლის მოღვაწეობით. თვით ლ. ბინფორდიც ცდილობს დისტანცირებას ბევრი ახალი ტალღის მიმდევრებისაგან, და მათ შრომებს მისი პირველადი იდეების დამახინჯებად აცხადებს [21, გვ. 3, 31].

ბევრი არქეოლოგი ერთმანეთში ურევდა თეორიას, მეთოდოლოგიას და კვლევის ხერხებს. ძალიან ადრე ჩაითვალა, თანაც ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, რომ არქეოლოგიას უკვე გააჩნდა თეორიული ბირთვი, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლებოდა ნაყოფიერი კვლევის წარმათვა. ჩათვლილი იყო, რომ ამგვარი თეო-

³⁴ „ნაგვის შემსწავლელი ახალი მეცნიერება“ - ირნიულად აღნიშნავდა გიბონი [50, გვ. 85].

³⁵ 1989 წელს ის შეიცვალა მისი მემკვიდრე ახალი სერიით "Archaeological Method end Theory".

რია, სწორედ გამოყენებული, ნებას მისცემს არქეოლოგებს დაუკავშირონ არსებული მონაცემები წარსულის რეკონსტრუქციის მცდელობებს [შდრ. 103, გვ. 2-3]. ამგვარი კვლევის მიზნებისა და პროცედურების სიცხადე, როგორც სკეროდათ არქეოლოგებს, შესამჩნევად გაუმჯობესებდა ერთი მხრივ რეკონსტრუქციათა ხარისხს, ხოლო მეორე მხრივ, წინ წასწევდა და განავითარებდა არქეოლოგიის თეორიის ძირითად ბირთვს. სამწუხაროდ, ამდაგვარი პროცედურებისა და ვარაუდების შემოწმების ნაცვლად თეორიული ძიება შემთიფარგლა განყენებული მსჯელობებით ახალი თეორიის აგების ლოგიკური საფეხურების შესახებ [49; 80; 88; 89; 106; 107; 104; 137; 139; 140; 142; 143].

თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი თეორია და ყველაფერი შემთიფარგლებოდა მხოლოდ რიტორიკული მსჯელობებით მიზნებსა და ამ მიზნების მისაღწევი გზების შესახებ.

განდა „ახალი არქეოლოგიის“ ზოგადი შეხედულებების გადასინჯვის ცდებიც. გარკვეულწილად რევიზიონისტული აღმოჩნდა ფრედ პლოგის ნაშრომი „პრეისტორიულ ცვლილებათა კვლევა“, რომელშიც მან თავიდან გადახედა არქეოლოგიური ნაშთებიდან სოციალური ორგანიზაციის შესახებ დასკვნების მიღების საკითხებს, რაც პროცესუალური არქეოლოგიის ერთერთ მნიშვნელოვან საკვლევ სფეროს წარმოადგენდა [91; 92]. გარკვეული ეჭვები კულტურულ რეკონსტრუქციათა არსებული ტენდენციების შესახებ გამოთქვა რ. გოულდმაც [52].

არქეოლოგთა ერთმა ნაწილმა ჩათვალა, რომ არქეოლოგიური თეორიის ჩამოყალიბების საქმე ნომილოგიურ-დედუქციური მეთოდის შემოღებით უკვე მომთავრებული საქმეა. მეორე ნაწილმა, გულაცრუებულმა ზოგადი თეორიის არარსებობით, კვლავ, როგორც ეს იყო „ახალი არქეოლოგიის“ წარმოშობამდე, მიმართა თეორიების პირდაპირ სესხებას სხვა მეცნიერებებიდან, მაგ. ეკოლოგიდან, გეოგრაფიდან, დემოგრაფიდან და ა.შ. უმეტესწილად ეს თეორიები, თეორიული და მეთოდოლოგიური ცნებები და ტერმინები იხმარებოდა უკრიტიკოდ, არაადეკვატურად და უბრალოდ უმისამართოდ [შდრ. ეკოლოგიაში – 101; დემოგრაფიაში – 51; 59; 60].

წარსულში სოციალურ ცვლილებათა არსებული რეკონსტრუქციებით უკმაყოფილების ფონზე ახალი არქეოლოგიის წიაღში დაიწყო განვითარება საკმაოდ მძლავრმა ეკოლურინისტურმა მიმდინარეობამ.

ზოგი ავტორი აგრძელებს 50-60-იანი წლების კულტურული ეკოლურიონიზმის ტრადიციებს [70; 108], რომლის ფარგლებში ეკოლურია უფრო სოციალური გაგებით განიხილებოდა [38, გვ. 443]. 1977 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „პრეისტორიულ ცვლილებათა ექსპლანაცია“ [66] ცნება „ეკოლურია“ იხმარებოდა სხვადა-

სხვა განსხვავებულ კონტექსტში. ზოგიერთ სტატიაში, რომლის ამოსავალი საფუძველი იყო ფუნქციონალისტური ან ეკოლოგიური მიდგომა, ეკოლურია გულისხმობდა სისტემათა ცვალებადობებს [47], სხვებში [109] ის უფრო სოციოკულტურულ ანთროპოლოგიაში უაიტის, მ. სალინზის და ე. სერგისის მიმართულებების ფარგლებში ჯდებოდა.³⁶

ბიოლოგიურ-ეკოლურიონისტური ხასიათის აღმოჩნდა ბ. ტრიგერის, მ. კონკისა და რ. დანელის შეხედულებანი [136, გვ. 31-33; 29; 38]. ეკოლურიური პროცესი ადამიანთა საზოგადოებაში მათ წარმოადგენათ, როგორც ბუნებრივი სელექციის მოქმედების შედეგი.

„ახალ არქეოლოგიაში“ შექმნილ კრიზისულ ვითარებაში ავანსცენაზე კვლავ ლ. ბინფორდი გამოდის, რომელიც აქვეყნებს სტატიათა სერიას, რომელშიც დასახულია არქეოლოგიური თეორიის ბირთვის აგების პრობლემის გადაჭრის გზები [13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21]. მთავარ პრობლემად დაისვა საკითხი, თუ როგორაა შესაძლებელი დღევანდელი არქეოლოგიური მონაცემების გარღვევა მნიშვნელოვანი პროცესების ცოდნაში, რომელებმაც გამოიწვია ამ მონაცემების წარმოშობა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც არქეოლოგიურ მონაცემებს მიეცემა დინამიური შინაარსი, შესაძლებელი იქნება წარსულში ადამიანთა ქცევისა და კულტურულ ცვლილებათა შესახებ ჰიპოთეზების შემუშავება და ტესტირება.

ამ პრობლემამ არქეოლოგებს გაამახვილებინა ყურადღება რო პეტრაციონალური ხასიათის დონეზე, რომლებსაც შესაბამისად დაერქვა „ქვედა დონის ინტერპრეტაციები“ და „საშუალო დონის თეორია“ [150, გვ. 249-250].

პირველი მათგანი განხორციელდა ე.წ. „ბიპეივორისტულ“ მიდგომებში.

მეორე, „საშუალო დონის“ ანუ „გამხიდავი“ ("bridge") თეორიის აგების ინიციატორი იყო სწორედ ლ. ბინფორდი, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ მის მიზანს წარმოადგენს წარსულის კულტურულ სისტემათა და თანამედროვე არქეოლოგიურ მონაცემებს შორის ზოგადი, პროგნზირებადი კავშირების აღმოჩენა [13].

თუ ბიპეივორისტული მიდგომის ყურადღების ცეტრშია ინდივიდთა შეერთებული მოქმედების შედეგები, საშუალო დონის თეორიის შემთხვევაში მეტი ყურადღება ექცევა წარსულ სისტემათა ორგანიზაციას, განსაკუთრებით გარემოსა და კულტურის ურთიერთობებს მისი მეტად ფართო მნიშვნელობით.

საშუალო დონის თეორიის მთავარი არსია არქეოლოგიურ ნაშთებსა და წარსულის კულტურულ სისტემებს შორის დამაკავშირებელი როლის გამოიქნა, რომლის სახითაც ნაგულისხმებია თანამედროვე ცოცხალი კულტურების არქეოლოგიური თვალთახედვის კუთხით

³⁶ ამერიკული ანთროპოლოგიის ამ მიმართულების შესახებ იხ. [119; 120; 121].

შესწავლა. ეს კი ნიშნავს კვლევის აქცენტის გამახვილებას, საშუალო დონის თეორიების შემუშავებისა და შემოწმების მიზნით, ეთნოარქეოლოგიაზე, რაც ლ. ბინფორმა განახორციელა კიდეც ალიასკის ესკიმოსების ცხოვრების ყოფით დეტალუბზე დაკვირვებით [15]. ამჟრიკულ არქეოლოგიაში ამის შემდეგ იწყება ეთნოარქეოლოგიის ბუმი [52; 77; 127; 131; 138; 147].

რ. გოულდმა, ავსტრალიელი აბორიგენების შესწავლის საფუძველზე, წარმოადგინა „ეთნოარქეოლოგიის ერთიანი თეორია“, რომელიც, მისი შეხედულებით, თანაბრად გამოსაყენებელი იქნებოდა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხზე [53].

ეთნოარქეოლოგიურ კვლევასთან დაკავშირებით დაისვა ორი მთავარი პრობლემა: 1. ცოცხალი კულტურებიდან აღებული ანალოგიების გამოყენების მართებულობა ცალკეულ არქეოლოგიურ შემთხვევებში წარსულის ცხოვრების მოდელების ასაგებად; 2. ქცევასა და მატერიალურ კულტურას შორის კორელაციის შესახებ განზოგადოებებისა და კანონების დადგენის მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომლებიც შეიძლება შემდგომ გამოდგეს ფართო კროს-კულტურული კავშირების ფორმულირებისათვის ეთნოარქეოლოგიურ დაკვირვებებსა და წარსულის კულტურებს შორის [121, გვ. 106]. რიჩარდ გოულდისა და პატი ჯო ვატსონის დისკუსიაში, ორივე ეს პრობლემა ურთიერთგადახლართული და ერთიმეორებული დამოკიდებული აღმოჩნდა [54, გვ. 357]. რ. გოულდის აზრით, პირველ პრობლემასთან დაკავშირებით, ვითარება უფრო ისეთია, რომ არქეოლოგიურ მაგალითს არ მოექცენება მსგავსი მოვლენა ეთნოარქეოლოგიურ ან ეთნოსტროიულ მონაცემებში. ყველაფერი, რასაც ჩვენ ამჟამად ვხედავთ, წარსულის არასრულფასოვანი სურათია. პრიმიტიული კულტურები საემალ აკულტურირებულია, ბევრი უნიკალური ნიშანი კი დაკარგული. პრობლემას კიდევ უფრო ამძიმებს ის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ამოგხსნათ ქცევა მატერიალური ხასიათის ნიმუშების მიხედვით [53; 54].

კროს-კულტურული კავშირების ზოგადი პრინციპების თაობაზე არსებობს რამდენიმე მიღებობა. თუ ლ. ბინფორდი [14, 15] კურადღებას ამახვილებს ადაპტაციის ბიოლოგიურ კონცეფციებზე, როგორც კროს-კულტურული დაკავშირების პოტენციურ წყაროზე, მ. შიფერი [113] ამდაგვარ კავშირებს აუზნებს მატერიალური ნიშნების გადამარცვის ერთიან პრინციპებზე.

შეიძლება ითქვას, რომ 70-80-იან წლებში პროცესუალური არქეოლოგიის ძალისხმევის დიდი ნაწილი სწორედ ეთნოარქეოლოგიისაკენაა მიმართული.

ზოგიერთმა პრობლემამ აქაც იჩინა თავი. მთავარი კი, საბლოფის აზრით, არის არქეოლოგთა დიდი ნაწილის მისწრაფება უშუალოდ დაუკავშირონ ეთნოგრაფიული პარალელი არქეოლოგიურ მონაცემებს [103, გვ. 4]. მისი აზრით, თეორიის შესამუშავებლად საჭიროა უფრო ხანგრძლივი და ეტაპობრივი პროცედურის შესრუ-

ლება: 1. თანამედროვე ან ისტორიული ქცევის აღწერა; 2. კონკრეტული ქცევის ახსნის მცდელობა და იმის განსაზღვრა, აქვს თუ არა ამგვარ ექსპლანაციას კროს-კულტურული და-დასტურება; 3. ქცევის დაკავშირება მის მატერიალურ შედეგებთან; 4. კვლევის ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც საშუალებას იძლევა აღმოვაჩინოთ შესაბამისი ასპექტები არქეოლოგიურ მონაცემებში; 5. არქეოლოგიური კვლევის წარმართვა ეთნოგრაფიულად მიღებული ექსპლანაციების შესამოწმებლად და არქეოლოგიურ მონაცემებთან მის დასაკავშირებლად. ავტორის რწმენით, ამგვარ პროცედურებს დიდი მნიშვნელობა აქვს საშუალო დონის თეორიის ასაგებად.

პროცესუალიზმის, როგორც ახალი არქეოლოგიური მეცნიერული კონცეფციის წარმოშობა და განვითარება მოხდა ძირითადად ამერიკულ ნიადაგზე და სპეციფიკურ ამერიკულ პირობებში, თუმცა მეტანაკლებად ამ მოვლენებში ბრიტანელმა არქეოლოგებმაც დაიდეს წილი (მარტო დ. კლარკისა და კ. რენფრიუს სახელები რად ღირს?!). მაგრამ დებატები ძირითადად შემოიფარგლა პრეისტორიული არქეოლოგიის ჩარჩოებით. უფრო მეტიც, ძირითადი ფუძემდებლური იდეები მუშავდებოდა ქვის ხანის არქეოლოგიის ბაზაზე – ლ. ბინფორდის ძირითადი საქმიანობის ასაპარეზზე. ამ იდეების და მიღებობების გამოყენება მწარმოებლური, წინა- და ადრეკლასობრივი უდამწერლობო საზოგადოებების მიმართ უკვე სხვების – კ. ფლანერის, ჯ. საბლოფის, კ. რენფრიუს და სხვათა დამსახურება.

ამავე სფეროში მოღვაწე ტრადიციული არქეოლოგების ზოგიერთი წარმომადგენლის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია ჩვენ ზემოთ უპერავნიშნეთ. საკვირველი ამბავია, მაგრამ დისციპლინის ყველაზე მძლავრი და განვითარებული ნაწილის მხრიდან, ანუ კლასიკური არქეოლოგის წრიდან, რამე გამოხმაურება, ან დადებითი (ნაკლებად მოსალოდნელი), ან უარყოფითი „ახალი არქეოლოგიის“ არსებობის ფაქტის მიმართ რამდენიმე გამონაკლისი შემთხვევის გარდა არ ყოფილა.

პირველმა, ვინც „შეამჩნია“ პროცესუალური არქეოლოგიის არსებობა, იყო ანტიკური ისტორიის და ეკონომიკის გამოჩენილი მკვლევარი სერ მოზეს ფინლი [43]. საერთოდ სიახლეები-სადმი სიმპატიური ტონით გამსჭვალულ წერილში აღნიშნულია არქეოლოგიასა და ისტორიას შორის ნაპრალის გაღრმავება, რაც, მკვლევარის აზრით, შეცდომაა. შეიძლება გავუგოთ „ახალგაზრდა თურქებს“, რომლებმაც გაიღამქრეს „რომანტიკული არქეოლოგიის“ სუბიექტივისტური ინტერპრეტაციების წინააღმდეგ, მაგრამ ისტორიული მასალების უარყოფელი არქეოლოგიური პროცედურები ისევე ცალკერია და ნაკლებ სასარგებლოა, როგორც ისტორიული კვლევა არქეოლოგიური მასალების გამოყენების გარეშე, განსაკუთრებით კი

ეკონომიკური ხასიათის პრობლემების კვლევაში.

ფინლის ეს მოწოდება შეუმჩნეველი დარჩა ორივე ადრესატის მხრიდან. არქეოლოგიური მეცნიერების ეს ორი ნაწილი თითქოსდა ვერ ამჩნევდნენ ერთმანეთის არსებობას. ამ ვითარებას თავისი მიზეზები გააჩნდა და ახლაც გააჩნია.

კლასიკურ არქეოლოგიაში გერმანული სკოლის გავლენით გარევეულწილად გაძატონებული აღმოჩნდა ანტიკვარისტული მიდგომა. კლასიცისტები შემოიფარგლენ მონაცემების სისტემატური შეგროვებით. ჩაითვალა, რომ ნებისმიერი განზოგადება უნდა ემყარებოდეს სოლიდურ, სისტემურად ორგანიზებულ მონაცემთა ბაზას. ამის შედეგად არქეოლოგთა მოღვაწეობის მთავრ პროდუქციად იქცა ურიცხვი კატალოგები და კომპენძიუმები [41, გვ. 195]. ზოგი მკვლევარის აზრით, ეს მოასწავებდა კლასიკურ არქეოლოგიაში კრიზისს დაწყებას.³⁷ ის სულ უფრო და უფრო ერწყმოდა და იდენტიფიცირდებოდა კლასიკურ ფილოლოგიასთან, რაც ნიშნავდა მატერიალური ნამთების კვლევის დაქვემდებარებას ლიტერატურულ-ტექსტურული მონაცემების შესწავლის ამოცანებისადმი. კლასიცისტების უდიდესი ნაწილი გატაცებული აღმოჩნდა დეკონტექსტუალიზებული მასალის კატალოგიზაციითა და სისტემატიზაციით, რამაც მოიტანა მეტად ვიწრო სპეციალიზაცია ცალკეულ განხრებს შორის საქმიან სუსტი კავშირებით: ნუმიზმატიკა, გლიპტიკა, ტორევტიკა, მოხატული ვაზები და ა.შ. როგორც აღნიშნავდა ს. დაისონი, ათასობით რომაული ჭრაქის სისტემატორიზატორსა და კატალოგისტს არც მოუწდებოდა რაიმე უფრო ფართო საკითხების დასმა, მაგალითად კულტურული ცვლილებების გამომწვევი მიზეზების თაობაზე [41, გვ. 195]. იყო მეორე მხარეც კლასიკური არქეოლოგიის თვალთახედვაში შემავალი ცივილიზაციების ბრწყინვალებამ, კლასიკური საბერძნებისა და რომის სიძველეების აღიარებამ საერთო ევროპული კულტურის საფუძვლებად, თვითონ კლასიკურობის შემსწავლელ მეცნიერებებსაც განსაკუთრებული პირობები შეუქმნა. კლასიკური არქეოლოგია სარგებლობდა უდიდესი მხარდაჭერით ევროპის კულტურულ ელიტაში, გააჩნდა დიდი სახსრები გათხრების საწარმოებლად და სამუზეუმო შენაძენებისათვის. მათი შესწავლის საგანს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა განათლებული საზოგადოების ინტელექტუალურ საფუძვლებში. კულტურულ ემიგრაციების შედეგად წარმოიშვა სწავლულთა მცირე არმია თავისი სპეციფიკური ენითა და მიდგომებით და კიდევ უფრო დიდი არმია კლასიკური არქეოლოგიის მოყვარულებისა [122, გვ. 31-32; 41, გვ. 196].

³⁷ იხ. [40] და ამავე კრებულში მოთავსებული სხვა მასალები.

ბუნებრივია, რომ ამ პირობებში კლასიკური არქეოლოგიის წარმომადგენელთა უმრავლესობა არ გრძნობდა თავისი მეცნიერების საფუძვლების გადახედვის რაიმე საჭიროებას. თვით პროცესუალური არქეოლოგიაც, მეტად კრიტიკული ტრადიციული მიდგომების მიმართ, კლასიკურ არქეოლოგიას, როგორც კლასიკური ისტორიის ნაწილს, სრულ იგნორირებას უკეთებდა. ეს უკანასკნელიც, რახან არ განიცდიდა „ახალგაზრდა თურქების“ დაწოლას, მეტად ინდიფერენტული რჩებოდა „ახალი არქეოლოგიის“ როგორც კრიტიკული ნაწილის, ასევე კონსტრუქციული წინადაღებების მიმართ. წარმოშვა ის სიტუაცია, რომელსაც კრენცრიუმ „დიდი გაყოფა“ უწოდა [98].

წარმოშობილ უფსკრულს აღრმავებდა როგორც ახალი მოძრაობის მიერ გამოყენებული ტერმინოლოგია (ჟარგონი – ტრადიციონალისტების შეფასებით), ასევე ასაკობრივი ბარიერიც. იმ დროს, როდესაც ამერიკის კოლეჯებში და არქეოლოგიურ დაწესებულებებში წამყვან პოზიციებს ახალგაზრდა და ინიციატივიანი ნაწილი იკავებდა, კლასიკურ არქეოლოგიაში, განსაკუთრებით ევროპაში, წამყვანი პოზიციების მიღწევა შესაძლებელი იყო უმეტესწილად უკვე ხანდაზმულ ასაკში. ს. დაისონი ამ მდგომარეობას ასე ახასიათებს: „თანამედროვე კლასიკური არქეოლოგია აგებულია იერარქიზმისა და წინაპაროთა თაყვანისცემის მეტად ჩინური სულისკვეთების მქონე პრინციპების მიხედვით“ [41, გვ. 196].

ასე რომ, სრულებით არ არის გასაკვირვი, რომ ახალ არქეოლოგიას ყურადღება მხოლოდ ზოგიერთმა მკვლევარმა მიაქცია. კ. რენფრიუს მოჰყვას არგუმენტები კლასიკური და ახალი არქეოლოგიის დაახლოების სასარგებლოდ. საჭიროა გარკვეული ინტელექტუალური ხიდის გადება წარმოშობილ ნაპრალზე, რათა ორივე მხარე შეხვდეს ამ ხიდის შუაგულში [98]. მსგავსია ს. დაისონის შეხედულებანიც, რომელიც ესნოდგრასის მოსწრებული შენიშვნით [122, გვ. 32], აპირებდა მსუბუქი დაკიდული ხიდის გადებას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ახალი არქეოლოგიის ინტელექტუალური მარაგის სასარგებლო ნაწილის გადმოტანა კლასიკური არქეოლოგიის ნაპირზე [39, გვ. 7-13]. კლასიკური არქეოლოგების მხრიდან გაისმა აგრეთვე პ. კურბენის განცხადებაც – ზემოხსენებული ხიდის ასაგებად გაწეული ხარჯები არ იქნება კომპენსირებული მიღებული შედეგებით [30; 31]. მის ნაშრომში განხილული იყო „ახალი არქეოლოგია“ მთლიანობაში, მისი ფილოსოფია და მეთოდები. საერთო შეფასება შემდეგნაირად: ეს იყო გამანადგურებელი წარუმატებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ თვით პ. კურბენის ნაშრომშიაც არ ასცდა მკვეთრი კრიტიკა. ს. დაისონმა ის შეაფასა, როგორც „ცინიკური დამოკიდებულება მეცნიერების მიმართ საერთოდ და სოციალური მეცნიერების მიმართ

კერძოდ“ [41, გვ. 193], ხოლო რიჩარდ ვატსონმა კურბენის წიგნის ინგლისურ გამოცემაზე რეცენზიაში [AJA, 1992, pp. 164-165] მის შესახებ ასე აღნიშნა: „ფრანგული სტილის ტიპიური ნიმუში, ანუ მოწინააღმდეგის ლაფში ამოსვრა“. ყველაზე მეტად ტოლერანტულად განტყობილი ახალი მიმდინარეობის მიმართ აღმოჩნდა ე. სნოდგრასი, რომელიც აღნიშნავდა პროცესუალური არქეოლოგიისაგან ბევრი რამის სწავლის აუცილებლობას, ვინაიდან საწინააღმდეგო შემთხვევაში კლასიკურ არქეოლოგიას ემუქრება მეცნიერების მთავარი დინებისაგან მოწყვეტა [122, გვ. 32-35; 123].

80-იანი წლების დასაწყისისათვის „ახალი არქეოლოგიის“ პოზიციები, მიუხედავად ზემოთ მოყვანილი კრიზისული მოვლებისა, ტრიუმფალურად გამოიყერებდა [136]. „ამერიკული არქეოლოგიის ისტორიის“ 1980 წლის მეორე გამოცემაში გ. უილი და ჯ. საბლოფი წერდნენ: „ახალი სული ჭარბობს ამჟამად ამერიკულ არქეოლოგიაში, იდეები და მსჯელობანი წარმოშობილი ახალი არქეოლოგიური აზროვნების კონტექსტში: არტეფაქტებთან, როგორც ადამიანის ქცევის ანარეკლთან დამოკიდებულებით, კულტურული ეკოლოგიით მისი უფართოესი გაგებით, სისტემური ანალიზით და კულტურის ისტორიის ცენტრალური კონცეფციით – პროცესით. ყველაფერმა ამან შეცვალა და კვლავაც ცვლის არქეოლოგიის მსვლელობას [150, გვ. 246].

სწორედ ამ დროს, 80-იანი წლების დასაწყისიდან, არქეოლოგიური აზროვნების ასპარეზზე გამოჩნდა ახალი ტალღა, სრულებით ახალი სახელგბით, რომელიც მკვეთრად დაუპირისპირდა პროცესუალურ არქეოლოგიას და შექმნა პრინციპულად განსხვავებული თეორიული მიმართულება. ეს გახლავთ დიდი ბრიტანეთის ნიადაგზე აღზევებული ე.წ. „პოსტპროცესუალური“ ანუ „პოსტმოდერნისტული“ არქეოლოგია. მაგრამ ამ მიმდინარეობის დახასიათება უპვე სულ სხვა ნაშრომის თემაა.

Г. Т. Квирквелия

ИЗ ИСТОРИИ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ МЫСЛИ: 1. ПРОЦЕССУАЛЬНАЯ АРХЕОЛОГИЯ (резюме)

С 1960-ых годов в англоязычной археологии проявились новые тенденции, которые основательно изменили ситуацию в преисторических исследованиях и которые в дальнейшем получили название "новой" или "процессуальной" археологии.

В статье рассмотрены явления, предшествующие зарождению этого нового течения, его теоретические основания, а также пути дальнейшего развития вплоть до 80-х годов,

когда на сцене англо-американской археологии проявились новые тенденции, получившие суммарное название "пост-процессуальной археологии".

G. Kvirkvelia

FROM THE HISTORY OF ARCHAEOLOGICAL THOUGHT: 1. PROCESSUAL ARCHAEOLOGY (Summary)

New trends have appeared in English-language archaeology since the 1960s, substantially altering the situation in prehistoric studies and subsequently assuming the name of "new" or "processual" archaeology.

The paper discusses the developments preceding the inception of this trend, its theoretical principles, and the paths of its further development up to the 1980s, when new trends appeared in the arena of Anglo-American archaeology under the name of "postprocessual" archaeology.

ლიტერატურა

- 1. Bayard D. T.** Science, Theory and Reality in the "New Archaeology" – Am.An., 34, 1969, pp. 376-384.
- 2. Benet J. W.** Recent Development in the functional Interpretation of Archaeological data – Am.An., 9(2), 1943, 153, pp. 208-219.
- 3. Benet J. W.** The Interaction of Culture and Environment in the Smaller Societies – Am.Anth., 46(4), 1944, pp. 461-478.
- 4. Benet J. W.** Empiricist and Experimental Trends in Eastern Archaeology - Am.An., 11(3), 1946, pp. 198-200.
- 5. Binford L. R.** Archaeology as Anthropology - Am.An., 28, 1962, pp. 217-25.
- 6. Binford L. R.** A Consideration of Archaeological Research Design - Am.An., 29, 1964, pp. 425-441.
- 7. Binford L. R.** Archaeological Systematics and the Study of Cultural Process - Am.An., 31, 1965, pp. 203-210.
- 8. Binford L. R.** Comment on K. C. Chang's "Major Aspects of the Interrelationship of Archaeology and Ethnology" – Current Anthropology, 8(3), 1967, pp. 234-235.
- 9. Binford L. R.** Smudge Pits and Hide Smoking: the Use of Analogy in archaeological Reasoning - Am.Anth., 32, 1967, pp. 1-12.
- 10. Binford L. R.** Archaeological Perspectives - in: Binford L. R., Binford S. R. (eds.). New Perspectives in Archeology, Chicago, 1968, pp. 5-32.

- 11. Binford L. R.** Theory and Method – in: Binford L. R., Binford S. R. (eds.). *New Perspectives in Archeology*, Chicago, 1968, pp. 1-4.
- 12. Binford L. R.**, An archaeological perspectives, New York, 1972.
- 13. Binford L. R.** General Introduction – in: L. R. Binford (ed.), *For Theory Building in Archaeology*, New York, 1977.
- 14. Binford L. R.** Dimensional Analysis of Behavior and Site Structure: Learning from the Eskimo Hunting Stand - *Am.An.*, 43, 1978, pp. 330-361.
- 15. Binford L. R.** Nunamuit Ethnoarchaeology, New York, 1978.
- 16. Binford L. R.** On Covering Laws and Theories in Archaeology – *Current Anthropology*, 19, 1978, pp. 631-632.
- 17. Binford L. R.** Willow Smoke and Dog's Tails. Hunter-Gatherer Settlement Systems and archaeological Site Formation - *Am.An.*, 45, 1980, pp. 4-20.
- 18. Binford L. R.** Objectivity – Explanation – Archaeology – in: C. Renfrew, M. J. Rowlands, B. A. Seagraves (eds.), *Theory and Explanation in Archaeology*, New York, 1982, pp. 125-138.
- 19. Binford L. R.** The Archaeology of Place – *JAA*, 1, 1982, pp. 5-31.
- 20. Binford L. R.** In Pursuit the Past: Decoding the Archaeological Record, London, 1983.
- 21. Binford L. R.** Working at Archaeology, New York, 1983.
- 22. Binford L. R.** Debating Archaeology, New York, 1989.
- 23. Binford L. R.** The "New Archaeology ", Then and Now – in: C. C. Lamberg-Karlovsky, *Archaeological Thought in America*, Cambridge, Mass., 1989, pp. 50-62.
- 24. Binford L. R., Binford S. R.** (eds.). *New Perspectives in Archeology*, Chicago, 1968.
- 25. Caldwell J. R.** The New American Archaeology – *Science*, 129, 1959, pp. 303-307.
- 26. Clarke D. L.** Analytical Archaeology, London, 1968.
- 27. Clarke D. L.** Archaeology: the Loss of Innocence – *Antiquity*, 47, 1973, pp. 6-18.
- 28. Chadwick A. J.**, Settlement Simulation – in Renfrew-Cook 1979, pp. 237-255.
- 29. Conkey M.** Style and Information in Cultural Evolution: Toward a Predictive Model for the Paleolithic – in: C. L. Redman, M. J. Berman, E. V. Curtin, W. T. Langhore, N. M. Wersaggi, J. C. Wanzer (eds.), *Social Archaeology: Beyond Subsistence and Dating*, New-York, 1978, pp. 61-85.
- 30. Courbin P.** Qu'est-ce que l'Archéologie? Paris, 1982.
- 31. Courbin P.** What is Archaeology? (Engl. Transl. by P. Bahn), Chicago, 1988.
- 32. Deetz J. F.** Invitation to Archaeology, Garden City, NY, 1967.
- 33. Deetz J. F.** Archaeology as a social Science – in: *Current Directions in Anthropology*, American Anthropological Association Bulletin, 3, 1970, pp. 115-125.
- 34. Deetz J. F.** History and Archaeological Theory: Walter Taylor Revisited - *Am.An.*, 53, 1988, pp. 13-22.
- 35. DeVore I.** Comments – in: Binford L. R., Binford S. R. (eds.). *New Perspectives in Archeology*, Chicago, 1968, pp. 346-349.
- 36. Dunnell R. C.** Systematics in Prehistory, New York, 1971.
- 37. Dunnell R. C.** Style and Function: a fundamental Dichotomy - *Am.An.*, 43, 1978, pp. 192-202.
- 38. Dunnell R. C.** Trends in current American Archaeology – *AJA*, 83, 1979, pp. 437-449.
- 39. Dyson S. L.** A classical Archaeologist's Response to the New Archaeology – *BASOR*, 242, 1981, pp. 7-13.
- 40. Dyson S. L.** Classical Archaeology – in: P. Culham, L. Edmunds (eds.), *Classics, a Discipline and Profession in Crisis*, New York, 1989.
- 41. Dyson S. L.** From New to New Age of Archaeology: Archaeological Theory and Classical Archaeology – A 1990s Perspective – *AJA*, 97(2), 1993, pp. 195-206.
- 42. Fehon J. R., Scholtz S. C.** A conceptual Framework for the Study of Artifact Loss - *Am.An.*, 43, 1978, pp. 271-273.
- 43. Finley M. I.** Archaeological History – *Dedalus. Journal of American Acad. of Arts and Science*, Winter 1971, pp. 168-186.
- 44. Flannery K. V.** Cultural History versus cultural Process: a Debate in American Archaeology – *Scientific American*, 217, 196, pp. 119-122.
- 45. Flannery K. V.** Archaeological Systems Theory and Early Mesoamerica – in: B. J. Meggers (ed.), *Anthropological Archaeology in the Americas*, Washington, 1968, pp. 67-87.
- 46. Flannery K. V.** Archeology with a Capital S. – in: Ch. Redman, *Research and Theory in Current archaeology*, New York, 1973, pp. 47-53.
- 47. Ford R. I.** Evolutionary Ecology and the Evolution of Human Ecosystems: A Case Study from the Midwestern USA – in: J. N. Hill (ed.), *Explanations of Prehistoric Change*, Albuquerque, 1977.
- 48. Fritz J. M.** Archaeological Systems for Indirect Observation of the Past – in: M. P. Leone (ed.), *Contemporary Archaeology*, Carbondale, Ill., 1972, pp. 135-157.
- 49. Fritz J. M., Plog F. T.** The Nature of Archeological Explanation - *Am.An.*, 35, 1970, pp. 405-412.

- 50. Gibbon G.** Explanation in Archaeology, Oxford, 1989.
- 51.** Glassow M. A. The Concept of Carrying Capacity in the Study of Cultural Process – AATM, 1, 1978, pp. 31-48.
- 52. Gould R. A.** The Anthropology of Human Residues – Am.Anth., 80, 1978, pp. 815-835.
- 53. Gould R. A.** Living Archaeology, Cambridge, 1980.
- 54. Gould R. A., Watson P. J.** A Dialog on the Meaning and Use of Analogy in Ethnoarchaeological reasoning – JAA, 1, 1982, pp. 355-381.
- 55. Gregg S. A.** Foragers and Farmers, Chicago, 1988.
- 56. Haag W. G.** The Status of Evolutionary Theory in American Archaeology – in: Evolution and Anthropology: a Centennial Appraisal, Chicago, 1959, pp. 90-105.
- 57. Härke H.** All Quiet on the Western Front? Paradigms, Methods and Approaches in West German Archaeology – in: I. Hodder (ed.), Archaeological Theory in Europe: The Last Three Decades, London – New York, 1991, pp. 187-228.
- 58. Harris M.** The Rise of Anthropological Theory, New York, 1968.
- 59. Hassan F. A.** Demographical Archaeology – AATM, 1, 1978, pp. 49-103.
- 60. Hassan F. A.** Demographical Archaeology, New York, 1981.
- 61. Higgs E. S.** Archaeology – Where Now? – Mankind, 6, 1968, pp. 617-620.
- 62. Hildebrand J. A. Pathways Revisited: A Quantitative Model of Discard** – Am.An., 43, 1978, pp. 274-279.
- 63. Hill J. N.** A Prehistoric Community in Eastern Arizona – Southwestern Journal of Anthropology, 22, 1966, pp. 9-30.
- 64. Hill J. N.** Broken Pueblo: Patterns of form and Function – in: Binford L. R., Binford S. R. (eds.). New Perspectives in Archeology, Chicago, 1968, pp. 123-142.
- 65. Hill J. N.** The Methodological Debate in contemporary Archaeology: a Model – in: D. L. Clarke (ed.), Models in Archaeology, London – New York, 1972, pp. 61-107.
- 66. Hill J. N.** (ed.), Explanations of Prehistoric Change, Albuquerque, 1977.
- 67. Hill J. N.** Systems Theory and the Explanation of Change – in: J. N. Hill (ed.), Explanations of prehistoric Change, Albuquerque, 1977.
- 68. Hill J. N., Evans R. K.** A Model for Classification and Typology – in: D. L. Clarke (ed.), Models in Archaeology, London – New York, 1972, pp. 231-273.
- 69. Hogarth A. C.** Common Sense in Archaeology – Antiquity, 46, 172, pp. 301-304.
- 70. Johnson G. A.** Information Sources and the Development of Decision-Making Organization – in: C. L. Redman, M. J. Berman, E. V. Curtin, W. T. Langhore, N. M. Wersaggi, J. C. Wanzer (eds.), Social Archaeology: Beyond Subsistence and Dating, New-York, 1978, pp. 87-112.
- 71. Keene A. S.** Prehistoric Foraging in a Temperate Forest, New York, 1981.
- 72. Klejn L.** Metaarchaeology in the West – JTA, ¾, 1993-1994, pp. 59-82.
- 73. Klukhohn Cl.** Some Reflections on the Method and Theory of Kulturkreislehre - Am.Anth., 38(2), 1936, pp. 157-196.
- 74. Klukhohn Cl.** The Place of Theory in Anthropological Studies – Philosophy of Science, 6(3), 1939, pp. 328-344.
- 75. Klukhohn Cl.** The conceptual Structure in Middle American Studies – in: C. L. Hay et al (eds.), The Maya and their Neighbors, New York, 1940, pp. 40-51.
- 76. Kohl Ph. L.** Symbolic cognitive Archaeology: A New Loss of Innocence – Dialectical Anthropology. V.S. Amsterdam, 1985.
- 77. Kramer C.** (ed.), Ethnoarchaeology. Implications of Ethnography for Archaeology, New York, 1979, pp. 1-20.
- 78. LeBlanc S. S.** Two Points of Logic Concerning Data, Hypotheses, General Laws and Systems – in: C. L. Redman, M. J. Berman, E. V. Curtin, W. T. Langhore, N. M. Wersaggi, J. C. Wanzer (eds.), Social Archaeology: Beyond Subsistence and Dating, New-York, 1978, pp. 199-214.
- 79. Leone M. P.** Issues in Anthropological Archaeology – in: M. P. Leone (ed.), Contemporary Archaeology, Carbondale, Ill., 1972, pp. 14-27.
- 80. Levin M. E.** On Explanation in Archaeology: A Rebuttal to Fritz and Plog - Am.An., 38, 1973, pp. 387-395.
- 81. Longacre W. A.** Archaeology as Anthropology: A Case Study – Science, 144, 1964, pp. 1454-1455.
- 82. Longacre W. A.** Changing Patterns of Social Integration: A Prehistoric Example from American South West - Am.Anth., 68, 1966, pp. 94-102.
- 83. Martin P. S.** The Revolution in Archaeology – Am.An., 36, 1971, pp. 1-8.
- 84. Meggers B. J.** Environmental Limitation on the Development of Culture - Am.Anth., 56(5), 1954, pp. 801-824.
- 85. Meggers B. J.** The Coming of Age of American Archaeology – in: New Interpretations of Aboriginal American Culture History, Washington, DC, 1955, pp. 116-129.
- 86. Meggers B. J.** (ed.), Anthropological Archaeology in the Americas, Washington, 1968.
- 87. Meltzer D. J.** Paradigms and the Nature of Change in American Archaeology - Am.An., 44, 1979, pp. 644-657.

- 88. Morgan Ch. G.** Archaeology and Explanation – World Archaeology, 4, 1973, pp. 259-276.
- 89. Morgan Ch. G.** Explanation and Scientific Archaeology – World Archaeology, 6, 1974, pp. 133-137.
- 90. Neustupný E.** Whither Archaeology? – Antiquity, 45, 1971, pp. 34-40.
- 91. Plog F. T.** The Study of Prehistoric Change, London, 1974.
- 92. Plog F. T.** Social Interaction and Stylistic Similarity: a reanalysis – AAMT, 1, 1978, pp. 143-182.
- 93. Rathje W. L.** Modern Material Culture Studies – AAMT, 2, 1979, pp. 1-37.
- 94. Rathje W. L.** A Manifesto for Modern Material Studies – in: R. A. Gould (ed.), Modern Material Culture: The Archaeology of Use, New York, 1981.
- 95. Read D. W., LeBlanc S. A.** Descriptive Statements, Covering Laws, and Theories in Archaeology – Current Anthropology, 19, 1978, pp. 307-335.
- 96. Renfrew C.** Models in Prehistory – Antiquity, 42, 1968, pp. 132-134.
- 97. Renfrew C.** The Emergence of Civilization, London, 1972.
- 98. Renfrew C.** The Great Tradition versus the Great Divide – Archaeology as Anthropology? – AJA, 84, 1980, pp. 287-298.
- 99. Renfrew C., Bahn P.** Archaeology. Theories, Methods and Practice, London, 1991¹.
- 100. Renfrew C., Bahn P.**, Archaeology. Theories, Methods and Practice, London, 1996².
- 101. Rhoades R. E.** Archaeological Use and Abuse of Ecological Concepts and Studies: The Ecotone Example - Am.An., 43, 1978, pp. 608-614.
- 102. Rouse I. B.** On the Correlation of Phases of culture - Am.Anth., 57, 1954, pp. 713-722.
- 103. Sabloff J. A.** When the Rhetoric Fades: A Brief Appraisal of Intellectual Trends in American Archaeology During the Past Two Decades – BASOR, 242, 1981, pp. 1-6.
- 104. Sabloff J. A., Beale T. W., Karland A. M., jr.** Recent development in archaeology. - The Annals of American Academy of political and social science, 408, 1977, pp. 103-118.
- 105. Sackett J. R.** Method and Theory of Upper Palaeolithic Archaeology in south-western France – in: Binford L. R., Binford S. R. (eds.). New Perspectives in Archeology, Chicago, 1968, pp. 61-83.
- 106. Salmon M. H.** Confirmation and Explanation in Archaeology - Am.An., 40, 1975, pp. 459-464.
- 107. Salmon M. H.** "Deductive" versus "Inductive" Archaeology - Am.An., 44, 1976, pp. 376-380.
- 108. Sanders W. T., Webster D.** Unilinealism, Multilinealism, and the Evolution of Complex Societies – in: C. L. Redman, M. J. Berman, E. V. Curtin, W. T. Langhore, N. M. Wersaggi, J. C. Wanzer (eds.), Social Archaeology: Beyond Subsistence and Dating, New-York, 1978, pp. 249-302.
- 109. Saxe A. A.** On the Origin of Evolutionary Processes: State Formation in the Sandwich Islands – in: J. N. Hill (ed.), Explanations of prehistoric Change, Albuquerque, 1977.
- 110. Schiffer M. B.** Archaeological Context and Systematic Context - Am.An., 37, pp. 156-165.
- 111. Schiffer M. B.** Cultural Laws and the Reconstruction of Past Lifeways – KIVA, 37, 1972, pp. 148-157.
- 112. Schiffer M. B.** Archaeology as Behavior Science - Am.Anth., 77, 1975, pp. 836-848.
- 113. Schiffer M. B.** Behavioral Archaeology, New York, 1976.
- 114. Schiffer M. B.** Taking the Pulse of Method and Theory in American Archaeology - Am.An., 43, 1978, pp. 153-158.
- 115. Schiffer M. B.** Formation Processes of the Archaeological Record, Albuquerque, 1987.
- 116. Schiffer M. B.** The Structure of Archaeological Theory - Am.An., 53, 1988, pp. 461-485.
- 117. Schiffer M. B.** Behavioral Archaeology: First Principles, Salt Lake City, 1995.
- 118. Service E. R.** Cultural Evolutionism: Theory in Practice, New York, 1971.
- 119. Service E. R.** Primitive Social Organization. An Evolutionary Perspective, New York, 1971².
- 120. Service E. R.** Origins of the State and Civilization, New York, 1975.
- 121. Small D. B.** Toward a Competent Structuralist Archaeology: A Contribution from Historical Studies – JAA, 6, 1987, pp. 105-121.
- 122. Snodgrass A. M.** The New Archaeologist and the Classical Archaeologist – AJA, 89, 1985, pp. 31-37.
- 123. Snodgrass A. M.** An Archaeology of Greece. The Present State and the Future Scope of a Discipline, Berkley, 1987.
- 124. Spaulding A. C.** The Dimensions of Archaeology – in: G. E. Dole, R. L. Carniero (eds.), Essays in the Science of Culture: In Honour of Leslie A. White, New York, 1960.
- 125. Spaulding A. C.** Explanation in Archaeology – in: Binford L. R., Binford S. R. (eds.). New Perspectives in Archeology, Chicago, 1968, pp. 33-41.
- 126. Spaulding A. C.** Archeology in the active Voice: the New Anthropology – in: Ch. Redman (ed.), Research and Theory in Current Archeology, New York, 1973.

- 127.** Steensberg A. Man the Manipulator – an Ethno-Archaeological Basis for Reconstructing the Past, Copenhagen, 1986.
- 128.** Steiger W. L. Analytical Archaeology? – Mankind, 8, 1971, pp. 67-70.
- 129.** Steward J. H. Cultural Causality and Law: A Trial Formulation of the Development of Early Civilizations - Am.Anth., 51, 1949, pp. 1-27.
- 130.** Steward J. H., Setzler F. M. Function and Configuration in Archaeology - Am.An., 4(1), 1938, pp. 4-10.
- 131.** Stiles D. Etnoarchaeology: A Discussion of Methods and Applications – Man, 12, 1977, pp. 87-103.
- 132.** Strong W. D. Anthropological Theory and Archaeological Fact – in: R. H. Lowie (ed.), Essays in Anthropology Presented to A. L. Kroeber, Berkley, 1936, pp. 359-368.
- 133.** Sullivan A. P. Inference and Evidence in Archaeology: A Discussion of the Conceptual Problems – AAMT, 1, 1978, pp. 315-381.
- 134.** Taylor W. A Study of Archaeology - American Anthropological Association memoir, 69, New York.
- 135.** Trigger B. G. Aims in Prehistoric Archaeology – Antiquity, 44, 1970, pp. 26-37.
- 136.** Trigger B. G. Time and Traditions, Edinburgh, 1978.
- 137.** Tuggle H. D., Townsend A. H., Riley, Th. J. Laws, Systems and Research Designs: A Discussion of Explanation in Archaeology - Am.An., 37, 172, pp. 3-12.
- 138.** Watson P. The Idea of Ethnoarchaeology: Notes and Comments – in C. Kramer (ed.), Ethnoarchaeology. Implications of Ethnography for Archaeology, New York, 1979, pp. 277-288.
- 139.** Watson P. J., LeBlanc S. A., Redman C. L. Explanation in Archaeology: An Explicitly Scientific Approach, New York, 1971.
- 140.** Watson P. J., LeBlanc S. A., Redman C. L. The Covering Law Model in Archaeology: Practical Uses and Formal Interpretations – World Archaeology, 6, 1974, pp. 125-132.
- 141.** Watson P. J., LeBlanc S. A., Redman C. L. Archaeological Explanation. The Scientific Method in Archaeology, New York, 1984.
- 142.** Watson R. The "New Archeology" of the 1960s – Antiquity, 46, 1972, pp. 210-215.
- 143.** Watson R. Inference in Archaeology - Am.An., 41, 1976, pp. 58-66.
- 144.** Wenke R. Patterns in Prehistory, Oxford, 1990³.
- 145.** White L. The Science of Culture: A Study of Man and Civilization, New York, 1949.
- 146.** White L. The Evolution of Culture, New York, 1959.
- 147.** Whitelaw T. (ed.), Ethnoarchaeology – ARC, 2(2), 1983, pp. 2-77.
- 148.** Willey G. R. Historical Patterns and Evolution in Native New World Cultures – in: S. Tax (ed.), Evolution after Darwin, vol. 2, Chicago, 1960, pp. 111-141.
- 149.** Willey G. R., Philips P. Method and Theory in American Archaeology, Chicago, 1958.
- 150.** Willey G. R., Sabloff J. A. A History of American Archaeology, London 1974¹; San Francisco 1980².
- 151.** Wobst H. M. Boundary Conditions for Palaeolithic Social Systems: A Simulation Approach - Am.An., 32(2), 1974, pp. 147-179.
- 152.** Wood W. R., Johnson D. L. A Survey of Disturbance Processes in Archaeological Site Formation – AAMT, 1, 1978, pp. 315-381.
- 153.** Гуляев В. И. "Новая археология" на современном этапе – КСИА, 201, 1990, с. 62-68.
- 154.** Кейн Л. Н. Рец. на New Perspectives in Archaeology. Edit. by Sally R. Binford and Lewis R. Binford. Aldine Publishing Company. Chicago, 1968, 3rd printing 1970, x + 373 pp. – CA, 2, 1973, с. 303-312.

სამეცნიერო მუზეუმი

1997 წელს ველზე იმუშავა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის:

სამხრეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმ. ი.მ.დ. გ. გაბუნაძე), რომელმაც ახალქალაქის ამირანისგორის ძირში მოიპოვა: ქვედა პლეისტოცენის დასაწყისის ფაუნისტური მასალა, ანდეზიტ-ბაზალტის ნუკლეუსები და სხვა ადრეპალეოლითური იარაღები.

შაგიზღვისპირეთის

ჰიდროარქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმ. ი.მ.დ. გ. გამერლიძე), მდინარე სუფსასთან შეამოწმა ნავთსადენის ტერმინალის ზღვის შელფში გაყანის უბანი, რამაც გვიჩვნა, რომ იქ არ არის არქეოლოგიური ობიექტები.

დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმ. ი.მ.კ. ჯ. კოპალიანი) ამ წელსაც ორ რაზმად იმუშავა. შეუა საუკუნეების შემსწავლელმა რაზმა სამუშაოები ჩატარა ნაქალაქარის სიონის საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს. მოპოვებულია კერამიკისა და მინის დამათარილებელი მასალა, მონეტები.

დმანისის პალეოლიტური რაზმი (ხელმ. ი.მ.დ. მ. ნიორაძე) კვლავ აგრძელებდა მუშაობას გერმანიის ქ. მაინცის რომაულ-გერმანულ ცენტრალურ მუზეუმთან (ა. იუსტუსი) ერთად. განათხარ ფართობზე (64/59 კვადრატის IV ფენის Z დონე) ცხოველთა ძელების გროვაში კვლავ აღმოჩნდა ადამიანის - Homo - კიდევ ერთი, ამჯერად ტერფის ძვალი.

ქუთაისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმ. ი.მ.დ. ი. ლანჩავა) დაზვერვები ჩატარა ქუთაისის შემოგარენში, გელათის სამონასტრო ანსამბლის ჩრდილოეთით და სამხრეთით არსებულ საცხოვრებელ და საკულტო ნაგებობათა განლაგების დასაზუსტებლად, მოწამეთას მონასტრის მიდამოებში და მცირე მასმტაბის გათხრებით ქუთაისის ციხეზე დაასრულა სტრატიგრაფიული სურათის გარკვევა.

მესხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმ. ი.მ.დ. ვ. ლიჩელი) ორი თვის განმავლობაში იმუშავა აწყურსა (ახალციხის რ-ნი) და მზეთამზეში (ბორჯომის რ-ნი). აწყურში მან გააგრძელა წინა წლებში დაწყებული ძვ.წ. V-IV სს-ის საცხოვრებელი სახლის შესწავლა, მზეთამზის სამაროვანშე კი გაითხარა ოთხი სამარხი, რომელთაგან მხოლოდ № 4-ში მოხერხდა მიცვალებულის პოზის დადგენა. მოპოვებული ბრინჯაოს ფიბულებით, რგოლებით, სამაჯურებით და სხვა მასალით სამაროვანი ძვ.წ. VII-VI სს. უნდა განეკუთვნოს.

გზის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმ. მეცნ. აკად. წ./კ. ოთ. ლორთქიფანიძე) გათხრები გააგრძელა ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, კერძოდ, კურტინის შიდა სივრცესა და მის სამხრეთით მდებარე ფართობზე; ნაქალაქარის ზედა ტერასაზე კრამიტყრილის ქვეშ გაითხარა

კლდოვან ქანში ამოკეთილ ორმოში ჩადგმული ქვაფუთი - კენოტაფი. ამავე უბნის თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, კლდოვანი დედაქანის გაწმენდისას აღმოჩნდა: ოქროს ფირფიტა ფრთოსანი ურჩხულის გამოსახულებით და ოქროს ბალთა პერაკლეს კვანძის გამოსახულებითა და ვარდულით ცენტრში; ქვედა ტერასაზე გაგრძელდა რიტუალური დარის გაწმენდა.

კასპის რაიონის ექსპედიციამ (ხელმ. ი.მ.კ. ზ. მახარაძე) განაახლა სამუშაოები ციხიაგორას მრავალფენინ ნამოსახლარზე, დაზუსტდა XXVI სექტორის სტრატიგირაფია (III-V სამშენებლო დონეები). ციხიაგორას სამხრეთ ფერდობზე აღმოჩენილ იქნა და გაიწმინდა სატაძრო კომპლექსის თავდაცვითი სისტემის კარიბჭის ნაშთები.

ნასტაკისის ექსპედიციამ (ხელმ. ი.მ.კ. ნ. მირიანაშვილი) მიღსადენის ორ უბანზე იმუშავა. მან ოკამი-ლამისყანის გზის აღმოსავლეთით და დასავლეთით გამოავლინა საშუალო საუკუნეების მარანი საწნახელით და რამდენადმე უფრო აღრეული, XI-XIII სს. ვრცელი ნამოსახლარი; ექსპედიციამ აგრეთვე შეისწავლა მშენებლების მიერ შეთანხმების დარღვევის შედეგად დაზიანებული გვიანანტიკური ხანის კულტურული ფენა (სოფ. ძალისას სამუშაოები ეზოში).

კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმ. პროფ. თ. მიქელაძე, მოადგილე რ. პაპუაშვილი) განაახლა სამუშაოები სოფ. ერგეტაში ძვ.წ. II ათასწ. დასაწყისის ძეგლზე - მამულიების დიხაგუმებასა და ერგეტას № 2 სამაროვანზე. ამ უკანასკნელზე მან გათხარა საძვლე ორმო და № 3 და № 4 სამარხი ორმოები, რომლებიც ზოგადად ძვ.წ. VIII-VII სს-ის მიჯნას უნდა შეესაბამებოდეს. ექსპედიციამ სოფ. ერგეტასთან მიაკვლია უნიკალურ ტორფქვეშა ნამოსახლარს, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისს უნდა განეკუთვნოს.

წალეის ექსპედიციამ (ხელმ. ი.მ.კ. გ. ნარიმანიშვილი) საბეჭდავის ნამოსახლარზე შეისწავლა № 4 სახლის I სათავსო, სადაც ძვ.წ. XIII-XII სს. მასალა აღმოჩნდა. გადარჩენის მიზნით, სოფ. ბეზთაშენთან წყალსაცავის დროებით გაშიშვლებულ ფსკერზე გათხარა დაზიანებული ადრებრინჯაოს ხანის სამარხი ქვაფუთი და დაზვერა და აღრიცხა ფსკერზე არსებული ძეგლები.

გურიის ექსპედიციამ (ხელმ. ი.მ.კ. ვ. საღარაძე) შეისწავლა სუფსის ნავთობის ტერმინალის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე აღმოჩნდილი ძვ.წ. V სს-ის ნამოსახლარი და ძვ.წ. VI-IV სს. სამაროვანი. იქვე დოუნასთან დააფიქსირა წინარეანტიკური ხანის ნამოსახლარი. ექსპედიციამ დაზვერა და აღრიცხა ძეგლები სოფ. ომფარეთში - ადრეული შეუა საუკუნეების აბანო, სოფ. ღრმაღლელეში - ადრეული შეუა საუკუნეების ეკლესიის ნაშთები, სოფ. შემოქმედში, მდ. ბუჟის მარცხენა ნაპირზე - ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი.

სვანეთის ექსპედიციამ (ხელმ. ი.ბ.დ. შ. ჩართოლანი) გათხრები განახორციელა მესტიის რწმი თეთვლის სამთამადინ გამონამუშევრებში და ხეშეილის ნაეკლესიარზე; დაზვერა - ცხუმარის, ლატალის, ლენჯერისა და მულახის სოფლები, ლენტალის რწმი - სოფ. ყველებშის ტერიტორია. აღრიცხულ იქნა აქამდე უცნობი 10 ნაეკლესიარი და 21 ნაკოშკარი.

გუეთის ექსპედიციამ (ხელმ. ი.ბ.კ. ც. ჩიკოიძე) 1996-97 წწ. იმუშავა რუსთავის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, სადაც 650 კვ-ზე სტრატიგრაფიულად გამოიყო IV-XIII სს. 7 ქრონოლოგიური დონე. ექსპედიციამ მიღსადების მშენებლობის ტერიტორიაზე, გარდაბნის რწმი სადაზვერვო თხრილებით მოსინჯა გვიანბრინჯაო-ადრეურკინის ხანის ნასოფლარი და გათხარა ამავე დონის ორი ყორდანული სამარხი, შეისწავლა XI-XIII სს-ის ნასოფლარის ნაშთები.

ქრონიკა დოკუმენტური ანგარიშების მიხედვით შეადგინა ი.ბ.კ. გ. მინდიაშვილმა.

ПОЛЕВАЯ ХРОНИКА

В 1997 году раскопки проводили следующие экспедиции Центра археологических исследований:

Археологическая экспедиция Южно-грузинского нагорья (рук. д.и.н. М. Габуния), которая у подошвы Ахалкалакской Амранис-гора обнаружила фаунистический материал начала нижнего плейстоцена, андезито-базальтовые нуклеусы и др. раннепалеолитические орудия.

Черноморская гидроархеологическая экспедиция (рук. д.и.н. Г. Гамкелидзе) у устья р. Супса проконтролировала участок морского шельфа, у строящегося нефтепроводного терминала. Археологических объектов не обнаружено.

Дманисская археологическая экспедиция (рук. к.и.н. Дж. Копалиани) вела раскопки двумя отрядами. Средневековый отряд провел свои исследования к северу от кафедрального храма городища. Добыт датирующий керамический материал, а также стекло и монеты.

Палеолитический отряд (рук. д.и.н. М. Ниорадзе) продолжал свои исследования совместно с Римско-германским центральным музеем г. Майнца (А. Юстус). На раскопанной площади (уровень z IV слоя квадрата 64/59) в куче костей животных вновь были найдены останки человека - Homo - на этот раз фрагмент стопы.

Кутаисская археологическая экспедиция (рук. д.и.н. О. Ланчава) провела разведки в окрестностях Кутаиси, с целью уточнения расположения жилых и культовых построек к северу и к

югу от монастырского ансамбля Гелати, а также в окрестностях Моцамета. В результате раскопок на Кутаисской крепости было завершено выяснение стратиграфической картины.

Месхетская археологическая экспедиция (рук. д.и.н. В. Личели) провела раскопки в Ацкури (Ахалцихский р-н) и Мзетамзе (Боржомский р-н). В Ацкури было продолжено исследование здания V-IV вв. до н.э., а на могильнике Мзетамзе было раскопано четыре погребения, из которых только в одном удалось установить позу погребенного. Погребальный инвентарь датирует могильник VII-VI вв. до н.э.

Ванская археологическая экспедиция (рук. чл.-кор. АН Грузии О. Лордкипанидзе) продолжила раскопки на центральной террасе городища, в частности у внутренней стороны куртины и на расположенным к югу от него склоне; на верхней террасе городища под завалом черепицы был найден каменный ящик - кенотаф, устроенный в высеченной в скальном грунте яме. В северо-восточном углу этого-же раскопа при расчистках скальной поверхности были обнаружены: золотая пластина с изображением крылатого чудовища, а также золотая пряжка с изображением гераклова узла с розеткой в центре. На нижней террасе были продолжены расчистки ритуального канала.

Каспская археологическая экспедиция (рук. к.и.н. З. Махарадзе) возобновила работы на многослойном поселении Цихиагора. Была уточнена стратиграфия XXVI сектора (III-V строительные уровни). На южном склоне были открыты остатки ворот оборонительной системы храмового комплекса эллинистического периода.

Настакисская экспедиция (рук. к.и.н. Н. Мирианашвили) работала на двух участках нефтепровода. С обоих сторон дороги Оками-Ламис-каны было зафиксировано средневековое винохранилище с давильнями и несколько более раннее обширное поселение XI-XIII вв.; экспедиция также обследовала культурный слой позднеантичного времени, поврежденный в результате несанкционированных строительных работ (на хозяйственном подворье с. Дзалиса).

Колхидская археологическая экспедиция (рук. проф. Т. Микеладзе, зам. Р. Папуашвили) возобновила работы в с. Эргета на поселении начала II тыс. до н.э. - Мамулиебис диха-гудзуба, а также на Эргетском могильнике¹ 2. На этом последнем были раскопаны костная яма, а также могильные ямы¹¹ 3 и 4, датируемые в основном рубежом VIII-VII вв. до н.э.

Цалкская археологическая экспедиция (рук. к.и.н. Г. Нариманишвили) на поселении Сабечдави исследовала помещение I дома¹ 4, в котором был найден материал XIII-XII вв. до н.э.

Были проведены спасательные работы у с. Бешташени на временно обнажившемся дне водохранилища, в результате которых было исследовано погребение раннебронзового времени в каменном ящике, разведованы и учтены памятники, оказавшиеся на дне.

Гурийская археологическая экспедиция (рук. к.и.н. В. Садрадзе) исследовала на территории, выделенной под строительство Супсинского нефтеналивного терминала поселение V в. до н.э., а также могильник VI-IV вв. до н.э. Там же, у дюны, было зафиксировано поселение предантичной эпохи. Экспедиция разведывала и нанесла на карту археологические объекты в с. Омпарети - раннесредневековая баня; в с. Грмагеле - остатки раннесредневековой церкви; в с. Шемокмеди, на левом берегу р. Бужи - поселение раннебронзового века.

Сванетская экспедиция (рук. д.и.н. III. Чартолани) проводила исследования в горных выработках Тетели Местийского р-на и на развалинах церкви Хешкили; были проведены разведки в сс. Цхумари, Латали, Ленджери, Мулахи, а также в с. Кведреши Лентехского р-на. Были зафиксированы остатки неизвестных до этого 10 церквей и 21 башни.

Кухетская экспедиция (рук. к.и.н. Ц. Чиконидзе) в 1996-97 гг. работала на территории Руставского городища, где на площади 650 кв.м было выделено 7 хронологических периодов IV-XIII вв. Кроме того, на территории строительства нефтепровода в Гардабанском р-не провела разведывательные пробные раскопки на поселении эпохи поздней бронзы - раннего железа, были раскопаны два курганных погребения того-же времени, исследовала поселение XI-XIII вв.

Хронику по документальным отчетам составил к.и.н. **Г. Миндиашвили**.

FIELD CHRONICLE

In 1997 excavations were carried out by the following expeditions of the Centre for Archaeological Studies:

Archaeological Expedition of the Southern Georgian Upland (director M. Gabunia) which, at the foot of the hill Amirani Gora (Akhalkalaki district), discovered faunistic material of the beginning of the Lower Pleistocene, andesite-basaltic flakes and other palaeolithic tools.

Hydroarchaeological Expedition of the Black Sea littoral (director G. Gamqrelidze) explored the area of the sea shelf at the mouth of the river Supsa near the oil pipeline terminal,

demonstrating the absence of archaeological sites here.

Dmanisi Archaeological Expedition (director J. Kopaliani). Two teams of this expedition carried out excavations. The medieval team investigated the area to the north of the Sioni cathedral church of the ancient city site. Ceramic and glass dating material as well as coins were found.

The palaeolithic team (director M. Nioradze) continued its investigations together with the Römisch-germanisch Zentralmuseum of Mainz (A. Justus). In the excavated area (level z, layer IV, square 64/59) remains of a man, Homo – this time a fragment of a fool – were discovered among a heap of animal bones.

Kutaisi Archaeological Expedition (director O. Lanchava) carried out explorations in the environs of Kutaisi with the purpose of giving a more precise definition of the cult and dwelling structures situated to the north and the south of the monastic ensemble of Gelati as well as in the environs, in Kutaisi fortress the classification of the stratigraphic picture was completed.

Meskheti Archaeological Expedition (director V. Licheli), conducted excavations in Atsquri (Akhaltsikhe dist.) and Mzetamze (Borjomi dist.). In Atsquri investigations of the 5th-4th cent. B.C. buildings were continued while on the Mzetamze necropolis four burials were excavated. Only in one of them it proved feasible to determine the posture of the deceased. According to the inventory (bronze fibulae, hoops, bracelets) the necropolis is dated to the 7th-4th cent. B.C.

Vani Archaeological Expedition (director Corr. Member Georgian Acad. Sci. O. Lordkipanidze) continued excavations on the central terrace of the ancient city site, in particular, in the inner area of the curtain and on the slope to its south. A cist-cenotaph, placed in a pit, cut in the rocky soil was found under a heap of tiles on the upper terrace. While clearing the bed rock in the north-east corner of this section the following items were found: gold plate with a representation of a winged monster and gold plaque with a representation of Heracle knot with a rosette in the centre. Clearing of the ritual canal was continued on the lower terrace.

Kaspi Archaeological Expedition (director Z. Makharadze) resumed its work on the multilayer settlement of Tsikhiagora. The stratigraphy of section XXVI (construction levels III-IV) was defined more precisely. Remains of the gate of the defensive system of the temple-complex were discovered on the southern slope.

Nastakisi Archaeological Expedition (director: N. Mirianashvili) worked on two

sections of the oil pipeline. On both sides of the Okami-Lamisqana road a mediaeval wine-cellars with a wine-press and a vast settlement of the 11th-13th centuries were discovered. The expedition investigated the cultural layer of the Late Classical period, damaged as a result of construction work (in the household-economy yard of the village Dzalisa).

Kolkheti Archaeological Expedition

(director: Prof. T. Mikeladze, Deputy Director: R. Papuashvili) resumed excavations in the village of Ergeta on the site of the beginning of the 2nd millennium B.C. - Mamuliebis Dikhagudzuba and on necropolis II of Ergeta. On the latter a pit for bones and pit-burials 3 and 4 generally datable to the turn of 8th-7th cent. B.C. were excavated. A unique settlement site was discovered by the expedition under peat, probably dating from the beginning of the 2nd millennium B.C.

Tsalka Archaeological Expedition (director:

G. Narimanishvili) on the settlement of Sabechdavi investigated room I of the house 4, where material of the 13th-12th cent. B.C. was found. As a result of salvage work an Early Bronze Age damaged cist burial was excavated on the bottom of a temporarily empty storage reservoir near the village of Beshtasheni. The remains found on the bottom of the reservoir were recorded.

Guria Archaeological Expedition (director:

V. Sadradze) investigated the settlement of the 5th century B.C., as well as the necropolis of the 6th-4th centuries B.C. discovered on the territory allotted for the building of the Supsa oil terminal. At the same place, near a dune, a settlement of the pre-Classical period was recorded. The expedition explored and recorded the archaeological sites: Ompareti, an early medieval bath-house, remains of an early medieval church in Ghrmaghele, a settlement of the Early Bronze Age in Shemokmedi, on the left bank of the river Buzhi.

Svaneti Expedition (director Sh. Chartolani) carried out excavations of the mine workings of "Teleti" (Mestia dist.) and of the former church site "Kheshkili"; explored the villages of Tskhumari, Latali, Lenjeri, Mulakhi and Qvedreshi of Lentekhi district as well. Hitherto unknown 10 churches and 21 towers were recorded.

Kukheti Expedition (director Ts. Chikoidze)

in 1996-1997 worked on the territory of the Rustavi city site where over the area of 650 m² seven chronological levels of the 4th-13th centuries were identified stratigraphically. Besides, in the area of the oil pipeline construction, in Gardabani dist., the expedition carried out exploratory digs at a settlement of the Early Bronze - Late Iron Ages,

excavated two barrow burials of the same period, and studied village sites of the 11th-13th centuries.

The chronicle was compiled by **G. Mindiashvili** according to documentary reports.